სსიპ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი
LEPL GORI STATE UNIVERSITY

# სამეცნიერო კვლევების ჟურნალი

# JOURNAL OF SCIENTIFIC RESEARCHES

ტომი V, №2

Volume V, No 2

2023

სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ჟურნალის - „სამეცნიერო კვლევების ჟურნალი“ წინამდებარე ნომერში ქვეყნდება გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 2021 წლის 09-10 დეკემბერს ჩატარებულ მეთოთხმეტე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე - „განათლება, მეცნიერება, ინოვაციები: მსოფლიო და საქართველო“ სექციებზე - „მათემატიკა და ინფორმატიკა“, „საბუნებისმეტყველო მეცნიერებები“, „ბიზნესი და ეკონომიკა“, „სოციალური მეცნიერებები და სამართალი“ წარმოდგენილი ნაშრომები.

In the current issue of LEPL – Gori State University Scientific Journal “Journal of Scientific Researches” are published the works, that were presented at the sections – “Mathematics and Informatics”, “Natural Sciences”, “Business and Economics”, “Social Sciences and Law” at the The Fourteenth International Scientific Conference “Education, Science, Innovations: Georgia and the Outside World”, held by Gori State University on December 09-10, 2021.

**სარედაქციო კოლეგია:**
- **გიორგი სოსიაშვილი** - სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე (საქართველო);
- **ვიანორ ახალაია** (საქართველო);
- **გიზო გოგიჩაიშვილი** (საქართველო);
- **გიორგი გოგიჩაძე** (საქართველო);
- **იან მალიცკი** (პოლონეთი);
- **თეიმურაზ მთიბელაშვილი** (საქართველო);
- **დიმიტრი ნადირაშვილი** (საქართველო);
- **იურგიტა რაუდელიუნიენე** (ლიტვა);
- **ზვიად როგავა** (საქართველო);
- **მანანა რუსიეშვილი** (საქართველო);
- **სოსო სიგუა** (საქართველო);
- **იანის სტრადინში** (ლატვია);
- **ომარ ფურთუხია** (საქართველო);
- **ჰარუნ ჩიმქე** (თურქეთი);
- **ჯემალ ძაგანია** (საქართველო);
- **ქეთევან ჭკუასელი** (საქართველო);
- **მიხეილ ჯიბუტი** (საქართველო).

**ტექნიკური რედაქტორი: გიორგი ყაზიშვილი,** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**EDITORIAL BOARD:**
- **Giorgi Sosiashvili** - Chairman of the Editorial Board (Georgia);
- **Vianor Akhalaia** (Georgia);
- **Gizo Gogichaishvili** (Georgia);
- **Giorgi Gogichadze** (Georgia);
- **Jan Malicki** (Poland);
- **Teimuraz Mtibelashvili** (Georgia);
- **Dimitri Nadirashvili** (Georgia);
- **Jurgita Raudeliuniene** (Lithuania);
- **Zviad Rogava** (Georgia);
- **Manana Rusieshvili** (Georgia);
- **Soso Sigua** (Georgia);
- **Janis Stradinsh** (Latvia);
- **Omar Purtukhia** (Georgia);
- **Harun Chimke** (Turkey);
- **Jemal Dzagania** (Georgia);
- **Ketevan Chkuaseli** (Georgia);
- **Mikheil Jibuti** (Georgia).

**TECHNICAL EDITOR:**
**Giorgi Kazishvili**, Gori State University

გამოქვეყნებული სტატიის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. მისი პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს სარედაქციო კოლეგიის შეხედულებებს.

ჟურნალის რედაქცია პასუხს არ აგებს სტატიის გამოქვეყნების შედეგად გამოწვეულ შესაძლო ზარალზე. იმ შემთხვევაში, თუ სტატიის გამოქვეყნების შედეგად დაირღვა საავტორო ან სხვა უფლება, რედაქცია უფლებამოსილია გამოქვეყნებული სტატია ამოიღოს მონაცემთა ბაზიდან.

The author is liable for the accuracy of the published article. His views may not coincide with the ideas of editorial board.

Editorial Board is not responsible for the possible damage caused by the publication of the article. In case the author`s or other rights are violated after the publication of the article, the editorial board is authorized to remove the published article from the database.

ISSN 2587-4683

# შ ი ნ ა ა რ ს ი

## მათემატიკა და ინფორმატიკა

**ინგა აბულაძე, მაია ოხანაშვილი** - *ხელოვნური ინტელექტი - 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევა და ჭკვიანი რობოტის შექმნა* – 7
**ლელა ალექსიძე, ლაურა ელიაური** - *ზ. ზერაკიძის ჰიპოთეზების კრიტერიუმები ჰილბერტის ზომათა სივრცეში ექსპონენციალური სტატისტიკური სტრუქტურების ტესტირებისათვის* (ინგლისურ ენაზე) – 10
**ზურაბ ზერაკიძე, ჯემალ ქირია, თენგიზ ქირია** - *გამა სტატისტიკური სტრუქტურების ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი* (ინგლისურ ენაზე) – 15
**ზურაბ ზერაკიძე, ჯემალ ქირია, თენგიზ ქირია** - *გამა სტატისტიკური სტრუქტურების ჰიპოთეზათა შემოწმების ძალდებული კრიტერიუმი ბანახის ზომათა სივრცეში* (ინგლისურ ენაზე) – 19
**ნუგზარ იაშვილი** - *ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილი ქვეყნის აგრარულ სექტორში* – 24
**ნუგზარ იაშვილი, ლევან იმნაიშვილი, მაგული ბედინეიშვილი** - *ინფორმატიკაში და გამოთვლით ტექნიკაში გიორგი ნიკოლაძის წვლილის შესახებ* – 26
**თინათინ მშვიდობაძე** - *დაპროგრამების ენა Python ციფრული საცავების შესაქმნელად* – 32
**თამარ ნასყიდაშვილი** - *ცოდნის წარმოდგენის ორგანიზაცია საექსპერტო სისტემების სტრუქტურებში* – 35

## საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

**ნელი გოგინაშვილი, თეა მჭედლური** - *ტყვიის შემცველობა ნიადაგსა და მცენარეში ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით* – 39
**ალექსანდრე იაშვილი** - *მოძრაობითი აქტივობის გავლენა საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე* – 42
**რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე** - *კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაციის, იერარქიის დადგენისა და გამოყოფის ზოგიერთი საკითხი* – 46
**გიორგი მძინარაშვილი** - *გორის თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და ვეტერანი სპორტსმენების ანკეტირება (გამოკითხვა), სპორტულ დაზიანებათა გამომწვევ მიზეზებზე და მათ პროფილაქტიკაზე* – 50
**ნელი პაპუკაშვილი** - *სწორი ტანდეგობის ჩამოყალიბების მეთოდური ასპექტები* – 54
**მარიამ უბირია, თინათინ იოსებიძე** - *დაბერების ფიზიოლოგია: გულ-სისხლძარღვთა და სასუნთქი სისტემები* (რუსულ ენაზე) – 58
**მარიამ უბირია** - *ოლანზაპინი - როგორც თანამედროვე ანტიფსიქოზური საშუალება* – 61

## ბიზნესი და ეკონომიკა

**მაია აზმაიფარაშვილი** - *ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი პანდემიის პირობებში* – 67
**ხათუნა ბებნაძე** - *კომუნიკაციის როლი და მართვის პრობლემები მენეჯმენტის სისტემაში* – 74
**ლია ბიბილაშვილი** - *უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის დამახასიათებელი გლობალური ტენდენციები* – 78
**გიული გიგუაშვილი** - *საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები covid-19-ის პირობებში* – 81
**მაკა სოსანიძე, ლეილა მამულაშვილი** - *საქართველო გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში* – 86
**თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი** - *გორის მუნიციპალიტეტის ეკოტურისტული მარშრუტები* – 89
**სოფიო ცეცხლაძე, ლალი ოსაძე** - *საქართველოს ღვინის ბაზრის განვითარების ტენდენციები* – 93
**დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე** - *ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირება მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის საქართველოში* – 97

## სოციალური მეცნიერებები და სამართალი

**ნუგზარ აბრამიშვილი** - *ალფრედ ნორთ უაიტჰედი და ტრადიციული ფილოსოფია* – 102
**ივანე ბალახაშვილი** - *ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიები* – 106
**კლარა ელჩიბეგაშვილი** - *სიყვარულის ფენომენი ფილოსოფიაში* – 111
**ანა იმნაძე** - *კომუნიკაციის სოციალური ასპექტები* – 115
**ანი კობახიძე** - *რუსეთის ფედერაცია - ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი (ამერიკა-რუსეთის „გადატვირთვის" პოლიტიკაზე დაყრდნობით)* – 119
**გიორგი ლომია** - *სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური კონიუნქტურა და დაბალანსების პოლიტიკა* – 123
**მალხაზ ლომსაძე** - *ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში* – 129
**ქეთევან ლომსაძე, ბექა ტოლიაშვილი** - *ხელმძღვანელის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესახებ* – 134
**ეთერ მახარაძე** - *ჰანს რაიხენბახისა და ადოლფ გრიუნბაუმის ნატურფილოსოფიის ზოგიერთი ასპექტის შესახებ* – 140
**ნიკოლოზ მიდოდაშვილი** - *დემოკრატია და XXI საუკუნის გამოწვევები* – 145
**მაკა სალხინაშვილი** - *ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა დისტანციურად, პრობლემები და გამოწვევები* – 147
**მარიკა შერაზადიშვილი** - *საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შემფასებლური ლექსიკა მედიაში* – 150
**სოფიო ცაციაშვილი** - *სპორტის სოციალური როლი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში* – 153

# C O N T E N T S

## Mathematics and Informatics

**Inga Abuladze**, **Maia Okhanashvili**- *Artificial Intelligence - the Main Challenge of the 21st Century and Creating a Smart Robot* – 7
**Lela Aleksidze**, **Laura Eliauri** - *The Zerakidze Z. Criteria Hypotheses Testing for Exponential Statistical Structures in Hilbert Space of Measures* (in English) – 10
**Zurab Zerakidze**, **Jemal Kiria**, **Tengiz Kiria** - *The Consistent Criteria Hypotheses Testing for Gamma ("G") Statistical Structures* (in English) – 15
**Zurab Zerakidze**, **Jemal Kiria**, **Tengiz Kiria** - *The Consistent Criteria Hypotheses Testing For Gamma Satistical Structures in Banach Space of Measure* (in English) – 19
**Nugzar Iashvili** - *Place of Information Technology in the Agricultural Sector of the Country* – 24
**Nugzar Iashvili**, **Levan Imnaishvili**, **Maguli Bedineishvili** - *About the Contribution of Giorgi Nikoladze in Informatics and Computing Technology* – 26
**Tinatin Mshvidobadze** - *Programming Language for Creating Python Digital Repositories* – 32
**Tamar Naskidashvili** - *Organization of Knowledge Representation in the Structures of Expert Systems* – 35

## Natural Sciences

**Neli Goginashvli**, **Tea Mchedluri** - *The Composition of Lead in Soil and Plants in Relation to Ecological Factors* – 39
**Aleksandre Iashvili** - *Impact of Motor Activity on the Locomotor System* – 42
**Robert Maghlakelidze**, **Giorgi Maghlakelidze** - *Some Issues of Spatial Identification, Establishing of Hierarchy and Allocation of Cultural Natural-Territorial Complexes* – 46
**Giorgi Mdzinarashvili** - *Questionare for Gori Freestyle Wrestling Coaches and Athletes about Causes of Sport Traumas and Their Preventions* – 50
**Neli Papukashvili** - *Methodological Aspects of Correct Slender Formation* – 54
**Mariam Ubiria**, **Tinatin Iosebidze** - *Age-Related Physiological Changes in the Human Cardiovascular and Respiratory Systems* (in Russian) – 58
**Mariam Ubiria** - *Olanzapine – as a Modern Antipsychotic Agent* – 61

## Business and Economics

**Maia Azmaiparashvili** - *Labor Market Needs Survey in the Tourism Industry and Employer Demand Analysis in Pandemic Conditions* – 67
**Khatuna Bebnadze** - *The Role of Communication in the Management System and the Problems of Their Management* – 74
**Lia Bibilashvili** - *Global Trends Characteristic to Foreign Direct Investments* – 78
**Giuli Giguashvili** - *Opportunities for Sustainable Economic Development of Georgia Under the Conditions of Covid-19* – 81
**Maka Sosanidze**, **Leila Mamulashvili** - *Georgia in the Global Economic Space* – 86
**Tamaz Kobulashvili**, **Gia Edisherashvili** - *Ecotourism Routes of Gori Municipality* – 89
**Sopio Tsetskhladze**, **Lali Osadze** - *Development Trends of Georgian Wine Market* – 93
**Davit Tchiotashvili**, **Khaliana Chitadze** - *Regulation of International Financial Reporting Standards for Enterprises of the Fourth Category in Georgia* – 97

## Social Sciences and Law

**Nugzar Abramishvili** - *Alfred North Whitehead and Traditional Philosophy* – 102
**Ivane Balakhashvili** - *The General Theory of Administrative Contracts* – 106
**Klara Elchibegashvili** - *The Phenomenon of Love in Philosophy* – 111
**Ana Imnadze** - *Social Aspects of Communication* – 115
**Ani Kobakhidze** - *The Russian Federation – the US Major Foreign Policy Priority (Based on the US-Russian "Reset" Policy)* – 119
**Giorgi Lomia** - *Geopolitical Conjuncture and Balancing Policy of the South Caucasus Region* – 123
**Malkhaz Lomsadze** - *Problems of Qualification of Group Crime in Criminal Law and Judicial Practice of Georgia* – 129
**Ketevan Lomsadze**, **Beka Toliashvili** - *About the Psychological Portrait of the Manager* – 134
**Eter Makharadze** - *About Some Aspects of the Natural Philosophy of Hans Reichenbach and Adolf Grunbaum* – 140
**Nikoloz Midodashvili** - *Democracy and the Challenges of the XXI Century* – 145
**Maka Salkhinashvili** - *Discussion of Administrative Offenses Remotely, Problems and Challenges* – 147
**Marika Sherazadishvili** - *Socio-Political and Evaluative Vocabulary in the Media* – 150
**Sophio Tsatsiashvili** - *The Social Role of Sports in the Era of Scientific-Technological Progress* – 153

## მათემატიკა და ინფორმატიკა
## Mathematics and Informatics


*ინგა აბულაძე, მაია ოხანაშვილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*


# ხელოვნური ინტელექტი - 21-ე საუკუნის მთავარი გამოწვევა და ჭკვიანი რობოტის შექმნა


*საკვანძო სიტყვები:* კომპიუტერული ტექნოლოგიები, ხელოვნური ინტელექტი, ჭკვიანი რობოტი, მანქანური სწავლება, დაპროგრამების ენა.


**შესავალი**

გასული საუკუნის 50-იან წლებში პირველი ელექტრონული გამომთვლელი მანქანის შექმნა კაცობრიობის ისტორიაში იყო უდიდესი გამოგონება. სიტყვა **computing** გამოთვლას ნიშნავს. თავდაპირველად მისი მიზანი იყო ადამიანებისთვის გამოთვლითი პროცესის დამქანცველი სამუშაოების შესრულების შემსუბუქება. თუმცა მოგვიანებით კომპიუტერმა სხვა დანიშნულება შეიძინა. გასული საუკუნის ბოლოს კომპიუტერულმა ტექნოლოგიებმა ადამიანის საქმიანობის ყველა სფერო მოიცვა. 21-ე საუკუნეში პრაქტიკულად შეუძლებელია კომპიუტერის გარეშე ნებისმიერ სფეროში საქმიანობა.

უკანასკნელი 15 წლის მანძილზე შეიმჩნევა ტექნოლოგიური პროცესების განვითარების ტემპის ზრდა მთელ მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. ამ დროს გამოჩნდა „ჭკვიანი რობოტის“ შექმნის იდეა. ანუ, ისეთი მოწყობილობის შექმნა, რომელიც მოცემულ დავალებას შეასრულებს საუკეთესოდ და ამ მიმართულებას ეწოდება *ხელოვნური ინტელექტი.* ასეთი მოწყობილობის შექმნის დიდ სიკეთესთან ერთად უნდა გავითვალისწინოთ მისი უარყოფითი მხარეები, ანუ რა ზიანის მოტანა შეუძლია მას ადამიანებისთვის.

**ძირითადი ნაწილი**

ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს ხელოვნური ინტელექტის ისეთი ტიპის ამოცანის გადაწყვეტა, რომლის საშუალებით შესაძლებელია „ჭკვიანი რობოტის“ შექმნა.

ხელოვნური ინტელექტის ამოცანის მიზანი მდგომარეობს შემდეგში: მოწყობილობას ვაძლევთ დავალებას და მან ეს უნდა შეასრულოს ზედმიწევნით ზუსტად. ამისათვის, მას შესწევს უნარი მიიღოს ინფორმაცია გარედან და ამით მოახდინოს საკუთარი თავის შესწავლა (მანქანური სწავლება), დაისწავლოს გარკვეული მიმართულებით ინფორმაცია, რათა მოცემული ამოცანა გადაწყვიტოს საუკეთესოდ (ნახ.1).



ნახ. 1. ჭკვიანი რობოტი

გარემოდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შეიძლება განვითარდეს სხვადასხვა სცენარი. მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს შემთხვევითი პროცესებით გამოწვეული, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილების მიღებაზე. სწორედ ამ სცენარებიდან გამომდინარე, მოწყობილობამ შეიძლება მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომლის აბსოლუტური პროგნოზირება შეუძლებელია. ამ შესაძლებლობებით ასეთი „ჭკვიანი რობოტი“ უახლოვდება ადამიანის რეალურ შესაძლებლობებს. მე-2 ნახაზზე ნაჩვენებია კლინიკაში სამედიცინო მომსახურება, რომელსაც ახორციელებს რობოტი.



ნახ. 2. ვირტუალური სამედიცინო მომსახურება

შესაძლებელია დაახლოებით 10-15 წლის შემდეგ ასეთმა „ჭკვიანმა მანქანამ“ საფრთხე შეუქმნას თვით ადამიანებს. ამიტომ, მეცნიერებს მეტი სიფრთხილე გვმართებს ამ კუთხით და ასეთი რობოტების შექმნა საჭიროებს მკაცრ კონტოლს. მათი კონტროლი და მართვა უნდა განხორციელდეს ისევ ადამიანის

მიერ. იმ რეალობიდან გამომდინარე, რასაც ადგილი აქვს ბოლო 10-15 წლის განმავლობაში ტექნოლოგიური პროცესის დაჩქარებიდან გამომდინარე, „მანქანური სწავლება“ უფრო მოთხოვნადი ხდება ადამიანის საქმიანობის ნებისმიერ სფეროში. მაგალითად, „ჭკვიან რობოტს“ შეუძლია გაუწიოს კონსულტაცია ან მიიღოს გადაწყვეტილება როგორც ნებისმიერ იურიდულ საკითხზე, ასევე სამედიცინო სფეროში.

მოვიყვანოთ ამერიკელი ფილანტროპისტ სტივ ჯობსის (Steve Jobs) შემდეგი ფრაზა: „Everybody in this country should learn how to program a computer… because it teaches you how to think“, ანუ ქართულად ასე ითარგმნება - ყველა ადამიანს ამ ქვეყანაში (გულისხმობს მთელ მსოფლიოს) სურს ისწავლოს კომპიუტერული პროგრამირება... რადგან ის გვასწავლის ჩვენ თუ როგორ ვიფიქროთ.

მივაგენით ჩვენი ამოცანის გადაწყვეტის მთავარ გზას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების - პროგრამირების საშუალებით შესაძლებელია მთელი მსოფლიოს შეცვლა. ჩვენი ამოცანა, რომელ გამოწვევაზეც კვლევის დასაწყისში არის საუბარი, გახლავთ „ჭკვიანი რობოტის“ შექმნა. ამ ამოცანის გადასაწყვეტად საჭიროა პროგრამულ ენებს დავუმეგობრდეთ. კერძოდ, დაპროგრამების ენა **Python**-ი, რომელიც დაკავშირებულია მოცემული ამოცანის გადაწყვეტასთან.

**Python**-ი არის ინტერპრეტირებული მაღალი დონის ზოგადი დანიშნულების დაპროგრამების ენა. მასში შესაძლებელია დაპროგრამება როგორც სტრუქტურულ სტილში, ასევე ობიექტზე ორიენტირებულ და ფუნქციონალურ სტილში. უმარტივესი სინტაქსის მიუხედავად მისი შესწავლა მოითხოვს პროგრამირების მთელი რიგი პარადიგმების ცოდნას, ამიტომ მას ***მულტიპარადიგმული დაპროგრამების ენას*** უწოდებენ.

სხვა პროგრამირების ენებიდან **Python** გამოირჩევა (Codecademy):

- უმარტივესი სინტაქსით;
- ეფექტურია;
- წაკითხვადია;
- მეტაპროგრამირებაა;
- აქვს ობიექტზე ორიენტირებული მიდგომის მულტიპარადიგმული დიზაინი;
- აქვს ფართო სპექტრის სტანდარტული ბიბლიოთეკა.

**Python** ენის საშუალებით შესაძლებელია შემდეგი სახის ამოცანების ანალიზი:

- მონაცემთა ვიზუალიზაცია (**Data Visualization**);
- მანქანური სწავლება, რომელიც შეიცავს ხელოვნური ინტელექტის ელემენტებს (**Machine Learning**);
- მონაცემთა შესახებ ინფორმაციის შენახვა (**Data Science**);
- ბუნებრივი ენის დამუშავება (**Natural Language Processing**);
- მონაცემთა კომპლექსური ანალიზი (**Complex data Analysis**).

**Python** ენას გააჩნია მრავალრიცხოვანი **frameworks –** სამუშაო ჩარჩოები. სწორედ მათი საშუალებით შესაძლებელია ვებგვერდების, ვებ ბრაუზერების და ვებ აპლიკაციების შექმნა. ქვემოთ მოყვანილია მსოფლიოში საუკეთესო 12 ვებ სამუშაო გარემო (STX Next). ესენია:

- Django;
- Flask;
- Pyramid;
- Web2py;
- Sanic;
- Japronto;
- aiohttp;
- Twisted;
- Falcon;
- Bottle;
- FastAPI;
- Masonite.

**Web framework**-ვებ სამუშაო გარემო წარმოადგენს ფუნქციონალური ღილაკების პაკეტს, რომლის საშუალებით შესაძლებელია შეიქმნას **web applications** (ვებ აპლიკაციები, ვებგვერდები, კომპიუტერული თამაშები და ა.შ.).

განვიხილოთ **Python** ენის ზოგიერთი სამუშო ჩარჩო (STX Next; Django Software Foundation):

***Django*** წარმოადგენს **Python**-ის ყველაზე პოპულარულ **web framework –** ვებ სამუშაო ჩარჩო. მის პაკეტში თავმოყრილია ყველა ის ინსტრუმენტი, რომელიც საჭიროა ვებ აპლიკაციების გასაკეთებლად.

***Flask*** წარმოადგენს ვებ აპლიკაციების გაკეთების მიკრო სამუშაო ჩარჩოს – **microframework.** მას გააჩნია ძირითადი ფუნქციონალური ღილაკები და აქვს შესაძლებლობა ადვილად გაიფართოვოს ღილაკების რაოდენობა. ის ძირითადად გამოიყენება როგორც ბიბლიოთეკების მისაბმელად, ასევე თვით ბიბლიოთეკების ერთმანეთთან დასაკავშირებლად.

***Pyramid*** მესამე, საყურადღებო სამუშაო ჩარჩოა. მასში გაერთიანებულია ორი პროგრამული პროდუქტი. ესენია: **Pylons** და **repoze.bfg**. მის ავტორებს წინასწარ არ ჰქონდათ გათვალისწინებული, თუ რა სარგებელი შეიძლებოდა მოეტანა ამ ვებ აპლიკაციას. ამიტომ, ეს ვებ სამუშაო ჩარჩო ვერ განვითარდა განსხვავებით **django**-გან.

***Web2py*** სამუშაო ჩარჩო შეიქმნა 2007 წელს, რომელიც თავდაპირველად განკუთვნილი იყო როგორც სასწავლო ინსტრუმენტი სტუდენტთათვის. თუმცა შემდგომში მისმა შემქნელებმა შესძლეს მისი განვითარება.

***Sanic*** მნიშვნელოვნად განსხვავდება ზემოთ ჩამოთვლილი ვებ სამუშაო ჩარჩოებისგან, რადგან იგი ემყარება პითონის **asyncio –** ასინქრონული პროგრამირების ინსტრუმენტთა ყუთს, რომელშიც შედის სტანდარტული ბიბლიოთეკა დაწყებული 3.4 ვერსიიდან.

ქვემოთ ჩამოთვლილია დაპროგრამების ენა **Python**-ზე შექმნილი მსოფლიოში პოპულარული პროგრამული პროდუქტები (STX Next):

- ✓ Google
- ✓ Yahoo
- ✓ Youtube
- ✓ Dropbox
- ✓ Quora
- ✓ Instagram
- ✓ BitTorrent
- ✓ Spotify
- ✓ Reddit
- ✓ Totalspy
- ✓ Pinterest
- ✓ BitBucket
- ✓ Blender3D

ამასთან ერთად, დაპროგრამების ენა **Python**-ის საშუალებით შესაძლებელია გადაწყდეს ისეთი ამოცანები, როგორებიც გახლავთ მონაცემთა ბაზებთან კავშირი და ქსელური პროგრამირების რეალიზაცია. ვებ პროგრამირების საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენს მულტისაერთაშორისო ტექნოლოგიური კომპანია – **Google,** ქსელური პროგრამირებისთვის საუკეთესო პლატფორმას წარმოადგენს მოვლენაზე ორიენტირებული პროგრამის შაბლონი (ძრავა) – **Twisted**. დაპროგრამების ენა Python-ი გამოიყენება ისეთ პოპულარულ კომპანიებში როგორიცაა **CERN** და **NASA**. გამოცდილ პროგრამისტებს შეუძლიათ გადაჭრან დიდი ამოცანები დაპროგრამების ამ ენაზე. თავისი მარტივი სინტაქსის გამო ეს ენა ხელმისაწვდომია დამწყები პროგრამისტებისთვის და საშუალებას აძლევს მათ პრობლემები გადაწყვიტონ უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა კომპლექსური ენების გამოყენებით (Halterman, 2011).

2021 წლის 13 მაისს დაპროგრამების ენა **Python**-ის შემქმნელმა გვიდო ვან როსუმმა (**Guido van Rossum**) ჩაატარა სამიტი. მან აღნიშნა, რომ 2022 წლის ოქტომბერში თავის პატარა გუნდთან, **Microsoft**-ის მთავარ ინჟინრებთან - ერიკ სნოუსთან (**Eric Snow**) და მარკ შენონთან (**Mark Shannon**) ერთად გეგმავს ახალი ვერსიის **Python** 3.11 გაშვებას. ემ ვერსიას ეწოდება **CPython (Python Core)** და იქნება 2-ჯერ უფრო სწრაფი, ვიდრე არსებული **Python 3.9** ვერსია. მანამდე კი ამ წლის ოქტომბერში გაიშვება **Python 3.10** ვერსია.

**დასკვნა**

ამრიგად, 21-ე საუკუნეში კაცობრიობა დედამიწაზე „შემაშფოთებელი სიახლეების“ მოლოდინშია, რომელთა წინასწარ განჭვრეტა მეცნიერულ დონეზე შეუძლებელია. ამიტომ, სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებს გვმართებს გონიერება და მომავლის რეალური გაანალიზების უნარი, რათა ჩვენი პლანეტა დედამიწა სერიოზული საფრთხის – ადამიანთა გადაშენების წინაშე არ დავაყენოთ. საჭიროა ჭკვიანი რობოტის „მართვა“ შევძლოთ და ეს სადავეები ყოველთვის ხელში ჩვენ „გვეკავოს“.

**ბიბლიოგრაფია:**

Codecademy. (n.d.). *Learn Python 3.* Retrieved from https://www.codecademy.com/learn/learn-python-3

Django Software Foundation. (n.d.). *Writing your first Django app.* Retrieved from https://docs.djangoproject.com/en/1.11/intro/tutorial01/

Halterman, R. L. (2011, November 13). Learning to Program with Python. Retrieved from https://prognoztech.com/resources/content/Learn-to-Program-with-Python.pdf
STX Next. (n.d.). *A Beginner's Introduction to Best Python Web Frameworks in 2022.* Retrieved from https://www.stxnext.com/blog/beginners-introduction-python-frameworks/

***Inga Abuladze, Maia Okhanashvili***
*Georgian Technical University*

## ARTIFICIAL INTELLIGENCE - THE MAIN CHALLENGE OF THE 21ST CENTURY AND CREATING A SMART ROBOT

**RESUME**

The authors discuss the idea of creating a "smart robot", the main challenge of the 21st century, as the development of one of the most important directions of artificial intelligence. To solve this task, used the multiparadigm programming language Python, its capabilities and future predictions are proposed. In the article are listed the world famous software packages created in this language. Using it language can most easily solve the tasks of artificial intelligence.

***Keywords:*** Computer Technology, Artificial Intelligence, Smart Robot, Machine Learning, Programming Languages.

***Lela Aleksidze, Laura Eliauri***
*Gori State University*

## THE ZERAKIDZE Z. CRITERIA HYPOTHESES TESTING FOR EXPONENTIAL STATISTICAL STRUCTURES IN HILBERT SPACE OF MEASURES

Introduction 1

Recall that a statistical criteria is any measurable mapping from the set of all possible sample values to the set of hypotheses. It is said that an error of h-th kind of criterion occurs, if the criterion rejects the main hypothesis of $H_h$. The following probability $\{\alpha_h(\delta)=\mu_h\{x:\delta(x)\neq h\}\}$ is called the probability of an error of the h-th kind for a given criterion $\delta$.Example 1.1. show a general trend-when we decrease one of the probabilities of on error, the other, as a rule , increases.

Example 1.1. Consider the case when there are two simple hypotheses $h_1$ and $h_2$ about the distribution of population and criterion $\delta: R^n \to \{h_1,h_2\}$ such that $\delta(x)\equiv h_2$, then the probability of error the first kind is one $\alpha_1=\mu_{h_1}(\{x:\delta(x)\neq h_1\})=1$, and the probability of an error of the second kind is equal to zero $\alpha_2=\mu_{h_2}(\{x:\delta(x)\neq h_2\})=0$.

Remark 1.1. Let the exponential statistical structure $\{E,S,\mu_h,h\in H\}$admits a Zerakidze criterion$\delta$for hypothesis testing, then the probability of an error of all types is equal to zero for the criterion $\delta$.

By (ZFC) we denote the formal system of Zermelo-Fraencal with the addition of axiom of choice (AC), j.e. (ZFC)=(ZF)&(AC). By (MA) we denote Martin's axiom.

2. THE ZERAKIDZE Z. CRITERIA HYPOTHESES TESTING FOR EXPONENTIAL STATISTICAL STRUCTURES

Let (E,S) be a measurable space with given family of probability measures $\{\mu_h,h\in H\}$. We recall some definitions from (Zerakidze Z. 1986, 3).

The density of exponential law is determined by the equality $f_e(x)=\begin{cases}0, & if \quad x<0\\ \lambda\cdot e^{-\lambda x} & x\ge 0.\end{cases}$

Let $\mu$ be the probability measures given on $([0,+\infty), L[0,+\infty))$ by the formula $\mu(A)=\int_A f_e(x)dx,\ A\in L([0,+\infty))$, where $L([0,+\infty))$ is Lebasgue 6-algebra. Let $\{\mu_h, h\in H\}$ are exponential measures.

Definition 2.1. An object $\{E,S,\mu_h,h\in H\}$ is called a exponential statistical structure.

Definition 2.2. A exponential statistical structure $\{E,S,\mu_h,h\in H\}$ is called orthogonal (singular) if the family of exponential probability measures $\{\mu_h,h\in H\}$contained in are pairwise singular measures.

Let $\{\mu_h,h\in H\}$ be exponential measures defined on the measurable space (E,S). For each $h\in H$ we denote by $\overline{\mu_h}$ the compaction of measure $\mu_h$ and by $dom(\overline{\mu_h})$ - the $\sigma$-algebra of all $\overline{\mu_h}$ - measurable subsets of E. We denote $S_1=\bigcap_{h\in H} dom(\overline{\mu_h})$.

Definition 2.3. The exponential statistical structure $\{E,S_1\overline{\mu_h},h\in H\}$ is called strongly separable exponential statistical structure if there exists a disjoint family of $S_1$- measurable sets $\{Z_h,h\in H\}$ such that the reaction are fulfilled:

1. $\overline{\mu}_h(Z_h)=1,\ \forall h\in H;$
2. $Z_{h_1}\cap Z_{h_2}=\varnothing,\ \forall h_1\neq h_2,\ h_1,h_2\in H;$

Let H be the set of hypotheses and B(H) be $\sigma$-algebra of subsets of H which contains all finite subsets of H.

Definition 2.4. We will say that the exponential statistical structure $\{E,S_1\overline{\mu_h},h\in H\}$ admits a Zerakidze Z. criterion for hypothesis testing if there exists at least one measurable mapping

$\delta:(E,S)\to(H,B(H)),$

Such that

$\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \forall h\in H.$

Definition 2.5. The probability $\alpha_h(\delta)=\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)\neq h\})$ is called the probability of error of h-th kind for the gives criteria $\delta$.

Theorem 2.1. The exponential statistical structure $\{E,S_1\overline{\mu_h},h\in H\}$ admits a Zerakidze Z. criterion $\delta$ for hypothesis testing, if and only if the probability of error of any kind is equal to zero for the criterion $\delta$.

Proof. Necessity. Since the statistical structure $\{E,\overline{S}_1\overline{\mu_h},h\in H\}$ admits a Zerakidze Z. criterion for hypothesis testing, there exists a measurable mapping $\delta:(E,S_1)\to(H,B(H)),$ such that $\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \forall h\in H.$

Therefore $\alpha_h(\delta)=\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)\neq h\})=0,\ \forall h\in H.$

Sufficiency. Since the probability of error of any kind is equal to zero, we have

$\alpha_h(\delta)=\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)\neq h\})=0,\ \forall h\in H.$

On the other hand, $\{x:[(\delta(x)=h)\cup(\delta(x)\neq h)]\}=E$

And

$\overline{\mu}_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \forall h\in H.$

Therefore $\delta$ is a Zerakidze Z. criterion for testing hypothesis.

Theorem 2.1. is proved.

Remark 2.1. The definition and construction of Zerakidze Z. criterion for hypothesis testing is studied Zerakidze. See (Zerakidze Z, 2005, 2008).

THE ZERAKIDZE Z. CRITERIA HYPOTHRSES TESTING FOR EXPONENTIAL STATISTICAL STRUCTURES IN HILBERT SPACE OF MEASURES

Definition 3.1. A exponential statistical structure $\{E,S_1\overline{\mu_h},h\in H\}$ is called strongly separable if there exists the family of $S_1$-measurable sets $\{Z_h,h\in H\}$ such that the relations are fulfilled:

1. $\overline{\mu}_h(Z_h)=1,\ \forall h\in H;$

2. $Z_{h_1} \bigcap Z_{h_2} = \varnothing, \ \forall h_1 \neq h_2, \ h_1, h_2 \in H;$

3. $\bigcup_{h \in H} Z_h = E$

Definition 3.2. We will say that the orthogonal exponential statistical structure $\{E, S_1 \overline{\mu_h}, h \in H\}$ admits a Zerakidze Z. criterion for testing hypothesis if there exists at least one measurable mapping $\delta : (E, S) \to (H, B(H))$, , such that $\overline{\mu_h}(\{x : \delta(x) = h\}) = 1, \ \forall h \in H.$

Let $M^\sigma$ be a real linear space that of all alternating finite measures of S.

Definition 3.3. A linear subset $M_H \subset M^\sigma$ is called a Hilbert space of measures if:

1. One can introduce on $M_H$ a scale product $(\mu, \nu), \ \mu, \nu \in M_H$ is the Hilbert space and every mutually singular measures $\mu$ and $\nu, \ \mu, \nu \in M_H$, the scale product $(\mu, \nu) = 0;$

2. If $\nu \in M_H$ and $|f(x)| \leq 1,$ then $\mu_f(A) = \int_A f(x)\nu(dx) \in M_H$, where $f(x)$ is a $S_1$-measurable real function and $(\nu_f, \nu_f) \leq (\nu, \nu);$

3. If $\nu \in M_H, \ \nu_n > 0, \ \nu_n(E) < +\infty, \ n = 1,2,.....$ and $\nu_n \downarrow 0$, then for any $\nu \in M_H \ \lim_{n \to \infty} (\nu_n, \nu) = 0.$

Remark 3.1. obviously, any Hilbert space of measures is a Hilbert space, the elements of which are alternating measures, but not a vice versa.

Remark 3.2. The notion and corresponding construction of the Hilbert space of measures was introduced and studied by Zerakidze Z. see (Zerakidze Z. Hilbert space of measures. Volume 38 N2 ) )

Definition 3.4 Let I be a set of index, and $M_{H_i} (i \in I)$ be a Hilbert space.

The Hilbert space

$$M_H = \left\{ \{X_i\}_{i \in I}, X_i \in M_{H_i}, \forall i \in I, \ \sum_{i \in I} (x_i, x_i)_{M_{H_i}} < \infty \right\}$$

With a scale product

$$\left( \{X_i\}_{i \in I}, \{X_i\}_{i \in I} \right) = \sum_{i \in I} (x_i, x_i)_{M_{h_i}}$$

Is called the direct sum of Hilbert spaces $M_{H_i}$ and is denoted by $M_H = \bigoplus_{i \in I} M_{H_i}$.

Let $M_H = \bigoplus_{h \in H} M_h$ be Hilbert space of measures, $card H \leq c.$

Let E be a separable complete metric space, $S_1 = \bigcap_{h \in H} dom(\overline{\mu_h})$ is a Borel $\sigma$-algebra on E.

Theorem 3.1 Let $M_H = \bigoplus_{h \in H} M_h$ be a Hilbert space of measures, where $card H \leq c.$ Let E be a separable complete metric space and $S_1$ be a Borel $\sigma$-algebra on Z.

Let $F = F(M_H)$ be a set of real functions for which $\int_E f(x)\overline{\mu_h}(dx)$ is defined $\forall \overline{\mu_h} \in M_H.$

In order that the Borel's orthogonal exponential statistical structure admitted a Zerakidze Z. criteria hypotheses testing in the theory of $(ZFC) \& (MA)$ it is necessary and sufficient that the correspondence $f \to \Psi_f (F \in F(M_H))$ defined by the equality $\int_E f(x)\overline{\mu_h}(dx) = (\Psi_f, \overline{\mu_h}), \ \forall \overline{\mu}_h \in M_H$ was one-to-one.

Proof. Necessity. The existence of a Zerakidze Z. criteria hypotheses testing for the exponential statistical structures $\delta : (E, S_1) \to (H, B(H))$ implies that $\overline{\mu_h}(\{x : \delta(x) = h\}) = 1, \ \forall h \in H.$

Putting $X_h = \{x : \delta(x) = h\}$, for $h \in H$, we get:

1. $\overline{\mu_h}(X_h) = 1, \ \forall h \in H$;

2. $X_{h_1} \bigcap X_{h_2} = \varnothing, \ h_1 \in H, \ h_2 \in H, \ h_1 \neq h_2$

3. $\bigcup_{h \in H} X_h = E.$

Therefore, the exponential statistical structure $\{E, S_1\overline{\mu_h}, h \in H\}$ is strongly separable, hence, there exists $S_1$-measurable sets $X_h,\ \forall h \in H$ such that $\overline{\mu}_{h_1}(X_{h_2}) = \begin{cases} 1, & if \quad h_1 = h_2 \\ 0, & if \quad h_1 \neq h_2 \end{cases}$

Let $\mathrm{I}_{X_h} \in F(M_H)$ correspond to the measure $\overline{\mu}_h \in M_h$. then $\int_E \mathrm{I}_{X_h}(x)\overline{\mu}_h(dx) = \int_E \mathrm{I}_{X_h}(x)\mathrm{I}_{X_h}(x)\overline{\mu}_h(dx) = (\overline{\mu}_h, \overline{\mu}_h)$.

If now we associate the measure $\overline{\mu}_{h_1} \in M_h$ with the function $f_{h_1}(x) = f_1(x)\mathrm{I}_{X_h}(x) \in F(M_H)$ then for all $\overline{\mu}_{h_2} \in M_h$ we can write $\int_E f_{h_1}(x)f_{h_2}(x)\overline{\mu}_h(dx) = \int_E f_1(x)f_2(x)\mathrm{I}_{X_h}(x)\mathrm{I}_{X_h}(x)\overline{\mu}_h(dx) = \int_E f_1(x)f_2(x)\overline{\mu}_h(dx) = (\overline{\mu}_{h_1}, \overline{\mu}_{h_2})$

Further, we associate the measure $\nu(c) = \sum_{h \in H_f \subset H} \int_C g_h(x)\overline{\mu}_h(dx) \in M_H$ with the function $f(x) = \sum_{h \in H_f} g_h(x)\mathrm{I}_{X_h}(x) \in F(M_B)$. Then for the measure $\nu(c) = \sum_{h \in H_{f_1} \subset H} \int_C g^1{}_h(x)\overline{\mu}_h(dx) \in M_H$

we have $\int_E f(x)\nu_1(dx) = \int_E \sum_{h \in H_{f_1} \cap H_{f_2}} g_h(x)g_h^1(x)\overline{\mu}_h(dx) = \sum_{h \in H_{f_1} \cap H_f} \int_E g_h(x)g_h^1(x)\overline{\mu}_h(dx) = (\nu, \nu_1)$

From the discussion is follows that the above correspondence some function $f \in F(M_B)$ into correspondence with some $\nu_f \in M_H$. If in $F(M_B)$ we identify functions that coincide with respect to measures $\{\overline{\mu}_h, h \in H\}$, then the correspondence will be bijective.

Sufficiency. Let $f \in F(M_H)$ correspond to the measure $\overline{\mu}_h \in M_H$ for which $\int_E f(x)\overline{\mu}_h(dx) = (\overline{\mu}_h, \overline{\mu}_h)$.

Then for every $\overline{\mu}_{h_1} \in M_H$ we have

$$\int_E f_h(x)\overline{\mu}_{h_1}(dx) = (\overline{\mu}_h, \overline{\mu}_{h_1}) = \int f_1(x)f_2(x)\overline{\mu}_h(dx) = \int f_h(x)f_2(x)\overline{\mu}_h(dx).$$

So $f_h(x) = f_1(x)$ almost everywhere with respect to the measures $\overline{\mu}_h$. Suppose that $f_h(x) > 0$ and almost everywhere $\int_E f_h{}^2(x)\overline{\mu}_h(dx) < +\infty$.

If now $\mu_h^x(c) = \int_c f_h(x)\overline{\mu}_h(dx)$ then $\int_E f_h^*(x)\overline{\mu}_{h_1}(dx) = (\mu_h{}^*, \overline{\mu}_{h_1}) = 0,\ h \neq h_1$.

On the other hand $\overline{\mu}_h(E - X_h) = 0$, where $X_h = \{x : f_h^*(x) > 0\}$

Hence we obtain that $\overline{\mu}_h(X_{h_1}) = \begin{cases} 1, & if \quad h = h_1 \\ 0, & if \quad h \neq h_1 \end{cases}$

Therefore the exponential statistical structure $\{E, S_1\overline{\mu_h}, h \in H\}$ is weakly separable, there exists a family of $S_1$-measurable sets $X_h$ such that for all $h \in [0, w_1)$ we have $\overline{\mu}_h(X_{h_1}) = \begin{cases} 1, & if \quad h = h_1 \\ 0, & if \quad h \neq h_1 \end{cases}$

We define $w_1$ sequence $Z_1$ of parts of the space E such that the following relations hold:

1. $Z_h$ is a Borel subset of E $\forall h < w_1$;
2. $Z_h \subset X_h,\ \forall h < w_1$;
3. $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \varnothing\ \forall h_1, h_2 \in H,\ h_1 < w_1, h_2 < w_2,\ h_1 \neq h_2$;
4. $\overline{\mu}_h(Z_h) = 1,\ \forall h < w_1$.

Assume that $Z_{h_0} = X_{h_0}$. Suppose further that the partial sequence $\{Z_{h_1}\}_{h_1<h}$ is already defined for $h < w_1$. It is clear that $\overline{\mu}^*\left(\bigcup_{h_1>h} Z_{h_1}\right) = 0$. Thus there exists a Borel subset $Y_h$ of the spaceE such that the following relations called: $\bigcup_{h_1>h} Z_{h_1} \subset Y_h$ and $\overline{\mu}_h(Y_h) = 0.$

Assuming that $Z_h = X_h - Y_h$, we constructed the $w_1$ sequence $\{Z_h\}_{h<w_1}$ of disjunctive measurable subsets of the space E. Therefore $\overline{\mu}_h(Z_h) = 1$ for all $h < w_1$ and the exponential statistical structure $\{E, S_1 \overline{\mu}_h, h \in H\}$, $cardH \le c,$ is strongly separable because there exists a family of elements of the $\sigma$-algebra $S_1 = \bigcap_{h\in H} dom(\overline{\mu}_h)$ such that:

1. $\overline{\mu}_h(Z_h) = 1, \ \forall h \in H;$
2. $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \varnothing \ \ \forall h_1 \ne h_2, \ h_1, h_2 \in H;$
3. $\bigcup_{h\in H} Z_h = E.$

For $x \in E$, we put $\delta(x) = h$, where h is the unique hypothesis from the set H for which $x \in Z_h$ The extence of such a unique hypothesis from H can be proved using conditions 2, 3.

Now set $Y \in B(H)$. Then $\{x : \delta(x) \in Y\} = \bigcup_{h\in Y} Z_h$, we must show that $\{x : \delta(x) \in Y\} \in dom(\overline{\mu}_{h_0})$ for any $h_0 \in H$. If $h_0 \in Y$, then $\{x : \delta(x) \in Y\} = \bigcup_{h\in Y} Z_h = Z_{h_0} \cup \left(\bigcup_{h\in H-\{h_0\}} Z_h\right)$.

On the one hand, from the validity of the conditions 1, 2, 3 it follows that $Z_{h_0} \in S_1 = \bigcup_{h\in Y} dom(\overline{\mu}_h) \subseteq dom(\overline{\mu}_{h_0})$.

On the other hand, the validity of the condition $\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h \subseteq (E - Z_{h_0})$

implies that $\overline{\mu}_{h_0}(\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h) = 0$.

The last equality yields that $\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h \in dom(\overline{\mu}_{h_0})$

Since $dom(\overline{\mu}_{h_0})$ is a $\sigma$-algebra, we deduce that $\{x : \delta(x) \in Y\} = Z_{h_0} \cup \left(\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h\right) \in dom(\overline{\mu}_{h_0})$.

If $h_0 \notin Y$, then $\{x : \delta(x) \in Y\} = \bigcup_{h\in Y} Z_h \le (E - Z_{h_0})$ and we conclude that $\overline{\mu}_{h_0}\{x : \delta(x) \in Y\} = 0$. Hence, we obtain that $\{x : \delta(x) \in Y\} \in dom(\overline{\mu}_{h_0})$.

Thus we have shows the validity of the relation $\{x : \delta(x) \in Y\} \in dom(\overline{\mu}_{h_0})$ for and arbitrary . Hence $\{x : \delta(x) \in Y\} = \bigcap_{h\in H} dom(\overline{\mu}_h) = S_1$

Because B(H) contains all singletons of H, we conclude that $\overline{\mu}_h\{x : \delta(x) = h\} = 1, \ \forall h \in H.$

Thus, the exponential statistical structure admits a Zerakidze Z. criteria for hypothesis testing.

Example 3.1. Let $[0,\infty) \times [0,\infty) = E$ and $B([0,\infty) \times [0,\infty))$ a Borel $\sigma$-algebra of subsets E. As a set of hypotheses consider set $H = \Theta^*$, where $H = \Theta^*$ is the set of positive rational numbers.

Let $X_h = \{0 \le x < \infty, \ y = h, h \in \Theta^*\}$ and let $\mu_h(A) = \int_A f_e^h(x)dx$ be the exponential linear measures on $X_h, h \in \Theta^*$.

The exponential statistical structure $\{[0,\infty)\times[0,\infty), B, \mu_h, h\in\Theta^*\}$ is countable, strongly separable statistical structure. If we now define the mapping $(\delta : [0,\infty)\times[0,\infty), B([0,\infty)\times[0,\infty)), \mu_h, h\in\Theta^*) \to (\Theta^*, B(\Theta^*))$ by the formula $\delta(X_h)=h,\ \forall h\in\Theta^*$, we obtain $\mu_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \forall h\in\Theta^*$

Thus the exponential strongly statistical structure admits a Zerakidze Z. criteria for hypothesis testing.


**Bibliography:**

Zerakidze, Z. (1986). Hilbert space of measures. *Ukrainian Mathematical Journal*, 38(2).

Zerakidze, Z. (2005). Generalization of Neymann-Pearson criterion. *Gori State University. Collection of Scientific works*.

Zerakidze, Z. (2008). Generalization of Neymann-Pearson criterion. *International scientific conference "Information Technologies"* . Tbilisi: Georgian Technical University.



## RESUME

In this paper, we define an exponential statistical structures. In the general theory of the existence of statistical structures, the problem of determining strongly separable a exponential statistical structures and the problem of transition from orthogonal separable statistical structure to the corresponding strongly separable statistical structure often ariziz, Zerakidze Z (Zerakidze Z. 1986) in terms of provide that the existence of a continuous Borel weakly statistical structures implies the existence of a strongly statistical structures. The Zerakidze Z. hypothesis testing are denied.

In this paper, we consider the exponential statistical structure in Hilbert space of measures. Sufficient and necessary for the existence of Zerakidze Z. criteria hypothesis testing for exponential statistical structure in Hilbert space. If the exponential statistical structure admits the Zerakidze Z. criterion for hypothesis testing then the probability of error of any kind is equal to zero for Zerakidze criterion.



***Keywords:*** Exponential, Strongly separable, Orthogonal, Statistical structures



***Zurab Zerakidze*, *Jemal Kiria*,**

*Gori State University*

***Tengiz Kiria***

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*

*M. Nodia Institute of Geophysics*


# THE CONSISTENT CRITERIA HYPOTHESES TESTING FOR GAMMA („G") STATISTICAL STRUCTURES

1. Introdaction

Statistical structures is used in various of science and technology (for example, in theoretical physics, economics, radio phenomena, the question of determining the probabilistic charasteristics of the statistical structures as models of real phenomena, the question of determining the probabilistic charasteristics of the statistical structures methods. Among the problems of statistics, a class of problems is distinguished in which the number of observations is unique.

Desplite the uniqueness of observation, in many cases, one can authentically determine the values of unknown distribution parameters or reliably choose one of an infinite number of competing hypotheses about the exact form of the distribution. In the case when a parameter or hypotheses is determined by one observation realiably, it is said that for it there exists a consistent estimate of parameter or a consistent criterion for hypothesis testing.

Remark 1.1 The definition and construction of the consistent criteria for statistical structures is studied Z. Zerakidze (Zerakidze, 2008, p. 4).

This article is devoted to the question of the existence of consistent criteria for hypothesis testing for Gamma ("Γ") statistical structures and the method of their finding. Recall that a statistical criterion is any measurable mapping from the set of all possible sample values to the set of hypotheses.

It is said that an error of the h-th kind of the criterion occurs, if the criterion rejects the mean hypothesis of $H_h$.

The following probability $\{\alpha(\delta) = \mu_h(\{x: \delta(x) \neq h\}$ is called the probability of an error of the h-th kind for a given criterion $\delta$.

Examples 1 and 2 show a general trend-when we decrease one of the probilities of an error, the other, as a rule, increases.

Example 1.1. consider the case when thore are two simple hypotheses $h_1$ and $h_2$ about the distribution of population and criterion $\delta: R^n \to \{h_1, h_2\}$ such that $\delta(x) \equiv h_1$, then the probability of an error of the first kind is zero $\alpha_1 = \mu_{h_1}(\{x: \delta(x) \neq h_1\}) = 0$, and the probability of an error of the second kind is egual to one $\alpha_2 = \mu_{h_2}(\{x: \delta(x) \neq h_2\}) = 1$.

Example 1.2. There are observations from the normal distribution in R with variation one and different means $a \in R$ and two simple hypotheses $h_1 = \{a = 0\}$ and $h_2 = \{a = 1\}$. Consider the following criteria:

$$\delta(x) = \begin{cases} h_1, if\ x \leq C; \\ h_2, if\ x > C \end{cases}$$

For some $c \in R$. It is obvious that with the increase of the number c the probability of an error of the first type decreases, and the probability of an error of the second kind increases.

## 2. The Consistent Criteria Hypotheses Testing For Gamma („G") Statisticae Structures

Let (E,S) be a measurable space with a given family of probability measures $\{\mu_h\ \ h \in H\}$.

We recall some definitions from (Kharazishvili, 2004; Pantsulaia, 2003; Zerakidze, 1984, Zerakidze, 2008; Zerakidze & Patsasia, 2018).

Definition 2.1. An object $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ is called statistical structure .

Definition 2.2. A statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ is called orthogonal (singular) if the family of propability measures $\{\mu_h\ \ h \in H\}$ contained in it are pairwise singular measures.

Definition 2.3. A statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ is called weakly separable if there exists a family of S-measurable sets $\{x_h\ \ h \in H\}$ such that

$$\mu_{h_1}(x_{h_2}) = \begin{cases} 1, if\ \ h_1 = h_2 \\ 0, if\ \ h_1 \neq h_2 \end{cases} \quad (h_1, h_2 \in H)$$

Definition 2.4. A statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ is called separable if there exits a family of S-measurable sets such that

1) $\mu_{h_1}(x_{h_2}) = \begin{cases} 1, if\ \ h_1 = h_2 \\ 0, if\ \ h_1 \neq h_2 \end{cases} \quad (h_1, h_2 \in H)$

2) $\forall h_1, h_2 \in H: card(X_{h_1} \cap X_{h_2}) < C, if\ \ h_1 \neq h_2,$

where c denotes the power of continuum.

Defination 2.5. A statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ is called strongly separable if there exits a disjoint family of S-mesurable sets $\{X_h\ , h \in H\}$ such that the relations are fulfilled:

$\mu_h(X_h) = 1,\ \ \forall h \in H$

Remarc 2.1. From strong separability there follows separability, from separability there follows weak separability and from weak separability there follows orthogonality but not vice versa (see) (Pantsulaia, 2003; Zerakidze, 1984).

Let H be the Set of hypotheses and B(H) be $\sigma$-algebra of subsets of H which coutains all finite subsets of H.

Defination 2.6. We will say that the statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ admits a consistent criterion for hypothesis testing if there exists at least one measurable mapping

$\delta: (E, S) \to (H, B(H))$, such that

$\mu_h(\{x: \delta(x) = h\}) = 1,\ \ \forall h \in H$

Defination 2.7. The probability $\alpha_h(\delta) = \mu_h(\{x: \delta(x) \neq h\})$ is called the probability of error of the h-th type for a given criterion $\delta$ .

Remark 2.2. let the statistical structure $\{E, S, \mu_h\ \ h \in H\}$ admit a consistent criterion $\delta$ for hypothesis testing , then the statistical structure strongly separable but not vice versa (see) (Zerakidze & Patsasia, 2018, p. 5).

The density of Gamma s ("G") law is determined by the equality

$$f_g(x) = \frac{x^{\alpha-1} e^{-x/\theta}}{\theta^\alpha G(\alpha)}, \quad x \geq 0,\ \ \alpha > 0, \quad \theta > 0, \quad G(\alpha) = \int_0^\infty t^{\alpha-1} e^{-t}\, dt.$$

Let $\mu$ be the probability measure given on $(R, L(R))$, by the formula

$$\mu(A) = \int_A f_G(x) dx,\ \ A \in L(R),$$

Where $L(R)$ is Lebesgue $\sigma$-algebra.

Defination 2.8. A statistical structure $\{E, S, \mu_h \ \ h \in H\}$ is called a statistical Gamma ("G") structure if $\mu_h, \forall h \in H$ are Gamma measures.

As noted above (Remark 2.2) not every strongly separable (Defination 2.5) statistical structure admits a consistent criterion for hypothesis testing.

Let $\{\mu_h, \forall h \in H\}$ be Gamma probability measures defined on the measurable space (E,S). For each $h \in H$ we denote by $\bar{\mu}_h$ the completion of the measure $\mu_h$ and by dom($\bar{\mu}_h$)-the $\sigma$-algebra of all $\bar{\mu}_h$ -measurable subsets of E.

We denote $S_1 = \bigcap_{h \in H} dom(\bar{\mu}_h)$.

Defination 2.9. The Gamma ("G") statistical structure $\{E, S_1, \bar{\mu}_h, \ h \in H\}$ is called strongly separable if there exists a family of $S_1$-measurable sets $\{Z_h, h \in H\}$ such that the relations are fulfilled:

1) $\bar{\mu}_h(Z_h) = 1, \quad \forall h \in H;$
2) $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \emptyset \quad \forall h_1 \neq h_2 \qquad h_1, h_2 \in H;$
3) $\bigcup_{h \in H} Z_h = E.$

Defination 2.10. We will say that the Gamma ("G") orthogonal statistical structure $\{E, S, \bar{\mu}_h, \ h \in H\}$ admits a consistent criterion for testing hypothesis if there exists at least one measurable mapping $\delta : (E, S) \to (H, B(H))$, , such that

$$\bar{\mu}_h(\{x: \delta(x) = h\}) = 1, \ \ \forall h \in H.$$

THEOREM 2.1. In order that the Gamma ("G") orthogonal statistical structure $\{E, S_1, \bar{\mu}_h, \ h \in H\}$, card H=C, admitted a consistent criterion for testing hypothesis (Definitions 2.10) it is necessary and sufficient that this statistical structure be strongly separable (Defination 2.9).

Prof. Necessity. The existence of a consistent criterion for testing hypothesis of hypothesis $h \in H$ means that there exists at least one measurable mapping $\delta : (E, S_1) \to (H, B(H))$, such that

$$\bar{\mu}_h(\{x: \delta(x) = h\}) = 1, \ \ \forall h \in H.$$

Denoting $Z_h = \{x: \delta(x) = h\}$ for $h \in H$ , we get:

1) $\bar{\mu}_h(Z_h) = \bar{\mu}_h(\{x: \delta(x) = h\})=1, \ \forall h \in H;$
2) $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \{x: \delta(x) = h_1\} \cap \{x: \delta(x) = h_2\} = \emptyset \ \ \forall h_1 \neq h_2, \qquad h_1, h_2 \in H;$
3) $\bigcup_{h \in H} Z_h = E.$

Hence the statistical structure $\{E, S_1, \bar{\mu}_h, \ h \in H\}$, is strongly separable (Defination 2.9).

Sufficiency. Since the Gamma ("G") statistical structure $\{E, S_1, \bar{\mu}_h, \ h \in H\}$, card H=C, is strongly separable (Definations 2,9), there exists a family $\{Z_h, h \in H\}$ of elements of the $\sigma$-algebra $S_1 = \bigcap_{h \in H} dom(\bar{\mu}_h)$ such that:

1) $\bar{\mu}_h(Z_h) = 1, \ \forall h \in H;$
2) $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \emptyset \ \ \forall h_1 \neq h_2, \qquad h_1, h_2 \in H;$
3) $\bigcup_{h \in H} Z_h = E.$

For $x \in E$ we put $\delta(x) = h$, where h is a unique hypothesis from the set H for which $x \in Z_h$. The extence and uniqueness of such hypothesis h can be proved using conditions 2) and 3).

Take now $Y \in B(H)$. Then $\{x: \delta(x) \in Y\} = \bigcup_{h \in Y} Z_h$. We have to show that $\{x: \delta(x) \in Y\} \in dom(\bar{\mu}_{h_0})$ for each $h_0 \in H.$

If $h_0 \in Y$ then

$$\{x: \delta(x) \in Y\} = \bigcup_{h \in H} Z_h = Z_{h_0} \cup (\bigcup_{h \in H - \{h_0\}} Z_h)$$

On the other hand, the inclusion

$$\bigcup_{h \in H - \{h_0\}} Z_h \subseteq (E - Z_{h_0})$$

Implies that $\bar{\mu}_{h_0}(\bigcup_{h \in H - \{h_0\}} Z_h) = 0$, and hence

$$\bigcup_{h \in H - \{h_0\}} Z_h \in dom(\bar{\mu}_{h_0}).$$

Since $dom(\bar{\mu}_{h_0})$ is a $\sigma$-algebra, we conclude that

$$\{x:\delta(x)\in Y\}=Z_{h_0}\cup(\bigcup_{h\in H-\{h_0\}} Z_h)\in dom(\bar{\mu}_{h_0}).$$

If $h_0\notin Y$, then $\{x:\delta(x)\in Y\}=\cup_{h\in H} Z_h\subseteq(E-Z_{h_0})$ and we conclude that . $\bar{\mu}_{h_0}\{x:\delta(x)\in Y\}=0$. The last relation implies that $\{x:\delta(x)\in Y\}\in dom(\bar{\mu}_{h_0})$, $\forall Y\in B(H)$.

Thus, we proved the validity of the relation $\{x:\delta(x)\in Y\}\in dom(\bar{\mu}_{h_0})$ for any $h_0\in H$. Hence, $\{x:\delta(x)\in Y\}\in\cap_{h\in H} dom(\bar{\mu}_h)=S_1$. Therefore, the mapping $\delta(x):(E,S_1)\to(H,B(H))$ is a measurable mapping.

Since B(H) contains all singletons of H, we ascertain that

$\bar{\mu}_h(\{x:\delta(x)=h\})=\bar{\mu}_h(Z_h)=1,\ \ \forall h\in H.$

THEOREM 2.2. Let $\{E,S,\mu_{h_i},i\in N\}$, $(N=1,2,\dots,n,\dots$ be on orthogonal the Gamma ("G") statistical structure, then this Gamma statistical structure admitted a consistent criterion for testing hypothesis (Definitions 2.6).

Prof. Due to the singularity of Gamma statistical structure $\{E,S,\mu_{h_i},i\in N\}$ there exists the family of S-measurable sets $\{X_{ik}\}$ such that for any $i\neq k$: $\mu_{h_k}(X_{ik})=0$ and $\mu_{h_i}(E-X_{ik})$=0. Therefore, if we consider the sets $X_i=\cup_{k\neq i}(E-X_{ik})$ we get $\mu_{h_i}(X_i)=0$. Hence, $\mu_{h_i}(E-X_{ik})=1$. On the other hand, for $k\neq i$ we have $\mu_{h_k}(E-X_i)$=0. It means that the Gamma statistical structure $\{E,S,\mu_{h_i},i\in N\}$ is weakly separable. Therefore, there exists the family of S-measurable sets $\{X_i,i\in N\}$ such, that

$$\mu_{h_i}(X_j)=\begin{cases}1, & if\ \ i=j\\ 0, & if\ \ i\neq j\end{cases}$$

Consider now the sets $\bar{X}_i=X_i-(X_i\cap(\cup_{k\neq i}X_k))$, $i\in N$. . It is obvious that these sets are S-measurable disjoint sets and $\mu_{h_i}(\bar{X}_i)=1,\ \forall i\in N$.

Let us define the mapping

$\delta:\ (E,S)\to(H,B(H))$

In the follouing way: $\delta(\bar{X}_i)=h_i,\forall i\in N$. Then we have $\{x:\delta(x)=h_i\}=\bar{X}_i$ and

$\mu_{h_i}\overline{(X_i)}=\mu_{h_i}(\{x:\delta(x)=h_i\})=1,\ \forall i\in N.$

Hence, $\delta$ is a consistent criterion for hypothesis testing (Definitions 2.6).

Theorem 2.3. Gamma („G") ststisticl structure $\{E,S,\mu_h,h\in N\}$ admits a consistent criterion $\delta$ for hypothesis testing, if and only if the probability of error of any kind is equal to zero for the criterion $\delta$.

Proof. Necessity. Since the statistical structure $\{E,S,\mu_h\ h\in H\}$ admits a consistent criterion for hypothesistesting,there exists a measurable mapping $\delta:(E,S)\to(H,B(H))$, such that $\mu_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \ \forall h\in H.$ Thherefore

$\alpha_h(\delta)=\mu_h(\{x:\delta(x)\neq h\})=0,\ \ \forall h\in H.$

Sufficiency. Since the probability of error of any kind is equal to zero, we have $\alpha_h(\delta)=\mu_h(\{x:\delta(x)\neq h\})=0,\ \ \forall h\in H.$

On the other hand, $\{x:(\delta(x)=h)\cup\ \delta(x)\neq h\}=E$ and $\mu_h(\{x:\delta(x)=h\})=1,\ \ \forall h\in H.$

**Bibliography:**


Kharazishvili, A. (2004). Nonmeasurable Sets and Functions. *North-holand Mathematics Studies*.

Pantsulaia, G. (2003). On separation properties for families of probability measures. *Georgian Mathematical Journal, 10*(2).

Zerakidze, Z. (1984). On weakly divisible and divisible families of probability measures (in Russian). *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 113*(2).

Zerakidze, Z. (2008). Generalization criteria of Neyman-Pearson. *Proceedings of the International Scientific Conference "Information Technologies"*. Tbilisi: Georgian Technical University.

Zerakidze, Z., & Patsasia, M. (2018). Extreme Points and Consistent Criteria for Hypothesis Testing in a Bavach Space of Measures. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 12*(4).


## RESUME


In the general theory of statistical structures, the problem of determining strongly separable statistical structures and the problem of transition from orthogonal statistical structures to the corresponding weakly separable statistical structure and of transition from weakly separable statistical structures to the corresponding strongly separable statistical structure often arises. In this paper, we define orthogonal, weakly separable, strongly separable Gamma statistical structures. We define consistent criteria for hypotheses testing for Gamma statistical structure.

This article is devoted to the question of the existence of consistent criteriafor hypothesis testing for Gamma statistical structure and the method of their finding. The Gamma statistical structure is countable orthogonaly statistical structure, then this statistical structure admits a consistent criteria of hypotheses testing.

If the Gamma statistical structure is the first uncountable strongly separable statistical structure, then this statistical structure admits a consistent criteria of hypotheses testing. If the Gamma statistical structure admits a consistent criterion for hypothesis testing then the probability of error of any kind is equal to zero for the criterion $\delta$.

***Keywords:*** Consistent criteria, Singular weakey and strongly separable, Structure.

***Zurab Zerakidze***, ***Jemal Kiria***,
*Gori State University*
***Tengiz Kiria***
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,*
*M. Nodia Institute of Geophysics*

# THE CONSISTENT CRITERIA HYPOTHESES TESTING FOR GAMMA SATISTICAL STRUCTURES IN BANACH SPACE OF MEASURE

3. Introdaction

Statistics of random processes is used in various fields of science and technology (for example, in theoretical physics, economics, genetics, business, geophysics,sports).

When using GAMMA STATISTICAL structures as models of real phenomena, the question of determining the probabilistic characteristics of the statistical arises. To determine these characteristics should be use statistical methods. Among the problems of statistics random processes a class of problem is distinguished in which the number of observations is unique. Despite the uniqueness of observation, in many cases, one can authentically determine the values of unknown distribution parameters or reliably choose one of an infinite number of competing hypotheses about the exact form of distribution. In the case when a parameter or hypotheses is determined by one observation reliably, it is said that for it there exists a consistent criterion for hypothesis testing for Gamma statistical structures in Banach space of measure.

Remark 1.1. The definition and construction of the Banach space of measures is studied Zerakidze Z. see (Zerakidze, 1991)

This article is devoted to the question of the existence of consistent criteria for hypothesis testing for Gamma statistical structures in Banach space of measures.

Remark 1.2. In the general theory of statistical decisions there often arises a problem of transition from a weakly separted family of probability measures to the corresponding strongly separated family.

In terms of Zermelo-Frankel set theory and Martin's axiom proved thet the existence of a continuous Barel weakly statistical strukture impeies the existence of astrongly statistical structure.

This article is devoted to the question of the existence of consistent criteria for hypothesis testing Gamma statistical structures a. It is said that an error of the h-th kind of $\delta$ criterion occurs, if the criterion rejects the mean hypothesis of the $H_h$. The following probability $\alpha(\delta) = \mu_h(\{x: \delta(x) = h\})$ is called the probability of an error of the h-th kind for a given criterion $\delta$. It is shown that the probability of any kind of error is zero. This paper we define consistent criteria for hypotheses testing. The necessary and sufficient conditions for the existence of such criteria for Gamma statistical structure are given.

4. The consistent CRITETIA of Gamma statistical structures in Banach space of measures.

Let (E,S) be a measurable space with a given family of probability measures $\{\mu_h, h \in H\}$. We recall some definitions from Zerakidze Z. 1984.

The density of Gamma law is determined by the equality

$f_{G(x)=\frac{x^{\alpha-1}e^{-x/\theta}}{\theta^{\alpha}G(\alpha)}}$ let $\mu$ be the probability measure give on $(R, L(R))$, by the formula

$\mu(A) = \int_A f_G(x)dx, A \epsilon L(R),$

where L(R) is Lebesque $\sigma$-algebra. Let $\{\mu_h, h \in H\}$ are Gamma measures.

Definition 2.1. An object $\{E, S, \mu_h, h \in H\}$. is called a Gamma statistical structure.

Definition 2.2. A Gamma statistical structure $\{E, S, \mu_h, h \in H\}$ is called orthogonal (singular) if the family of Gamma probability measures $\{\mu_h, h \in H\}$ contained in it are pairwise singular measures.

Let $\{\mu_h, h \in H\}$ be Gamma probability measures defined on the measurable space (E, S). For each $h \in H$.we denote by $\bar{\mu}_h$ he completion of the measure $\mu_h$ and by dom($\bar{\mu}_h$ ) -the $\sigma$ -algebra of all $\bar{\mu}_h$ -measurable subsets of E.

We denote $S_1 = \bigcap_{h \in H} dom(\bar{\mu}_h)$.

Definition 2.3. The Gamma statistical structure $\{E, S, \bar{\mu}_h, h \in H\}$ is called strongly separable Gamma statistical structure if there exists a family of $S_1$-measurable sets $\{Z_h, h \in H\}$ such that the relations are fulfilled:

1) $\bar{\mu}_h(Z_h) = 1, \ \forall h \in H;$

2) $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \emptyset \ \forall h_1 \neq h_2, \ h_1, h_2 \ \epsilon H;$

3) $\bigcup_{h \in H} Z_h = E$

Let H be the set of hypotheses and B(H) be 6-algebra of subsets of H which contains all finite subsets of H.

Definition 2.4. We will say that the Gamma statistical structure $\{E, S_1, \mu_h, h \in H\}$ admits a consistent criterion for hypothesis testing if there exists at least one measurable mapping

$\delta: (E, S) \to (H, B(H))$

Such that

$\bar{\mu}_h = (\{x: \delta(x) = h\}) = 1, \ \forall h \in H.$

Definitoin 2.5. The Banach space

$M_B = \{\{X_h\}_{h \epsilon H}, X_h \in M_{B_H}, \ \forall h \in H, \ \sum_{h \epsilon H} ||X_h||_{M_{B_h}} < +\infty\},$

With the norm

$||\{X_h\}_{h \epsilon H}|| \ \sum_{h \epsilon H} ||X_h||_{M_{B_h}}$

Is called the direct sum of Banach spaces $M_{B_h}$, and is denoted by $M_B = \bigoplus_{h \epsilon H} M_{B_h}$

Let $M^{\sigma}$ Be a real linear space of all alternating finite measures on $S_1$.

Definition 2.5. A linear subset $M_B$ Is called a Banach space of measures if:

1) The norm on $M_B$ can be defined so that $M_B$ it is a Banach space with respect to this norm, and the inequality $||\mu + \lambda\nu|| \geq ||\mu||$ holds for any orthogonal measures $\mu, \nu \in M_B$ and a real number $\lambda \neq 0;$

2) if $\mu \in M_B$ and $|f(x)| \leq 1,$ , then $\nu_f(A) = \int_A f(x)\mu(dx) \epsilon M_B$ and $||\nu_f|| \leq ||\mu||$;

3) if $\mu \in M_B$, $\nu_n > 0, \nu_n(E) < \infty, n = 1,2 \ldots$ and $\nu_n \downarrow 0,$ then for any linear functional $l^* \in M^*_B$, $\lim_{n\to\infty} l^*(\nu_n) = 0$, where $M^*_B$ Conjugate to linear space $M_B$.

Remark 2,1. Obviously, any Banach space of measures is a Banach space, the elements of which are alternating measures, but not vice versa.

Example 2.1. Let E=[0,1]. And S be the Borel $\sigma$-algebra of substs of E. Let l be the Lebesque measure on [0,1]. Consider a st of alternating measures with bounded densities. More precisely, we define

$$\mu_g(A) = \int_A g(x)l(dx), \ \ A \epsilon S, g \in L_\infty([0,1]);$$

$$M_B = \{\mu_g : g \in L_\infty([0,1])\}$$

$$||\mu_g|| = \operatorname*{esssup}_{x \in [0,1]} |g(x)| = \operatorname*{Vraisup}_{x \in [0,1]} |g(x)| = \operatorname*{infsup}_{N \ x \in [0,1]-N} |g(x)|, \forall N, l(N) = 0$$

The space $M_B$ with norm ||.|| is a Banach space. Let us define the continuous functions

$$g_n(x) = max \begin{cases} 1 - nx, if \ x \in [0, \frac{n}{n^2+1}]; \\ \frac{x}{n}, \quad if \ x \in [\frac{n}{n^2+1}, 1] \end{cases}$$

and the measures $\nu_n$ assuming $\nu_n(A) = \int_A g_n(x)l(dx), \ \ A \epsilon S.$

It is not difficult to see that $\nu_1 \geq \nu_2 \geq \cdots \nu_n \geq \cdots; \ \nu_n([0,1]) < \infty; \ \forall n \in N; \ \nu_n \downarrow 0; \ \nu_n \in M_B$ and $||\nu_n|| = 1,$ $\forall n \in N.$

Now we construct the linear functional $l^* \in M^*_B$. For a continuous function $f: [0,1] \to R$ we define Φ(f)=f(0).

Φ is a linear functional on C([0,1]) and ||Φ||=1.

By the Hann-Banach theorem Φ can be extended to $L_\infty([0,1])$, that is, there exists a functional $\tilde{\Phi}(f) \in (L_\infty([0,1]))^*$, such that $||\tilde{\Phi}|| = 1$ and for all f ∈ C([0,1]): $\tilde{\Phi}(f) = f(0)$. Now let's define the functional $l^*$ as follows $l^*(\mu_g) = \tilde{\Phi}(g),\ g \in L_\infty([0,1])$

Than we nave $l^* \in M_B^*,\ ||l^*|| = 1$ and $\lim_{n\to\infty} l^*(\nu_n) = 1.$

It is evident that $M_B$ is not Banach space of measures. Let $\{E, S_1, \bar{\mu}_h, h \in H\}$ Be a Gamma orthogonal statistical structure and consider $S_1$-measureble functions $g_h(x),\ \forall h \in H$, such that

$$\sum_{h\in H}\int_E |g_x(x)|\mu_h(dx) < \infty.$$

Let $M_B = \oplus_{h\in H} M_{B_h}$ be a Banach space of measures, cardH≤ $C$.

Let E be a complete metric space, whose topological weights are not measurable in a wider sense,

$$S_1 = \bigcap_{h\in H} dom(\bar{\mu}_h)$$

Is a Borel $\sigma$ - algebra On E.

Theorem 2.1. In order that the Borel's orthogonal Gamma statistical structure $\{E, S_1, \bar{\mu}_h, h \in H\}$ admitted a consistent criteria hypothesis testing in the theory of (ZMC)$(MA) it is necessary and sufficient that the correspondence $f \to l_f$ defined by the equality

$$\int_E f(x)\, \bar{\mu}_h(dx) = l_f(\bar{\mu}_h), \mu_h \in M_B$$

Was on -to - one (here $l_f$ is a linear continuous functional on $M_B,\ f \in F(M_B)$, where we define F=F($M_B$) as a set is defined for all $\bar{\mu}_h \in M_B$).

We now recall the following lemmas.

Lemma 2.1. Let (E, ρ) be a complete separable metric space and let $\mu$ be a Borel probability measures defined on (E, B(E)) . Let $\{X_h\}_{h\in H}$, CardH≤ $C$, be a family of B(E) – measurable sets and $\mu(X_h) = 0,\ \forall h \in H.$

Then

$\mu^*(\cup_{h\in H} X_h) = 0$

In the theory (ZFC)$(MA)

Lemma2.2. Let (E,ρ) be a complete metric space, whose topological weghts are not measurable in a wider sense than in the theory (ZFC) $ (MA) and let $\mu$ be an arbitrary Borel probability measure defined on (E, BC(E)). Then there exists a closed separable subspace E($\mu$) $\subseteq E$ such that $\mu(E(\mu)) = 1$ and $\mu(E - E(\mu))$=0.

Lemma 2.3. Let ( E, ρ) be a complete metric space, the topological weght of which is not measurable in the wider sense, then in the theory (ZFC) $ (MA).

Satisfies the relation

$(\forall H)(\forall\{X_h\}_{h\in H})\xi\forall h(h \in H \to \mu(X_h) = 0)) \to \mu^*(\cup_{h\in H} X_h) = 0.$

Using Lemmas 2.1-2.3, we can prove Theoren 2.1. in the case of a complete separable metric space E.

Proof. Necessity. The existence of consistent criteria hypotheses testing for Gamma statistical structures

$\delta: (E, S_1) \to (H, B(H))$

Implies that

$\bar{\mu}_h(\{x: \delta(x) = h\}) = 1,\ \forall h \in H.$

Putting

$X_h = \{x: \delta(x) = h\}$ for $h \in H,$ we get:

1) $\bar{\mu}_h(X_h) = 1,\ \forall h \in H;$

2) $X_{h_1} \cap X_{h_2} = \emptyset$ for all different $h_1$ and $h_2$ from $H;$

3) $\cup_{h\in H} X_h = E.$

Therefore, the Gamma statistical structure { E, $S_1, \bar{\mu}_h, h \in H$ } is strongly separable, hence, there exists $S_1$-measurable sets $X_h$, $\forall h \in H$, such that

$$\mu_{h_1}(X_{h_2}) = \begin{cases} 1, & if\ \ h_1 = h_2 \\ 0, & if\ \ h_1 \neq h_2 \end{cases}$$

Let $I_{X_h}$ Be a linear continuous functional that corresponds to the function $\bar{f}_1(x) = f_1(x) I_{X_h}(x)$ Than for any $\bar{\mu}_{h_1} \in M_B(\bar{\mu}_h)$ we have

$$\int_E \bar{f}_1(x)\, \bar{\mu}_{h_1}(dx) = \int_E f_1(x) f(x) I_{X_h}(x)\, \bar{\mu}_{h_1}(dx) = l_{\bar{f}_1}(\bar{\mu}_{h_1}) = ||\bar{\mu}_{h_1}||_{M_B(\bar{\mu}_h)}.$$

Let's introduce a partial ordering into $\Sigma$, assuming $l_{f_1} < l_{f_2}$ if $l_{f_2}$ is defined on a largest that $l_{f_1}$ and $l_{f_1} = l_{f_2}$, where both of them are defined. Let $\{l_{f_h}\}_{h\in H}$ be a linearity ordered subset in $\Sigma$, $M_B(\bar{\mu}_h)$ is the subspace, on which $l_{f_h}$ is defined. We define $l_{f_h} \in \bigcup_{h\in H} M_B(\bar{\mu}_h)$ putting $l_f(\mu) = l_{f_h}$ if $\mu \in M_B(\bar{\mu}_h)$.

It is obvious that $l_{f_h} < l_f$. Since any linearly ordered subset in $\Sigma$ has an upper bound, due to the Chorn lemma, $\Sigma$ contains the maximal element $\lambda$ defined on some set $X'$ satisfying the condition $\lambda \leq p(x)$ for $x \in X'$. But $X'$ must coincide with the entire space $M_B$ because otherwise we could extend $\lambda$ to a wider space by adding as above one more dimension. This contradicts the maximality of $\lambda$, amd, hence $X' = M_B$ . Therefore, the extension of the functional is defined everywhere.

Let $l_f$ be a linear functional that correspond to the functional

$$f(x) = \sum_{h\in H} g_h(x)\, I_{X_h}(x) \in F(M_B).$$

Then we have

$\int_E f(x)\,\mu(dx) = ||\mu|| = \sum_{h\in H} ||\,\bar{\mu}_h||_{M_B(\bar{\mu}_h)}$ ,

Where

$$\mu(B) = \sum_{h\in H} \int_B g_i(x)\,\bar{\mu}_h(dx),\ B \in S.$$

$i$

Sufficiency. If for each $f \in F(M_B)$ the integral $\int_E f(x)\,\bar{\mu}_h(dx)$,, $\forall \mu_h \in M_B$, is defined then there exist a countable subset $M_f$ in M for which $\ldots \int_B f(x)\,\bar{\mu}_h(dx) = 0$,, if $h \in H_f$, and for any countable subset $\sum_{h\in H_f} \int_E |f(x)|\,\bar{\mu}_h(dx) < +\infty$,$_i$ and for any countable subset $\bar{H} \subset H$ and for the measure

$\nu(C) = \sum_{h\in \bar{H}} \int_C g_h(x)\,\bar{\mu}_h(dx)$, we have $\int_E f(x)\nu(dx) = \sum_{h\in H_f \cap \bar{H}} \int_E f(x) g_h(x)\,\bar{\mu}_h(dx)$ .

Let the correspondence $f \to l_f$ be defined by the equality $\int_E f(x)\,\bar{\mu}_h(dx) = l_f(\bar{\mu}_h)$ , then for $\bar{\mu}_{h_1}, \bar{\mu}_{h_2} \in M_B(\bar{\mu}_h)$ we have

$$\int_E f_{h_1}(x)\,\bar{\mu}_{h_2}(dx) = l_{f_1}(\bar{\mu}_{h_2}) = \int_E f_1(x) f_2(x)\,\bar{\mu}_{h_1}(dx) = \int_E f_{h_1}(x) f_2(x)\,\bar{\mu}_{h_1}(dx).$$

Therefore $f_{h_1}(x) = f_1(x)$ almost everywhere with respect to the measure $\bar{\mu}_{h_1}$. Let $f_{\bar{\mu}_{h_1}} > 0$ most everywhere with respect to $\bar{\mu}_h$ and $\int_E f_{\bar{\mu}_h}(x)\,\bar{\mu}_h(dx) < \infty$ If we denote now $\bar{\mu}_h{}^*(C) = \int_C f_{\bar{\mu}_h}(x)\,\bar{\mu}_h(dx)$, then we obtain $\int_E f_{\bar{\mu}^*_h}(x)\,\bar{\mu}_h(dx) = l_{f_{\bar{\mu}_{h_1}}}(\bar{\mu}_h) = 0,\ \forall h' \neq h,\ \forall \bar{\mu}_h \in M_B(\bar{\mu}_h).$

Denote by $C_H = \{x: f_{\bar{\mu}^*_h}(x) > 0$ Then $\mu_{h'}(C_h) = 0,\ \forall h' \neq h$. Therefore, there exist $S_1$-measurable sets $X_h\,(h \in H)$ such-that $\bar{\mu}_h(X_{h'}) = \begin{cases} 1, & if\ h = h' \\ 0, & if\ h \neq h' \end{cases}$ and hence the Gamma statistical structure { E, $S_L, \bar{\mu}_h, h \in H$} is weakly separable. We represent as an inductive sequence { $\bar{\mu}_h, < \omega_1$ }, where $\omega_1$ denotes the first ordinal number of the power of the set H.

We define $\omega_1$ sequence $Z_h$ of parts of the E such that the following relations hold: 1) $Z_h$ is a Borel subset of E, $\forall h < \omega_1$;

2) $Z_h \subset X_h,\ \forall h < \omega_1$; 3) $Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \emptyset$ for all $h_1 < \omega_1$, $h_2 < \omega_1$; 4) $\bar{\mu}_h(Z_h) = 1, h < \omega_1$.

Suppose that $Z_{h_0} = X_{h_0}$ Suppose further that the partial sequence $\{Z_{h'}\}_{h'<h}$ is already defined for h<$\omega_1$. It is clear that $\mu^*(\bigcup_{h'<h} Z_{h'}) = 0$. Thus there exists a Borel subset $Y_h$ of the space E such that the following relations are valid: $\bigcup_{h'<h} Z_{h'} \subset Y_h$ and $\mu^*(Y_h) = 0$.

Assuming that $Z_h = X_h - Y_h$ we construct the $\omega_1$ sequence $\{Z_h\}_{h<\omega_1}$ of disjunctive measurable subsets of the space E. Therefore $\bar{\mu}_h(Z_h) = 1$ for all $h < \omega_1$ and the statistical structure { E, $S_1, \bar{\mu}_h, h \in H$ }, cardH=c. is strongly separable because there exists a family of elements of the $\sigma$-algebra $S_1 = \bigcap_{h\in H} dom(\bar{\mu}_h$ such that: 1) $\bar{\mu}_h(Z_h) = 1,\ \ \forall h \in H;\ \ 2)\ Z_{h_1} \cap Z_{h_2} = \emptyset\ \forall h_1 \neq h_2;\ \ 3)\ \bigcup_{h\in H} Z_h = E.$

For $x \in E$ we put $\delta(x) = h$, where h is $h \in H$ The unique hypothesis from the set H for which $x \in Z_h$. The existence of such a unique hypothesis from H can be proved using conditions 2), 3).

each $h \in H$. If $h_0 \in Y$, then $\{x: \delta(x) \in Y\} = Z_{h_0} \cup (\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h)$. $Z_{h_0} \in S_1 \subseteq dom(\bar{\mu}_{h_0})$ and $\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h \subset (E - Z_{h_0})$ implies that $\bar{\mu}_{h_0}(\bigcup_{h\in Y-\{h_0\}} Z_h) = 0$. Since dom($\bar{\mu}_{h_0}$) is $\sigma$-algebra, we deduce that

$\{x{:}\,\delta(x) \in Y\} \in dom(\bar{\mu}_{h_0})$. If $h_0 \notin Y$, then $\{x{:}\,\delta(x) \in Y\} \subseteq (E - Z_{h_0})$ and $\bar{\mu}_{h_0}(\{x{:}\,\delta(x) \in Y\}) = 0$. The last relation implies that then $\{x{:}\,\delta(x) \in Y\} \in \mathrm{dom}(\bar{\mu}_{h_0})$. We have shown that the map $\delta{:}\,(E, S_1) \to (H, B(H))$ is measurable map. Since B(H) contains all singletons of H we ascertain that

$$\bar{\mu}_h(\{x{:}\,\delta(x) = h\}) = \bar{\mu}_h(Z_h) = 1, \quad \forall h \in H.$$

Example 2.1. Let E=RxR and B (RxR) a Borel $\sigma$-algebra of subsets of RxR. As a set of hypotheses consider the set $H = Q^+$, where $Q^+$ is the set of positive rational numbers.

Let $X_h = \{-\infty < x < +\infty, y = h,\ h \in Q^+\}$ and let $\mu_h(A) = \int_A f_G^h(x)dx$ be the Gammes linear measures on $X_h, h \in Q^+$.

The Gamma's statistical structure $\{RxR, B(RxR),\ \mu_h, h \in Q^+\}$ is countable, strongly separable statistical structure. If we now define the mapping $\delta{:}\,(RxR, B(RxR)) \to (Q^+, B(Q^+))$, by the formula $\delta(X_h) = h, \forall h \in Q^+$, we obtain $\mu_h(\{x{:}\,\delta(x) = h\}) = 1, \forall h \in Q^+$.

Thus, the Gamma's strongly statistical structure admits a consistent criteria for hypothesis Testing.

Example 2.2. Let $\{E, S, \mu_h, h \in H\}$ Be a Gamma's orthogonal statistical structure and consider S-measurable functions $g_h(x), \forall h \in H$, such that $\sum_{h\in H} \int_E |g_h(x)|\mu_h(dx) < \infty$. Let $M_B$ is the set of measures defined by formula $\nu(B) = \sum_{h\in H_1} \int_B g_h(x)\mu_h(dx)$, where $H_1 \subset H$ a countable subset in H and define a norm on $M_B$ by formula $\|\nu\| = \sum_{h\in H_1} \int_E |g_h(x)|\mu_h(dx)$, then $M_B$ is a Banach space of measures and $M_B = \bigoplus_{h\in H} M_{B_h}$, where $M_{B_h}$ is Banach space of elements of the form $\nu(B) = \int_B g_h(x)\mu_h(dx)$, $B \in S$, with the norm: $\|\nu\| = \int_E |g_h(x)|\mu_h(dx)$.

**Bibliography:**


Zerakidze, Z. (1984). On weakly divisible and divisible families of probability measures (in Russian). *Bulletin of the Academy of Sciences of the Georgian SSR, 113* (2).

Zerakidze, Z. (1991). Banach space of measures. *Probability Theory and Mathematical Statistics: Procedings of the Fi..th Vilnius Conference.* 2. Vilnius: VSP / Mokslas.

Zerakidze, Z. (2005). Generalization of Negmann-Pearson criterion. *Gori State University. Collection of Scientific works.*

Zerakidze, Z., & Patsatsia, M. (2021). The consistent estimators of Sharlier statistical structures in Banach space. *Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, 15* (2).


## RESUME


In the general theory of the existence of statistical structures, the problem of determining strongly separable Gamma statistical structures and the problem of transition from weakly separable Gamma statistical structure often arisis, Zerakidze Z (Zerakidze 1984,1) in terms of Zezemelo-Frankel set theory and Martin's axiom proved that the existence of a strongly statistical structure. The consistent criteria for testing hypothesis are defined. Gamma's statistical structures are defined.

In this paper, we define consistent criteria for hypotheses testing, we define and study Banach space of measures. The necessary and sufficient conditions for the existence the consistent criteria hypotheses Testing for Gamma statistical structures in Banach space of measure are given.

Constructed example Banach space of measure and example Gamma's strongly, countable separable statistical structure admits a consistent criteria for hypothesis Testing.



***Keywords:*** Consistent criteria, Banach space and strongly separable, Structure.

*ნუგზარი იაშვილი*
*საქართველოს საინჟინრო აკადემია*

## ინფორმაციული ტექნოლოგიების ადგილი ქვეყნის აგრარულ სექტორში

*საკვანძო სიტყვები:* ინფორმაციული ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობის მართვა, სოფლის პროდუქტების კონტროლი, საკონსულტაციო მომსახურება.

მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და ანალიზის შედეგად შეიძლება დასკვნის გამოტანა, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიური განვითარება, მაღალი ეფექტურობა და ეკოლოგიურად სუფთა, ხარისხიანი სასოფლო პროდუქტის მიღება წარმოუდგენელია თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიების გარეშე. დღეისათვის არ არსებობს ადამიანთა საქმიანობის სფერო, რომელშიც არ არის გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები (იტ). თავიდანვე უნდა ითქვას, რომ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობაში სიახლეს მხოლოდ განვითარებადი ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვის წარმოადგენს.

ევროპის განვითარებული ქვეყნები, აშშ, კანადა და იაპონია არიან ის ქვეყნები, რომლებშიც სოფლის მეურნეობის სექტორი წარმოუდგენელია იტ-ს გარეშე. ინფორმაციული ტექნოლოგიები (იტ) - ეს არის ინფორმაციული პროცესების, მეთოდების, ტექნიკურ და პროგრამულ საშუალებათა ერთობლიობა, რომლის გარეშე შეუძლებელი ხდება ადამიანთა საქმიანობის ნებისმიერ სფეროში ოპტიმალური და სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება. დღეს სწორედ იტ-ს გამოყენება არის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი სოფლის მეურნეობის წარმატებისა. სწორედ იტ-ს სოფლის მეურნეობაში ფართოდ გამოყენებამ განაპირობა ის, რომ რამდენიმე წელია რაც დამკვიდრდა ახალი ტერმინები: „ჭკვიანი", „ორიენტირებული", „ზუსტი" თუ „კოორდინატორული" სოფლის მეურნეობა.

სოფლის მეურნეობაში იტ-ს გამოყენების მრავალი მაგალითიდან მოვიტანთ მხოლოდ რამდენიმეს:

- სწორედ ახალი ტექნოლოგიების დანერგვის შედეგია ის, რომ სულ ახლახან გაჩნდა ტერმინი „ზუსტი სოფლის მეურნეობა", რაც გულისხმობს იტ-ს აუცილებელ გამოყენებას და ამის საფუძველზე მაგალითად სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის მკვეთრ გაზრდას, რისთვისაც გამოიყენება პოზიციონირების გლობალური სისტემა - GPS, გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემა - GIS და სხვა ტექნოლოგიები, აგრეთვე სხვადასხვა მეთოდების და საშუალებების მონაცემები სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხარისხის კონტროლისა და მართვისათვის.
- კანადაში, აშშ-ში, იაპონიაში, ჩინეთში და ევროპის ბევრ ქვეყანაში ეს პროცესები დაიწყო მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, ხოლო აღმოსავლეთ ევროპაში 90-იანი წლების დასაწყისში. ბოლო მონაცემებით აშშ და კანადაში ფერმერთა 20-25 %-ზე მეტი პრაქტიკაში იყენებს თანამედროვე იტ-ს. ამ ქვეყნებში ფუნქციონირებენ „ზუსტი" სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-საწარმოო ცენტრები.
- სამხრეთ კორეასა და იაპონიაში მეტად ეფექტურად მოქმედებენ სათბურების მართვის ავტომატიზებული სისტემები, რომლებიც საშუალებას იძლევიან ინტერნეტის დახმარებით დისტანციურად იმართოს სათბურებში არსებული მიკროკლიმატი. მცენარეთა ზრდის ვიზუალური კონტროლისთვის გამოიყენება დისტანციურად მართვადი ფოტოკამერები.
- სოფლის მეურნეობაში ბოლო წლების მეცნიერულ-პრაქტიკულ ერთ-ერთ მიღწევას წარმოადგენს ინფორმაციული სისტემა, რომელიც აფრთხილებს გლეხსა და ფერმერს მინდვრის მავნებლების თუ მცენართა დაავადებების მოსალოდნელი გაჩენის შესახებ. თანამედროვე იტ საშუალებას იძლევა, რომ ფერმერმა ადგილზე ინტერნეტით მიიღოს რეკომენდაციები და რჩევები.
- საინტერესოდ გვეჩვენება თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება მეცხოველეობაში. მინიატურული გადამწოდები შეიძლება მიერთებული (დამაგრებული) იყოს სხვადასხვა შინაურ ცხოველზე, რომელთა საშუალებით მიღებული იქნება ინფორმაცია მათ ადგილმდებარეობაზე, გადაადგილებაზე და ჯანმრთელობაზე.
- შექმნილია ე.წ. „ელექტრონული მწყემსი", რომლის საშუალებითაც ფერმერს სახლიდან გაუსვლელად შეუძლია მართოს („მწყემსოს") მინდორში ათეული კმ-ზე მყოფი ძროხები თუ ცხვრები.

მეცხოველეობაში ეფექტურობა პირდაპირ დამოკიდებულია ცხოველთა კვების პროცესის სწორედ წარმართვაზე. მაგალითად, მაქსიმალური ეკონომიკური ეფექტის მიღწევა შესაძლებელია პროგრამული პროდუქტის „კორალ-ის" გამოყენებით, რომელიც განკუთვნილია შინაურ ცხოველთა კვების რაციონის ოპტიმიზაციისათვის. აქ იგულისხმება ცხვრების, ძროხების, ღორების და შინაური ფრინველის კვების ოპტიმალური რაციონების გაანგარიშება. კვების დაბალანსებულ რაციონზე დამოკიდებულია შინაური

ცხოველის და ფრინველის პროდუქტიულობა, მათი ჯანმრთელობა, მათი საჯიშე თვისებების დაცვა და სხვა მაჩვენებლები.

ამ პროგრამული პროდუქტის ერთ-ერთი დადებითი მომენტია ის, რომ პროგრამით შესაძლებელია განვახორციელოთ ცხოველთა კვებისადმი ინდივიდუალური მიდგომა, რაც გამოიხატება „პერსონალური" დანამატების გათვალისწინებაში ცხოველთა ჯგუფური კვებისას.

არსებობს პროგრამული პროდუქტის „კორალის" სხვადასხვა სახეობების პროგრამები ცხვრების, ღორების და ფრინველთა კვების პროცესებისთვის. ცალკე შეიძლება აღინიშნოს ცხოველთა და ფრინველთა დაავადებების დიაგნოსტიკის პროგრამები, რომლებიც საშუალებას აძლევენ გლეხს, ფერმერს, ზოოტექნიკოსს, ვეტერინარს მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაცია ცხოველთა თუ ფრინველთა ავადმყოფობების მკურნალობისათვის. არსებობს აგრეთვე პროგრამები სასოფლო კულტურების მავნებლების და დაავადებების დიაგნოსტიკისთვის.

ცნობილია იტ-ს გამოყენების სხვა მაგალითებიც: სასოფლო-სამეურნეო კულტურების განლაგების ოპტიმიზაციაში, საქონლის კვების რეჟიმის სწორი წარმართვის საქმეში, სასუქების დოზების განსაზღვრაში, მიწის რესურსების მართვაში, ნიადაგების ტექნოლოგიური რუკების შედგენაში, ზოსტნეული შენახვის პროცესის კონტროლში, სათბურებში მიკროკლიმატის რეჟიმის მართვაში, ნიადაგების დაბინძურების კონტროლში და ა.შ.

„ზუსტი" სოფლის მეურნეობისთვის აუცილებელია გამოყენებული იქნას გლობალური ინფორმაციული სისტემა - GPS. ეს არის დედამიწის ირგვლივ არსებული 24 თანამგზავრიდან სიგნალების მიღება ობიექტივის ადგილმდებარეობის განსაზღვრისთვის. ამ სისტემას ახასიათებს მაღალი სიზუსტე - თითქმის ერთი სმ-ის სიზუსტით განისაზღვრება რომელიმე ობიექტის ადგილმდებარეობა.

სოფლის მეურნეობაში იტ-ს ფართოდ გამოყენების მრავალრიცხოვანი მაგალითების ანალიზის შედეგად შეგვიძლია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის ჩამორჩენის ძირითადი მიზეზი გარდა ტექნიკური და ტექნოლოგიური ჩამორჩენილობისა (რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სოფლის მეურნეობის განვითარებას), არის იტ-ს გამოყენების მეტად მცირე მასშტაბი, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის დღევანდელ დონეს;

2. სოფლის მეურნეობა წარმოადგენს თითქმის იდეალურ გარემოს ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებისთვის და მას თითქმის განუსაზღვრელი პოტენციალი გააჩნია;

3. დღეისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიები წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ეფექტურობის ძირითად, გადამწყვეტ და აუცილებელ ფაქტორს.

**ბიბლიოგრაფია:**


ასათიანი, რ. (2002). *საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში (მსოფლიო გამოცდილება და განვითარების ტენდენციები).* თბილისი.

Балабанов, В. И., Беленков, А. И., Березовский, Е. В., Егоров, В. В., & Железова, С. В. (2014). *Навигационные технологии в сельском хозяйстве.* Москва: РГАУ-МСХА.

Бусел, И. П. (2012). *Организация производства на сельскохозяйственных предприятиях.* Москва: ИВЦ.

Меняйкин, Д. В. (2014). Информационные технологии и их применение в АПК. *Молодой ученый* (3 ).

Якушев, В. В. (2016). *Точное земледелие: теория и практика.* Санкт Петербург: ФГБНУ АФИ.



***Nugzar Iashvili***

*Georgian Engineering Academy*


**PLACE OF INFORMATION TECHNOLOGY IN THE AGRICULTURAL SECTOR OF THE COUNTRY**

**RESUME**


The report addressed the need for information technology in the country's agriculture. Examples of developed countries are given. It is justified that the widespread introduction of IT is the main factor in the development of agriculture.



***Keywords:*** Information technology. Management of agriculture. Control of agricultural products. Consulting services.

*ნუგზარ იაშვილი, ლევან იმნაიშვილი, მაგული ბედინეიშვილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## ინფორმატიკაში და გამოთვლით ტექნიკაში გიორგი ნიკოლაძის წვლილის შესახებ

***საკვანძო სიტყვები:*** გიორგი ნიკოლაძე, გამოთვლითი ტექნიკა, გამომთვლელი მანქანა.

გიორგი ნიკოლაძე მრავალმხრივი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე იყო: იგი იდგა ქართული მათემატიკისა და მეტალურგიის სათავეებთან. მან საფუძველი ჩაუყარა ქართულ (და საბჭოთა) ალპინიზმს.

სწორედ ამას აღნიშნავდა ცნობილი მათემატიკოსი, პროფესორი, მისი მეგობარი არჩილ ხარაძე: „თითქმის არ დარჩა არც ერთი დარგი მუშაობისა, სადაც გიორგი ნიკოლაძეს, საქმით გატაცებულს, ნაყოფიერი შრომითი კვალი არ დაეტოვებინოს. საინჟინრო ხელოვნების მოტრფიალე, ინჟინერ-მეტალურგი, ქარხანასთან უშუალოდ დაკავშირებული, მისი მშენებელი, მეცნიერი-მათემატიკოსი, ცნობილი ჩვენში და უცხოეთში თავისი გამოკვლევებით, იშვიათი სპეციალისტი უმაღლესი გეომეტრიისა, პედაგოგი-აღმზრდელი, ფიზიკური კულტურის სიამაყე, გამოჩენილი სპორტსმენი, მამაცი ალპინისტი, მტერი ყოველნაირი კაბინეტური ჩხირკედელაობისა, მუდამ ცოცხალ საქმეში ჩაბმული - ერთი სიტყვით, დაუშრეტელი წყარო შემოქმედებისა...“

მაგრამ ძალიან ცოტა ვინმემ იცის ის ფაქტი, რომ მრავალმხრივი მეცნიერი, ინჟინერი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი გიორგი ნიკოლაძე თავისი მოღვაწეობის გარკვეულ პერიოდში დაინტერესებული იყო გამოთვლითი ტექნიკით და რომ მას გარკვეული წვლილი მიუძღვის გამომთვლელი, საანგარიშო მანქანის შექმნაში.

გიორგი ნიკოლაძე დაიბადა 1888 წელს ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და პუბლიცისტის ნიკო ნიკოლაძისა ოჯახში. იგი პატარაობიდანვე გამოირჩეოდა დიდი სწავლისადმი ლტოლვით, იყო ცნობისმოყვარე და დაფიქრებული ბავშვი. კითხვა მან ძალზე ადრე ისწავლა. რვა წლის გიორგის საათი აჩუქეს, რომელიც მან გახსნა, დაშალა და კვლავ ააწყო. პატარა გიორგი თბილისის პირველ გიმნაზიაში შეიყვანეს. იგი განსაკუთრებით ინტერესით სწავლობდა ფიზიკასა და მათემატიკას. ეუფლებოდა რუსულ და ფრანგულ ენებს. მას თვალშისაცემი მიდრეკილება ჰქონდა მათემატიკისადმი. შემდეგში თვით გიორგი ნიკოლაძე იხსენებდა, რომ მას იმდენად აინტერესებდა მათემატიკისა და ფიზიკის საკითხები, რომ ნაწილობრივ დამოუკიდებლად და ნაწილობრივ ერთი ნაცნობის საშუალებით პირველ კლასში შესვლამდე შესძლო გაერკვია ელემენტარული ფიზიკის კანონები და ორთქლის მანქანის მოწყობილობა. იგი ადვილად ითვისებდა ალგებრასა და გეომეტრიას, „ჩემთვის მათემატიკა უბრალოდ აუცილებლობას წარმოადგენდა“ - წერდა გიორგი ნიკოლაძე. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მან სწავლა პეტერბურგის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში გააგრძელა. ამ სასწავლებლის არჩევა მამის გავლენით მოხდა, რომლის აზრითაც ქვეყანას უფრო მეტად ესაჭიროებოდა ინჟინრები და არა მათემატიკოსები.

გიორგი ნიკოლაძემ ინსტიტუტი 1913 წელს დაამთავრა ინჟინერ-ტექნოლოგის კვალიფიკაციით. მან მუშაობა დაიწყო უკრაინის სამხრეთში ერთ-ერთ მეტალურგიულ ქარხანაში ჯერ ტექნიკურ განყოფილებაში, შემდეგ კი საბრძმედე საამქროში ცვლის ინჟინრად. „გიორგი ნიკოლაძის ძე - ინჟინერთა შორის გამოირჩეოდა თავისი ცოდნით, მაღალი კულტურით, თავის თავისადმი მომთხოვნილობითა და დიდი წესიერებით“ - იხსენებდა მას ცნობილი რუსი მეტალურგი, აკადემიკოსი ი. ბარდინი და შემდეგ განაგრძობდა:

„გ. ნიკოლაძე გახლდათ ახალი ტიპის ადამიანი, მრავალმხრივ ერუდირებული. განსაკუთრებით ღრმად იცნობდა მათემატიკას. გიორგი ნიკოლაძე განუმეორებელი იყო. არავის ბაძავდა არც მუშაობის ხერხებით და არც ცხოვრების ყაიდით. ჩვენ, ახალგაზრდა ინჟინრებს, რომლებიც ის-ის იყო ვიწყებდით ცხოვრებას, ყოველთვის და ყველაფერში აშკარად გვეტყობოდა რაღაც სხვისი. ჩვენ გვჭირდებოდა გმირები, რომლებისთვისაც უნდა მიგვებაძა. წავაგავდით რაღაც, ნიკოლაი როსტოვის მსგავსს „ომსა და მშვიდობაში“, გიორგი ნიკოლაძე კი არავის ჰგავდა ცოცხალ გმირთაგან, იგი თვით თავისი თავი იყო, ხოლო თუ ჰგავდა ვინმეს, ჰგავდა ანდრეი ბოლკონსკის იმავე დიდი მწერლის დიდი რომანიდან. ვერაფერი გამოიყვანდა მოთმინებიდან. მუდამ დინჯი, პირდაპირი, შეუპოვარი იყო...“.

გიორგი ნიკოლაძე ცხოვრებაში ყველაზე მაღლა აყენებდა შრომას. იგი იყო მეტისმეტად ორგანიზებული ადამიანი. თავისუფალ დროს იგი ახმარდა ფიზკულტურასა და მათემატიკას. სპორტს გიორგი ნიკოლაძე უყურებდა არა როგორც პირად ახირებას, არამედ როგორც აღმზრდელობით ღონისძიებას.

1918 წელს გიორგი ნიკოლაძე თბილისის უნივერსიტეტში მოიწვიეს და გამოჩენილ ქართველ მათემატიკოსებთან, - ანდრია რაზმაძეს, არჩილ ხარაძესა და ნიკოლოზ მუსხელიშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა კვლევებს გეომეტრიაში. 1919-1920 წლებში გიორგი ნიკოლაძე აბარებს სადოქტორო გამოცდებს სხვადასხვა მათემატიკურ საგნებში (მათემატიკური ანალიზი, უმაღლესი გეომეტრია, დიფერენციალური განტოლებები, რიცხვთა თეორია და სხვა). 1920 წელს მან მიიღო დოცენტის წოდება.



გიორგი ნიკოლაძე ქართულ ჩოხაში

1923 წელს გიორგი ნიკოლაძემ საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩამოაყალიბა ელექტრომეტალურგიის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა. 1926 წელს გიორგი ნიკოლაძე ერთი წლის ვადით მივლინებული იქნა დასავლეთ ევროპაში - ქვეყნებში (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და იტალია) „მათემატიკურ მეცნიერებაში დასახელოვნებლად და ელექტროქიმიის დარგში ზოგიერთი საკითხის შესასწავლად", როგორც აღინიშნა მის სამივლინებო ბარათში. ევროპაში გიორგი მამასთან ერთად გაემგზავრა. გერმანიაში იგი გაეცნო სიმენსის ელექტრომანქანათმშენებელ ქარხანას. მათემატიკაში მუშაობა მან პარიზში, ევროპის ერთ-ერთ უძველეს უნივერსიტეტში, სორბონაში განაგრძო. ევროპაში გ. ნიკოლაძე მეტად ნაყოფიერად მუშაობდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა ცნობილი ფრანგი მათემატიკოსების მიერ.

აკადემიკოსი ელი კარტანი ასე ახასიათებდა გიორგი ნიკოლაძის საქმიანობას: „არ შემიძლია აუღელვებლად გავიხსენო ეს ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, ასე უდროოდ მეცნიერებას გამოკლებული მკვლევარი, მისი მართალი თვალების პირდაპირი გამოხედვით. აქ ახლა მინდა ვილაპარაკო არა ადამიანზე, არამედ მათემატიკოსზე. გ. ნიკოლაძე ბუნებით იყო გეომეტრი. თავისი დისერტაციის თემად მან აირჩია გეომეტრიულ ნაკვთთა უწყვეტი სისტემები, რომლის დამუშავებასაც მე სისტემატურად ვესწრებოდი, ზოგჯერ რჩევასაც ვაძლევდი, რაც ხელს არ უშლიდა გაჰყოლოდა საკუთარ გზას და ეს გზა ერთხელაც არ ასცდენია გეომეტრიის სინამდვილეს. ალგებრულ წირთა ალგებრული სისტემის შესახებ გ. ნიკოლაძემ მიიღო დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის ახალი შედეგები".

გ. ნიკოლაძემ სორბონაში 1928 წლის ზაფხულში წარმატებით დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მოიპოვა მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი უმაღლესი შეფასებით. მისი დისერტაცია ცალკე წიგნად გამოიცა პარიზში, ხოლო დისერტაციაში შემავალი საკითხების ირგვლივ პარიზის აკადემიის შრომებში მისი ოთხი სამეცნიერო სტატია გამოქვეყნდა. ამავე საკითხზე წაიკითხა მან მოხსენება მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესზე ბოლონიაში 1927 წელს. კონგრესს გ. ნიკოლაძე ესწრებოდა, როგორც თბილისის უნივერსიტეტის წარმომადგენელი. იგი თავმჯდომარეობდა კონგრესის ერთ-ერთ სხდომას, ხოლო მისი მოხსენების შინაარსი კონგრესის მასალებში დაიბეჭდა...

სწორედ პარიზში გიორგი ნიკოლაძე აგრძელებს მუშაობას გამოთვლილი მანქანის შექმნაზე, რომლის შესახებ აზრი მას გაცილებით ადრე დაებადა.

საანგარიშო-გამომთვლელი მოწყობილობები და მანქანები XX საუკუნის დასაწყისში უკვე აღარ იყო სიახლე, როგორც ცნობილია პირველი მექანიკური სათვლელი მოწყობილობა ჯერ კიდევ 1623 წელს გერმანიაში ტიუბიგენის უნივერსიტეტში შექმნა, მათემატიკის პროფესორმა შიკარდმა. მისი მოწყობილობა განკუთვნილი იყო ოთხი არითმეტიკული მოქმედების შესასრულებლად. შემდგომში 1642 წელს ფრანგმა ბლეზ პასკალმა ააგო უფრო სრულყოფილი გამოთვლითი მანქანა. ინგლისელი ჩარლზ

ბებიჯი თითქმის ორმოცი წლის მანძილზე მუშაობდა არითმეტიკული მანქანების შექმნაზე და მეტად მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია.

ცხადია, რომ გიორგი ნიკოლაძე გაცნობილი იყო მანამდე არსებულ გამოთვლით მოწყობილობებს, წინამორბედ მეცნიერთა მიღწევებს. მისი განსაკუთრებული დაინტერესება გამოიწვია ფრანგი მათემატიკოსისა და ინჟინრის მორის დ'ოკანის შრომამ გამოთვლითი მანქანების შესახებ - „გამარტივებული ანგარიში“, სადაც კონკრეტული ტექნიკური ამოცანების ამოსახსნელად, გრაფიკების (ნომოგრამების) ასაგებად მორის დ'ოკანმა შემოიტანა ახალი გამოთვლითი საშუალება - „ნომოგრაფი“.

აღსანიშნავია, რომ შემდეგში სწორედ ამ ფრანგმა მეცნიერმა პარიზში, საფრანგეთის აკადემიაში შეკრებილ მეცნიერებს წარუდგინა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის გიორგის ნიკოლაძის გამოგონება. ეს მოხდა 1928 წლის 16 იანვარს. „მანქანა, რომლის აგებასაც მე ვვარაუდობ სავსებით ავტომატურია: მოქმედების შედეგი უმალვე მიიღება ორი ციფრის მოცემის შემდეგ, კნოპზე უბრალო დაჭერის მეშვეობით“ - წერდა გიორგი ნიკოლაძე.

გ. ნიკოლაძე სავსებით სწორედ თვლიდა, რომ არსებული მანქანები შედარებით რთული აგებულების იყო, შეიცავდა დეტალებს, რომლებიც სწრაფად ცვდებიან და ძვირიც ჯდებოდა. გ. ნიკოლაძის გამომთვლელი მოწყობილობა არ შეიცავდა კბილანებიან თვლებს, ძრავას და სხვა ცოტა თუ ბევრად რთულ და ძვირადღირებულ მექანიკურ ნაწილებს.

ფრანგი აკადემიკოსი, მორის დ'ოკანი აღნიშნავდა: „გიორგი ნიკოლაძის მიერ წარმატებული გადაწყვეტა საანგარიშო მანქანის ამუშავებისა სულ სხვანაირია... ყველაზე ღირსშესანიშნავად მიგვაჩნია წმინდა ელექტრული მოწყობილობა, რომელიც აქ ძალზე მახვილგონივრულადაა გამოყენებული... რამდენადაც ვიცი, ეს პირველი ამგვარი გამოგონებაა და გულით ვისურვებდი, რომ ისეთი კონსტრუქტორი გამონახულიყოს, რომელიც ხორცს შეასხამდა გ. ნიკოლაძის შესანიშნავ პროექტს“.

როგორც თვით გიორგი ნიკოლაძე წერდა, მისი გამომთვლელი მანქანა მუშაობდა „...რამდენიმე, კომუტატორების სისტემაზე მოქმედი ელექტრომაგნიტის დახმარებით; კომუტატორები განსაზღვრავს წყვეტილობასა და აუცილებელ წრედებს“. მანქანა ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ერთი მათგანი გათვალისწინებული იყო შეკრებისა და გამოკლების, მეორე კი გამრავლება-გაყოფის ოპერაციების შესასრულებლად.




RÉPUBLIQUE FRANÇAISE.

MINISTÈRE DU COMMERCE ET DE L'INDUSTRIE.

DIRECTION DE LA PROPRIÉTÉ INDUSTRIELLE.

BREVET D'INVENTION.

Gr. 12. — Cl. 3. N° 647.778

**Arithmomètre électrique pour faire directement les multiplications et divisions.**

M. Georges NICOLADZE résidant en France (Seine).

**Demandé le 23 janvier 1928, à 15$^{h}$ 49$^{m}$, à Paris.**
Délivré le 6 août 1928. — Publié le 30 novembre 1928.

La plupart des machines arithmétiques récentes ne font que des additions ou des soustractions, opérations que l'on répète pour faire des multiplications ou des divisions; ainsi pour faire une multiplication, on additionne, pour chaque ordre décimal, le multiplicande avec lui-même autant de fois qu'il y a d'unités dans le multiplicateur, opération fort longue.

Il existe bien quelques types de machines mécaniques à multiplication directe, mais elles sont compliquées, coûteuses et nécessitent de fréquentes réparations.

L'objet de la présente invention est une machine à multiplier directe, d'un modèle spécial, combinée avec une machine à additionner d'un type quelconque dans lequel on forme successivement les divers termes de la somme à trouver, en appuyant sur des boutons disposés suivant des lignes et colonnes d'un tableau dont les dix lignes correspondent chacune à un des chiffres 0, 1, 2,... 9, et dont les colonnes correspondent respectivement aux unités, dizaines, centaines, etc., du nombre à composer; chaque bouton est muni d'un dispositif commandé par un électro-aimant qui l'enfonce lorsqu'un courant passe; ce courant étant envoyé par la machine à multiplier suivant l'invention, qui formera directement sur la machine à additionner chacun des produits partiels correspondant au produit du multiplicande par chacun des chiffres du multiplicateur, si par exemple on veut multiplier 539 par 48, la machine à multiplier composera sur la machine à additionner d'abord le produit de 539 par 40 soit 21.560, puis le produit de 539 par 8, soit 4.312; la machine à additionner fera ensuite la somme de ces deux nombres qui donnera le produit total.

La machine à multiplier, objet de l'invention, est basée sur le principe des réglettes de Génailles dont elle est la matérialisation électrique.

La fig. 1 représente les réglettes de Génailles, elles sont supposées rangées en un tableau dont chaque colonne représente une réglette correspondant à un chiffre du multiplicande, les lignes correspondant aux chiffres du multiplicateur.

On sait que pour faire une multiplication avec ce dispositif, on place les réglettes dans l'ordre voulu pour que le nombre formé par les chiffres en tête des colonnes reproduisent le multiplicande; on se reporte ensuite à la ligne correspondant au chiffre multiplicateur, on part du coin à droite en haut et on inscrit successivement, à la suite du chiffre lu à cette place, les chiffres que l'on trouve aux sommets des divers triangles que l'on traverse en se déplaçant vers la gauche; ainsi, si l'on veut multiplier 123.456.789 par 8, on lira

**Prix du fascicule : 5 francs.**

გამომთვლელ საანგარიშოზე გ. ნიკოლაძის მიერ მიღებული პატენტის აღწერა და თანდართული ნახაზები

თავის გამოგონების აღწერაში გიორგი ნიკოლაძე აღნიშნავდა: „...მანქანა შედგება ორი ნაწილისაგან. პირველი განკუთვნილია შეკრებისა და გამოკლების ოპერაციების შესასრულებლად. თვითმწერი წარმოადგენს სვეტების სასურველ რიცხვს; ყოველ სვეტში 10-10 კნოპია, 0-დან 9-მდე გადანომრილი. პირველი დაჭერა ერთ-ერთი სვეტის რომელიმე კნოპზე აღნიშნავს შესაბამის ციფრს ინდიკატორზე. ერთდროულად ელექტრომაგნიტების ჯგუფი აწარმოებს კონტაქტების ისეთ გარდაქმნას, რომ კნოპზე მეორე დაჭერა ინდიკატორზე აღნიშნავს ამ მეორე დაჭერის შესაბამისი ციფრის შეკრების (ან გამოკლების) შედეგს პირველი აღნიშვნის ციფრთან.“

შემდეგ გ. ნიკოლაძე განმარტავს მისი გამოგონების მეორე ნაწილს: „მანქანის მეორე, გამრავლებისა და გაყოფისათვის განკუთვნილი ნაწილი, უფრო მარტივია. აქ მე გამოვიყენე ფრანგი ინჟინრის ჟენაილის ჩხირების იდეა. ცილინდრზე სამრავლის აღნიშვნის შემდეგ საკმარისი იქნება მამრავლი აღვნიშნოთ კნოპების უბრალო მიმდევრობითი დაჭერით მამრავლის ციფრების შესაბამისად, იმავე, 10 კნოპის მქონე სვეტზე. ნამრავლი დაუყოვნებლივ ჩნდება მაჩვენებელზე. აღწერილის ანალოგიურად სრულდება გაყოფაც“.

მორის დ'ოკანმა ფრანგ მეცნიერებს დაწვრილებით გააცნო ქართველი გამომგონებლის გამომთვლელი მანქანა, რომლის განსაკუთრებით ღირსებად მან მიიჩნია ის, რომ იგი „წმინდა ელექტრული მოწყობილობაა“.

გიორგი ნიკოლაძე 1928 წლის მარტის თვეში უფროსი დისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: „...ჩემ მიერ გამოგონებული არითმომეტრი მჭიდროდაა დაკავშირებული ავტომატურ ტელეფონთან და ამიტომაც გავეცანი ამ გამოგონების ყველა სისტემას, რომ მათგან ყველაზე შესაფერისი ავარჩიო ჩემი „ელექტრომთვლელისათვის“. სწორედ ამ დროს თვით ბედმა შემახვედრა ერთ შესანიშნავ

გამომგონებელთან. მე მგონია, მან საბოლოოდ გადაჭრა ავტომატური მექანიზმების პრობლემა, რომელთა შორის ჩემ არითმომეტრს პირველი ადგილი უჭირავს...

ჩემმა არითმომეტრმა... ძალიან დააინტერესა ეს გამომგონებელი და მან თქვა..., რომ ასეთი არითმომეტრის წყალობით სათვლელი მანქანა მსოფლიოში გავრცელდება იმის მაგვარად, როგორც ფორდმა და სიტროენმა ავტომობილი გვარიანად გააიაფეს და ადრე თუ მხოლოდ მდიდრებისათვის იყო მისაწვდომი, ახლა მთელი მსოფლიოს საკუთრებად აქციეს“.

შემდეგ კი წერდა, რომ „უკანასკნელი არითმეტიკული მანქანების უმრავლესობა წარმოადგენს მანქანებს მხოლოდ მიმდევრობითი შეკრებისა და გამოკლებისათვის, ყველა ეს მანქანა, მათ რიცხვში შედის აგრეთვე გამრავლებისათვის განკუთვნილი რამდენიმე მანქანა, შედარებით რთულია და შეიცავს დეტალებს, რომლებიც ადვილად ცვდება; ეს მანქანები მაღალი ღირებულებისაცაა; მანქანა, რომლის აგებასაც მე ვვარაუდობ, სავსებით ავტომატურია: მოქმედების შედეგი უმალვე მიიღება ორი ციფრის მოცემის შემდეგ, კნოპზე უბრალო დაჭერის მეშვეობით. გარდა ამისა, მანქანას არა აქვს არც მოტორი, არც კბილანებიანი თვლები, არც სხვა, ცოტად თუ ზევრად რთული და ძვირადღირებული მექანიკური დეტალები. ის მუშაობს რამდენიმე, კომუტატორების სისტემაზე მოქმედი ელექტრომაგნიტის დახმარებით; კომუტატორები განსაზღვრავს წყვეტილობასა და აუცილებელ წრედებს“.

როგორც ზევით ითქვა გ. ნიკოლაძის გამომთვლელი მოწყობილობის შესახებ მოხსენება ფრანგმა მეცნიერმა დ’ოკანმა წაიკითხა პარიზის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე 1928 წლის 16 იანვარს. ამასთანავე მან გამოთქვა შემდეგი შენიშვნა: „ელექტრობა გამომთვლელი მანქანის ამძრავში უკვე იყო გამოყენებული ჩვენი სწავლული თანამეგობრის ტორეს კევადოს მიერ მის ელექტრომექანიკურ არითმომეტრში, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბ-ნ ნიკოლაძის მიერ გამოგონებული ამოხსნა სრულიად სხვაგვარია. უფრო მეტიც, ამ ახალ ამოხსნაში ჩვენ განსაკუთრებით ღირსეულად ის წარმოგვიდგება, რომ ამოხსნა შეიცავს წმინდა ელექტრულ მოწყობილობას, რომელიც აქ უაღრესად გონებამახვილურადაა გამოყენებული და დაფუძნებულია ჟენაილის მიერ მის გასამრავლებელ სახაზავებში გრაფიკული ფორმით მოცემულ პრინციპზე“. შემდეგ დ'ოკანმა უფრო დაწვრილებით გაარჩია ნიკოლაძის გამოგონების მნიშვნელობა და კერძოდ, მიუთითა, რომ „მეტისმეტად საინტერესო პრინციპი, რომელსაც ჟენაილმა გრაფიკული ფორმა მისცა, ბ-ნ ნიკოლაძის მანქანაში ხორცშესხმულია ყველაზე გონებამახვილური ხერხით. რამდენადაც მე ვიცი, ეს პირველი ასეთი სახის გამოგონებაა და გულით ვისურვებდი, რომ მონახულიყო კონსტრუქტორი, რომელიც განახორციელებდა ბ-ნ ნიკოლაძის შესანიშნავ პროექტს“. შეკითხვას, დააჩქარებს თუ არა მანქანა ოპერაციების წარმოებას, დ'ოკანმა უპასუხა: „დიახ, მე მიმაჩნია, რომ ის დააჩქარებს ოპერაციების წარმოებას, რომ გაცილებით იაფი ეღირება, გაცვეთით კი გაცილებით ნელა გაცვდება“. იმ დროის ცნობილი მეცნიერის მიერ გამოთქმული ასეთი შეფასება მეტად მნიშვნელოვანი იყო.

შემდეგ გიორგი ნიკოლაძე აღიარებს, რომ მოდელის ასაგებად საჭირო თანხის ოდენობა არასწორად განსაზღვრა: „...მაგრამ იმისათვის, რომ ჩემი გამოგონების თეორიიდან საქმეზე, მოდელის აგებაზე გადავიდე, საჭიროა გაცილებით მეტი ფული, ვიდრე წინათ გამოუცდელობით ვანგარიშობდი. ჯერ ერთი, გამოირკვა, რომ ცოტა ფულით ასეთი ტიპის მანქანის მოდელის აგებას ვერც კი დაიწყებ: ეს დიდ ტექნიკურ (ელექტროტექნიკურ) სიძნელეებს აწყდება; მეორე, რომც ააგო, შეიძლება მაინც უპატენტოდ დარჩე, რადგან პატენტის მიღების ვადა (მოდელის წარდგენის მერე) მხოლოდ ერთი წელია განაცხადის აღების დღიდან (განაცხადი ამა წლის იანვარში ავიღე). თანაც პატენტი ყველა ქვეყანაში უნდა აიღო - ყველგან ამ წლის განმავლობაში. უიმისოდ ყველას შეუძლია ისარგებლოს ამ გამოგონებით... ამასობაში კი, როგორც ირკვევა, მარტო პატენტი მთავარ ქვეყანაში 137 000 ფრანკი, ე. ი. 10 000 მანეთი დაჯდება!

...ახლავე დაუყოვნებლივ უნდა რაიმე გადავწყვიტოთ და ვიღონოთ, ამასთანავე მოდელის აგებას ერთ-ერთ აქაურ ელექტროტექნიკურ სახელოსნოში შეიძლება შევუდგე, თუ 10 000 - 15 000 მანეთზე ნაკლები თანხა არ მექნება; ამ გამომგონებელს კი, ასეთი აგებების საუკეთესო სპეცს, მიაჩნია, რომ 24 000 მანეთია საჭირო. ჩვენ მთავრობას რომ ახლა ამ საქმისათვის აღმოაჩნდებოდეს ეს თანხა (პლუს, რაც პატენტები დაჯდება), მაშინ აქაურ კაპიტალისტებთან დაკავშირება არ მომიწევდა...

აქვე გ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ: „საქმე ძალიან საშურია, ვინაიდან პატენტების ასაღები ვადა 1929 წლის 21 იანვარს იწურება... მანამდე მოდელი უნდა იყოს მზად, ეს კი ორი-სამი კვირის საქმე როდია!

ამიტომაც მოუთმენლად მოველი პასუხს... დიდი შეცდომა იქნება ამ საქმის ჩვენი ხელიდან გაშვება და ფრანგებისათვის ბოძება, ასე კი გამოვა, თუ არც მე, არც მთავრობა პატენტს არ ავიღებთ ამ გამოგონებაზე“...

გიორგი ნიკოლაძეს პარიზშივე შეუდგენია პატენტისათვის თავისი გამოგონების აღწერა, სადაც მოცემულია გამომთვლელი მოწყობილობის შედარებით ვრცელი დახასიათება, მუშაობის პრინციპი და ნახაზები.

სამწუხაროდ, გ. ნიკოლაძემ უსახსრობის გამო ვერ შეძლო პატენტის გაფორმება და მანქანის მოდელის საფრანგეთში დამზადება. მხოლოდ მისი საქართველოში დაბრუნების შემდეგ აგებული იქნა გ. ნიკოლაძის გამოთვლითი მოწყობილობის მოდელი, რომელიც გამოფენილი იქნა მოსკოვში პოლიტექნიკურ მუზეუმში. სამწუხაროდ შემდეგში ეს მოდელი დაიკარგა და დღემდე ვერ იქნა აღმოჩენილი. არ არის შემორჩენილი დამზადებული მოდელის არც ნახაზები და არც აღწერილობა. ასე დაიკარგა ნიჭიერი ქართველი მეცნიერის არაორდინალური გამოგონება და დღეს გამოთვლითი ტექნიკის ისტორიაში გ. ნიკოლაძის სახელი ნახსენებიც კი არ არის.

გ. ნიკოლაძის საფრანგეთიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, 1928 წელს ამიერკავკასიის სახელმწიფო კომიტეტმა განიხილა მისი გამოგონება და მატერიალურ დახმარების აღმოჩენის საკითხის გადაწყვეტა დროებით გადადო. თუმცა, აღნიშნული იქნა, რომ „გ. ნიკოლაძის მიერ გამოგონებული ელექტრომთვლელი დიდ მეცნიერულ ინტერესს წარმოადგენს“.

გიორგი ნიკოლაძე მოულოდნელად, სრულიად ახალგაზრდულ ასაკში გარდაიცვალა. 1931 წლის იანვარში დიდუბეში მდებარე საცდელ ქარხანაში იწყებოდა ფერომანგანუმის დნობის კიდევ ერთი სერია. ღუმელი უნდა ჩართულიყო ღამის პირველ საათზე. მანქანამ რატომღაც არ მოაკითხა და ყინვა-ქარბუქიან ღამეში გ. ნიკოლაძემ სირბილით გაიარა რამდენიმე კილომეტრი. მერე დაღლილი და გაოფლილი, დიდხანს იდგა ქარიშხლისგან სახურავაგლეჯილ საამქროში, გავარვარებულ ღუმელთან. შენობაში კი ორპირი ქარი ქროდა. გიორგი ნიკოლაძე გაცივდა და მეგობართა დაჟინებით თხოვნით სახლში დაბრუნდა, მაგრამ მესამე დღეს კვლავ ქარხანაში მივიდა. 27 იანვარს გიორგის ფილტვების ანთება დაუდგინეს. მაშინ ეს ძალზე სერიოზული, თითქმის მოურჩენელი ავადმყოფობა იყო. სამწუხაროდ, მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა და 3 თებერვალს გიორგი ნიკოლაძე გარდაიცვალა. მან მხოლოდ ორმოცდასამი წელი იცოცხლა.

გიორგის მამა, ცნობილი საზოგადო მოღვაწე - ნიკო ნიკოლაძე მოკლედ ასე ახასიათებდა გიორგი ნიკოლაძეს: „ჩემი შვილი გიორგი ჭეშმარიტი მამულიშვილია და თავისი ქვეყნის პატრიოტი“.

აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი წერდა: „მე რომ მკითხონ, - როგორი გინდა ქართველი კაცი იყოსო, დაუყოვნებლივ ვუპასუხებდი, - ისეთი, როგორიც გიორგი ნიკოლაძე იყო“.


**ბიბლიოგრაფია:**

ბაქრაძე, ა. (1989). *ნიკო ნიკოლაძე.* თბილისი: ნაკადული.

ბოგოლიუბოვი, ა. ნ. (1978). *გიორგი ნიკოლაძე.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

სიგუა, ა. (1975). *მეცნიერი და მოქალაქე.* თბილისი: ნაკადული.

სიგუა, ა. (1996). *უღმერთო იყო შენი სიკვდილი.* თბილისი: ტექნიკური უნივერსიტეტი.

*ქართული მეცნიერებისა და ტექნიკის სიამაყე (გიორგი ნიკოლაძე).* (1999). თბილისი.



***Nugzar Iashvili, Levan Imnaishvili, Maguli Bedineishvili***

*Georgian Technical University*


**ABOUT THE CONTRIBUTION OF GIORGI NIKOLADZE IN INFORMATICS AND COMPUTING TECHNOLOGY**

**RESUME**


George Nikoladze was a prominent Georgian scientist, primarily a mathematician, a specialist in the field of geometry, an engineer-metallurgist, the author of many works on mathematics, Doctor of Sorbonne University. He was one of the initiators of Georgian mountaineering. He was among the founders of Georgian scientific and technical terminology.

The paper deals with one of the interesting aspects of G. Nikoladze’s activity.

Brilliant knowledge of mathematics and eternal aspiration for technical novelties led him to the idea of designing a computing machine based on electric devices. The model was made. G. Nikoladze obtained a patent for his device, but failed to realize the idea because of lack of finances



***Keywords:*** Giorgi Nikoladze, Computing technique, Computing machine.

*თინათინ მშვიდობაძე*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# დაპროგრამების ენა Python ციფრული საცავების შესაქმნელად

***საკვანძო სიტყვები:*** Python, ციფრული საცავი, გრაფიკული ინტერფეისი, Tkinter.

## I. შესავალი

დღეისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინდუსტრიაში არსებობს 2000–ზე მეტი პროგრამირების ენა და მათი რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. პროგრამირების ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ვებ-ინტერფეისის, ბიბლიოთეკების, ინსტრუმენტების, მონაცემთა ბაზებისა და პლატფორმების მიხედვით.

Python არის მაღალი დონის პროგრამირების დინამიური, ლაკონური ენა, შესაძლებლობათა ფართო სპექტრით, ამიტომ ის შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების თითქმის ნებისმიერ სფეროში (კლიენტ-სერვერი, ვებ-პროგრამები).

Python–ის საძიებო სისტემა არის CPython, რომელიც აქტიურად უჭერს მხარს გამოყენებითი პლატფორმების უმეტესობას და ვრცელდება უფასო ლიცენზიით (Severance, 2016).

Python–ს იყენებენ ისეთი კომპანიები, როგორიცაა Google, Facebook, Instagram, Dropbox და Pinterest.

ამჟამად, ცნობილია Python–ის Runtime-ის სამი ვერსია: CPython, Jython და Python.NET. სადაც, პირველი ჩარჩო ხორციელდება C- ში, მეორე Java- ში და ბოლოს .NET პლატფორმაში (Johansen, 2016).

Python.NET უზრუნველყოფს ძლიერი პროგრამის სკრიფტინგის ინსტრუმენტს .NET დეველოპერებისთვის. (Alibaba Cloud, 2020)

## *II. Python–ის გრაფიკული ინტერფეისი*

მრავალ პროგრამაში გამოიყენება გრაფიკული ინტერფეისი, რომელიც გაცილებით მოსახერხებელია მომხმარებლისათვის, ვიდრე კონსოლი. Python დაპროგრამების ენის დახმარებით, ასევე შეიძლება შეიქმნას გრაფიკული პროგრამები. ამისათვის Python-ში დუმილით გამოიყენება სპეციალური კომპონენტების ნაკრები - tkinter, რომელიც მისაწვდომია ცალკეული ჩაშენებული მოდულის სახით. (Mik20).

Tkinter არის ერთადერთი ჩარჩო, რომელიც ჩაშენებულია Python-ის სტანდარტულ ბიბლიოთეკაში. მისი ინტერფეისი არის მრავალპლატფორმული, ამიტომ იგივე კოდი მუშაობს Windows-ზე, macOS-სა და Linux-ზე (Rao, 2020).

გრაფიკული ინტერფეისის შექმნის საილუსტრაციოდ, განვიხილავთ Python–ში პროექტ „ციფრული ბიბლიოთეკის“ შექმნის მაგალითს Tkinter-ის გამოყენებით. მონაცემების შესანახად ვიყენებთ Microsoft SQl მონაცემთა ბაზას.




ნახ. 1. Project  Microsoft SQl

ძირითადი პროგრამული კოდი შესრულებულია Python 3.9 პროგრამულ გარემოში:



```
ipp.py - C:\Users\ASUS\Desktop\tkinter-library-app\app.py (3.9.5)
 Edit  Format  Run  Options  Window  Help
ı tkinter import *
ı tkinter import ttk, messagebox
ort admins
ı admin_windows import AdminWindow

 = Tk()
.title('ბიბლიოთეკა')

ıთაური
ıl = Label(app, text='ბიბლიოთეკა')
ლ.ფოსტის ტექსტი
ıilLabel = Label(app, text='ელ.ფოსტა')
ıროლის ტექსტი
swordLabel = Label(app, text="პაროლი")
ლ.ფოსტის და პაროლის შესატანი ველები
ıilEntry = Entry(app)
swordEntry = Entry(app, show="*")


ისვლის კლავიშზე კლიკი
 login_button_click():
 ელ.ფოსტის და პაროლის ველებიდან მონაცემების აღება
ımail = emailEntry.get()
ıassword = passwordEntry.get()
 email == '' or password == '':
  messagebox.showinfo("showinfo", "შეავსეთ ცარიელი ველები")
lse:
  # ვამოწმებთ ადმინის მონაცემებს არის თუ არა. მონ. ბაზაში
  is_login = admins.login(email, password)
  if is_login == True:
    # წარმატებით გავიარეთ ავტორიზაცია, გადავედით ახალ გვერდზე
    app.withdraw()
    AdminWindow(app)
  else:
    # არ მოიძებნა მომხმარებლის მონაცემები ბაზაში, გამოვიტანეთ შესაბამისი შეტყობინება
    messagebox.showinfo("showinfo", "ფოსტა ან პაროლი არასწორია")


ვლის კლავიში
ınButton = Button(app, text="შესვლა", command=login_button_click)
ომპონენტების განლაგება ფორმაზე
ıl.grid(row=0, column=0, columnspan=2, pady=10)
ıilLabel.grid(row=1, column=0, padx=10, pady=10)
ıilEntry.grid(row=1, column=1, padx=10, pady=10)
swordLabel.grid(row=2, column=0, padx=10, pady=10)
swordEntry.grid(row=2, column=1, padx=10, pady=10)
ınButton.grid(row=3, column=0, columnspan=2, padx=10, pady=10)
ნტერფეისის გაშვება
.mainloop()
```

ნახ. 2. კოდის შესრულების ფანჯარა Python-ში.

**III. პროგრამის შესრულების შედეგები**

1. ინტერფეისის ძირითადი ფანჯარა




ნახ.3. ადმინისტრატორის ფანჯარა

2. ინტერფეისი „ბიბლიოთეკა“ 3 ჩანართით



ნახ. 4. ჩანართის ფანჯარა „წიგნები“



ნახ.5. ჩანართი „სტუდენტები“



ნახ. 6. ჩანართი „მართვა“

როგორც სურათებიდან ჩანს პროექტი „ციფრული ბიბლიოთეკა“ შედგება სამი ჩანართისაგან. ჩანართი „წიგნები“ შეიცავს ცხრილს წიგნების სათაურის, ავტორის და სტატუსის შესახებ. თითოეულ წიგნს მინიჭებული აქვს თავისი ID.

ჩანართი „სტუდენტები“ შეიცავს სტუდენტების პირად ნომრებს, სახელსა და გვარებს. ავტორიზაციის გავლის შემდეგ მომხმარებლებს (სტუდენტებს) შეუძლიათ ისარგებლონ წიგნის არჩევით, ასევე შესაძლებელია დაბრუნებული ან გატანილი წიგნების ნახვა.

წიგნების გატანა შესაძლებელია ელექტრონულად სტუდენტის პირადი ნომრის მითითების შემდეგ. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში გამოიყენება საძიებო ველის, დაბრუნების, კალენდრის და სხვა ღილაკები.

ამგვარად, Python-ში შექმნილი გრაფიკული ინტერფეისი არის ერთ-ერთი ნიმუში პრაქტიკაში tkinter-ის სხვადასხვა ინსტრუმენტების ეფექტური გამოყენების ჩვენებისათვის.

**ბიბლიოგრაფია:**


Alibaba Cloud. (2020, Octomber 23). *Python runtime environment.* Retrieved from https://www.alibabacloud.com/help/doc-detail/56316.htm

Driscol, M. (2020, June 17). *PySimpleGUI: The Simple Way to Create a GUI With Python.* Retrieved from https://realpython.com/pysimplegui-python/

Johansen, A. (2016). *Python The Ultimate Beginner’s Guide.*

Rao, A. (2020, September 18). *Tkinter Tutorial For Beginners | GUI Programming Using Tkinter In Python.* Retrieved from https://www.edureka.co/blog/tkinter-tutorial/

Severance, C. (2016). *Python for Everybody, Exploring Data Using Python 3.*

***Tinatin Mshvidobadze***
*Gori State University*

**PROGRAMMING LANGUAGE FOR CREATING PYTHON DIGITAL REPOSITORIES**
**RESUME**

**Abstract**: The paper discusses the basic features of the Python programming language. Describes a set of Python graphical user interface components - tkinter. The scientific news of the paper is the creation of a project "Digital Library" in Python using Tkinter. The project is a repository of electronic documents using Python graphical user interface tools and Microsoft SQl Database, which offers a flexible interface to allow users to access these documents.

***Keywords:*** Python, Digital repository, Graphical user interface, Tkinter.

*თამარ ნასყიდაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ცოდნის წარმოდგენის ორგანიზაცია საექსპერტო სისტემების სტრუქტურებში

*საკვანძო სიტყვები:* საექსპერტო სისტემები, ცოდნათა მოდიფიკაცია, კონცეპტუალური ობიექტი, ფრეიმები.

ტექნოლოგიური განვითარების მიმართულებით გასული საუკუნის 60-იანი წლები მიჩნეულია ახალი სამეცნიერო სფეროს - „ხელოვნური ინტელექტის“ წარმოშობით და განვითარებით. ინტელექტუალური სისტემების ყველაზე უფრო გავრცელებულ და გამოყენებად მიმართულებად კი განიხილება საექსპერტო სისტემები, განსაკუთრებით პროდუქციული სისტემები. უნდა აღვნიშნოთ, რომ საექსპერტო სისტემების დამუშავება ძირეულად განსხვავდება კლასიკური პროგრამული ტექნოლოგიებისგან.

საექსპერტო სისტემების მნიშვნელოვანი კომპონენტია მეცნიერების ყველა სფეროში დაგროვილი უზარმაზარი ცოდნის ფორმალიზება, ცოდნათა მოძიება და ცოდნის წარმოდგენის ფორმირება, მოძიებული ცოდნიდან ცოდნის ბაზის ფორმირება და შემდგომში საჭირო ცოდნის ამოკრების მეთოდები.

ექსპერტული სისტემის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად კომპონენტებს: ცოდნათა მოდიფიკაცია და შეფასება; რჩევები, განმარტებები, დასკვნები; ცოდნის ბაზა; ცოდნის შეძენის მოდელი; ლოგიკური დასკვნების მატრიცა.

ცოდნათა შეფასებას და მოდიფიკაციას ახდენს ექსპერტი. ყველა ამ კომპონენტის ერთობლიობა კი წარმოადგენს მომხმარებლის ინტერფეისებს.

კონკრეტულ ექსპერტულ სისტემაში ინფორმაციის დამუშავებისას თითოეული ამ ელემენტის ფუნქცია შეიძლება იყოს გაძლიერებული, გამოყენებული ცოდნის წარმოდგენის ენა ე.წ. ექსპერტული სისტემის დამუშავების ენაა, ხოლო პროგრამული უზრუნველყოფის სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ზემოთ ჩამოთვლილი ფუნქციების შესრულებას, განიხილებიან ექსპერტული სისტემების დასამუშავებელ ინსტრუმენტებად.

ამა თუ იმ კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისას საჭიროა კონკრეტული სფეროს ცოდნის გამოყენება. ასეთი ამოცანების დამუშავებისას უნდა მოხდეს ცოდნის წარმოდგენა გარკვეული ფორმით, შესაბამისი ალგორითმის დამუშავებითა და პროგრამული უზრუნველყოფით. პროცედურული დაპროგრამების მეთოდების გამოყენებით ეს ცოდნა განთავსებულია პროგრამულ პაკეტებში, ხშირად ჩნდება პრობლემა განსხვავებული სფეროების კონკრეტული ამოცანის ამოხსნისას. ამ შემთხვევაში უფრო რთულდება პროგრამის გადაწყვეტა. ამ სისტემაში ცოდნა წარმოდგენილია კონკრეტული ფორმით, ხოლო ცოდნათა ბაზა საშუალებას იძლევა გამარტივებულად მოხდეს ცოდნის მოდიფიცირება და შევსება.

ცოდნათა წარმოდგენის ფორმა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სისტემის მახასიათებლებსა და თვისებებზე. მანქანური წესით ყველა სახის ცოდნის დამუშავებისათვის საჭიროა მათი მოდელირება. ცოდნათა წარმოდგენის მოდელის დაპროგრამებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტები, როგორიცაა წარმოდგენის ერთგვაროვნება და გაგების სიმარტივე. პირველის მიზანია ლოგიკური დასკვნების მართვის მექანიზმი და ცოდნის მართვის გამარტივება, რამდენადაც წარმოდგენილი ცოდნა გასაგები უნდა იყოს როგორც თავად ექსპერტებისთვის, ისე მომხმარებლებისთვისაც. ცოდნათა წარმოდგენის ტიპიურ მოდელებად უნდა განვიხილოთ:

1. პროდუქციული მოდულები, რომლებიც დაფუძნებული არიან წესების გამოყენებაზე;
2. ფრეიმების გამოყენებაზე დაფუძნებული მოდულები;
3. სემანტიკური ქსელების გამოყენებაზე დაფუძნებული მოდულები.

სისტემის დასამუშავებლად გამოყენებულ ენას ცოდნათა წარმოდგენის ენას უწოდებენ. წესების ბაზაში განთავსებულია ,,თუ-მაშინ" ტიპის წესები, მათ პირობით ნაწილში მოთავსებულია ცალკეული ნიმუშები, რომლებიც წარმოადგენენ სიმბოლოთა გარკვეულ მიმდევრობებს ანუ სტრიქონებს. კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის მუშა მეხსიერებაში იგზავნება ამოცანის საწყისი მონაცემები. სისტემის გაშვების შემდეგ ლოგიკური დასკვნების მექანიზმი მუშა მეხსიერებაში მოთავსებული ნიმუშებისა და წესების ბაზაში მოთავსებული წესების ურთიერთშეკრების პრინციპით, მუშა მეხსიერებაში საბოლოო შედეგის მისაღწევად აგზავნის მუშა დამატებით ნიმუშებს დასკვნების სახით, ლოგიკური დასკვნების მექანიზმი შეიძლება მუშაობდეს პირდაპირი დასკვნების ან უკუდასკვნების მეთოდებით. პირდაპირი დასკვნების მეთოდის შემთხვევაში ლოგიკური დასკვნების მექანიზმი მუშა მეხსიერებიდან ამოღებულ ნიმუშებს უდარებს წესების ბაზაში ჩაწერილ წესების პირობით ნაწილებს და **თუ** პირობითი ნაწილები აღმოჩნდება ჭეშმარიტი, **მაშინ** წესების დასკვნით ნაწილში მოთავსებულ ნიმუშებს დამატებით აგზავნის მუშა მეხსიერებაში დასკვნების სახით. უკუდასკვნების მეთოდის შემთხვევაში ხდება წინა მეთოდში დასაბუთებული მეთოდის კვლევა. რეალური სისტემის ასაგებად საჭირო ხდება დამატებითი საშუალებები ბაზური პროექტირებისათვის. ზოგჯერ მაგალითისთვის, არ არის საკმარისი მხოლოდ ერთი ნიმუშის მოთავსება, რადგან საჭირო და აუცილებელი ხდება იმ მონაცემთა მართვა, რომელიც დააზუსტებს მათ აზრს. უტრირებული მაგალითის სახით შესაძლებელია განვიხილოთ: კომპიუტერი - „პენტიუმ 4" გვიჩვენებს, რომ არსებობს კომპიუტერთა ტიპი, რომლთა სახელწოდებაა „პენტიუმ 4". წესების პირობით ნაწილში პირობები ერთმანეთთან შეიძლება დაკავშირებულნი იყვნენ **„და"** ნაწილაკებით ისე, როგორც ეს ნახაზზეა წარმოდგენილი:



რამდენიმე წესის გასაერთიანებლად კი ვიყენებთ „ან“ კავშირებს:




რამდენიმე წესით დასკვნის მიღების შემთხვევაში, ყველა წესის და მუშა მეხსიერების ყველა ნიმუშის გათვალისწინებით მთელი პროდუქტიული სისტემა ერთიანდება და ვიღებთ ერთ საერთო გრაფას.

ამგვარი გრაფების დახმარებით უკუდასკვნა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ამ გრაფაზე როგორც ძიების პრობლემა, რაიმე მიზნის დასასაბუთებლად, „ან“ კავშირიდან ამოირჩევა ერთ-ერთი და მოწმდება ყველა კვანძი, ქვემიზნის წინაპირობის წარუმატებლობის შემთხვევაში მოწმდება „ან“ კვანძის მომდევნო ქვემიზანი. თუ ერთ-ერთი ქვემიზანი დასაბუთდა, მაშინ თავისთავად დასაბუთებულად ითვლება მთავარი მიზანიც, წინააღმდეგ შემთხვევაში დასაბუთება არ მიიღება ჩათვლილად. ინტელექტუალურ თამაშებში, მაგ.: ჭადრაკში, შაშში ძიების პრობლემა წარმოადგენს მთავარ პრობლემას. ამიტომ გრაფაზე ძიების ეფექტური მეთოდის გამოყენება წარმატებების გასაღებია. ცოდნის წარმოდგენის ფრეიმების თეორია ემყარება იმ ფსიქოლოგიურ ცნებებს, რომლებიც გვეხმარებიან იმის გაგებაში, რასაც ვხედავთ და ვისმენთ. მიღებულ ინფორმაციას აქვს ერთადერთი მახასიათებელი - ადამიანის მეხსიერებას უნდა შეეძლოს მისი დაკავშირება კონკრეტულ ობიექტთან. ფრეიმების თეორიას საფუძვლად უდევს ის ფაქტი, რომ გარედან მიღებულ ინფორმაციას ჩვენ ვადარებთ მეხსიერებაში არსებულ კონკრეტულ ელემენტებს და ვაქცევთ გარკვეულ ჩარჩოებში კონცეპტუალური ობიექტების მიმართ. ამ ჩარჩოების წარმოდგენის სტრუქტურას ეწოდება ფრეიმი. ვინაიდან სხვადასხვა კონცეპტუალურ ობიექტებს შორის არსებობს გარკვეული ანალოგები, იქმნება იერარქიული სტრუქტურა კლასიფიცირებული და განზოგადებული თვისებებით. იერარქიული სტრუქტურა არის აბსტრაქტული კონკრეტული ტიპის მიმართება. რთული ობიექტები წარმოდგენილი არიან რამდენიმე ფრეიმის კომბინაციით. ასეთი სახით იქმნება ფრეიმული ქსელი. თეორიული ფრეიმი შეივსება მასთან დაკავშირებული ფაქტებით და პროცედურებით, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვა ფრეიმებთან ურთიერთმიმართებას. ცოდნის წარმოდგენა ფრეიმით საკმაოდ ზუსტია, რადგან იგი უფრო სრულად ახასიათებს ადამიანის აზროვნების პროცესს. მიუხედავად ამისა, ფრეიმების თეორიის ფუძემდებლის მინსკის აზრით, ეს თეორია უნდა მიეკუთვნებოდეს არა შედეგობრივ, არამედ ამოცანის დასმის თეორიას. შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფრეიმების თეორია მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის მეხსიერების შესაძლებლობებს და დასკვნების გამოტანას. კონკრეტულად ეს მექანიზმი მუშაობს შემდეგი პრინციპით: როდესაც ადამიანი ხვდება ახალ სიტუაციაში, თავისი მეხსიერებიდან იგი გამოიძახებს ძირითად სტრუქტურას, ფრეიმს, რომელიც არის ცოდნის წარმოდგენის ერთეული და რომელიც ადრე ინახებოდა მეხსიერებაში. მისი დეტალები შეიძლება შეიცვალოს მიმდინარე სიტუაციის შესაბამისად. თითოეული ფრეიმი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც ქსელი, რომელსაც აქვს რამდენიმე წვერო და მიმართულება. ფრეიმის შედარებით მაღალი დონე არის ინფორმაცია, რომელიც ეხება ობიექტის მდგომარეობის ფაქტს და რომელიც ითვლება ჭეშმარიტებად.

მომდევნო დონეზე არიან ე.წ. ტერმინალური სლატები, რომლებიც ივსებიან კონკრეტული მონაცემებით და მნიშვნელობით. თითოეულ სლატში მოცემულია პირობა, რომელიც შესრულდება იმ

შემთხვევაში, თუ დადგინდება მისი მნიშვნელობათა შესაბამისობა. სლატი ან თავად რეალიზდება ან ფრეიმის უფრო მცირე ელემენტით. ფრეიმთა შეერთება მიმართებებით ქმნის ფრეიმულ ქსელს.

მაშასადამე ფრეიმი აღწერს მხოლოდ ერთი ტიპის კონცეპტუალურ ობიექტს, ხოლო დამატებითი ინფორმაცია სპეციფიკურია ცალკეული ფრეიმისათვის. იერარქიული სრტრუქტურის თავისებურება კი გამოიხატება იმაში, რომ ინფორმაცია, რომელსაც შეიცავს მაღალი დონის ფრეიმი, დამახასიათებელია მასთან დაკავშირებული დაბალი დონის ყველა ფრეიმისათვის. მაგ.: ატრიბუტი „ცხოველი გადაადგილდება" - საერთოა ფრინველებისთვისაც და თევზებისთვისაც. თუ ადამიანის მეხსიერებაში იქნებოდა მსგავსი სტრუქტურა, მაშინ შესაძლებელი იქნებოდა მსგავს ინფორმაციათა სისტემატიზება და დამახსოვრება ანუ ფრეიმთა შორის ქსელური კავშირებით ხდება ფრეიმთა ურთიერთდაკავშირება.

ამგვარად, საექსპერტო სისტემის სტრუქტურის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია კონკრეტული ამოცანის გადასაჭრელად შესაბამისი მეთოდების შერჩევა ცოდნის ბაზაში ცოდნის წარმოსადგენად.

**ბიბლიოგრაფია:**


ფრანგიშვილი, ა., & სამხარაძე, რ. (2002). *ენერგოსისტემების მართვის ექსპერტული სისტემების აგების თეორია (მონოგრაფია).* თბილისი: მეცნიერება.

ჩოგოვაძე, გ., სურგულაძე, გ., & შონია, ო. (1996). *მონაცემთა და ცოდნის ბაზების აგების თეორიული საფუძვლები.* თბილისი: განათლება.

Самхарадзе, Р., Габарашвили, А., & Гачечиладзе, Л. (2004). Использование сетей Петри в продукционных системах. *Сборник докладов Международной научной конференции «Проблемы управления и энергетики», № 8*, стр. 178-180. Тбилиси.

Уэно, Х., & Исидзука, М. (Ред.). (1989). *Представление и использование знаний.* Москва: Мир.



***Tamar Naskidashvili***

*Gori State University*


**ORGANIZATION OF KNOWLEDGE REPRESENTATION IN THE STRUCTURES OF EXPERT SYSTEMS**

**RESUME**


Intellectual and expert systems are represented as the main directions of artificial intelligence.Such systems are combination of program and technical resources, or in other words, represents sort of modeled system that processes both formalized and nonformalized tasks for those private occasions, when tasks solving algorithm is not known in advance. The main purpose and characteristic of such systems is the revision of processing components from data to knowledge processing. Forming huge knowledge that is collected in expert systems, defining knowledge modification structures and processing the presentation forms of their structures through nonformalized knowledge analyses.



***Keywords:*** Expert systems, Knowledge modification, Conceptual object, Frames.

*ნელი გოგინაშვილი, თეა მჭედლური*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ტყვიის შემცველობა ნიადაგსა და მცენარეში ეკოლოგიურ ფაქტორებთან დაკავშირებით

*საკვანძო სიტყვები:* ტყვია, ნიადაგი, მინერალური მარილები, მცენარეები.

XXI საუკუნეს კაცობრიობა შეხვდა ძლიერ გართულებული ეკოლოგიური მდგომარეობით. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ტექნიკური პროგრესი საფრთხეს შეუქმნიდა ყველა ცოცხალი არსების, მათ შორის ადამიანის სიცოცხლეს. სამწუხაროდ, ეკოსისტემების და საერთოდ, ბიოსფეროს უარყოფითი ცვლილებების პროცესი ძირითადად დაკავშირებულია ადამიანის სამეურნეო საქმიანობასთან.

ბოლო წლებში განსაკუთრებით გაიზარდა მინერალური რესურსების გადამუშავების მასშტაბები, რამაც სხვადასხვა მეტალების, კერძოდ მძიმე მეტალების გაბნევა გამოიწვია. დღეისათვის ცნობილი 77 მეტალიდან 52 ადამიანის საქმიანობის სფეროშია ჩართული. დადგენილია 20 მეტალის მაღალი ტოქსიკურობა და ცოცხალი ორგანიზმებისათვის მათი მავნეობა (გორდეზიანი & კვესიტაძე, 2000).

მძიმე მეტალებიდან განსაკუთრებული ტოქსიკურობით გამოირჩევა ვერცხლისწყალი (Hg), ტყვია (Pb), კადმიუმი (Cd), დარიშხანი (As), რომლებიც ადამიანთა ტექნოგენური საქმიანობის შედეგად საკმაო რაოდენობით იმყოფება გარემოში (ალექსიძე, 2005). ამის მაგალითია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად გარემოში გაიბნევა არნახული რაოდენობის ტყვია და მისი შენაერთები. გარემოში შეღწეული მძიმე მეტალების დაახლოებით 90% აკუმულირდება ნიადაგით. შემდეგ ისინი მიგრირებენ ბუნებრივ წყლებში, შთაინთქმებიან მცენარეების მიერ და შედიან კვებით ჯაჭვში (სუპატაშვილი, 2009).

მცირე რაოდენობით მძიმე მეტალები, მათ შორის ტყვია შედის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემადგენლობაში, რომლებიც არეგულირებენ ცხოველქმედების პროცესების ნორმალურ მიმდინარეობას, ხოლო გაზრდილ კონცენტრაციებს ცოცხალი ორგანიზმებისათვის მივყავართ უარყოფით და კატასტროფულ შედეგებამდეც კი. ადამიანის ორგანიზმში შეღწეული მძიმე მეტალები გროვდებიან ღვიძლში და მათი გამოყოფა ხდება ძალზე ნელა. ტყვია აზიანებს თირკმელებს, ძვლოვან სისტემას, იგი განსაკუთრებით მავნებელია ორსულებისათვის, რადგან იწვევს რეპროდუქციულ პროცესებს. ბავშვებიც ძალზე მგრძნობიარე არიან ტყვიის ტოქსიკური ეფექტისადმი. ათეროსკლეროზის დროს სისხლში ტყვიის შემცველობა იმატებს როგორც ერითროციტებში, ისე სისხლის პლაზმაში (პატარაია, 2010).

ნიადაგი ლითოსფეროს უმნიშვნელოვანესი ძნელად განახლებადი ბუნებრივი რესურსი და წარმოების საშუალებაა, ჰაერთან და წყალთან ერთად ადამიანის არსებობის და კეთილდღეობის წყაროა. კაცობრიობისათვის ნიადაგის მნიშვნელობა ერთი ფრაზით გამოითქმის - მიწა მარჩენალი (ურუშაძე, 2001).

ნიადაგი როგორც ეკოსისტემის ძირითადი კომპონენტი მუდმივ ურთიერთობაშია ბუნების სხვა კომპონენტებთან და უდიდეს ფუნქციას ასრულებს გეოლოგიურ თუ ბიოლოგიურ წრებრუნვაში, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სიცოცხლეს დედამიწაზე. ნიადაგის გლობალურ-ბიოსფერული ფუნქციები მჟღავნდება ლითოსფეროსთან, ჰიდროსფეროსთან და ატმოსფეროსთან კავშირში. ნიადაგის ფუნქციური ზემოქმედება ჰიდროსფეროზე მდგომარეობს ატმოსფერული ნალექების ქიმიური შემადგენლობის ტრანსფორმაციაში, გრუნტის წყლების, მდინარეებისა და საბოლოო ჯამში, ზღვის წყლების ფორმირებაში. ასევე დიდ გავლენას ახდენს ნიადაგის მიმდებარე ატმოსფერული ჰაერის ფენების ქიმიურ შემადგენლობაზე, ტენიანობასა და ტემპერატურაზე (გორდეზიანი & კვესიტაძე, 2000).

ნიადაგის გაბინძურების წყაროებია საცხოვრებელი და საყოფაცხოვრებო ობიექტები, მრეწველობის სხვადასხვა დარგები, თბოენერგეტიკა, ავტომანქანების გამონაბოლქვი, სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და სხვ. აღიშნული დეგრადირების ერთ-ერთი მიზეზი ქიმიკატების უკონტროლოდ გამოყენებაა. ცნობილია, რომ დედამიწის ყოველი მეოთხე მცხოვრები იკვებება მინერალური სასუქების გამოყენების

წყალობით და შესაბამისად სასუქების გამოყენებას არ გააჩნია რეალური ალტერნატივა და უახლოეს მომავალში ის დარჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტიულობის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად (ურუშაძე, 2001). თუმცა, სასუქებთან ერთად ნიადაგში ხვდება მრავალი ტოქსიკური ნივთიერება, კერძოდ, Cd, Ni, Pb, Co, Zn, Hg, Cu და სხვა მძიმე მეტალები. სასუქებისა და პესტიციდების შეტანის შედეგად ტყვიას შეუძლია ნიადაგში დაგროვება. სხვადასხვა ტიპის ნიადაგისათვის ტყვიის გამორეცხვის სიჩქარე ცვალებადობს 4-დან 30 გრ-მდე ჰექტარზე წელიწადში, მაშინ, როდესაც ანთროპოგენურად შეტანილი ტყვიის რაოდენობა წელიწადში 40-532 გ-ს შეადგენს. გარდა აღნიშნულისა, ტყვიის შემცველობის ზრდა ნიადაგში შეიძლება გამოწვეული იყოს გამონაბოლქვი აირების იმისიით ანუ ატმოსფეროდან შთანთქმით (გორდეზიანი & კვესიტაძე, 2000).

გარემოში არსებული ტოქსიკანტები საბოლოოდ კვების ჯაჭვში ხვდებიან. ნებისმიერი მცენარე თუ ცხოველი კვებითი ჯაჭვის შემადგენელი რგოლია. ამის შესაბამისად, ტოქსიკური ნივთიერება ჯაჭვის ერთი ტროფიკული საფეხურიდან შემდეგზე გადადის. ყოველ მომდევნო რგოლში მისი რაოდენობა იზრდება; საბოლოო ჯამში ტოქსიკატების მინიმალური კონცენტრაციით პროდუცენტები ხასიათდებიან, მაქსიმალურით კი - ჯაჭვის ბოლო საფეხურზე მდგარი მტაცებლები (ქაჯაია, 2008).

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის მიზანს შეადგენდა შიდა ქართლის ნიადაგებსა და სხვადასხვა სახეობის მარცვლოვან მცენარეებში ტყვიის შემცველობის დადგენა მინერალური სასუქების გამოყენებასთან დაკავშირებით, რადგან ეს უკანასკნელი მნიშვნელოვანი წყაროა ნიადაგში, მცენარეში თუ გარემოს სხვა კომპონენტებში მძიმე მეტალების, მათ შორის ტყვიის დაგროვებისათვის. ექსპერიმენტი ტარდებოდა სტაციონალურ, მრავალწლიან ცდებში ი. ლომოურის საქართველოს მიწათმოქმედების ინსტიტუტის გორის საცდელ სადგურში. კვლევის ობიექტებია: საშემოდგომო ხორბალი (Triticum aestivum L.), საშემოდგომო ქერი (Hordeum sativum L.) და სამარცვლე სიმინდი (Zea mays L.). იცდებოდა მინერალური სასუქების სხვადასხვა დოზები და თანაფარდობები შემდეგი სქემების მიხედვით: ხორბლისა და ქერისათვის: 1. 0 - საკონტროლო, 2. $N_{60}P_{60}K_{30}$, 3. $N_{120}P_{60}K_{30}$, 4. $N_{60}P_{90}K_{60}$, 5. $N_{120}P_{90}K_{60}$; სიმინდისათვის: 1. 0 - საკონტროლო, 2. $N_{90}P_{90}K_{60}$, 3. $N_{150}P_{90}K_{60}$, 4. $N_{90}P_{120}K_{90}$, 5. $N_{150}P_{120}K_{90}$. მცენარეთა საანალიზო სინჯები (მარცვალი) აღებული იქნა ტექნიკური სიმწიფის ფაზაში. ამავე პერიოდში აღებული იქნა ნიადაგის სინჯები 0-20 სმ ფენიდან საყოველთაოდ მიღებული მეთოდიკის მიხედვით. როგორც მცენარეულ პროდუქციაში, ისე ნიადაგში განისაზღვრა ტყვიის შემცველობა ატომურ-აბსორბციული სპექტროფოტომეტრიით. კვლევაში გამოყენებული იყო მინერალური სასუქები: $NH_4NO_3$, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl, რომლებიც ძირითად საკვებ ელემენტებთან (NPK) ერთად ამა თუ იმ ოდენობით შეიცავენ მძიმე მეტალებს, მათ შორის ტყვიას.

როგორც აღვნიშნეთ, ცდები ტარდებოდა შიდა ქართლის მდელოს ყავისფერ კარბონატულ ნიადაგზე, რომლის ქიმიური შედგენილობა ჩვენი კვლევის მიხედვით შემდეგია: ჰუმუსი - 3,55%, საერთო აზოტი - 0,20%, საერთო ფოსფორი - 0,17%, ჰიდროლიზური აზოტი - 5,47 მგ/კგ, მოძრავი ფოსფორი - 0,83 მგ/კგ, გაცვლითი კალიუმი - 30,8 მგ/კგ, კარბონატები - 13,7%, $P^H$ - 7,4.

მინერალური სასუქების ხარისხის ეკოლოგიურ-ჰიგიენურ ნორმირებაზე დაყრდნობით და ცდების სქემების მიხედვით ჩვენ მიერ გაანგარიშებული იქნა ნიადაგში მოხვედრილი ტყვიის რაოდენობა. მოგვყავს მინერალური სასუქებით ($NH_4NO_3$, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl) ნიადაგში შეტანილი ტყვია სამივე სახის სასუქის ჯამის და ვარიანტების მიხედვით ხორბლის ცდაში (მგ/კგ): 1-12,2; 2-12,8; 3.13,3; 4.13,1; 5. 13,6.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა ტენდენცია მინერალური სასუქების დოზების ზრდასთან ერთად ტყვიის შემცველობის მატებისა და ვარიანტების მიხედვით ხორბლის ცდაში ვარირებამ შეადგინა (%): 1.0; 2.4,9; 3.9,0; 4.7,4; 5.11,5, რაც საშუალო მონაცემებით 8,2%-ით მეტია საკონტროლო (უსასუქო) ვარიანტთან შედარებით. ანალოგიური შედეგებია ქერის და სიმინდის ცდებში. მიუხედავად აღნიშნულისა, ტყვიის კონცენტრაცია ნიადაგში მნიშვნელოვნად დაბალია ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციაზე კლარკის (სუპატაშვილი, 2009) მიხედვით, ნიადაგი მცირედ დაბინძურებულად ითვლება, თუ თანაფარდობა ნაკლებია 10-ზე, ძლიერ დაბინძურებულად, თუ ეს სიდიდე აღემატება 30-ს. აღმოსავლეთ საქართველოს ნიადაგებში ტყვიის ფონური შემცველობა შეადგენს 15 მგ/კგ (მარგველაშვილი, ონიანი, კიკნაძე, & ბრეგვაძე, 1998).

უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ მიერ ზემოთ განხილული საკვლევი ნიადაგის ქიმიური შედგენილობის საფუძველზე (ჰუმუსი - 3,55%, კარბონატები - 13,7%, $P^H$ - 7,4) რამდენადმე შეფერხდა ტყვიის გადასვლა მცენარეში. საერთოდ, ფიტოტოქსიკაციის ხარისხი მნიშვნელოვნად ძლიერდება მჟავა არეში ($P^H$ < 5,5) და სუსტდება ნეიტრალურ და ტუტე არეში. მძიმე მეტალების რაოდენობა (მათ შორის ტყვიის) და მათი ტოქსიკური უნარი შესამჩნევად მცირდება აგრეთვე ნიადაგში ჰუმუსოვანი ნივთიერებების კონცენტრაციის გაზრდით (ურუშაძე, 2001). ჰაერიდან მძიმე მეტალებით გაჭუჭყიანების საფრთხე ყველა ტიპის ნიადაგს ემუქრება. ტყვიის მტვერი ილექება ნიადაგის ზედაპირზე და ადსორბირდება ორგანული ნივთიერებებით. აგრეთვე ჰუმუსი ხელს უწყობს ტყვიის ფიქსაციას, ასევე თიხა მინერალები და თიხნარ

ნიადაგებში ტყვიის ფიქსაცია საკმაოდ მყარად მიმდინარეობს. მძიმე მეტალები ნიადაგიდან ჯერ ხვდებიან მცენარეებში, შემდეგ კვების ჯაჭვებით - ადამიანისა და ცხოველის ორგანიზმებში და ტოქსიკურ გავლენას ახდენენ მათზე (რადგან მინერალური სასუქებით მოხვედრილი მძიმე მეტალები მინერალურ ფორმაში კარგად ხსნადია, უკეთესად შეითვისება მცენარის მიერ). თუმცა ეს პროცესი რამდენადმე ფერხდება ნიადაგის არის რეაქციასა და ჰუმუსის შემცველობასთან დაკავშირებით (სუპატაშვილი, 2009).

მცენარის ქიმიური შედგენილობა დამოკიდებულია მრავალ ეკოლოგიურ ფაქტორზე, კერძოდ: ნიადაგის ტიპზე, მათში მინერალურ და ორგანულ ნივთიერებათა შემცველობაზე, არეს რეაქციაზე, კლიმატურ პირობებზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია - მცენარეთა სახეობაზე.

ჩვენი კვლევის შედეგებით გამოვლინდა ვარიაბელობა როგორც მინერალური სასუქების დოზებით და თანაფარდობით გამოყენებისას, ისე მცენარეთა სახეობების მიხედვით, სახელდობრ, განოყიერებული ვარიანტების საშუალო მონაცემებით ტყვიის კონცენტრაციის მატებამ შეადგინა ხორბლის მარცვალში - 13,0%, ქერის - 22,2%, სიმინდის - 18,2%, ხოლო მაქსიმალური დოზების ($N_{120}P_{90}K_{60}$ - ხორბლისა და ქერისათვის, $N_{150}P_{120}K_{90}$ - სიმინდისათვის გამოყენებისას) მატებამ შესაბამისად: 18,2; 33,3 და 36,4%. ნათელია, რომ მინერალური სასუქების შეტანით ტყვიის აკუმულაცია რამდენადმე გაიზარდა, მით უმეტეს, მაღალი დოზების გამოყენებისას და შეადგინა (მგ/კგ): ხორბლის მარცვალში - 0,13; ქერის - 0,12 და სიმინდის - 0,15; საკონტროლოზე შესაბამისად - 0,10; 0,09 და 0,11. მიუხედავად ამისა, მარცვლოვან-პურეულ მცენარეთა საკვებ პროდუქციის ზდკ-თან (0,2 მგ/კგ) შედარებით (სუპატაშვილი, 2009) დაბალია. აღნიშნული მონაცემების საფუძველზე საკვლევი მცენარეები შეიძლება დავალაგოთ შემდეგი კლებადი რიგით: ქერი<ხორბალი<სიმინდი, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეთა სახეობების გენეზისსა და მათ ეკოლოგიურ-გლობალურ თავისებურებებთან. (გოგინაშვილი, 2018)

მაშასადამე, შიდა ქართლის ნიადაგურ (მდელოს ყავისფერი კარბონატული) და კლიმატურ პირობებში მინერალური სასუქების დოზებისა და თანაფარდობის გამოყენებით რამდენადმე გააქტიურდა მძიმე მეტალის - ტყვიის აკუმულაციის პროცესი მარცვლოვან მცენარეთა პროდუქციაში, თუმცა მათი მაღალი დოზების გამოყენების შემთხვევაშიც, მისი კონცენტრაცია დაბალია შესაბამის ზდკ-თან შედარებით, რაც რამდენადმე განპირობებულია მინერალური მარილების ($NH_4NO_3$, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl) მეცნიერულად დასაბუთებული დოზების და გამოყენების ტექნოლოგიების დაცვასთან. გამოვლინდა აგრეთვე სხვაობა მცენარეთა სახეობების მიხედვით საკვლევი ელემენტის შემცველობისა, რაც დაკავშირებული უნდა იყოს მცენარეთა სახეობის გენეზისთან, ეკოლოგიურ და ბიოლოგიურ თავისებურებებთან.

**ბიბლიოგრაფია:**


ალექსიძე, ნ. (2005). *ზოგადი ბიოქიმიის საფუძვლები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

გოგინაშვილი, ნ. (2018). ანთროპოგენური ფაქტორის გავლენა ზოგიერთ საკვებ მცენარეებში მძიმე მეტალების შემცველობაზე. *აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ეკოლოგიის თანამედროვე პრობლემები". შრომები, VI.* ქუთაისი.

გორდეზიანი, მ., & კვესიტაძე, გ. (2000). *ეკოლოგიის ქიმიური საფუძვლები.* თბილისი.

მარგველაშვილი, გ., ონიანი, ო., კიკნაძე, ნ., & ბრეგვაძე, ი. (1998). მძიმე მეტალების ფონური (ბუნებრივი) შემცველობა აღმოსავლეთ საქართველოს ძირითადი ტიპების ნიადაგებში და სასუქების გავლენა აღნიშნული ელემენტების შემცველობაზე ნიადაგსა და მცენარეში. *სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია და გარემოს დაცვა* (გვ. 44-53). თბილისი.

პატარაია, გ. (2010). *ტყვიის (Pb) უარყოფითი ზემოქმედება ჯანმრთელობაზე და მისი თავიდან აცილების გზები.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

სუპატაშვილი, გ. (2009). *გარემოს ქიმია (ეკოქიმია).* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ურუშაძე, თ. (2001). *აგროეკოლოგია.* თბილისი.

ქაჯაია, გ. (2008). *გარემოს დაცვის ეკოლოგიური პრინციპები.* თბილისი: ინტელექტი.

*Neli Goginashvili*, *Tea Mchedluri*
*Gori State University*

**THE COMPOSITION OF LEAD IN SOIL AND PLANTS IN RELATION TO ECOLOGICAL FACTORS**

**RESUME**

The composition of Pb in relation to using mineral salts ($NH_4NO_3$, $Ca(H_2PO_4)_2$, KCl) in soil and plants and according to types of plants had been studied. The research was conducted in widely spread meadow-brown carbonated soil in Shida Kartli. The objects for the research were Triticum aestivum L., (Hordeum sativum L.) and (Zea mays L.). Different doses and proportions of mineral fertilizers were tried. According to the results of the research, it was revealed that the composition of Pb increased together with the increase of doses of mineral salts in soil. In addition, the process of accumulation of Pb in studied plants became active, though its composition both in soil and in plants was much less compared to maximum permissible concentrations (MPC). In our opinion, it is connected with the maintenance of the technology of using mineral salts, which is one of the methods for producing ecologically safe plant products. The variation of the composition of studied element Pb according to the types of plants was also revealed, which must be connected with the genesis and ecological and biological peculiarities.

***Keywords:*** Lead, Soil, Mineral salts, Plants.

*ალექსანდრე იაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**მოძრაობითი აქტივობის გავლენა საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე**

*საკვანძო სიტყვები:* კომპენსატორული, ოსტეოპოროზი, ენდარტერიტი, ვარიკოზული.

მსოფლიოს მეცნიერთა ხანგრძლივი გამოკვლევების ანალიზის შედეგად დადგენილია, რომ ადამიანს აქვს უნარი სიცოცხლისათვის საჭირო გარემოში ცხოვრების პერიოდში გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმი, მაგრამ საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება გადატანილი იქნას დაავადებათა მკურნალობიდან მათ პროფილაქტიკაზე. ამავე დროს თითოეული ადამიანი აქტიურად უნდა ჩაერთოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მშენებლობის საქმეში.

ცნობილია, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანა სისტემატურად ზრუნავს თავისი მოქალაქეებისათვის მდიდარი გამოცდილების გაზიარებისათვის. ამ მხრივ, კარგ მაგალითს იძლევა გერმანია, რომელიც საკუთარი მოქალაქეების ჯანმრთელობის დაცვაზე გაღებული ხარჯებით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. თვით გერმანელები კი აღიარებენ, რომ ჯერ კიდევ დიდია სხვადასხვა სახის დაავადებულ ადამიანთა რიცხვი.

გასული საუკუნის 70-იან წლებში ცნობილმა ექიმმა ნიკოლოზ ამოსოვმა ჩამოაყალიბა ჯანმრთელობის განვითარების ძირითადი პრინციპები, იგი ამბობდა, რომ უმეტეს შემთხვევაში ადამიანი ავადმყოფობს სიზარმაცისა და ზოგჯერ უჭკუობის გამო.

ხანდახან ექიმები აზვიადებენ დაავადებათა სიმწვავეს და განადიდებენ მედიცინას. ნ. ამოსოვს ჯანმრთელობის სათანადო დონის მისაღწევად საჭიროდ მიაჩნდა ადამიანის მუდმივად სერიოზული ძალისხმევა, რომელსაც ვერაფერი შეცვლის. იგი თვლიდა, რომ ჯანმრთელობისთვის აუცილებელია ოთხი ძირითადი პირობა: ფიზიკური დატვირთვა, შეზღუდული კვება, წრთობა და დასვენების ორგანიზაცია. ნ. ამოსოვი ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისათვის აუცილებლად მიიჩნევს დიდი დატვირთვით ვარჯიშს.

ჩვენს ნაშრომში შეგნებულად  ცალკე შევეხეთ მოძრაობითი აქტივობის გავლენას ადამიანის საყრდენ-მამოძრავებელ აპარატზე, რადგანაც საყრდენ-მამოძრავებელ აპარატს განსაკუთრებული

მნიშვნელობა გააჩნია ჯანმრთელობისთვის. იგი შედგება ძვლოვანი სისტემის, სახსრების, მყესების, ჩონჩხის კუნთებისაგან და ფლობს დიდ ანატომიურ და ფუნქციურ რეზერვებს.

ადამიანის ყველა ფიზიკური რეაქცია საბოლოოდ მოძრაობასთანაა დაკავშირებული. ღიმილი, სიცილი, საკვების მიღება, აზრის ქაღალდზე გადატანა კუნთურ მოძრაობაზეა დამოკიდებული.

ადამიანი მოძრაობას ჯერ კიდევ ჩანასახის პერიოდში იწყებს, დაბადების შემდეგ ბავშვის მოთხოვნილება მოძრაობით გამოიხატება. ხელებისა და ფეხების უწესრიგო ქნევა თანდათან ასწავლის მას კიდურების მოძრაობის კოორდინაციას და ავარჯიშებს კუნთებს.

ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაკვირვებების შედეგად ცნობილია, რომ ნაკლებად მოძრავი ბავშვები ხშირად ჩამორჩებიან განვითარებაში. მათ სუსტ კუნთებს არ შეუძლია დაიკავონ ზეტანი სწორ მდგომარეობაში, რის გამოც ჩნდება ხერხემლის გამრუდება, გულ-სისხლძარღვთა სისტემების, სუნთქვის, საჭმლის ნორმალური მონელების დარღვევა. გარდა ამისა ასაკის მომატებასთან ერთად საშუალო და უფროსი ასაკის ადამიანები უარს ამბობენ ფიზიკურ ვარჯიშზე, მათ მოგვიანებით თანდათან უძნელდებათ მოძრაობა.

დღეისათვის არასაკმარისი კუნთური აქტივობა ფართოდ არის გავრცელებული, რაც ამაღლებს დაავადებათა რიცხვს. აუცილებელია ითქვას, რომ ადამიანის მოძრაობითი აქტივობის დონე შესაბამისობაშია მის ჯანმრთელობასთან.

საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის ძირითად აქტიურ ნაწილს განივზოლიანი კუნთები წარმოადგენენ, რომლის საშუალებითაც ადამიანი ინარჩუნებს გარკვეულ პოზას, ასრულებს სხეულის ცალკეული ნაწილების გადაადგილებას ურთიერთის მიმართ და გადაადგილდება სივრცეში.

ცხოვრების ნაკლებად მოძრავი წესის ერთ-ერთ ობიექტურ მიზეზს წარმოადგენს ფეხების დაავადება და ფეხის ტერფების ფორმისა და ზომების ასაკობრივი ცვლილებები. ტერფის წინა ნაწილის დეფორმაცია იწვევს ქუსლის მდგომარეობის შეცვლას, რასაც შეუძლია დაარღვიოს ტერფების ფორმისა და ზომების ასაკობრივი ცვლილებები. ქუსლების დეფორმაციაში დიდ როლს ასრულებს ქვედა კიდურების კუნთების დასუსტება და მათში სისხლის მიმოქცევის დარღვევა. არასაკმარისი კუნთური მოძრაობა იწვევს ფეხის თითების ატროფიას, რაც აქვეითებს კაპილარების კედლების გამტარობას, ყოველივე ამის გამო ვითარდება ვენური კედლების ანთება და ვენების დაცობა თრომბებით. ამიტომ წვივის კუნთები და ტერფები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

ხანშიშესულ ასაკში ბევრი იტანჯება ქვედა კიდურების სახსრებში მარილების დაგროვების გამო, რის გამოც ხდება მოძრაობის შეზღუდვა სახსრებში. სახსრებში მოძრაობის შენარჩუნებისათვის აუცილებელია ტანვარჯიში და თვითმასაჟი.

ნაშრომში წარმოდგენილი ვარჯიშების სისტემატურად გამოყენება ხელს შეუწყოფს საყრდენ-მამოძრავებელ აპარატში მოძრაობითი აქტიურობის უნარის განვითარებას და მის შენარჩუნებას ხანგრძლივ პერიოდში.

ვარჯიში 1. სკამზე ჯდომი, ფეხები ეყრდნობა იატაკს. აწიეთ ფეხი და გაშალეთ თითები მარაოსმაგვარად. შემდგომ თითები მაგრად მოჭიმეთ, ეცადეთ მიაჭიროთ ისინი ტერფს, რის შემდეგ სწრაფად მოადუნეთ (10-ჯერ);

ვარჯიში 2. სკამზე ჯდომი, ტერფები არ ეყრდნობა იატაკს, 10-10 წრიული მოძრაობა თითოეული ტერფით ჯერ ერთ, შემდეგ მეორე მხარეს (მარცხნიდან მარჯვნივ, მარჯვნიდან მარცხნივ);

ვარჯიში 3. ოთახის გარშემო ფეხშიშველა სიარული. ტერფის გარეთა ნაპირით 1-3-5 წუთის განმავლობაში;

ვარჯიში 4. ხალიჩაზე ფეხშიშველა დგომი. ქუსლიდან ტერფზე გადაგორება 1-2 წუთის განმავლობაში.

3-4 ვარჯიში ხელს უწყობს ბრტყელტერფიანობის შემცირებას და პროფილაკტიკას.

ვარჯიში 5. ფეხები მხრების სიგანეზე, ტერფები პარალელურად. გადაგორება ტერფების გარეთა ნაპირიდან შიგნით 15-20-ჯერ;

ვარჯიში 6. სკამზე ჯდომი, ფეხების მოხრა (სკამის ქვეშ) და გამართვა;

ვარჯიში 7. იგივე საწყისი მდგომარეობიდან (ტერფები არ ეყრდნობა იატაკს), შესრულდეს წრიული მოძრაობა მუხლის სახსარში მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ (10-10-ჯერ სხვადასხვა მხარეს);

9. დაჯექით სკამზე, მარცხენა ტერფი დადეთ მარჯვენა ფეხის მუხლზე, შეასრულეთ ტერფის ზურგის ხელსმა ორივე ხელის თითებით ჯერ ზედაპირულად, შემდეგ მაჯის ძლიერი დაწოლით, გადაადგილეთ იგი თითებიდან კოჭ-წვივის სახსრისაკენ.

ტერფის ძირის ზედაპირი უნდა დაიზილოს ძლიერად, განსაკუთრებით ენერგიულად კი ტერფის თაღის კუნთები. კეთდება ეს ცერი თითებით ან მუშტად შეკრული ხელის ძვლოვანი წარმონაქმნებით.

თუ ტერფზე ან ფეხის თითებზე არის მტკივნეული წერტილები, საჭიროა მათი მოთელვა და დაზელვა განსაკუთრებულად აქტიურად. მასაჟი უნდა გაგრძელდეს ტკივილის შეგრძნების შემცირებამდე ან გაქრობამდე.

იგივე ტარდება მეორე ფეხზე;

10. დაჯექით იატაკზე, მოხართ მარცხენა ფეხი მუხლის სახსარში, რიგრიგობით მარჯვენა და მარცხენა ხელით შეასრულეთ წვივის კუნთის ხელსმა, შემდეგ მასზე ხელის ჩავლებით გააკეთეთ ენერგიული „გამოწურვა", ამოძრავეთ მჭიდროდ მოჭერილი მტევანი წვივის, კუნთზე კოჭ-წვივის სახსრიდან მუხლის სახსრამდე. შეასრულეთ რამდენჯერმე ხელების მონაცვლეობით. დაამთავრეთ მასაჟი ხელსმით. ამის შემდეგ ასევე შეასრულეთ მეორე წვივის კუნთის მასაჟი;

11. დაჯექით სკამზე, ფეხები ოდნავ განზიდეთ. შეასრულეთ ბარძაყის კუნთების ხელსმა მუხლიდან მენჯ-ბარძაყის სახსრამდე (ჯერ ზედაპირულად), ამის შემდეგ შეასრულეთ წინა კუნთების, ხოლო შემდეგ სკამის ნაპირზე გადმოწევით, უკანა კუნთების მოთელვა წრიული მოძრაობებით;

ვარჯიში 12. დადექით სწორად. ხელები მოკუმშული თითებით გამართეთ წინ. მკვეთრად აწიეთ და დაუშვით ხელის მტევანი. გაიმეორეთ 5-ჯერ, თანდათან გაზარდეთ გამეორებთა რიცხვი 10-მდე;

ვარჯიში 13. აწიეთ იდაყვში მოხრილი ხელები მხრების სიმაღლეზე, მტევნები მოკუმშული თითებით მკერდთან. შეასრულეთ იგივე მოძრაობა, რაც წინა ვარჯიშში, გამეორებათა იგივე რიცხვი;

ვარჯიში 14. გავმართოთ ხელები წინ, განზე გაშლილი თითებით. მტევნების მკვეთრი მოძრაობები ზევით-ქვევით;

ვარჯიში 15. დაიკავეთ იდაყვში მოხრილი ხელები გაშლილი თითებით, მხრების სიმაღლეზე. მტევნების მკვეთრი მოძრაობები ზევით ქვევით;

ვარჯიში 16. გავმართოთ ხელები წინ, ნებებით ქვევით, თითები შეერთებული. მტევნების მოძრაობა ზევით - ქვევით;

ვარჯიში 17. შეასრულეთ იგივე ვარჯიში იდაყვებში მოხრილი ხელებით. ზემოთ მოყვანილი ვარჯიშები ამაგრებს ხელის მტევნებს, აუმჯობესებს მოძრაობას მაჯის სახსარში, აუმჯობესებს ხელის მტევნის კუნთებისა და მცირე სახსრების სისხლის მიმოქცევას. გამეორებათა რაოდენობა იგივეა, რაც პირველი ორი ვარჯიშის დროს;

ვარჯიში 18. დადექით სწორად, ფეხები ერთად, ხელები მოხრილია იდაყვის სახსარში სწორი კუთხით, მტევნები მუშტად შეკრული დიდი თითებით შიგნით. მთელი ძალით გააგდეთ ხელები წინ და დააბრუნეთ საწყის მდგომარეობაში;

ვარჯიში 19. საწყისი მდგომარეობა ხელები მუშტად შეკრული თითებით დაშვებულია ქვევით. მკვეთრი მოძრაობით აწიეთ მტევნები მხრებამდე (წინამხრები დაძაბულია). დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში. ამ ვარჯიშის შესრულებისას იდაყვები უმოძრაოდაა, ხელის აწევისას ეცადეთ არ შეეხოთ მხრებს, დაშვებისას - ბარძაყებს.

გულდასმით მოთელეთ ყველა მცირე სახსარი ორივე თითებზე. მარჯვენა ხელის ცერითა და საჩვენებელი თითებით მაგრად ჩაავლეთ მარცხენა ხელის ცერს თავში და ისე, რომ თითქოს გინდათ გამოწუროთ მისგან სისხლი, გადაადგილეთ თითები ნებამდე. გაიმეორეთ ეს მარცხენა ხელის ყველა თითზე.

იგივე შეასრულეთ მარჯვენა ხელის თითებისათვის.

დადეთ მარჯვენა ხელის ცერი მარცხენა ხელისგულზე, ხოლო დანარჩენი თითები მტევნის ზურგზე და დამწოლი მომთელავი მოძრაობებით გააკეთეთ მათი ძლიერი მასაჟი. მარჯვენა ხელისგულით გააკეთეთ მარცხენას ხელსმა, მაჯის სახსრიდან მხრის სახსრამდე. შემდეგ ჩაჭიდეთ მარჯვენას ცერით და შუათითით მარცხენა ხელს და შეასრულეთ ენერგიული „გამოწურვა" ქვევიდან ზევით.

იგივე შეასრულეთ მარჯვენა ხელისათვის.

თუ ხელები მსხვილია, მაშინ „გამოწუვა" უნდა შესრულდეს ჯერ ხელის შიგნით, შემდეგ გარეთა მხარისა. თითოეული ხელის მასაჟი უნდა შესრულდეს 5-8-ჯერ და დამთავრდეს იგი მსუბუქი ხელსმით ქვევიდან ზევით.

მარჯვენა ხელით უნდა შესრულდეს მარცხენა მხრის სახსრის მასაჟი: ჯერ სრესვა, შემდეგ ხელსმა. შეასრულეთ ასევე მარჯვენა მხრის სახსრის მასაჟი მარცხენა ხელით, თითოეული მასაჟის ილეთი შეასრულეთ 2-3 წუთის განმავლობაში;

ვარჯიში 20. საწყისი მდგომარეობა: დგომი, თავი პირდაპირ, ფეხის ცერები და ტერფები ერთად, ხელები მშვიდად ჩამოშვებული (ეს ვარჯიში შეიძლება შესრულდეს სკამზე ჯდომში); წყნარად მოატრიალეთ თავი მარჯვნივ, დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში, მოადუნეთ კისრის კუნთები; იგივე მეორე მხარეს, სუნთქვა ნებისმიერი;

ვარჯისი 21. საწყისი მდგომარეობა იგივე. ეცადეთ კისერი გადასწიოთ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ, ამასთან სახე არ აწიოთ და არ მიაბრუნოთ;

ვარჯიში 22. გაწიეთ წინ ნიკაპი, კისერი და თავი, შემდეგ გამოწიეთ უკან ნიკაპი, თავი, შემდეგ გამოწიეთ უკან ნიკაპი, კისერი, თავი, ამასთან სახე არ უნდა აიწიოს ან დაიწიოს. სუნთქვა ნებისმიერი;

ვარჯიში 23. დახარეთ თავი ჯერ მარჯვენა, მერე მარცხენა მხარეს, ეცადეთ შეეხოთ მხარს ყურით (მხარის ზევით აუწევლად). გაიმეორეთ 2-5 ჯერ;

ვარჯიში 24. მოადუნეთ კისრის კუნთები, თავი დახარეთ წინ, ეცადეთ ნიკაპით „მოისრისოთ" ლავიწები (თავის მარჯვნივ, მარცხნივ ბრუნის რადიუსი გაზარდეთ თანდათან);

ვარჯიში 25. მოადუნეთ სახისა და კისრის კუნთები, გადააგდეთ თავი უკან და ეცადეთ კეფით „მოსრისოთ" კისრის ქვედა ნაწილი;

ვარჯიში 26. მოადუნეთ მხრები (დაუშვით ქვევით) თავის თხემით აიზიდეთ ზევით, რაც შეიძლება მეტად გაჭიმეთ კისრის მალები, ერთდროულად შეასრულეთ თავის უმნიშვნელო ბრუნები მარჯვნივ, მარცხნივ;

ვარჯიში 27. დახარეთ თავი წინ, მოადუნეთ სახისა და კისრის კუნთები. შემდეგ მბრუნავი წრიული მოძრაობით აბრუნეთ თავი საყელოს გარშემო. თავიდან ეს ვარჯიში უნდა შესრულდეს თითოჯერ მარჯვნივ, მარცხნივ, შემდეგ იგი 2-3-მდე (არა უმეტეს) უნდა გაიზარდოს.

თითების ბალიშების წრიული და განივი მოძრაობებით გააკეთეთ თავის თმიანი ნაწილის მასაჟი. იგი უნდა შესრულდეს თმის ზრდის მიმართულებით. ამასთან თითის ბალიშები არა მარტო აწვებიან კანს, არამედ გადაადგილებენ და ჭიმავენ მას.

ძლიერად დაჭიმეთ კისრის წინა ნაწილის კუნთები და გააჩერეთ დაძაბულ მდგომარეობაში (5-8 წამი), შემდეგ მოადუნეთ. გაიმეორეთ 5-ჯერ.

კისრის მასაჟი უნდა შესრულდეს შემდეგნაირად. ოდნავ გადააგდეთ თავი უკან, მხრები დაუშვით, რბილად, დაწოლის გარეშე შეასრულეთ ხელსმა კისრის გვერდითი ზედაპირებისა ქვედა ყბის კუთხეებიდან ლავიწისაკენ. ისუნთქეთ მშვიდად, თანაბრად, არაა საჭირო ძლიერი დაწოლა კისრის ძარღვებზე, რადგან ამან შეიძლება გულყრა გამოიწვიოს.

კისრის უკანა მხარე შეიძლება მოითელოს უფრო ინტენსიურად, თუმცა, დაწყება და დამთავრება უნდა შესრულდეს ხელსმით.

ყურების მიდამოს მასაჟი უნდა შესრულდეს ცერა და საჩვენებელი თითებით. საჩვენებელი თითით საგულდაგულოდ მოსრისეთ ნიჟარის თითოეული ხვეული ყურის შიგნითა ზედაპირზე, შემდეგ დიდი თითით შეასრულეთ ყურის ნიჟარის გარეთა ნაწილის ხელსმა. ყურების მოთელვა უნდა მოხდეს წყვეტილი მოჭერით;

ვარჯიში 28. დადექით სწორად, ფეხები მხრების სიგანეზე, დოინჯი. შეისუნთქეთ, ამოსუნთქვაზე უკუზნექი, გაიმართეთ. გაიმეორეთ 3-5 ჯერ;

ვარჯიში 29. საწყისი მდგომარეობა იგივე. ამოსუნთქვაზე წინზნექი ზედანის მარჯვნივ ბრუნით, ჩასუნთქვაზე გაიმართეთ და იგივე მეორე მხარეს გაიმეორეთ 3-5 ჯერ;

ვარჯიში 30. საწყისი მდგომარეობა იგივე. მოაბრუნეთ ზეტანი მარჯვნივ და დაიხარეთ მარცხენა ფეხისაკენ, გაიმართეთ. სუნთქვა თავისუფალი. იგივე - მეორე მხარეს. გაიმეორეთ 3-5 ჯერ;

ვარჯიში 31. დადექით სწორად, ერთი ფეხი 0,5 მ-ით წინ. განმკლავი მხრების სიმაღლეზე. უკუზნექი, ზეტანის მობრუნება ჯერ მარჯვნივ, შემდეგ მარცხნივ. გაიმეორეთ იგივე ვარჯიში. წინზნექსა და უკუზნექზე ზეტანის ბრუნები შეასრულეთ 5-5 ჯერ. სუნთქვა ნებისმიერი;

ვარჯიში 32. საწყისი მდგომარეობა: ფეხები მხრების სიგანეზე, ზემკლავი, თითები შეერთებული. ძლიერ აიჭიმეთ ზევით, შემოხაზეთ ხელებითა და ზეტანით წრე 5-5 ჯერ მარჯვნიდან მარცხნივ და მარცხნიდან მარჯვნივ. სუნთქვა ნებისმიერი;

ვარჯიში 33. დაწექით ზურგით ხალიჩაზე, ხელები სხეულის გასწვრივ. წამოწექით, ხელები წინ, ისევ დაწექით, გაიმეორეთ 1-5 მდე;

ვარჯიში 34. დადექით სწორად, ფეხები ერთად, შეასრულეთ ზნექები მარჯვნივ და მარცხნივ, ხელისგულები ცურავს სხეულზე. სუნთქვა ნებისმიერი. შეასრულეთ 5-ჯერ;

ვარჯიში 35. საწყისი მდგომარეობა: ფეხები ერთად. დოინჯი. მოძრაობები მენჯით წინ და უკან. ფეხები ამ მოძრაობაში არ არის ჩართული.

მუჭად შეკრული ხელებით ჰორიზონტალური მოძრაობებით დაიზილეთ წელის მიდამო, სასიამოვნო სითბოს შეგრძნებამდე. თუ წელზე მტკივნეული წერტილებია, ისინი უნდა დაიზილოთ უფრო გულმოდგინეთ, ტკივილშეგრძნების გაქრობამდე.

ინტენსიურად უნდა მოითელოს და მოისრისოს მარცხენა ხელით მარჯვენა მხრის უკანა ზედაპირი. ბეჭებს შორის მიდამო უნდა დაიზილოს პირსახოცით ან გრძელტარიანი ჯაგრისით.

დუნდულა კუნთები უნდა დაიზილოს მუჭად შეკრული ხელებით 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ შესრულდეს ენერგიული დაწოლა და ტყეპვა.

მუცლის მასაჟი იწყება ჭიპის გარშემო წრიული ზედაპირული ხელსმით, ნეკის და არათითის ბალიშებით. პროცედურა იწყება ძალზე მსუბუქად. შემდეგ სრულდება ხელისგულებით მუცლის მთელ ზედაპირზე.

**ბიბლიოგრაფია:**
იაშვილი, გ., ჩხარტიშვილი, მ., & ჩხიკვიშვილი, მ. (2002). *სპორტული მედიცინა.* თბილისი.
კახიძე, გ. (რედ.). (2007). *სპორტის თეორია.* თბილისი.
სვანიშვილი, რ., & კახაბრიშვილი, ზ. (2010). *სპორტული მედიცინა და კინეზოთერაპია.* თბილისი.

***Aleksandre Iashvili***
*Gori State University*

## IMPACT OF MOTOR ACTIVITY ON THE LOCOMOTOR SYSTEM

**RESUME**

The the work is about manifestation of one's own potential and the prevention of diseases during a long period of life. The complex of special exercise is s presented in the work serves to achieve these goals.

***Keywords:*** Compensatory, Osteoporosis, Endarteritis, Varicose.

***რობერტ მაღლაკელიძე, გიორგი მაღლაკელიძე***
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაციის, იერარქიის დადგენისა და გამოყოფის ზოგიერთი საკითხი

*საკვანძო სიტყვები:* გეოგრაფია, ლანდშაფტი, რუკა, კონვენცია.

ევროსაბჭოს ლანდშაფტური კონვენციის საფუძველზე 2000 წელს ლანდშაფტი მეცნიერული კვლევის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო კვლევის ობიექტად იქცა. ამ კონვენციის მიხედვით „ლანდშაფტი" ადამიანების მიერ აღქმული არეალია, რომლის ხასიათი ბუნებრივი და/ან საზოგადოებრივი ფაქტორების ზემოქმედების და ურთიერთმოქმედების შედეგია (European Landscape Convention, 2000).

ამ განმარტებით ევროსაბჭოს ლანდშაფტურმა კონვენციამ წარმოაჩინა მეცნიერებაში არსებული რეალური სურათი. ლანდშაფტი მძაფრი ინტერესის ობიექტია მეცნიერებისა თუ ხელოვნების სხვადასხვა დარგში: ესთეტიკაში, არქიტექტურაში, ფერწერაში, პოეზიაში, ისტორიაში, ფსიქოლოგიაშიც კი. აქედან, ლანდშაფტი ამჟღავნებს ინვარიანტულ ნიშანთვისებებს და მისი ინტერპრეტაცია ხდება კულტურის სხვადასხვა გამოვლინებაში. თუმცა, ისტორიულად ჩამოყალიბდა ისე, რომ ლანდშაფტის ცნების უფრო ღრმა და მრავალმხრივი გაცნობიერება მოხდა გეოგრაფიაში, უპირატესად - ფიზიკურში, ბოლო ხანებში კი ქცევითსა და კულტურულში (Гродзинский, 2005).

ევროსაბჭოს ლანდშაფტური კონვენციის ფონზე, ლანდშაფტის ცნების განსხვავებული განმარტებების შედარებით გამაერთიანებელ წარმოდგენას გვაძლევს პროფესორი მ. გროდზინსკი (2005), იგი ლანდშაფტს, როგორც ზოგადკულტურულ ცნებას ასე განმარტავს: ლანდშაფტი - ესაა სივრცე, რომლის სახე ყალიბდება ადგილის კონფიგურაციით, რომელსაც იკავებენ და ცვლიან მისი კუთვნილი ელემენტები.

ვიზიარებთ რა ევროპის ლანდშაფტურ კონვენციის ღირებულებებს, პროფესორ მ. გროდზინსკის აზრს და პროფესორ ნ. ბერუჩაშვილის სკოლის მეცნიერულ გამოცდილებას, ვფიქრობთ, როგორც ზოგადკულტურული ცნება ლანდშაფტი არის ადამიანის მიერ აღქმული, გარკვეული კომპონენტებით შედგენილი, ერთგვაროვანი ტერიტორია, რომლის ფორმა ყალიბდება ტერიტორიის კონფიგურაციით, შინაარსი კი ბუნებრივი და/ან საზოგადოებრივი ფაქტორების ზემოქმედების და ურთიერთმოქმედების შედეგია.

„ლანდშაფტის" გაგებასთან ერთად, ამჟამად არაჩვეულებრივი პოპულარობა მოიპოვა „კულტურული ლანდშაფტის" ცნებამ, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში სამეცნიერო ხმარებაში შემოიტანა ა. ჰუმბოლტმა, ო. შლუტერმა, კ. ზაუერმა და ბ. სემიონოვ-ტიან-შანსკიმ (Maghlakelidze & Maghlakelidze, 2019).

იუნესკო-ს მსოფლიო მემკვიდრეობის 1992 წლის კონვენცია „კულტურული ლანდშაფტის" ცნებას განიხილავს, როგორც „ბუნებისა და ადამიანის ერთობლივ ქმნილებას". ამ კუთხით დანახული „კულტურული ლანდშაფტის" ცნების მისაღები და საინტერესო განმარტება, მოცემული აქვს პროფესორ მ. გროდზინსკის. იგი ამბობს, კულტურული ლანდშაფტი - ესაა სივრცის სახე, რომელიც ათვისებულია სულიერად და მატერიალურად კულტურის გარკვეული მატარებლის მიერ, რომლის ტერიტორიის მნიშვნელობა და კონფიგურაცია დამაგრებულია კოლექტიური ცნობიერისა და ქვეცნობიერის დონეზე (Гродзинский, 2005).

„კულტურული ლანდშაფტის" საინტერესო, განსხვავებული განმარტებების გამაერთიანებელი წარმოდგენა მოცემული აქვს პროფესორ ტ. კრასოვსკაიას. პროფესორ ტ. კრასოვსკაიას მიხედვით, „კულტურული ლანდშაფტი" ესაა - მატერიალური, ეკოლოგიური და სულიერი ღირებულებების მყარი მიღებისათვის, ადამიანის მიერ მუდმივი ურთიერთქმედების შედეგად გარდაქმნილი და გამოყენებული ბუნებრივი კომპლექსი (Красовская, 2017).

ახლებური მიდგომა განსხვავებულია ტრადიციული მიდგომებისაგან. აქედან ლანდშაფტურ მეცნიერებასა და კვლევაში ბევრი რამე გადასაფასებელია, შესამუშავებელია ახლებური ხედვა.

ამ დრომდე შემუშავებული არ არის კულტურული ლანდშაფტების იერარქია, რომელიც მათი რანგობრიობის დადგენის საშუალებას მოგვცემდა, თუმცა მათი პოლომასშტაბურობა, ანიზოტროპულობა, პოლარიზებულობა და სხვ. თვისებები უკვე საკმაოდ კარგადაა განსაზღვრული (Калуцков, 2008; Каганский, 2009).

კულტურული ლანდშაფტების შესახებ წარმოდგენების ჩამოყალიბება განაპირობებს მათი სივრცობრივი იდენტიფიკაციის აუცილებლობას - სივრცობრივი იერარქიის დადგენას, ანუ რანგობრიობის შემუშავებას, რომელიც ორგანულადაა დამახასიათებელი ყოველი გეოგრაფიული დისციპლინისათვის. ასევე, ჩნდება კითხვა, რაში იქნება ამ შემთხვევაში განსხვავება „კულტურულ-ლანდშაფტურსა" და „ბუნებრივ-ლანდშაფტურ" ერთეულს შორის? კულტურულ-ლანდშაფტური რუკის ლეგენდა უნდა ასახავდეს ლანდშაფტების ორგანიზაციას, როგორც პროცესს, ათვისების შედეგს და ტერიტორიის გააზრებას ამა თუ იმ კულტურის (კულტურების) მიერ, როგორც თანამედროვე, ისე მემკვიდრეობითი შტრიხების ჩართულობით. ამით იგი ედება ტერიტორიის ბუნებრივი ერთეულების დიფერენციაციას თუმცა არა მისი კოპირების გზით (Исаченко & Исаченко, 2017).

ტ. ისაჩენკოსა და გ. ისაჩენკოს (2017) აზრით, კომპლექსური კულტურულ-ლანდშაფტური ერთეულების გამოყოფა ძირითადად აუცილებელია ეყრდნობოდეს სტრუქტურულ მნიშვნელობებს, რომლებიც ვიზუალურად ჩანს თანამედროვე ლანდშაფტებში და/ან ობიექტურად განისაზღვრება ტოპოგრაფიული და თემატიკური რუკებით და დისტანციური გამოსახულებით. კულტურულ-ლანდშაფტური ერთეულები, როგორც ლანდშაფტების გარკვეული მდგომარეობის ასახვა, ნაკლებად მდგრადია ფიზიკურ-გეოგრაფიული დარაიონების „ბაზურ" ერთეულებთან შედარებით, რომლებიც გამოიყოფა გეოლოგიური აგებულების, რელიეფის, კლიმატის დატენიანების რეჟიმის და სხვათა ერთგვაროვნებით.

ვფიქრობთ, ტ. ისაჩენკოს და გ. ისაჩენკოს მიერ კულტურული ლანდშაფტების დარაიონების შემოთავაზებული მიდგომა და მათი საზღვრების გამოყოფა, ჩვენ მიერ შემოთავაზებული გარკვეული ცვლილებებით, უნდა ემყარებოდეს შემდეგ საფუძველს:

1. კულტურული ლანდშაფტური ერთეულების გამოყოფისას აღირიცხული და გათვალისწინებული უნდა იყოს ლანდშაფტური ერთეულების ერთგვაროვნების პრინციპი, ბუნებრივი

თავისებურებები (რელიეფი და გეოლოგიური აგებულება, ზედაპირული ნალექების შედგენილობა, ზედაპირული წყლები და სხვ.), ისინი, რომლებიც ლანდშაფტების განვითარების ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე გავლენას ახდენდნენ ბუნებათსარგებლობასა და, შესაბამისად ტერიტორიის ლანდშაფტურ სტრუქტურაზე (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო კულტურების ზომებსა და განლაგებაზე, განსახლების თავისებურებებზე, ნაგებობებზე, გზების კონფიგურაციაზე და ა.შ.).

2. კულტურული ლანდშაფტური ერთეულების გამოყოფა უმთავრესად დაფუძნებული უნდა იყოს ტერიტორიის ათვისების (გაკულტურების) მატერიალურ ნიშანთვისებებზე - როგორც წინა ეპოქებიდან მემკვიდრეობით მიღებულზე, ასევე თანამედროვეზე.

3.თანაბარზომიერად აღირიცხული უნდა იყოს ბუნებათსარგებლობის ტიპი (მათ შორის მემკვიდრეობითი), განპირობებული არა ტერიტორიის ბუნებრივი პირობებით, არამედ სხვა ფაქტორების ერთობლიობით (ეკონომიკურ-გეოგრაფიული ადგილმდებარეობით, სახელმწიფო საზღვრების შეცვლით, ეთნოსების ცვალებადობით, ქალაქების ზრდით, მათი გავლენის ზონის გაძლიერებით და სხვ.).

4. კულტურული ლანდშაფტების თანამედროვე მდგომარეობა განიხილება, როგორც ბუნებრივი ლანდშაფტების ურთიერთქმედება და ტერიტორიის ათვისება სხვადასხვა ისტორიულ ეტაპებზე: კულტურული ლანდშაფტი - ესაა „დროთა კავშირი“ ანუ პალიმფსესტი.

5. კულტურული ლანდშაფტური ერთეულები თანაბარი ზომით უნდა ასახავდეს მიზანმიმართულ მოქმედებათა შედეგს და სტიქიურ პროცესებს კულტურულ ლანდშაფტებში (მათ შორის მაგალითად, სოფლისა თუ ქალაქის განპირობებელ გავლენას).

6. ტერიტორიის ათვისების პროცესების სივრცობრივი პოლიმასშტაბურობა, დაკავშირებული სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებთან, განაპირობებს გამოყოფილი კულტურული ლანდშაფტური ერთეულების პოლიმასშტაბურობას.

7. არამატერიალური კულტურის თავისებურებები, დაკავშირებული მოსახლეობის ეთნიკურ და კონფესიალურ შემადგენლობასთან (ენის დიალექტი, ფოლკლორი, გარკვეულ კონფესიასთან დაკავშირებულობა, ადგილობრივი ტოპონიმიკა და ა.შ.) განიხილება, როგორც კულტურული ლანდშაფტების მწარმოებელი („ჩამომყალიბებელი ელემენტი“) და შესაძლებელია გამოყენებული იქნას ერთეულების გამოყოფისას ინდიკატორული მაჩვენებლების - „მარკერების“ სახით ამა თუ იმ კულტურის მიერ ლანდშაფტების ტრანსფორმაციისას.

8. ამის გარდა, შეიძლება დამატებითი მაჩვენებლების სახით კულტურულ ლანდშაფტური ერთეულების გამოყოფისას გამოყენებული იქნეს ეგრეთ წოდებული ასოციაციური კულტურული ლანდშაფტები (Веденин, Кулишова, 2001) - მაგალითად, ადგილები, დაკავშირებული გამოჩენილ ადამიანებთან, ისტორიულ ბრძოლებთან და ა.შ.

9. რადგანაც, თანამედროვე პერიოდში ურბანიზაცია და მასთან დაკავშირებული რეკრეაცია ხდება სივრცის ათვისების წამყვანი ფაქტორი (მნიშვნელოვანწილად გამოდევნის რა სასოფლო-სამეურნეო ათვისებას), განუზომლად იზრდება მათი როლი კულტურული ლანდშაფტების ფორმირებაში. ურბანიზებული ტერიტორიები ხდება თანამედროვე კულტურულ-ლანდშაფტური დიფერენციაციის ბირთვი. მსხვილი სოფლები, ქალაქები, ასევე მათი პირდაპირი გავლენის ზონები მიზანშეწონილია განვიხილოთ, როგორც გარკვეული კულტურულ-ლანდშაფტური ერთეულები.

10. კულტურული-ლანდშაფტური ერთეულების საზღვრები დამოკიდებულია ტერიტორიის ბუნებრივი არაერთგვაროვნების ხარისხზე იმდენად, რამდენადაც მან გავლენა იქონია და აქვს ბუნებათსარგებლობის ხასიათზე. თუ სხვადასხვა ბუნებრივი ლანდშაფტების ათვისება ხდება ერთნაირი სახით, მაშინ ისინი შეიძლება გავაერთიანოთ ერთ კულტურულ ლანდშაფტში. შესაბამისად, ერთგვაროვანი ბუნებრიობით გამორჩეული ლანდშაფტი ბუნებათსარგებლობის სხვადასხვა მოდელის რეალიზაციის შემთხვევაში დიფერენცირდება, როგორც სხვადასხვა, კულტურული ლანდშაფტი.

11. რადგან კულტურულ-ლანდშაფტური ერთეულები საზღვრებს აქვს სხვადასხვა წარმოშობა (ბუნებრივი, ეთნიკური, პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვ.), მათი გატარებისას გამოიყენება „მცურავი მაჩვენებლის“ მეთოდი (Смирнягин, 1989).

12. კულტურული ლანდშაფტების დინამიურობა განსაზღვრავს რუკების ლეგენდის მკვეთრ დროით მიკერძოებულობას და საჭიროა მათი მუდმივა განახლება.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული გარკვეული ცვლილებები დაკავშირებულია ლანდშაფტური ერთგვაროვნების პრინციპის შემოტანასთან, ბუნებრივი თავისებურებების და ტერიტორიის ათვისების (გაკულტურების) მატერიალურ ნიშანთვისებების გარდამავალ უპირატესობასთან, საკვლევი ტერიტორიის სიდიდესთან (Maghlakelidze & Maghlakelidze, 2019).

აღნიშნულ საფუძველზე, ზემოთ აღწერილი მიდგომა გამოსაყენებელია არა მარტო მსხვილი რეგიონის დარაიონებისათვის, არამედ სხვადასხვა სიდიდის რეგიონის კულტურულ-ლანდშაფტური

რუკის შედგენისათვის, სხვადასხვა რანგის (ლანდშაფტიდან ფაციესამდე) ბუნებრივ-კულტურული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაციის, იერარქიის დადგენასა და გამოყოფისათვის.

ამრიგად, თუ განვიხილავთ საგურამო-იალნოს გეოგრაფიული პოლიგონის ქვედა ბაზის-ყოფილი მარტყოფის სტაციონარის ტერიტორიას, კულტურული ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების სივრცობრივი იდენტიფიკაციის, იერარქიის დადგენისა და გამოყოფის თვალსაზრისით, შეიძლება ვთქვათ:

რეგიონი მდებარეობს ორი ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეულის, მთისწინების კულტურული და ქვედამთის ტყის ბუნებრივი ლანდშაფტების მიჯნაზე და სოფელ მარტყოფის უწყვეტი გაფართოების ზონაში. აქვს მდიდარი სამეურნეო, პოლიტიკური, ეთნიკური, მეცნიერული ისტორია.

აქ ზოგიერთი კულტურულ-ლანდშაფტური ერთეულის საზღვრი შეესაბამება ბუნებრივ ზღუდეებს, ტერიტორიის ათვისების მკვეთრად გამორჩეული ხასიათის მიუხედავად. ეს ეხება სხვადასხვა რანგის კულტურულ-ლანდშაფტურ ერთეულებს, რომელიც მდებარეობს ტერიტორიის ჩრდილო დასავლეთით.

სხვა შემთხვევაში საზღვრები გაივლება სხვადასხვა მნიშვნელობების ერთობლიობით, უპირატესად ტერიტორიის სამეურნეო ფუნქციის მიხედვით. ესაა, სასოფლო სამეურნეო ათვისება, სავარგულების სტრუქტურა, დასახლების სიმჭიდროვე, დასახლების ტიპი და განლაგება, ეთნოკულტურული და ტოპონიმიკური თავისებურებები.

კულტურული ლანდშაფტური ერთეულების საზღვრები განსხვავებული იქნება გამოსახვის ხარისხით: ზოგ შემთხვევაში ისინი გამოიყოფა ცალსახად, სხვა შემთხვევაში კი გავლებული იქნება პირობითად.

**ბიბლიოგრაფია:**


*European Landscape Convention.* (2000).

Maghlakelidze, R., & Maghlakelidze, G. (2019). European Landscape Convention: Cultural Landscape and Sustainable Development of the Region. *Ivane Javakhishvili Tbilisi State University, The Seventh Annual Conference in Exact and Natural Sciences.* Tbilisi.

UNESCO. (1992). *World Heritage Convention.*

Веденин, Ю. А., &Кулешова, М. Е. (2001). Культурный ландшафт как объект культурного и природного наследия. *Известия Российской академии наук. Серия географическая*(№1), 7-14.

Гродзинский, М. Д. (2005). *Познание ландшафта: место и пространство.* Киев: КНУ.

Исаченко, Т. Е., & Исаченко, Г. А. (2017). Подходы к районированию культурных ландшафтов. *Ландшафтные Измерения Устойчивого Развития: Исследование – Планирование – Управление: Материалы Международной конференции* (стр. 305-314). Тбилиси: Издательство Тбилисского государственного университета имени Иване Джавахишвили. Получено из https://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/media/proceedings_part1_2017.pdf

Каганский, В. Л. (2009). Культурный Ландшафт: Основные концепции в российской географии. *Обсерватория культуры*(#1), 62-70.

Калуцков, В. Н. (2008). *Ландшафт в культурной географии.* Москва: Новый Хронограф.

Красовская, Т. (2017). Реализация современной концепции культурного ландшафта для устойчивого развития северных территорий. *Ландшафтные измерения устойчивого развития: Исследование – Планирование – Управление: Материалы международной конференции* (стр. 315-322). Тбилиси: Издательство Тбилисского государственного университета имени Иване Джавахишвили. Получено из https://icldscartogis.tsu.ge/assets/media/uploads/media/proceedings_part1_2017.pdf

Митин, И. И. (2005). Палимпсест, место как палимпсест (Материалы к словарю гуманитарной географии). *Гуманитарная география: Научный и культурно-просветительский альманах.*

Смирнягин, Л. В. (1989). *Районы США: Портрет современной Америки.* Москва: Мысль.

***Robert Maghlakelidze*,*Giorgi Maghlakelidze***
*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

## SOME ISSUES OF SPATIAL IDENTIFICATION, ESTABLISHING OF HIERARCHY AND ALLOCATION OF CULTURAL NATURAL-TERRITORIAL COMPLEXES

## RESUME

On the basis of the Landscape Convention of the Council of Europe, the landscape became one of the most important key research object into geographic scientific research. According to this Convention, "Landscape" is an area perceived by people whose nature is the result of impact and interaction of natural and / or social factors (Council of Europe, 2000).

Currently, with the understanding of "Landscape", the concept of "cultural landscape" has also obtained the unusual popularity that has been introduced in the scientific application by A. Humboldt, O. Schutter, K. Zauer and B. Semionov-Tian-Chanski in XX century. The UNESCO World Heritage 1992 Convention examines the concept of "cultural landscape" as "the common creature of nature and human ".

The new approach to today's "landscape" and "cultural landscape" is dramatically different from traditional approaches of these concepts. Therefore, many things in landscape science and research are to be reevaluated, a new vision is to be developed.

The report deals with some issues of spatial identification, establishing of hierarchy and allocation of cultural natural-territorial complexes.

***Keywords:*** Geography, Landscape, Map, Convention.

***გიორგი მძინარაშვილი***
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## გორის თავისუფალი ჭიდაობის სპორტსმენების, მათი მწვრთნელებისა და ვეტერანი სპორტსმენების ანკეტირება (გამოკითხვა), სპორტულ დაზიანებათა გამომწვევ მიზეზებზე და მათ პროფილაქტიკაზე

***საკვანძო სიტყვები:*** ტრავმა, სპორტსმენი, მწვრთნელი, ჭიდაობა, პროფილაქტიკა.

ტრავმა - ეს არის გარე ზემოქმედების შედეგად მიღებული ქსოვილის დაზიანება. ტრავმის შედეგად შეიძლება შეიცვალოს ქსოვილის სტრუქტურული მთლიანობა.

სპორტული ტრავმა - ეს არის ზიანი, რის შედეგადაც ხდება ტრავმირებული ორგანოს ანატომიური სტრუქტურისა და ფუნქციის ცვლილება. სირთულის მიხედვით ტრავმები იყოფა: მსუბუქი, საშუალო და მძიმე ტრავმებად.

სპორტის სხვადასხვა სახეობაში ტრავმატიზმი ერთნაირი არ არის. ვარჯიშზე, შეჯიბრზე და სასწავლო-საწვრთნო შეკრებებზე მიღებული ტრავმების მაჩვენებელი განსხვავდება. ლიტერატურულ მონაცემებზე დაყრდნობით ყველაზე ხშირად ტრავმები ხდება შეჯიბრზე, შემდეგ ვარჯიშზე და ბოლოს სასწავლო-საწვრთნო შეკრებებზე.

თავისუფალი ჭიდაობა ურთულესი სპორტის სახეობაა, რომელიც მოითხოვს მზადების პროცესში რაციონალურ და დახვეწილ სასწავლო-საწვრთნო მეთოდიკას და რა თქმა უნდა ამ მეთოდიკის მიზანმიმართულ და ეფექტურ გამოყენებას, ყველაფრის ამის საფუძველზე სპორტსმენის მაქსიმალურ

მობილიზაციასა და კონცენტრაციას შეჯიბრის მოსაგებად. მოგეხსენებათ სპორტის სახეობებს შორის თავისუფალი ჭიდაობა ილეთების მოცულობითა და რაოდენობით დომინირებს. მის მრავალრიცხოვან არსენალს და ფილიგრანულ ტექნიკას წარმოადგენს როგორც დგომის, ასევე ჩოქბჯენის ილეთები. დგომის ილეთებს წარმოადგენენ: გადაყვანები, გდებები, წაქცევები. ჩოქბჯენში: ტრიალები და გდებები. დასაშვებია გადაყვანების, გდებების და წაქცევების შესრულება ფეხში შესვლის შემდეგ, კეთდება ილეთები ფეხის გამოყენებით, სხვადასხვა მიმართულებითა და ტრაექტორიით. ამასთან ერთად ჭიდაობის ამ სახეობაში იკრძალება: მტკივნეული ილეთები და მახრჩობელები. ყოველივე ეს აღნიშნავს იმას, რამდენად რთულია ამ ჭიდაობაში ასპარეზობა და გამარჯვება. რამდენადაც რთულია სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესი, იმდენად რთულია მასში არსებული მიზნის მიღწევა, რომელიც მოითხოვს როგორც სპორტსმენისგან, ასევე მწვრთნელისგან დიდ ძალისხმევას.

რამდენადაც ბევრი ილეთის, კონტრილეთის და დაცვითი ილეთის ფლობა სჭირდება მოჭიდავეს და მათი შესრულება, იმდენად ბევრი კრიტიკული და რთული სიტუაცია ხვდება სპორტსმენს ასპარეზობისას და ზუსტად ესაა ყველაზე ხშირად სპორტულ დაზიანებათა გამომწვევი მიზეზი როგორც თავისუფალ ჭიდაობაში, ასევე ჭიდაობის სხვა სახეობებში და ზოგადად ყველა სპორტში. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მიზეზისა, საკუთარი პრაქტიკის და გამოცდილების საფუძველზე და არსებულ მატერიალურ თუ ლიტერატურულ მასალებზე დაყრდნობით ჩვენ შევადგინეთ ანკეტა, რის საფუძველზეც გორის ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლის ბაზაზე ჩავატარეთ ანკეტირება როგორც სპორტსმენებისა, ასევე მათი მწვრთნელებისა. სულ გამოკითხვაში მონაწილეობდა 35 სპორტსმენი (სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის და გამოცდილების), 7 მწვრთნელი და 5 ვეტერანი მოჭიდავე.

სპორტის მეცნიერებაში არსებობს ბევრი საშუალება და შესაძლებლობა, რომლითაც შეიძლება სწორად წარიმართოს სასწავლო-საწვრთნო პროცესი, მოხდეს მასში კორექტირების შეტანა და შემდგომ ამ პროცესის ახალი ეტაპისა და საფეხურის დაგეგმვა.

ანკეტირება არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, რომელიც გვაძლევს არსებული საკითხის შესახებ რეალურ სურათს. ანკეტირება მოიცავდა 10 საკითხს, ოთხი საკითხი იყო ანამნესტიკური ხასიათის. ქვემოთ წარმოგიდგენთ ანკეტის ფორმას:

**ანკეტა სპორტსმენებისთვის, მწვრთნელებისათვის და ვეტერანი სპორტსმენებისათვის თავისუფალ ჭიდაობაში:**

**1. სახელი, გვარი:**

**2. ასაკი:**

**3. ვარჯიშის სტაჟი (ხანგრძლივობა): მწვრთნელობის სტაჟი:**

**4. ყველაზე დიდი შედეგი (შედეგები) ჭიდაობაში:**

**5. მიღებული ტრავმა (ტრავმის ფორმა და კატეგორია), თუ ესეთი არსებობს:**

**6. ტრავმის მიზეზი:** 1). დაღლა, გადაღლა, გადაწვრთნა, გადაწვა; 2). დიდი დატვირთვა; 3). ძლიერი მოწინააღმდეგე; 4). მძიმე მოწინააღმდეგე; 5). ცუდი ტანსაცმელი, ცუდი ფეხსაცმელი; 6). ცუდი მოთელვა; 7). გადატვირთული დარბაზი; 8). ცუდი ილეთი მოწინააღმდეგის მხრიდან; 9). შენს მიერ არასწორად გაკეთებული ილეთი; 10). არასაკმარისი ფიზიკური მომზადება; 11). არასაკმარისი ტექნიკური მომზადება; 12). ფსიქოლოგიური ფაქტორი (ცუდი განწყობა, შიში, გულგრილობა ვარჯიშისადმი); 13). ყურადღების მოსუსტება; 14). მოწინააღმდეგის არაობიექტურად შეფასება; 15). ცუდი საჭიდაო ლეიბი: 16). სიცივე დარბაზში; 17). არასწორად განლაგებული სავარჯიშოები დარბაზში; 18). არასწორად განლაგებული წყვილები დარბაზში; 19). უძილობა; 20). წონის დაკლება; 21). მშიერ მდგომარეობაში ყოფნა; 22). ახალი ნაკვებ მდგომარეობაში ყოფნა; 23). ალკოჰოლი ან სხვა მავნე ჩვევასთან დამოკიდებულება; 24). სხვა....... (.............................................................................................................................).

**7. ჰქონდა ტრავმას განვითარება?.....................................................................................................**

**8. ჩატარებული მკურნალობა (მკურნალობის ვარიანტები):** 1). დრო; 2). მასაჟი; 3). მედიკამენტები (წამლები: ტაბლეტები, ნემსები); 4). სხივები; 5). ფიზიოთერაპია; 6). ქირურგიული ჩარევა (ოპერაცია); 7). მალამო. 8). იოგა; 9). სხვა; 10). კიდევ როგორი იცით? .........................................................................................................................................

**9. რამდენად გიშლით, შეგიშალათ ტრავმამ როგორც ჭიდაობის კარიერაში ასევე ცხოვრებაში, დღევანდელი მდგომადეობა: ....................................................................................................................................................................... ...............................................................................................................**

**10. როგორი რთული ტრავმები იცით თავისუფალ ჭიდაობაში: ...............................................................................................................................................**

როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ანკეტირებაში (გამოკითხვაში) მონაწილეობდნენ როგორც აქტიური სპორტსმენები, ასევე მათი მწვრთნელები და ვეტერანი სპორტსმენები. მოგეხსენებათ გორის საჭიდაო სკოლა და კერძოდ თავისუფალი ჭიდაობის სკოლა, ყოველთვის გამოირჩევა დიდი და გრანდიოზული შედეგებით. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება. გამოკითხვაში არსებულ საკითხებზე მონაწილეობდნენ წარმატებული და პერსპექტიული სპორტსმენები, სპორტსმენები, რომლებსაც დიდი წარმატებები აქვთ საერთაშორისო ასპარეზზე. უმაღლესი კატეგორიისა და დამსახურებული მწვრთნელები, ვეტერანი სპორტსმენები - დამსახურებული სპორტის ოსტატები. გამოკითხულ სპორტსმენთა ასაკი არის 15-დან 21 წლის ჩათვლით. ამ სპორტსმენების ვარჯიშის დაწყების ასაკი არის 7-10 წელი, ჭიდაობაში მოღვაწეობის ხანგძლივობა შეადგენს 5-დან 13-ზე მეტ წელიწადს. რაც შეეხება მათ მიერ მიღწეულ წარმატებებს, წარმატებები ბევრია, ეს არის: ეროვნულ პირველობებზე და ჩემპიონატებზე გამარჯვებები, გამარჯვებები ევროპისა და მსოფლიო პირველობებზე და ჩემპიონატებზე, ამ ყველაფერს ემატება ბევრი მედალი დიდ საერთაშორისო ტურნირებზე.

შეკითხვაზე თუ რა ტრავმები გაქვთ მიღებული, სპორტსმენებმა დაასახელეს შემდეგი: წელის კუნთებისა და ნერვების დაზიანება, მხრის სახსარში ხელის ამოვარდნა, კისრის კუნთების ტრავმა, ხერხემლის ტრავმა, ხელისა და ფეხის სხვადასხვა ადგილებში მოტეხილობა, თითების მოტეხილობა და ამოვარდნა. გამოკითხულთა საბედნიეროდ 3 სპორტსმენს სერიოზული ტრავმები არ ჰქონიათ. რაც შეეხება მწვრთნელებსა და ვეტერან სპორტსმენებს, მათი ასაკი არის 39-დან 63 წლამდე, ვარჯიშის ხანგრძლივობა აქტიურ სპორტში 10-დან 25 წლამდე, მწვრთნელად მუშაობის სტაჟი 5-დან 40 წლამდე. ამ დამსახურებულ სპორტსმენებში არიან საქართველოს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები და პრიზიორები როგორც კადეტებში, ასევე ახალგაზრდებსა და დიდებში - ოლიმპიური თამაშების მონაწილეები, მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულები.

საკითხზე, თუ რა ტრავმები აქვთ მიღებული, მათ დაასახელეს შემდეგი: ხელის (ხელების) მოტეხილობა იდაყვის სახსარში, საზარდულის დაზიანება, ნეკნების გადაცდენა, ხელის ამოვარდნები სხვადასხვა სახსარში, მუხლის სახსრის დაზიანება, კისრის მალებისა და კუნთების დაზიანება, ფეხის მყესების გაწყვეტა. ყველა გამოკითხული რესპონდენტი ტრავმების მიღების მიზეზს ასახელებს: ცუდი ილეთები მოწინააღმდეგის მხრიდან, მძიმე მოწინააღმდეგე, ცუდი მოთელვა, მათ მიერ არასწორად შესრულებული ილეთი, არასაკმარისი ფიზიკური მომზადება, არასაკმარისი ტექნიკური მომზადება, ყურადღების მოსუსტება, წონის დაკლება, მშიერ მდგომარეობაში ყოფნა, დაღლა (გადაღლა), დიდი დატვირთვა. ანკეტაში ჩამოთვლილი ტრავმების გამომწვევი მიზეზების გათვალისწინება აუცილებელია ტრავმების პრევენციის მიზნით.

რაც შეეხება ვეტერან სპორტსმენებს და მწვრთნელებს, მათი ტრავმების მიზეზი იყო: ცუდი (სუსტი მოთელვა), ყურადღების (განწყობის) მოსუსტება ვარჯიშის დროს, მძიმე მოწინააღმდეგე, ადგილი ჰქონდა ფსიქოლოგიურ ფაქტორს (ცუდი განწყობა), უხარისხო საჭიდაო ლეიბი, სიცივე დარბაზში, წონის დაკლება, ძლიერი მოწინააღმდეგე, არასაკმარისი ტექნიკური მომზადება, ცუდი ილეთი მოწინააღმდეგის მხრიდან.

რაც შეეხება საკითხს, ჰქონდა ტრავმებს განვითარება ან გართულება, როგორც აქტიურმა, ასევე ვეტერანმა სპორტსმენებმა და მწვრთნელებმა აღნიშნეს, რომ ტრავმებს უმეტეს შემთხვევაში განვითარება ჰქონდა.

ჩატარებულ სამკურნალო პროცედურებს შორის გამოიკვეთა ანკეტაში წარმოდგენილი მკურნალობის ყველა ფორმა.

მიღებული ტრავმები ხელს უშლის ყველა მოჭიდავეს როგორც პრაქტიკულად ჭიდაობაში, ასევე სპორტსმენების დიდ ნაწილს ცხოვრებაში.

სპორტსმენებს ბევრჯერ უნახავთ მსგავსი სირთულის ტრავმები სხვებზე ჭიდაობისას: შეჯიბრზე, სასწავლო-საწვრთნო შეკრებებზე, ვარჯიშზე.

ანკეტაში მოყვანილ ტრავმის გამომწვევი მიზეზების გარდა ჩვენ წარმოგიდგენთ რამდენიმე წესს, რომელიც დაცული უნდა იყოს ჭიდაობაში მოღვაწე როგორც სპორტსმენის, ასევე მწვრთნელის მიერ:

1. მოჭიდავე უნდა სწავლობდეს და ფლობდეს სწორ ტექნიკას, ტექნიკურ მოჭიდავეების ასპარეზობაში და პაექრობაში ტრავმები ფიქსირდება მინიმალური პროცენტით;

2. სასწავლო-საწვრთნო პროცესი უნდა მიმდინარეობდეს კომპეტენტური, პროფესიონალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, რომელიც ასწავლის მოჭიდავეებს სწორ, უსაფრთხო ჭიდაობას;

3. ხარისხიანი და საფუძვლიანი მუშაობა უნდა სრულდებოდეს მოქნილობაზე, ეს მაჩვენებელი ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც სხვა ფიზიკური თვისებების როლი. მოქნილი მოჭიდავეები ნაკლებად იღებენ ტრავმებს;

4. უნდა ავარიდოთ თავი სახიფათო მოვლებზსა და აკრძალულ ილეთებს. მწვრთნელებმა და მსაჯებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური ორთაბრძოლებს და მოითხოვდნენ სპორტსმენებისგან წესების დაცვას;

5. წონის დაკლების პროცესი უნდა იმართებოდეს თანამიმდევრულად და არა ნაჩქარევი პრინციპით შეჯიბრის მოახლოების დროს;

6. ტანსაცმელი და ფეხსაცმელი უნდა იყოს ტანზე მომჯდარი, საჭიროების შემთხვევაში მოჭიდავე უნდა იყენებდეს დამცავ საშუალებებს;

7. შეხვედრის დაწყებამდე იკრძალება ტანზე მალამოების ან სხვა ნივთიერებების წასმა და გამოყენება, ეს შეიძლება ტრავმის მიზეზი გახდეს;

8. ფრჩხილები დაჭრილი უნდა იყოს;

9. საჭიდაო ლეიბი (ხალიჩა) უნდა იყოს იდეალურად სუფთა.

**ბიბლიოგრაფია:**

ზუბიტაშვილი, გ. (2018). *ძიუდოს თეორია და მეთოდიკა.* თბილისი.

სვანიშვილი, რ. (1973). *ფიზიკური კულტურა და ჯანმრთელობა.* თბილისი: საბჭოთა საქართველო.

ჩიქოვანი, ლ. (1996). *სპორტული მასაჟი.* თბილისი: განათლება.

Nitz, J., & Hourigan, S. (2004). *Physiotherapy Practice in Residential Aged Care.*

Pountney, T. (2007). *Physiotherapy for Children.*

Боголюбов, В. М., & Пономаренко, Г. Н. (1998). *Общая физиотерапия.* Москва.

Буянов, В., & Нестеренко, Ю. (2000). *Первая медицинская помощь.* Москва.

Карпмана, В. Л. (1987). *Спортивная медицина.*

Пономаренко, Г. Н. (Ред.). (2005). *Частная физиотерапия.* Москва.

***Giorgi Mdzinarashvili***

*Gori State University*

## QUESTIONARE FOR GORI FREESTYLE WRESTLING COACHES AND ATHLETES ABOUT CAUSES OF SPORT TRAUMAS AND THEIR PREVENTIONS

**RESUME**

The number of traumas in sport, especially in freestyle wrestling should be reduced. Every teacher, coach, and athlete should be intensively involved in the process of preventing traumas in sport. Also, it’s necessary to know about the peculiarities of traumas, causes, and conditions, and to take them info consideration. In this process, external and internal factors may take place. One of the main causes of traumas is the mistakes made in teaching-coaching process and methods. It is mainly caused by the mistakes that was made by coaches in the process of teaching and coaching. Because of that every person, involved in this process should follow the rules.

***Keywords:*** Trauma, Athlete, Coach, Wrestling, Prevention.

*ნელი პაპუკაშვილი*
*საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის*
*სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*

# სწორი ტანდეგობის ჩამოყალიბების მეთოდური ასპექტები

*საკვანძო სიტყვები:* ტანადობა, ტანადობის ვარჯიშები, სიარული, ტანის ვარჯიშები, ზედა და ქვედა კიდურების ვარჯიშები.

ტანის სწორი ტანდეგობა, გარდა დიდი ესთეტიკური ღირებულებისა, მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ იქმნება ხელსელსაყრელი პირობები შინაგანი ორგანებისა და საყრდენ-მამოძრავებელი აპარატის გამართული ფუნქციონირებისათვის. მოგეხსენებათ, ჯანმრთელი, მოქნილი, ჰარმონიულად განვითარებული სხეული, მტკიცე კუნთური მასით და სწორი ტანადობით, მშვენიერია და მომხიბვლელი.

ჩვენთვის ცნობილია, რომ ყოველი ფიზიკური ვარჯიში, ამ თუ იმ ხარისხით, მოქმედებს ადამიანის გარგან ფორმასა და ტანადობაზე. ქვემოთ მოვიყვანთ სპეციალური ვარჯიშების რამდენიმე ნიმუშს:

1) ტანვარჯიშულ კედელთან დგომში, მასზე მჭიდროდ მიწოლა კეფით, ბეჭებით, დუნდულებითა და ქუსლებით;

2) იგივე მდგომარეობის მიღება და მისი შენარჩუნება 5-8 წამის და მეტი ხნის განმავლობაში, კედლიდან ერთი ნაბიჯის წინ გადადგმის შემდეგ;

3) ზურგზე წოლით მდგომარეობაში, ფეხები ოდნავაა მოხრილი მუხლებში, ტერფები იატაკზეა, ხელები ტანის გასწვრივ, იატაკზე წელით მჭიდროდ დაჭერა (დაწოლა);

4) საწყისი მდგომრეობა იგივეა: ფეხების წინ გაჭიმვა, ტერფების იატაკიდან მოუცილებლად და იატაკზე წელით მჭიდროდ დაწოლით;

5) იატაკზე ჯდომი მოხრილი ფეხებით, ხელები თეძოებთან დაყრდნობილი, ფეხების გაჭიმვა რამდენადაც შეიძლება შორს და წინ, ტერფის იატაკიდან მოუცილებლად და ტანის ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნებით.

სწორი ტანდეგობის (ტანადობის) ჩამოყალიბება მხოლოდ სპეციალური ვარჯიშების გამოყენებით არ ამოიწურება. ვარჯიშთა ისეთი სახეები, როგორიცაა: დრეკადი მოძრაობები, ტალღა, აქნევები, რომლებიც დაკავშირებულები არიან ხერხემლის დიაპაზონურ მოძრაობასთან და მენჯის მდგომარეობის ცვლილებებთან, აგრეთვე ხელს უწყობენ სწორი ტანდეგობის ფორმირებას და განვითარებას.

აუცილებელია, აგრეთვე მომეცადინეებს განუვითაროთ სხეულის ცალკეული ნაწილების სწორი მდგომარეობის შეგრძნება. ამ კუთხით უნდა შევეხოთ ისეთ მარტივ და ფუნდამენტურ მოძრაობას, როგორიცაა - **სიარული.**

ჩვეულებრივი სიარული, სწორი ტანგამართულობისა (ტანდეგობის) და მოძრაობის დრეკადობის საფუძველია. სიარულში ვარჯიშის დროს აუცილებელია მოძრაობის თანაზომიერებას მივაღწიოთ. ტან-ვარჯიშული ხასიათის სიარულში (როდესაც მხედველობაში გვაქვს სწორი ტანდეგობა) ისახება ამოცანა – გამომუშავებულ იქნეს მოძრაობის გამომსახველობა სიარულში, როგორც უმარტივესი სამოძრაო ფორმა.

1. რბილი ნაბიჯი – როგორც ცეკვითი ელემენტი, ნაბიჯის უმარტივესი სახეა. რბილი ნაბიჯი სრულდება ფეხის ცერიდან ქუსლზე მოკლე გადაგორებით, მუხლის ოდნავ მოხრით (მუხლის შემსუბუქე-ბით). საჭიროა შევინარჩუნოთ, სწორი ტანგამართულობა, დაუძაბავად, ხელების მცირე, თავისუფალი ქნევები გვერდით სიბრტყეში და თვალყური ვადევნოთ, რათა ადგილი არ ჰქონდეს არეკნს. რბილი ნაბ-იჯი ქმნის ძალდაუტანებლობის, თავისუფლებისა და სიმსუბუქის შეგრძნებას.

2. გადაგორებითი ნაბიჯი სრულდება ისევე, როგორც რბილი ნაბიჯი, მხოლოდ გამართული მუხ-ლით ფეხის ცერზე, ფეხის ცალკეული დაყრდნობის ფაზის დროს. შესამჩნევია მერყეობა ვერტიკალური მიმართულებით. ხელის ქნევის ამპლიტუდა მეტია, ვიდრე ზემოხსენებული ნაბიჯში. მუხლში მოხრის გაზრდა ქუსლზე გადაგორებისას და ნაბიჯის სიგრძის შემცირება, აახლოებს რა გადაგორებით ნაბიჯს დრეკადთან, უფრო ნათლად ავლენს ტანის ვერტიკალურ რყევას.

3. დრეკადი ნაბიჯი სრულდება ფეხებით, დრეკადი მოძრაობის სრულ ამპლიტუდაზე. ნაბიჯის სიგრძე უმნიშვნელოა. საჭიროა გამახვილებული იქნეს ყურადღება ფეხების მოძრაობის ელასტიკურობასა და დრეკადობაზე. დრეკადი ნაბიჯი ხასიათდება ფეხის ცერზე აწევისას (ცალკეული საყრდენის ფაზაში) გარკვეული შეჩერებით და მთელი ტანის მძლავრი გამართვით. ნაბიჯის ზემოთ აღწერილი სამი ნაირსა-

ხეობა წარმოადგენენ სირბილისა და ხტომების ყველა სახის მოსამზადებელ ვარჯიშებს, ვინაიდან ავითარებენ ელასტიკურ და მტკიცე ნაბიჯს.

4. მკვეთრი ნაბიჯი (სურ. 1). მარცხენით (მარჯვენის) ნაბიჯი წინ, მარჯვენა (მარცხენა) ფეხის წინ გატანით და, მისი დადგმით თითების ბოლოებზე, ტერფის ზედაპირის მძლავრი დაჭიმვით. მარცხენა ფეხის წვივი პარალელური უნდა იყოს მარჯვენა ფეხის წვივისადმი. მკვეთრი ნაბიჯი სრულდება მოწყვეტილად, მკვეთრად, ტანი გამართულია. ამ ნაბიჯის გამომსახველობითობა განისაზღვრება მისი სახელწოდებით. მოძრაობა უნდა იყოს მკვეთრი, მკაფიო და „მახვილი“.



სურ. 1

5. მაღალი ნაბიჯი სრულდება თეძოს მაღლა აწევით, წვივი სწორი კუთხით (საყრდენი ფეხის პარალელურია). თეძო უნდა გამოვიტანოთ თავისუფლად (ქნევით) და შევინარჩუნოთ სხეულის ვერტიკალური მდგომარეობა (არ უნდა დავიხაროთ წინ ან უკან).

6. განიერი ნაბიჯი – ვარდნები ხელების თავისუფალი ქნევებით გვერდით სიბრტყეში. უკან მდებარე ფეხი გამართული და დაყრდნობილია ცერზე, ტანი რამდენადმე წახრილია წინ, თავი პირდაპირ. განიერი ნაბიჯი მოსამზადებელი ვარჯიშია ხტომისა და განიერი ნაბიჯებით სირბილისათვის.

7. ვალსური ნაბიჯი – სამი ნაბიჯის შერწყმაა: პირველი – მთელ ტერფზე გადაგორებით, მეორე და მესამე – ცერებზე. სამივე ნაბიჯის სიგრძე ერთნაირი უნდა იყოს, ეს განასხვავებს ვალსური ნაბიჯებით სიარულს ვალსის ძირითადი ფორმისაგან, სადაც უკანასკნელი ნაბიჯი – ფეხის მიდგმაა. ნაბიჯების თანაზომიერება არ არღვევს ვალსის რიტმულ სტრუქტურას და მოძრაობას აძლევს სინარნარესა და ერთიანობას.

8. ნავარდის ნაბიჯი – მიდგმით ნაბიჯია, რომელიც სრულდება ფეხის ცერზე. ამასთან, ერთი ფეხი მიედგმება მეორეს მოკლე სწრაფი მოძრაობით, მცირე ხტომაში, რომლის მომენტშიც მუხლები გამართული და ცერები გაჭიმული უნდა იყოს. ნავარდის ნაბიჯი ხასიათდება სიმსუბუქით, სიმხნევით და გამოცოცხლებით.

9. პოლკის ნაბიჯი – ცვალებითი ნაბიჯია, რომელიც სრულდება მცირე წახტომით საყრდენ ფეხზე ნაბიჯის შეცვლისას; შესრულებულ უნდა იქნეს ფეხის ცერებზე დიდი სიმსუბუქით.

ტანდეგობის განვითარებისთვის ასევე უნდა გამოვიყენოთ ზოგადი განვითარების ვარჯიშები.

ეს ვარჯიშები გვეხმარებიან მრავალმხრივ ფიზიკურ მომზადებაში. ისინი ხელს უწყობენ უმნიშვნელოვანეს, აუცილებელ სასიცოცხლო ჩვევების განვითარებასა და ერთდროულად მომეცადინეებში ავითარებენ ტანდეგობის გამოსამუშავებლად საჭირო მოძრაობებს.

ასეთი ვარჯიშები შეიძლება იყოს ცალკე ტანის, ცალკე ზედა კიდურების, ცალკე ქვედა კიდურების ვარჯიშები, რომლებიც თავისი კუთხით ავითარებენ სწორ ტანადობას.

**ტანის ვარჯიშები**

ტანის გასავარჯიშებლად თუ მოსათელად შეიძლება იყოს გამოყენებული ტანის ზნექები და წრიული მოძრაობები, სხვადასხვა საწყისი მდგომეროზბიდან, ხელების დამატებითი მოძრაობებით.

1. ჩოქდგომი. ხერხემლის გაზნექი, თავის უკუზნექი (სურ. 2. ა) და ხერხემლის მომდევნო გაზნექი თავის წინზნექით (სურ. 2, ბ) მოძრაობა უნდა იწყებოდეს წელის მიდამოდან.



სურ. 2.

2. ამ დგომარეობაში შეიძლება სხვა მოძრაობები შესრულდეს: ხერხემლის გაზნექი ხელების მომდევნო, რიგრიგობითი წინ გადადგმით, მკერდის იატაკზე შეხებამდე. თეძოებს იატაკის მიმართ სწორი კუთხე აქვს.

3. ჯდომზჯენი ქუსლებზე: ხერხემლის ერთდროული გაზნექი და თავის წინ და ოდნავ გადაწევა; წელის მიდამოში გაზნექით, ხელების მოღუნვითა და თავის უკუზნექით საწყის მდგომარეობაში დაბრუნება

4. ჯდომბჯენი ქუსლებზე, უკუმკლავი, თითები ერთმანეთში ჩაჭდობილი; ხერხემლის ჩაზნექვა და ამოზნექვა წელის მიდამოში;

5. იგივე, თავისა და მხრების წინ (სურ. 3, ა) და უკან (სურ. 3, ბ) დახრით;




სურ. 3.

6. სახით ტანვარჯიშული (შვედური) კედლისკენ, კედელთან მჭიდროდ მდგომი მომეცადინე ხელებით მანაზე ეყრდნობა წელის დონეზე; რკალისებური უკუზნექი.

ყველა ვარჯიში რკალისებურ ზნექებში შეიძლება შესრულებული იქნეს წყვილებში. (სურ. 4);




სურ. 4.

7. გადაძლევის ტიპის წყვილთა ვარჯიშები. (სურ. 5);

8. მარჯვენის წინფეხა ცერზე, უკუზნექი, მარცხენა ხელი ეხება იატაკს (სურ. 6)





სურ. 5. სურ. 6.

**ქვედა კიდურების ვარჯიშები**

1. ტანვარჯიშულ კედელთან გვერდით დგომიდან ხელის ჩავლება მანაზე, თავისუფალი ხელით დოინჯი: წინფეხა ცერზე (ქუსლი შიგნით) და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება. მოძრაობა სრულდება ფეხის კუნთების დიდი დაძაბულობით (სურ. 7);

2. ცალი ფეხის გადაადგილებები:

- ტანვარჯიშულ კედელთან გვერდით დგომში, ხელის ჩავლება მანაზე, თავისუფალი ხელით დოინჯი, მარცხენა ფეხის მოღუნვა წინ ტერფის დაბჯენით საყრდენ ფეხზე: ფეხის გამართვა წინ და საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;
- ძირითადი დგომი: ფეხის მოღუნვა წინ, ტერფი ცურავს საყრდენი ფეხის წვივის გასწვრივ, ზევით; ფეხის წინ გამართვით, საწყის მდგომარეობაში დაბრუნება;

აღნიშნულ ვარჯიშებს, მათი ათვისების მიხედვით ემატება ხელების სხვადასხვა მოძრაობები და ზნექი წინ, განზე, უკან.

3. გადაადგილება მუხლებით. ცალ მუხლზე ჩოქბჯენის და მეორეს წინფეხის მდგომარეობიდან (სურ. 8, ა.) წინა ფეხის თანმიმდევრობითი მოღუნვით, მასზე სხეულის სიმძიმის გადატანა; ფეხი ცერზეა (სურ. 8, ბ.), რბილად დაშვება მუხლზე (სურ 8, გ.რუს.), რის შემდეგაც უკან მდებარე ფეხის გამოტანა წინ საწყის მდგომარეობაში.



სურ. 7.




სურ. 8.

**ვარჯიშები მხრის სარტყელისა და ზედა კიდურებისათვის**

1. განმკლავი: ბეჭების შეერთება და გაშლა.
2. მხრების რიგრიგობით ზევით აწევა.
3. დოინჯი: წრიული მოძრაობები მხრებით
4. ხელის მტევნის მოხრა, განზიდვა და წრიული მოძრაობები.

სრულდება სხვადასხვა ტემპში, მკვეთრად და ნარნარად.

5. წინმკლავი ხელისგულები შიგნით, მტევნები თავისუფლადაა ჩამოშვებული: განმკლავი, მტევნები მცირედ ჩამორჩება მოძრაობას და მიმართულია შიგნით; ხელების უკუმოძრაობისას, მტევნები მიმართულია გარეთ. სრულდება სხვადასხვაგვარად: მკვეთრად, ნარნარად, მდორედ, სწრაფად და ნელა.
6. წინმკლავი – მარჯვენის მტევანი ქვევით, მარცხენის ზევით, ხელის გულები მიმართულია ერთმანეთისკენ: მოკლე მოძრაობებით ხელების გაშლა და შეერთება ვერტიკალურ მდგომარეობაში. მტევნები შეერთების დროს იცვლიან მდგომარეობას. იგივე, საწყისი მდგომარეობიდან ზემკლავი.
7. განმკლავი – ხელის გულები ზევით: თითების რიგრიგობით მოხრა და გაშლა (მოძრაობის დაწყება ნეკიდან), გამართვის დროს ხელის გულები შებრუნდება ქვევით.
8. ხელების სხვადასხვა მოძრაობები, მტევნების მოძრაობების ჩამორჩენით: წრეები, რვიანები, კლაკნილები და სხვა. სრულდება პირისახით, გვერდით და ჰორიზონტალურ სიბრტყეში.

**ბიბლიოგრაფია:**

ბერიანიძე, ნ., & პაპუკაშვილი, ნ. (2012). *სპორტული აკრობატიკა. 2012-2016 წლების საკლასიფიკაციო პროგრამა.* თბილისი.

ბერიანიძე, ნ., პაპუკაშვილი, ნ., ტუღუში, მ., & გიგოლაშვილი, მ. (2018). *სპორტული აკრობატიკა, ცნებები და ტერმინები.*

კახიძე, გ. (რედ.). (2004). *ფიზიკური აღზრდისა და სპორტის თეორიისა და მეთოდიკის საფუძვლები* (ნაწ. I). თბილისი.

ლუაშვილი, ვ. (2007). *მეთოდური მითითებები.* თბილისი.

მნათობიშვილი, მ., & ტუღუში, მ. (2013). *აკრობატული ხტომები.* თბილისი.

პაპუკაშვილი, ნ. (2017). *საქართველოს სპორტის სოციალურ-ესთეტიკური ასპექტები (ტანვარჯიშის მაგალითზე).* დისერტაცია. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.

პაპუკაშვილი, ნ., ბერიანიძე, ნ., ლეშკაშელი, ნ., & ლუაშვილი, ვ. (2019). *აკრობატული ვარჯიშები საჯარო, სპორტული სკოლებისა და სპორტული კლუბებისათვის.* თბილისი.

ტუღუში, მ. (რედ.). (2010). *გზამკვლევების კრებული სპორტის სახეობებში ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის: VII-XII კლასები.* თბილისი.

ძაგანია, ჯ., ქობალია, ქ., ლეჟავა, ნ., & უთურგაიძე, მ. (2011). *სპორტის გზამკვლევი - I-VI კლასები.*

*წესთა კრებული სპორტულ აკრობატიკაში (2013-2016 წელი).* (2016). (ნ. ბერიანიძე, ნ. პაპუკაშვილი, & მ. ტუღუში, მთარგმნ.) თბილისი.

***Neli Papukashvili***
*Georgian State Teaching University of Physical Education and Sports*

**METHODOLOGICAL ASPECTS OF CORRECT SLENDER FORMATION**
**RESUME**

Establishing the right slender correction has become the most important task today. The severity of the issue will become clear if we consider the pandemic and the adverse events caused by it. That is why we offer exercises to teachers or coaches and Methodical approaches. In particular, what to focus on and In what order to develop the right slender correction in younger school-age children or adults.

***Keywords:*** Slender; Slender exercises, Walk, Body exercises, Upper and lower limbs exercises.

***Мариам Убирия*, *Тинатин Иосебидзе***
*Горийский государственный университет*

## ФИЗИОЛОГИЯ СТАРЕНИЯ: СЕРДЕЧНО-СОСУДИСТАЯ И ДЫХАТЕЛЬНАЯ СИСТЕМЫ

***Ключевые слова:*** продолжительность жизни, механизм защиты, организм, сердечно- сосудистая система, дыхание, регуляция, рефлексы.

Жизнь и смерть, живой и мертвый, спасение и гибель – все это части единой взаимоисключающей природы и этой самой природе принадлежим мы сами. Уже давно ученые и философы стараются определить принципиальные различия между понятиями «живой» и «мертвый». На этот вопрос весьма просто ответил Годердзи Чохели: «Жизнь – это грусть, сладкая грусть быть человеком. Смерть? Смерть тоже грусть, но грусть не быть человеком».

Что такое наша жизнь? Вечный вопрос, на который каждый отвечает по-своему: для грузина жизнь – это мгновение (которая улетит словно птица и нужно с умом распоряжаться этим мгновением); Шекспир считал жизнь театром, Пушкин – игрой, для Параджанова – жизнь словно коллаж, а по словам Оскара Уайлда «жизнь-театр, хотя его труппа никуда не годится». Интересна выражение «жизнь – это борьба» и каждый из нас прямо или косвенно включается в эту борьбу. Человек использует множество методов для достижения поставленной цели, для продления жизни (борьба за здоровье, пищу, жизнь, территорию, улучшение экономических условий, борьба против пандемий и т.д.). На демографический процесс государства большое влияние оказывали различные пандемии, а на продолжительность жизни – природные, климатические, социально – экономические и генетические факторы. Также меняется и значимость каждого фактора. Масштабные природные или социальные катаклизмы увеличивают показатели смертности населения. По данным государственного управления статистики Грузии за 2020 год средняя продолжительность жизни в Грузии составит 73,4 года (таблица №1), а по последним данным ООН – 73,3. В этом рейтинге Грузия занимает 93 место. В некоторых странах, таких, как Япония, Гонконг, Макао, отдельные автономные области Китая, Исландия, Испания, Италия, Сингапур и Швейцария, продолжительность жизни достигла уровня 82 года и более.

| # | Страна | Возраст |
|---|---|---|
| 1 | Япония | 84,3 |
| 2 | Южная Корея | 84,0 |
| 3 | Швейцария | 83,3 |
| 4 | Испания | 83.2 |
| 5 | Сингапур | 83,2 |
| 6 | Кипр | 83,1 |
| 7 | Италия | 83,0 |
| 8 | Австралия | 83,0 |
| 9 | Израиль | 82,6 |
| 10 | Норвегия | 82,6 |
| 11 | Турция | 78,6 |
| 12 | Армения | 76 |
| 13 | Грузия | 73,4 |
| 14 | Россия | 73,2 |
| 15 | Азербайджан | 71,4 |

В статье мы рассматриваем вопросы старения организма человека, а в частности, изменения сердечно-сосудистой и дыхательной систем с возрастом, которые прогрессируют из года в год. За 2019 год число умерших от сердечно-сосудистой патологии достигло 21 448 человек, от рака - 7 873, травм и отравлений – 6 177, дыхательной патологии – 3 303, заболеваний пищеварительного тракта – 1 517.

Согласно принятой ВОЗ классификации к пожилому возрасту относят мужчин от 60 до 74 лет и женщин от 55 до 74 лет, к старческому возрасту и долгожителям относят мужчин и женщин соответственно в возрасте 75 – 89 лет и в возрасте 90 лет и старше. Многочисленные аспекты биологии старения рассматриваются геронтологией (Агаджанян, Тель, Циркин, & Чеснокова, 1998).

Различают максимальную продолжительность жизни и среднюю продолжительность предстоящей жизни. По последней понимают число лет, которое предстоит прожить данному поколению при условии, что смертность населения в последующем будет на уровне настоящего времени. Как отмечают Д. Ф. Чеботарёв и соавт. (1990), в древнем Риме ориентировочно продолжительность жизни составляла 28 -30 лет, 40-летние считались стариками, а 60-летние – депонтинусами, пригодными лишь для жертвоприношений. В США, согласно данным К. Байера и Л. Шейнберга (1997), продолжительность жизни в 1776 году составляла 35 лет, а в настоящее время – 80 лет. В странах, где уже давно уделяется внимание решению экологических проблем и придаётся большое значение здоровому образу жизни (например, в Японии), сегодня средняя продолжительность жизни уже превышает 90 лет. Возраст, в котором умирают долгожители, практически не изменяется: сейчас, как и сотни лет назад, он составляет 110 – 120 лет. Продолжительность жизни определяется, прежде всего, процессом старения, а также факторами, влияющими на него. Старение – это разрушительный процесс, которому противостоит **витаукт,** т.е. возникший в эволюции механизм защиты организма от повреждения. Оба эти процесса идут на протяжении всей жизни человека; взаимодействие между ними разделяет всё индивидуальное развитие на три периода – прогрессивный, стабильный и деградационный. Старость представляет собой заключительный период возрастного развития (Новосельцев, Новосельцева, & Яшин, 2003).

**Изменения сердечно-сосудистой системы.** С возрастом снижается потребность в кислороде, но одновременно уменьшается и максимальное потребление кислорода, т.е. резервные возможности организма. Уменьшается минутный объём кровотока (МОК), в том числе при выполнении аэробной нагрузки. Это происходит как за счёт снижения систолического объёма, так и за счёт урежения частоты сердечных сокращений. В среднем за каждый год МОК уменьшается на 1%. Однако, несмотря на снижение МОК, у пожилых и старых людей на относительно высоком уровне сохраняется мозговая и коронарная фракция сердечного выброса, в то время как почечная и печёночная значительно снижаются.

С возрастом изменяется фазовая структура сердечного цикла – увеличивается продолжительность систолы (главным образом за счёт периода напряжения), а также удлиняется период изометрического расслабления. Уменьшается и частота сердечных сокращений, что обусловлено снижением степени автоматии и экстракардиальных влияний симпатической системы. Основными морфологическими признаками старческого сердца являются прогрессирующий склероз миокарда, очаговая атрофия (с явлением белково-липоидной дистрофии) или, наоборот, гипертрофия миокардиоцитов, а также дилатация сердца. В основе этих изменений, как полагают, лежат процессы, вызываемые гипоксией, которые в свою очередь, являются следствием отложения жиров в коронарных артериях. При старении снижается интенсивность тканевого дыхания миокарда, эффективность сопряжения окисления и фосфорилирования, уменьшается число митохондрий, снижается уровень АТФ, креатинфосфата и миофибриллярных белков, снижается активность калий-натриевого насоса, уменьшается величина мембранного потенциала. Всё это приводит к снижению сократимости миокардиоцитов и в конечном итоге к развитию функциональной недостаточности миокарда.

Этому также способствует увеличение толщины вставочных дисков между миокардиоцитами, в результате чего ухудшается проведение возбудимости по миокарду. Снижение сократительной способности миокарда особенно отчетливо выявляется у пожилых и старых людей при физических нагрузках.

Особенности гемодинамики. С возрастом происходят существенные морфологические изменения во всех кровеносных сосудах, включая резистивные и нутритивные. Эти изменения получили название «атеросклеротических». Они вызваны отложением липидов в эндотелии и гладких мышцах сосудов. Отложение обусловлено повышением в этом возрасте липопротеинов низкой плотности (ЛПНП) и липопротеинов очень низкой плотности (ЛПОНП) при снижении уровня липопротеинов высокой плотности ЛПВП. Отложение липидов вызывает кальцификацию и фиброз, что повышает ригидность и жёсткость сосудистой стенки. Нерациональное питание и малоподвижный образ жизни ускоряют развитие атеросклеротического процесса. С возрастом в капиллярах, пре- и посткапиллярах развивается явление фиброза и гиалинового перерождения, что приводит к полной облитерации просвета. Снижение капилляризации имеет место во всех органах, включая головной мозг, скелетные мышцы, миокард и печень. При старении снижается проницаемость капилляров и интенсивность транскапиллярного обмена. Все эти изменения в сосудах большого круга кровообращения способствуют росту периферического сопротивления: например, согласно В. Б. Брину и соавт. (1994) в 60-69 лет оно достигает 2075 дин х с хсм$^{-5}$, а в 70-79 лет – 2286 дин х с хсм$^{-5}$. Кроме того, эти изменения приводят к развитию гипоксии органов и повышению системного артериального давления. В пожилом и старческом возрасте преимущественно повышается систолическое давление – к 60 годам оно возрастает до 140 мм рт. ст., после 60 лет – до 150 мм рт. ст. Диастолическое давление изменяется в меньшей степени – даже у долгожителей в норме оно не превышает 90 150 мм рт. ст. Венозное давление, наоборот, с возрастом уменьшается. Это обусловлено расширением венозного русла и снижением тонуса гладких мышц вен. Венозному возврату в меньшей степени, чем в молодом возрасте, способствует мышечная деятельность и присасывающее действие грудной клетки. Поэтому у пожилых и старых людей часто возникает венозный стаз. Одновременно в венах развиваются склеротические изменения, которые способствуют венозному тромбозу, вызывающему окклюзию венозного кровотока (Агаджанян, Тель, Циркин, & Чеснокова, 1998; Храмов, 2017)

При старении снижаются возможности механизмов, участвующих в регуляции деятельности сердечно-сосудистой системы. В частности, ослабевают рефлексы с барорецепторов каротидного синуса и дуги аорты – это приводит к появлению затяжных реакций артериального давления, к развитию хронической гипертензии. В тоже время растет чувствительность хеморецепторов сосудов к гипоксии. При старении ослабляются рефлексы с барорецепторов сердца. Одновременно снижается степень влияния симпатического и парасимпатического отделов вегетативной нервной системы на миокард – вследствие деструкций окончаний, снижения синтеза медиатора и других причин. Вместе с уменьшением эффективности механизма Франка-Старлинга, т.е. гетерометрической саморегуляции, это снижает адаптивные возможности сердечной мышцы. С возрастом снижается максимальное число сердечных сокращений (уд/мин); оно составляет 220-n, где n – возраст в годах.

Сосудистые рефлексы у пожилых и старых людей часто имеют парадоксальный характер: например, может наблюдаться сужение сосудов на действие теплового раздражителя, а не расширение, как у молодых людей. При физической нагрузке, например, при выполнении пробы С. П. Летунова (20 приседаний за 30 секунд) у пожилых и старых людей чаще всего наблюдается гипертонический тип реакций, а восстановление показателей ЧСС и АД происходит в замедленном темпе.

**Система дыхания.** При старении происходят морфологические и функциональные изменения во всех отделах дыхательной системы, включая грудную клетку, воздухоносные пути, легочную паренхиму и сосудистую систему малого круга кровообращения. Так, после 60 лет отмечаются дегенеративно-деструктивные изменения костно-мышечного скелета грудной клетки, в том числе остеохондроз грудного отдела позвоночника, уменьшение подвижности реберно-позвоночных сочленений, кальциноз реберных хрящей, перерождение межреберных и диафрагмальных мышц. Это вызывает искривление (грудной кифоз) и снижение подвижности грудной клетки, а также снижение силы дыхательных мышц.

При старении вследствие атрофии эпителия и гладких мышц бронхов нарушается их дренажная функция, в результате чего в просвете бронхов нередко скапливается слизь и слущенный эпителий. По этой причине стенки бронхов инфильтруются лимфоидными и плазматическими элементами, что дополнительно уменьшает просвет бронхов и тем самым повышает неэластическое сопротивление. Такая ситуация способствует развитию застойных процессов в бронхах. В паренхиме легких происходят дегенеративные изменения соединительной ткани; за счет дегенерации и поперечной сшивки коллагеновые волокна паренхимы легких теряют способность к растяжению. В артериях малого круга развивается фиброз; в эндотелии капилляров откладываются жиры, снижается проницаемость этих сосудов, часть капилляров прекращает функционировать. Все это уменьшает диффузную способность легких (Беликов, Шапошников, & Москалев, 2014; Литвинова & Толочко, 2013).

У людей, ведущих малоподвижный образ жизни, система дыхания одна из первых обнаруживает инволюционные перестройки. Повышение ригидности грудной клетки, уменьшение силы дыхательных мышц и эластичности легких, ухудшение бронхиальной проводимости и снижение диффузной способности легких – все это приводит к существенному снижению эффективности внешнего дыхания, что особенно отчетливо проявляется при физической нагрузке.

При старении происходит снижение дыхательного объема, резервных объемов, жизненной емкости легких (со скоростью 10 мл/год); остаточный объем легких и объем вредного пространства, наоборот,

возрастают. Максимальная вентиляция легких уменьшается (со скоростью 0,6% в год). При старении возрастает частота дыхания – до 22-24 раз в минуту. В то же время, несмотря на указанные возрастные изменения в условиях покоя газообмен у пожилых и старых людей поддерживается на достаточном уровне. Однако в артериальной крови имеет место гипоксемия.

**Библиография:**


Агаджанян, Н. А., Тель, Л. З., Циркин, В. И., & Чеснокова, С. А. (1998). *Физиология человека.* Санкт-Петербург: СОТИС.

Беликов, А. В., Шапошников, М. В., & Москалев, А. А. (2014). Для борьбы со старением есть много путей: Итоги Третьей Международной конференции «Генетика старения и долголетия». *Acta Naturae, 6*(3), 6-10.

Литвинова, Н. А., & Толочко, Т. А. (2013). *Геронтология.* Кемерово: Кемеровский государственный университет.

Новосельцев, В. Н., Новосельцева, Ж. А., & Яшин, А. И. (2003). Математическое моделирование в геронтологии - стратегические перспективы. *Успехи геронтологии, 12*, 149-165.

Храмов, А. (31 октября 2017 г.). *Ученые заявили о непобедимости старения.* Получено из https://m.infox.ru/news/232/186580-ucenye-zaavili-o-nepobedimosti-starenia



***Mariam Ubiria*, *Tinatin Iosebidze***

*Gori State University*


**AGE-RELATED PHYSIOLOGICAL CHANGES IN THE HUMAN CARDIOVASCULAR AND RESPIRATORY SYSTEMS**

**RESUME**


The phenomenon of life is still unexplained in the world: how and what factors affect the organism and what physiological changes take place within it.

Natural, climate, socio-economic, genetic factors, socio-economic development and quality of life of citizens, including the quality of living conditions and medical services have the greatest impact on life expectancy. The negative impact of all these factors leads to a reduction in the average life expectancy of a person. The paper discusses the changes in the cardiovascular and respiratory systems with respect to human development and the factors involved.



***Keywords:*** Life span, Defense mechanism, Organism, Cardiovascular system, Respiration, Regulation, Reflexes.



***მარიამ უბირია***

*საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის*
*სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი*


**ოლანზაპინი - როგორც თანამედროვე ანტიფსიქოზური საშუალება**


***საკვანძო სიტყვები:*** ოლანზაპინი, შიზოფრენია, ანტიფსიქოზური საშუალება, ნეიროკოგნიტური, ფარმაკოდინამიკა.


უკანასკნელ წლებში საქართველოს ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ ანტიფსიქოზურ საშუალებებს დაემატა მრავალი ახალი ფორმულისა და მოქმედების მქონე როგორც უცხოური, ასევე სამამულო წარმოების პრეპარატი. ბოლო ათწლეულში მთელს მსოფლიოში მნიშვნელოვნად გაიზარდა ამ საშუალებების მომხმარებელთა რიცხვი, შესაბამისად იმატა მათ მიერ გამოწვეულმა მოწამვლების რაოდენობამ (შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობანი: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია, 2014).

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეორე თაობის ანტიფსიქოზური საშუალებები, კერძოდ - ოლანზაპინი (ზარნასანი), რომელიც ცნობილია როგორც ატიპიური ანტიფსიქოზური პრეპარატი. იგი შეტანილია შიზოფრენიის და სხვა ფსიქოზური საშუალებების კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტში, ასევე საერთაშორისო გაიდლაინებში და შესაბამისად აქტიურად ინიშნება მსოფლიოს და მათ შორის საქართველოს კლინიკებში, აღნიშნული დაავადების სხადასხვა სტადიის სამკურნალოდ (Ипатов & Лилли; Сварыч, 2016; American Psychiatric Association, 2013).

დღეისათვის მეორე თაობის ანტიფსიქოზური (ნეიროლეფსიური) პრეპარატები განიხილება როგორც მძიმე ფსიქიური მდგომარეობების თერაპიის სტანდარტი. ამ პრეპარატების მიღებისას უმჯობესდება ნეიროკოგნიტური (უმაღლესი ფსიქიკური) ფუნქციები და ეს პრეპარატები უკეთესად მოქმედებენ ორგანიზმზე და ნაკლები გვერდითი ეფექტები გააჩნიათ.



სურ. 1. 2-მეთილ-4-(4-მეთილ-1-პიპერაზინილ)-10H-თიენო[2,3-ბ]-[1,5] ბენზოდიაზეპინი

ოლანზაპინი (2-მეთილ-4-(4-მეთილ-1-პიპერაზინილ)-10H-თიენო[2,3-ბ]-[1,5] ბენზოდიაზეპინი) (სურ. 1) მიეკუთვნება თიენობენზოდიაზეპინის ჯგუფს და არის სეროტონინის ანტაგონისტი. იგი სტრუქტურულად და მოქმედების მექანიზმით ახლოს დგას კლოზაპინთან და ქვეტიაპინთან (Aravagiri, Ames, Wirshing, & Marder, 1997).

ოლანზაპინის ძირითადი ჩვენება არის შიზოფრენია, რომელიც წარმოადგენს ფსიქიატრიულ დაავადებას და ახასიათებს აზროვნებისა და აღქმის დარღვევები. ჩვეულებრივ, პიროვნებას ინტელექტუალური შესაძლებლობები/უნარები და ცნობიერება ფორმალურად შენარჩუნებული აქვს, თუმცა დაავადების მიმდინარეობის მანძილზე უდავოდ ხშირია კოგნიტური დეფიციტის განვითარება.

აშლილობა ვრცელდება ისეთ ბაზისურ ფუნქციებზე, რომლებიც ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს ანიჭებს ინდივიდუალობისა და უნიკალურობის განცდას. შიზოფრენიული აშლილობა შეიძლება დაიწყოს მწვავედ, ქცევის მნიშვნელოვანი დარღვევებით, ან შემპარავად, უცნაური, ოდიოზური იდეების და ქცევითი აშლილობების თანდათანობითი განვითარებით (სურ. 2).



სურ. 2. შიზოფრენიის გამოვლინება - ქცევის მნიშვნელოვანი დარღვევები

ისტორიულად შიზოფრენიული აშლილობანი პირველად აღწერილ იქნა ფრანგი ფსიქიატრის ბენედიქტ მორელის (Benedict Morel, 1809-1873) მიერ, რომელმაც მოზარდობის ასაკში განვითარებულ ფსიქიკურ დარღვევებს უწოდა Demence precoc. შვეიცარელ ფსიქიატრს ეჟენ ბლეულერს (Eugen Bleuler 1857-1939) მიუძღვის ყველაზე დიდი წვლილი შიზოფრენიის და საერთოდ, შიზოფრენიული აშლილობების თანამედროვე ხედვის ჩამოყალიბებაში. მან პირველად მოგვაწოდა ეს სახელწოდება -

შიზოფრენია (ფსიქიკის გახლეჩა), რათა ხაზი გაესვა ფსიქიკის სფეროებში სქიზისის, ანუ გახლეჩის მნიშვნელობაზე. (D'Arrigo, Migliardi, Santoro, & Spina, 2006)

საინტერესოა, რომ შიზოფრენიის დროს ცნობიერება და ინტელექტუალური შესაძლებლობები შენახულია, თუმცა დროთა განმავლობაში შეიძლება თავი იჩინოს გარკვეულმა კოგნიტიურმა დეფიციტმა. ყველაზე მეტად დამახასიათებელ ფსიქოპათოლოგიურ გამოვლინებებს წარმოადგენს ექო-აზრები, პასიური დამორჩილება და ბოდვა, სმენითი ჰალუცინაციები და სხვ. (სურ. 3).

მსოფლიოში შიზოფრენიის გავრცელება საერთო პოპულაციაში შეადგენს. საშუალოდ მოსახლეობის 1%-ს, ქალებსა და მამაკაცებში ავადობის მაჩვენებელი ერთნაირია (Concise Medical Dictionary, 2010).

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციაში გაერთიანებული რვა ქვეყანის მონაცემების მიხედვით, ყოველწლიურად ახალი შემთხვევების საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 0.22 ერთეულს 1000 სულ მოსახლეზე. აღსანიშნავია, რომ ეს მაჩვენებლი არ არის სტაბილური და მერყეობს დროის მიხედვით, ასევე სხვადასხვა ქვეყანაში კულტურის თავისებურებების და მოსახლეობის ეთნიკური მრავალფეროვნების გათვალისწინებით.



სურ. 3. შიზოფრენიის ფსიქოპათოლოგიური გამოვლინებები: ექო-აზრები, პასიური დამორჩილება და ბოდვა, სმენითი ჰალუცინაციები და სხვ.

პაციენტთა 20-40%-ს ფსიქოზური სიმპტომების პირველი ეპიზოდი გადატანილი აქვს 20 წლამდე ასაკში. მამაკაცებისათვის პირველი პიკი მოდის 15-25 წელზე, ხოლო ქალებისთვის პირველი პიკი -25-35 წელზე, ხოლო მეორე პიკი - 40-45 წელზე, უშუალოდ მენოპაუზის წინ.

შიზოფრენიის მქონე პაციენტთა 80%-ზე მეტის მშობლებში შიზოფრენია არ არის დიაგნოსტირებული. მაგრამ მაინც უდავოა გენეტიკური ფაქტორის, როგორც რისკ-ფაქტორის როლი ამ დაავადების განვითარებაში. შიზოფრენია გვხვდება იმ პაციენტების 13%-ში, რომელთაც ჰყავთ შიზოფრენიით დაავადებული თუნდაც ერთი მშობელი და პაციენტთა 35-40%-ში, რომელთა დედ-მამა შიზოფრენიითაა დაავადებული.

**მოქმედების მექანიზმი და ფარმაკოდინამიკა**.

ოლანზაპინის მოქმედების მექანიზმი, შიზოფრენიის სამკურნალო სხვა პრეპარატების მსგავსად, უცნობია. არსებობს ვარაუდი, რომ შიზოფრენიის მკურნალობის დროს ოლანზაპინის ეფექტურობის მედიატორია დოფამინისა და სეროტონინის (ტიპი 2 (5HT2)) რეცეპტორების მიმართ ანტაგონიზმი. ხოლო, ოლანზაპინის მოქმედების მექანიზმი ბიპოლარულ (I) დარღვევასთან დაკავშირებული მწვავე მანიაკალური ან შერეული ეპიზოდების მკურნალობაში უცნობია.

ოლანზაპინის რეცეპტორებისადმი (დოფამინისა და 5HT2-ის გარდა) ანტაგონიზმით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი სხვა თერაპიული და გვერდითი ეფექტები. ხოლო, ოლანზაპინის ანტაგონიზმით მუსკარინულ M1-5 რეცეპტორებთან შეიძლება აიხსნას მისი ანტიქოლინერგული ეფექტის მსგავსი მოქმედება.

ოლანზაპინის ანტაგონიზმი ჰისტამინის H1 რეცეპტორებთან განაპირობებს სომნოლენციას, ხოლო ანტაგონიზმით ადრენეგულ ალფა-1 რეცეპტორებთან შეიძლება აიხსნას ორთოსტატიკური ჰიპოტენზია.

სტატიაში განხილულია შიზოფრენიის და შიზოფრენიული სპექტრის აშლილობის მქონე ავადმყოფების ოლანზაპინით და სხვა ნეიროლეპტიკებით მკურნალობის შედეგები.

**ფარმაკოკინეტიკა**

ოლანზაპინი პერორალური დოზის მიღების შემდეგ კარგად ადსორბირდება კუჭ-ნაწლავის ტრაქტში და პლაზმაში კონცენტრაციის პიკს აღწევს დაახლოებით 6 საათში. ის ძირითადად ელიმინირდება პირველადი გავლის მეტაბოლიზმით, სისტემურ სისხლის მიმოქცევაში აღწევს

მეტაბოლიზირებული დოზის დაახლოებით 40%. საკვები არ მოქმედებს ოლანზაპინის ადსორბციის სიჩქარესა ან მასშტაბზე.

ოლანზაპინის სტაციონარული კონცენტრაცია მიიღწევა დღეში ერთხელ 1 კვირის მანძილზე ორალური დოზით მკურნალობის შედეგად, რაც დაახლოებით ორჯერ მეტია ერთჯერადი დოზის შედეგად მიღწეულ კონცენტრაციაზე პლაზმაში. ოლანზაპინის პლაზმური კონცენტრაცია, ნახევრადგამოყოფის პერიოდი, და კლირენსი შეიძლება იცვლებოდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინდივიდის, მწეველის სტატუსის, სქესის და ასაკის შესაბამისად. ოლანზაპინი კარგად ნაწილდება მთელს ორგანიზმში, განაწილების მოცულობა არის დაახლოებით 1000 ლ. პრეპარატის 93% უკავშირდება პლაზმის ცილებს: პირველ რიგში ალბუმინს და ალფა-მჟავა გლიკოპროტეინებს.







I II

სურ. 4. ოლანზაპინის ძირითადი მეტაბოლიტები: I- 10-Nგლუკურონიდი,
II - 4'-N-დესმეთილ ოლანზაპინი

ოლანზაპინის მეტაბოლიზმი მიმდინარეობს პირველ ფაზაში დაჟანგვის, ხოლო მეორე ფაზაში გლუკურონის მჟავასთან პირდაპირი კონიუგაციის გზით ციტოქრომ P450 (CYP) მონაწილეობით. In vitro კვლევების მიხედვით, სავარაუდოა, რომ CYP1A2 და CYP2D6, ფლავინის შემცველი მონოოქსიგენაზური სისტემები ჩართულია ოლანზაპინის ჟანგვით მეტაბოლიზმში. თუმცა in vivo ცდების საფუძველზე დადგინდა, რომ CYP2D6-ის მედიატორობით ჟანგვითი მეტაბოლიზმის ინტენსივობა დაბალია, რადგანაც ოლანზაპინის კლირენსი არ მცირდება ამ ფერმენტის დეფიციტის მქონე სუბიექტებში.

**ოლანზაპინის ურთიერთქმედება სხვა პრეპარატებთან**

ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა ოლანზაპინის სხვა პრეპარატებთან ურთიერთქმედება. მისი სხვა ფსიქოტროპულ საშუალებებთან, კერძოდ კი ტრანკვილიზატორებთან კომბინაციაში გამოყენება, შესაძლებელია ინტოქსიკაციის მიზეზი გახდეს.

დიაზეპამის ოლანზაპინთან კომბინაციაში გამოყენება ახდენს ორთოსტატიკური ჰიპოტენზიის პოტენცირებას.

კარბამაზეპინის ერთდროული გამოყენებისას ოლანზაპინის კლირენსი დაახლოებით 50%-ით იმატებს. ეს მომატება სავარაუდოდ გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კარბამაზეპინი CYP1A2 აქტივობის ძლიერი ინდუქტორია. კარბამაზეპინის დოზის ზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ოლანზაპინის კლირენსის შესაბამისი მომატება. ცხრილ #1-ში მოცემულია ოლანზაპინის ფსიქოტროპულ თუ სხვა საშუალებებთან კომბინირებულად გამოყენებისას, მათთან ურთიერთქმედების შედეგები.

ცხრილი #1 ოლანზაპინის სხვადასხვა საშუალებებთან ურთიერთქმედების შედეგები

| **ნივთიერება** | **ოლანზაპინთან ერთდროული გამოყენების შედეგი** |
|---|---|
| ალკოჰოლი | იწვევს დამატებით სედაციას, კოორდინაციის დარღვევას |
| ანტიკონვულსანტები (გარდა ვალპროატისა) | ამცირებენ ანტიფსიქოზური მედიკამენტების დონეს სისხლში |
| თამბაქო | ამცირებს ანტიფსიქოზური მედიკამენტების დონეს სისხლში |
| ერითრომიცინი | ზრდის კლოზაპინის დონეს |
| ფლუვოქსავინი | ზრდის კლოზაპინის დონეს |
| სეროტონინის სელექტიური უკუმიტაცების ინჰიბიტორები | ზრდიან ნეიროლეპტიკების დონეს და აუარესებენ ექსტრაპირამიდულ სინდრომს |
| ტრიციკლური ანტიდეპრესანტები | ზოგიერთი ნეიროლეპტიკი ზრდის მათ დონეს; ზრდიან ანტიფსიქოზური მედიკამენტების დონეს სისხლში |
| ანტიქოლინერგულები | იწვევს დამატებით ანტიქოლინერგულ ეფექტს |
| ანტიარითმიული მეთილდოფა გუანეთიდინი პროპრანოლოლი | იწვევს ჰიპოტენზიას და ცნობიერების შეცვლას და ანტიჰიპერტენზიულ ეფექტს; ზრდის ანტიფსიქოზური მედიკამენტების დონეს სისხლში |

ცხრილ#2-ში კი შედარებულია ოლანზაპინის, რისპერიდონის, კლოზაპინისა და ქვეტიაპინის გვერდითი ეფექტები.

ცხრილი #2 ანტიფსიქოზური მედიკამენტების ძირითადი გვერდითი ეფექტების შედარებითი დახასიათება

| მედიკამენტი | ექსტრა პირამიდალური გვერდითი ეფექტები მოგვიანებითი დისკინეზია | პროლაქტინის დონის მომატება | მეტაბოლური სინდრომი | | | Q-T ინტერვალის გახანგრძლი-ვება | სედაცია | ჰიპერტე-ნზია | ანტიქოლი ნერგულ გვერდითი ეფექტები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | წონის მატება | გლუკოზის დონის მატება | ლიპიდების დონის მატება | | | | |
| კლოზაპინი | 0 (c) | 0 | +++ | +++ | +++ | 0 | +++ | +++ | +++ |
| რისპერი დონი | + | +++ | ++ | ++ | ++ | + | + | + | 0 |
| ოლანზაპინი | 0 (c) | 0 | +++ | +++ | +++ | 0 | + | + | ++ |
| ქვეტიაპინი | 0 (c) | 0 | ++ | ++ | ++ | 0 | ++ | ++ | 0 |

0 = გვერდითი ეფექტების განვითარების რისკი არ არის ან ძალზე იშვიათად ვითარდება თერაპიული დოზით
+ = სუსტად ან იშვიათად იწვევს გვერდით ეფექტებს თერაპიული დოზით
++ = ზოგჯერ იწვევს გვერდით ეფექტებს თერაპიული დოზით.
+++ = ხშირად იწვევს გვერდით ეფექტებს თერაპიული დოზით.

კლინიკურმა კვლევებმა დაადასტურა, რომ

1). მოკლევადიან (3-4 კვირა) პერიოდში, ანტიმანიაკალური ეფექტურობა ვლინდება 5 მგ-დან 20 მგ-მდე დღეში დოზით მკურნალობის დროს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩატარებული კვლევების მიხედვით, 20 მგ/დღეში დოზაზე უფრო მაღალი დოზის გამოყენების უსაფრთხოება არ არის შეფასებული;

2). საკმაოდ მრავალრიცხოვანი კლინიკური კვლევებით დადასტურებულია ოლანზაპინის ეფექტურობა შიზოფრენიის პოზიტიური, ნეგატიური და დეპრესიული სიმპტომების მკურნალობისას;

3). ასევე აღსანიშნავია ოლანზაპინის უკეთესი მოქმედება და ნეგატიური სიმპტომების რეალური გაუმჯობესება PANSS-ს მიხედვით;

4). პოზიტრონულ-ემისიურ ტომოგრაფიულმა (positron emission tomography, PET) კვლევებმა ცხადყო, რომ ოლანზაპინი დოზის ეფექტურ დიაპაზონში D2-რეცეპტორების 43-80%, ხოლო 5HT2A-რეცეპტორებს პრაქტიკულად მთლიანად აკონტროლებს.

**ბიბლიოგრაფია:**


*შიზოფრენია და სხვა ფსიქოზური აშლილობანი: კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაცია.* (2014). თბილისი.

American Psychiatric Association. (2013). *Diagnostic and Statistical Manual of MentalDisorders (DSM IV).*

Aravagiri, M., Ames, D., Wirshing, W. C., & Marder, S. R. (1997). Plasma level monitoring of olanzapine in patients with schizophrenia: determination by high-performance liquid chromatography with electrochemical detection. *Therapeutic Drug Monitoring, 19*(3), 307-313.

Berna, M., Shugert, R., & Mullen, J. (1998). Determination of olanzapine in human plasma and serum by liquid chromatography/tandem mass spectrometry. *Journal of Mass Spectrometry, 33*(10), 1003-1008.

Bonde, S. L., Bhadane, R. P., Gaikwad, A., Gavali, S. R., Katale, D. U., & Narendiran, A. S. (2014). Simultaneous determination of Olanzapine and Fluoxetine in human plasma by LC-MS/MS: its pharmacokinetic application. *Journal of Pharmaceutical and Biomedical Analysis, 90*, 64-71.

Buckley, P. F. (2005). Olanzapine: a critical review of recent literature. *Expert Opinion on Pharmacotherapy, 6*(12), 2077-2089.

Chakrabarti, J. K., Hicks, T. A., Hotten, T. M., & Tupper , D. E. (1978). Heteroarene-fused benzodiazepines. Part 1. Synthesis of thieno-[2,3-b][1,5]-, -[3,2-b][1,5]-, and -[3,4-b][1,5]-benzodiazepinones. *Journal of the Chemical Society, Perkin Transactions 1*(9), 937-941.

Concise Medical Dictionary. (2010). *Schizophrenia.* Oxford University Press.

D'Arrigo, C., Migliardi, G., Santoro, V., & Spina, E. (2006). Determination of olanzapine in human plasma by reversed-phase high-performance liquid chromatography with ultraviolet detection. *Therapeutic Drug Monitoring, 28*(3), 388-393.

Ипатов, М. Ю., & Лилли, Э. (б.д.). *Оланзапин: сравнение с рисперидоном (обзор).* Получено из http://www.consilium-medicum.com/magazines/special/psychiatry/article/10782

Сварыч, М. (2016). *Химико-Токсикологический Анализ Оланзапина.* Пятигорск.

***Mariam Ubiria***
*Georgian State Teaching University of Physical Education and Sport*
**OLANZAPINE – AS A MODERN ANTIPSYCHOTIC AGENT**
**RESUME**

The article discusses the chemical structure of olanzapine as a second-generation antipsychotic (neuroleptic) agent. Its effect on neurocognitive (higher mental) functions and its dosage.

Various clinical trials have confirmed the efficacy of olanzapine in the treatment of positive, negative and depressive symptoms of schizophrenia.

Lindenmayer analyzed data from a comparative study and found that olanzapine shares similarities with 5-HT2a and D2 receptors. These data suggest that the antipsychotic efficacy of olanzapine depends on its high effect on dopamine receptors.

***Keywords:*** Olanzapine, Schizophrenia, Antipsychotic drug, Neurocognitive, Pharmacodynamics.

# ბიზნესი და ეკონომიკა
# Business and Economics

*მაია აზმაიფარაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა და დამსაქმებლის მოთხოვნის ანალიზი პანდემიის პირობებში

*საკვანძო სიტყვები:* ინდუსტრია, კადრები, პანდემია, გამოწვევები, კვლევა, უნარები.

**შესავალი**

ტურიზმის ინდუსტრია მაღალი კონკურენტუნარიანობით ხასიათდება და ხშირ შემთხვევაში ის განვითარებად ქვეყნებში სწრაფი ეკონომიკური ცვლილების განმაპირობებელია. ტურიზმი არის რთული მულტიდარგობრივი კომპლექსი, შესაბამისად გამოიხატება მრავალდარგოვანი სტრუქტურით. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია ტურიზმისა და მასპინძლობის სფეროში დასაქმებულთა პროფესიულ–კვალიფიციური შემადგენლობა. სფეროს სააქმიანობების დიდი მრავალფეროვნება ითხოვს განსხვავებულ მიდგომებს, რაც აისახება კადრების მომზადების პროცესში, რომლებსაც სხვადასხვა მიმართულებები აქვს, მაგრამ აქვს ერთი საწყისი, ანუ ტურიზმი.

ტურიზმის ინდუსტრია შეიძლება განხილულ იქნას, როგორც მძლავრი ინსტრუმენტი, რომელსაც ძალუძს ქვეყნის ეკონომიკის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა, როგორიცაა მოსახლეობის დასაქმება და ეკონომიკის განვითარება. თავის მხრივ ტურისტების რაოდენობის ზრდა ხელს უწყობს დასაქმების რიცხოვნობის ზრდას, რაც დადებითად აისახება როგორც შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე, ასევე მოსახლეობის შემოსავლებზე და, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკაზე.

ტურიზმის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია მოსახლეობის დასაქმების ზრდა, ვინაიდან ტურიზმის, როგორც ეკონომიკური დარგის, გამართული ფუნქციონირება ადამიანური რესურსების ფართო გამოყენებას ეფუძნება. შესაბამისად, ქვეყნები, რომელთა ეკონომიკაში ტურიზმის

ხვედრითი წილი საგრძნობლად დიდია, დასაქმებულთა რაოდენობა პირდაპირპროპორციულად შეესაბამება მას. მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) მონაცემებით, 2019 წელს ამ დარგის მთლიანმა კონტრიბუციამ მშპ-ში 8.9 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა და ხელი შეუწყო 330 მილიონი სამუშაო ადგილის შექმნას. აღნიშნული სექტორის მთლიანი წვლილი (პირდაპირი და გვერდითი ეფექტები) მსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში შემდეგია: მსოფლიოს მშპ-ს 10.3%, ერთი ადგილი ყოველი 10 სამუშაო ადგილიდან, 4.3% მთლიან განხორციელებულ ინვესტიციებსა და 6.8% მსოფლიოს მთლიან ექსპორტში.

საქართველოს გააჩნია მსოფლიო ტურიზმში წარმატებით ინტეგრირებისა და მისგან მაქსიმალური ეფექტის მიღების რეალური შესაძლებლობები, კოვიდ პანდემიამდე საქართველოში იკვეთებოდა ვიზიტორთა რაოდენობის ზრდის გამოკვეთილად მაღალი ტემპი, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალ მაჩვენებლად ითვლებოდა (აზმაიფარაშვილი, 2017).

პანდემიამ ხელი შეუშალა ტურიზმში 2019 წლის დაფიქსირებული პოზიტიური ტენდენციების გაგრძელებას. პანდემიამდე საქართველო საერთაშორისო მოგზაურობიდან შემოსავლების მზარდი ტენდეციებით გამოირჩეოდა, შედეგად 2019 წელს მისმა მოცულობამ 3,3 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა, მშპ-ში წილმა კი 8,1 % მიაღწია. გარდა ამისა საქართველოში ტურიზმი ეკონომიკის განვითარებისა და კაპიტალის მოზიდვის ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია. ტურიზმის სექტორის განვითარება შესაბამის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაზე ახდენს გავლენას. დასაქმებაში ტურიზმისა და მოგზაურობის სექტორის მთლიანი კონტრიბუცია 2019 წ. 29.4%-ს შეადგენდა, რაც 518 400 სამუშაო ადგილს მოიცავს. მათ შორისაა ისეთი სამუშაო ადგილები, რომლის შექმნასაც ხელი ტურიზმის ინდუსტრიამ შეუწყო. მშპ-ში ტურიზმისა და მოგზაურობის პირდაპირი კონტრიბუცია ასახავს ეკონომიკურ აქტივობას, რომელსაც ქმნიან სასტუმროები, ტურისტული ორგანიზაციები, ავიაკომპანიები, სამგზავრო საშუალებები, რესტორნები. მთლიან კონტრიბუციაში კი შედის ყველა სფერო, რომელიც დაკავშირებულია მოგზაურობასთან. 2019 წელს ტურიზმის სექტორში დამატებული ღირებულება ძირითადად შეიქმნა განთავსების საშუალებებში - 1.3 მილიარდი ლარი (ზრდა +10.9%), ტრანსპორტში - 1.2 მილიარდი ლარი (საჰაერო ტრანსპორტი ზრდა +11%, სხვა ტრანსპორტი ზრდა +20.9%), კვების საშუალებებში - 758 მილიონი ლარი (ზრდა +23.3% და ტურისტული კომპანიები - 141 მილიონ ლარი (ზრდა +17.4%).

**ლიტერატურის მიმოხილვა**

კვლევის ძირითადი მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, შესწავლილ იქნა ქართველ და უცხოელ მეცნიერთა ნაშრომები. ქართველი ავტორებიდან, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: მ. მეტრეველის, რ. გველესიანის, ი. გოგორიშვილის, თ. არმანია-კეპულაძის, ხოლო უცხოელი ავტორებიდან: ჯ. კეინზის, ა. მარშალის, ა. პიგუს, დ. მაკენზის, გ. მენქიუს, დ. ქარდის, ი. კლუვის, ა. ვებერის, ო. ათანასიოს, ა. კრუგლერის, კ. მეჯირის, მ. ჰონორატის, რ. ჯენსენისა და სხვა მეცნიერთა ნაშრომებსა და მონოგრაფიებში გამოთქმულ მოსაზრებებსა და დებულებებს. ჩვენი კვლევის თეორიული საფუძველი გახდა ის ნაშრომები, რომლებიც ეხებოდა ტურიზმის შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების მოთხოვნისა და მიწოდების დისბალანსით გამოწვეულ პრობლემებსა და მათი აღმოფხვრის მსოფლიო ქვეყნების გამოცდილებას.

კვლევის პროცესში გამოყენებული იყო ვრცელი სპექტრის თეორიული მასალა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სამთავრობო დოკუმენტები, საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018 და 2019 წლების ანალიზი; ტურიზმის კვლევა და პოლიტიკის დოკუმენტი „პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები"; კვლევაში გამოყენებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მასალები, აჭარის არ-ს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მონაცემები; ტურიზმის განვითარების სტრატეგია 2025; ტურიზმის სფეროში მომუშავე სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტების სამეცნიერო შრომები, მეთოდური მითითებები და რეკომენდაციები, ემპირიული კვლევის (ანკეტური გამოკითხვის მეთოდით) მასალები, გაერთიანებული ერების ტურიზმის მსოფლიო ორგანიზაციისა (UNWTO) და მოგზაურობისა და ტურიზმის მსოფლიო საბჭოს (WTTC) საინფორმაციო მონაცემები და ინტერნეტ რესურსები, სპეციალური და ფუნდამენტური შრომები, კრებულები, სტატიები.

**მეთოდოლოგია**

ნაშრომზე მუშაობის დროს გამოყენებულ იქნა სოციალური კვლევა, რაც გულისხმობს მონაცემთა შეგროვებას, ორგანიზებას და მნიშვნელოვანია ანალიზის ჩატარებისათვის. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა დადგინდეს ტურიზმის დარგისადმი დაინტერესებული მხარეების დამოკიდებულება.

ანალიზის პროცესში ვიხელმძღვანელეთ თვისებრივი კვლევის მეთოდებით, რაც გულისხმობს ერთი მხრივ ღია წყაროებში წარმოდგენილი ანალიტიკური მასალის დამუშავებას, მეორე მხრივ კი შესაბამისი პროფესიული წრეების წარმომადგენელთა გამოკითხვას. სიღრმისეული ინტერვიუები, ტურიზმის ღირებულების ჯაჭვის სხვადასხვა მხარეებთან. როგორც ერთი, ისე მეორე კომპონენტი ემსახურება ანალიზს საგნის შესახებ ინფორმაციის მოძიებას ანალიტიკური ციკლის ემპირიულ ეტაპზე.

თვისებრივი კვლევების ძირითად მეთოდებად განისაზღვრა: ფოკუს–ჯგუფები, სიღრმისეული ინტერვიუ. მოძიებულია ინფორმაცია გულისხმობს, როგორც ტურიზმის მიმართულებით არსებული მიღწევებისა და საჭიროებების ანალიზს, ასევე დარგის პრაქტიკული გამოყენებადობის შეფასებას. ანალიზის პროცესში მოხდა ფაქტებისა და მოსაზრებების გამიჯვნა და კლასიფიკაცია, ასევე მათი სისტემატიზაცია და მათ შორის მიზეზშედეგობრივი კავშირების იდენტიფიცირება, რაც ქნის შესაძლებლობას მოხდეს ბაზარზე არსებული ტენდენციის მეტ-ნაკლებად რეალისტური ტენდენციის წარმოჩენა.

**შედეგები/დისკუსია**

ტურიზმის სექტორის განვითარება შესაბამის ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა რაოდენობაზე ახდენს გავლენას. შრომის ბაზრის ანგარიშის მიხედვით კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა უდიდესი ნაწილი, დაახლოებით 60% მცირე ბიზნესზე მოდის, მსხვილ საწარმოებში დასაქმებულია 24%, ხოლო საშუალო ბიზნესში - 16%. დასაქმებულთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 17%, 12 114 ადამიანი იკავებს მენეჯერულ პოზიციას. (შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა)

ტურიზმის სექტორის ეფექტიანი წარმართვა დამოკიდებულია ადამიანური კაპიტალის უნარებზე. მხედველობაშია მისაღები ქართული ტურისტული სპეციფიკა, კერძოდ კი ის გარემოება, რომ ხშირ შემთხვევაში კერძო პირები თავადაც ქმნიან საკუთარ სამუშაო ადგილებს, იწყებენ ტურისტულ ბიზნესს, ან უკვე აქვთ საოჯახო ტურისტული ბიზნესი და შესაძლოა ფიქრობდნენ მის გაფართოებაზე. ტურისტული საწარმოები იძულებულნი არიან, ხარისხიანი პროდუქტი აწარმოონ დროულად, გონივრული დანახარჯებით, სწრაფად და მუდმივად შეიტანონ თავიანთ საქმიანობაში ცოდნაზე დაფუძნებული სიახლე.

უნდა ითქვას, რომ COVID-19 პანდემიამ ტურიზმის სექტორი აიძულა აქცენტები მოცულობიდან ღირებულებაზე გადაეტანილიყო. ტურიზმის სექტორის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გახდა მაღალი მოცულობისა და დაბალი ხარისხის ტურიზმიდან, დაბალი მოცულობისა და მაღალი ხარისხის მომსახურებაზე გადაიტანილიყო აქცენტები. აღნიშნული ტენდენცია, დღის წესრიგში აყენებს ხარისხს მთელს ტურიზმის ინდუსტრიაში, ინფრასტრუქტურის, ტურისტული პროდუქტისა და მომსახურების ხარიხის ამაღლებას.

„ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა“ დოკუმენტში 2018 წლის მონაცემების მიხედვით ტურიზმის ინდუსტრიაში დასაქმებულთა რაოდენობამ 71,574 ადამიანი შეადგინა, რაც 4,353 ადამიანით (6.5%) მეტია გასული წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. 2019 წელს 77,384-მდე გაიზარდა, რაც 50%-იან მატებას ნიშნავდა (ამ პერიოდში საშუალო წლიური ზრდის ტემპმა 8,6% შეადგინა). აღნიშნული ზრდის ტენდენცია ლოგიკურია იმის გათვალისწინებით, რომ ტურიზმის ინდუსტრია წარმოადგენს ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფად მზარდ ეკონომიკურ მიმართულებას. საქართველოში ტურიზმის დარგის ზრდის ტემპი პანდემიის გამო რომ არ შეჩერებულიყო 2028 წლისთვის ტურიზმში დასაქმებულთა რაოდენობა მთლიან დასაქმებულთა 32%-ს გაუტოლდებოდა.

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმაზე (Eastern Partnership Civil Society Forum Georgian National Platform) განთავსებულ ტურიზმის კვლევისა და პოლიტიკის დოკუმენტში „პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკურ ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები“ (აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა, 2020) მითითებულია, რომ პოსტანდემურ პერიოდში და 2021 წლისთვის ტურისტული ინდუსტრიის რეაბილიტაციის მიზნით მნიშვნელოვანია შესაბამისი ღონისძიებების გატარება, რომელიც მორგებული იქნება სექტორის საჭიროებებზე და ხელს შეუწყობს დარგის განვითარების სტიმულირებას. მიმდინარე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს როგორც სექტორის სპეციფიკაზე მორგებული კვალიფიკაციური კადრების, ისე - მიმდინარე რეგულაციების/უსაფრთხოების წესების კუთხით გადამზადებული პერსონალი.

პოლიტიკის დოკუმენტი „ტურიზმის სექტორი საქართველოში“ (პოლიტიკის დოკუმენტი: ტურიზმის სექტორი საქართველოში, 2020) იკვლევს COVID-19-ის გავლენას ტურიზმის სექტორზე

საქართველოში, ასახავს დარგობრივ საჭიროებებს კრიზისის პერიოდში, აფასებს მთავრობის რეაგირებას და მიმოიხილავს საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკას COVID-19 კრიზისთან გამკლავებისა და კრიზისიდან გამოსვლის პროცესის დაგეგმვის თვალსაზრისით. აღნიშნული გამოწვევების სამი პრიორიტეტიდან პირველი კვალიფიციური კადრების ნაკლებობაა (პრიორიტეტულია დონორების მოსაზრებით) - რეკომენდაციები გულისხმობს თანამშრომლობის გაღრმავებას ტურიზმის ღირებულებათა ჯაჭვის კომპანიებსა და საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

2021 წლის იანვარში საერთაშორისო ვიზიტორების მიერ სასტუმროების ძებნის მაჩვენებელი მოიცავდა 52%, აპრილ-მაისში 43%-ს. საქართველოს ძებნა გაზრდილია რუსეთის მოქალაქეთა მიერ 586%-ით, თურქეთის მიერ - 140%-ით. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში ტურისტების მზარდი ტენდენციაა, რაც აისახა კიდევ ჯავშნების რაოდენობის მატებაზე როგორც მსხვილ და ქსელურ სასტუმროებზე, ასევე საოჯახო სახლებსა და ბინებზე, რომელთა გაქირავების მაჩვენებელმაც 2019 წლის მონაცემს უკვე გადაუსწრო. კოვიდის რეალობაში ეროვნული ბანკის მონაცემებით, მიმდინარე წლის იანვარ-ივნისში უცხოური ტურიზმიდან ეკონომიკამ $299,8 მლნ მიიღო. იგივე პერიოდში სულ 464 126 ვიზიტორი იმყოფებოდა. მიმდინარე წლის ივნისში, გასული წლის იმავე თვესთან შედარებით, საქართველოში უცხოეთიდან 286,8%-ით მეტი, 146 664 უცხოური ვიზიტი განხორციელდა, ტურისტთა ეს რაოდენობა პანდემიის პერიოდში უპრეცენდენტოდ მაღალია. (ივნისში საქართველოში 146 664 უცხოური ვიზიტი განხორციელდა – ეს პანდემიური პერიოდის რეკორდია, 2021).

ტურიზმის შედარებითი აღდგენის მიუხედავად, მისი მოცულობა პანდემიამდელ პერიოდთან (2019 წლის ივნისთან) შედარებით 80%-ით ნაკლებია ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ივნისში ვიიზტორთა ნაკადი 2019 წლის 20%-ის დონეზე აღდგა. მიმდინარე წლის ივნისში ყველაზე მეტი ვიზიტორი თურქეთიდან, ისრაელიდან და უკრაინიდან შემოვიდა. ამ ქვეყნებიდან შემოსულმა ტურისტებმა მთლიანი ვიზიტების 41,5% განახორციელეს. 2021 წლის იანვარ-ივნისში, ტურიზმიდან მიღებულმა შემოსავლებმა 299.7 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 34.4 პროცენტით (156.9 მლნ აშშ დოლარით ნაკლები) ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელზე. (2021 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა, 2021) მიუხედავად პანდემიისა ქვეყანაში აქტიურად ვითარდება მომსახურების სფერო, რაც განაპირობებს სამუშაო ძალის მოთხოვნას აღნიშნული მიმართულებით. ინვესტიციების განაწილებას სექტორულ ჭრილში, აჭარის რეგიონში ინვესტიციების ნაწილი გაზრდილია და სასტუმროებსა და რესტორნებზე (24%) მოდის, რაც რეგიონის ტურისტული ცენტრის როლით არის განპირობებული.

ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღდგენიდან გამომდინარე სამთავრობო პროგრამა „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის 2021-2024“ ჩამოყალიბდა ახლებური ხედვა ტურიზმის განვითარების სფეროში. აღნიშნულია, რომ ტურიზმი და მომიჯნავე ინდუსტრიები არის ყველაზე დაზარალებული პანდემიის შედეგად, ტურიზმის განვითარების ახალი სტრატეგია დაეფუძნება დივერსიფიკაციისა და ხარისხობრივი გაუმჯობესების მოთხოვნებს.

ტურიზმის კრიზისულ და პოსტ-კრიზისულ პერიოდში ცხადია ციფრულ კომერციას აქვს კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა. ვებ-გვერდები, სოც. მედია არხები, ინტერნეტ მარკეტინგი, ვირტუალური რეალობა, ხელოვნური ინტელექტი და სხვა უფრო კომლექსური ხასიათის ციფრული იარაღები დაეხმარება სფეროს წარმატებული ფუნქციონირებისთვის. ის, რომ ამ მიმართულებით არ გვაქვს სახარბიელო მდგომარეობა, კარგად ჩანს გასულ წელს ქალაქ ბათუმის მასშტაბით გაკეთებული კვლევიდან, სადაც ადგილობრივი რესტორნების 4%-ს გააჩნია საკუთარი ვებგვერდი (ქართული ტურიზმის მენეჯმენტის გამოწვევები და COVID-19).

შრომის ბაზრისა და დამსაქმებლების კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ ძირითად საკვალიფიკაციო მოთხოვნებში დომინირებდა უმაღლესი განათლება ბაკალავრი ტურიზმის მიმართულებით, პროფესიის სპეციფიკის მიხედვით განიხილებოდა რეცეფციონისტის, ტურიზმის მენეჯერის, ტურ-ოპერტორის, სერვის მენეჯერის, გამყვანი ტურიზმის გაყიდვების მენეჯერის, ადმინისტრატორის, გიდის, ბუღალტერის, სასტუმროს და რესტორნის მენეჯერის, სასტუმროს მიღების ოპერატორები, სომელიეს ვაკანტური ადგილები. ჩვენ მიერ გაანალიზდა 819 ვაკანსია, დომინირებს მოთხოვნა საოპერაციო მენეჯერის, ადმინისტრატორის, გამყვანი ტურიზმის გაყიდვების მენეჯერის, ოფისის ადმინისტრატორის, (Front desk), რეცეფციონისტის, ბელბოის, გიდის ვაკანსიებზე. კომპეტენციებთან მიმართებით ძირითად მოთხოვნებში დომინირებს ინგლისური და რუსული ენის ცოდნა, საოფისე/კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილი ცოდნა, გუნდური მუშაობის უნარი, კომუნიკაბელურობა, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და ორგანიზებულობა; ტურ-პაკეტების შექმნა, კვების ობიექტების მენეჯერის, გიდის უნარ-ჩვევების, ტრანსპორტის და განთავსების ობიექტების შერჩევის; დაგეგმილი ტურის კონტროლის; სერვისის შერჩევის, მომწოდებლებთან ურთიერთობის დამყარების, ფასის განსაზღვრის, კონტრაქტის გაფორმების, online დაჯავშნის სისტემებში მუშაობის, სასტუმროების

დაჯავშნის სისტემაში მუშაობის, მომსახურების პაკეტის სრულყოფილი აღწერილობის შესახებ ცოდნა და უნარები.

თუ განვიხილავთ ვაკანსიების რაოდენობას **(დიაგრამა 1),** ვაკანსიების რაოდენობების მკვეთრი ზრდა ფიქსირდება 2018 წელს, რომელიც ნარჩუნდება 2019 წელსაც, 2020 წელს პანდემიით გამოწვეულმა რთულმა პერიოდმა ყველაზე მეტად ტურისტულ სექტორზე იქონია უარყოფითი გავლენა და გამოიწვია ვაკანსიების შემცირება, თუმცა უნდა აღინიშნოს 2021 წლის მონაცემებში ოპტიმისტური ზრდის ტენდენციის არსებობა. აღნიშნული მონაცემებით შეიძლება განვსაზღვროთ, რომ წელიწადში საშუალოდ მოთხოვნა კერძო სექტორში 2021 წლიდან 2025 წლამდე პანდემიის შემცირების შემთხვევაში იქნება 600 დან 700 ვაკანსია.




ჩატარდა სიღრმისეული გამოკითხვა ინტერვიუებით. კვლევის რესპონდენტს წარმოადგენდა ტურიზმის ინდუსტრიის სხვადასხვა სეგმენტი. ფოკუს ჯგუფებს შეადგენდა - ტურისტული კომპანიები, სასტუმროები, ტურ-გიდები, დაცული ტერიტორიების სააგენტო, მუზეუმები. შერჩევის მოცულობა - 16 ტურისტული საწარმო. აღნიშნული ორგანიზაციებია: სასტუმრო „ციტრუსი", სასტუმრო „რედისონი", ტურისტული კომპანია „გალაქსი სითი", ტურისტული კომპანია „მის თრეველი", ტურისტული კომპანია „ვიზიტ აჭარა", „აღმოაჩინე საქართველო", ტურისტული კომპანია „საბა", ტურისტული კომპანია „ფინქ თრეველი", „ვიზიტ გეორგია", შპს „ჯეო ჰოტელიერს გროუფი", სასტუმრო „თაბორი ტერასა" , „ბლუ თრეველი", შპს „ინტერკო თრეველი", „დაცული ტერიტორიების სააგენტო", „ფიროსმანის მუზეუმი" თბილისში, „თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი", „გ. ტაბიძის მუზეუმი". კვლევის შედეგად გამოვლინდა შრომის ბაზარზე დამსაქმებლების მხრიდან დაწესებული მოთხოვნები და მოლოდინები, გამოიკვეთა პრობლემები, რომელთა გათვალისწინება ხელს შეუწყობს დასაქმების პერსპექტივებს.

უნდა აღინიშნოს, რომ დასაქმების პერსპექტივის თვალსაზრისით საკმაოდ სპეციფიკური სფეროა ტურიზმი. კვლევის საფუძველზე, ვლინდება, რომ უჭირთ კადრების მოძიება იმ ძირითადი უნარებით, რომელზეც ყველაზე დიდ აქცენტს აკეთებს საწარმო დაქირავების დროს. ესენია:

- ქსელური ტექნოლოგიების ცოდნის უნარები;
- უცხო ენების ცოდნის უნარები;
- კომუნიკაციის და გადაწყვეტილებების სწრაფად მიღების უნარები;
- პრობლემის მოგვარების უნარები;
- დროის მენეჯმენტის უნარები;
- ორგანიზაციული უნარები;
- მრავალმხრივი მუშაობის უნარები;
- სხვადასხვა კულტურების და ტრადიციების ცოდნის უნარები.

დღეს ტურიზმის სექტორში, სერვისებისა და მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევებია. მოქმედი ბიზნესების გამოწვევას წარმოადგენს სერვისების ხარისხის გაუმჯობესება და დაცვა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით გამოიკვეთა აჭარის რეგიონში, რაც მისი განსაკუთრებული ტურისტული როლით არის განპირობებული. კვლევისას გამოვლინდა, რომ აღნიშნული ტენდენცია კონკურენციის გაზრდის ფონზე გახდა აქტუალური. მეტი და მეტი ბიზნესი ხვდება, რომ მათთვის მომსახურების გაწევის ხარისხის გაუმჯობესება, პირდაპირ დაკავშირებულია შემოსავლების ზრდასთან.

თიბისი კაპიტალის მონაცემებით არსებობს სამუშაო ძალის დეფიციტი ქვეყანაში. პანდემიის შოკის შედეგად 2020 წელს ტურიზმთან დაკავშირებულ სექტორებში დასაქმებულთა რაოდენობა 28%-ით შემცირდა, ხოლო განთავსების საშუალებების სექტორში 41%. სამუშაო ადგილების მასიურმა დაკარგვამ და არაპროგმოზირებადმა გარემომ სექტორის მიმართ უნდობლობა გააჩინა. ინდუსტრიიდან გამოთავისუფლებულმა ძალამ სხვა სექტორში გადაინაცვლა. კვლევის მიხედვით სასტუმროების 88%-ს უწევს გაზარდოს სახელფასო დიაპაზონი კადრების მოსაზიდად, თუმცა საკადრო პრობლემის აღმოფხვრა მაინც რთულია. გამოკითხული სასტუმროების 88%-ს და რესტორნებს 53%-ს მოუხდა სახელფასო დიაპაზონის გაზრდა დეფიციტურ პოზიციებზე. ადმინისტრაციულ და მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული კადრები შედარებით ლოიალურები არიან. სასტუმროების 70%-ისა და რესტორნების 90%-ისთვის გამოწვევაა მენეჯერის/გენერალური მენეჯერის ერჩევა. უმაღლესი განათლების მოთხოვნა ჭარბობს ადმინისტრაციულ და მმართველობით პოზიციებზე დასაქმებული კანდიდატების მიმართ. ასევე, დეფიციტის მთავარი მიზეზებია განათლების სისტემაში არსებული ხარვეზები, ტურიზმის სექტორის არასტაბილურობა და დაბალი ანაზღაურება.

გასაძლიერებელია თანამშრომლობა ტურიზმის ინდუსტრიის ოპერატორებსა და განათლების სექტორს შორის და ინფორმაციის გაცვლა. რა კონკრეტული მოთხოვნები აქვთ ბიზნესს კადრების მიმართ. ცხადი და გამართული საკადრო პოლიტიკა, ტურიზმის ინდუსტრიაში კარიერული შესაძლებლობების ნათლად წარმოჩენა პოტენციური დასაქმებულებისათვის დადებითად იმოქმედებს ინდუსტრიის მიმართ ნდობის აღდგენაზე. სტუმარმასპინძლობის სექტორის მიერ თავიანთ სივრცეებში კოვიდ-უსაფრთხო გარემოს შექმნა წარმატებული ოპერირების მეტ შანსს აძლევს მათ და სამუშაო ძალისთვის სტაბილურობის შექმნის საფუძველსაც წარმოადგენს (თიბისი კაპიტალი).

საერთაშორისო ასპარეზზე ეროვნული ტურიზმის კონკურენტუნარიანობის ამაღლება, ტურიზმის მსოფლიო ბაზარზე შესაფერისი ადგილის დამკვიდრება, ახალი გამოწვევების დაძლევა, ტურიზმის გეგმაზომიერი განვითარება და ამით ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლაში წვლილის შეტანა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ადამიანური კაპიტალზე.

**ბიბლიოგრაფია:**

აზმაიფარაშვილი, მ. (2017). ტურიზმის განვითარების სტრატეგიული ტენდენციები. *გლობალიზაცია და ბიზნესი* (#4 ).

აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა. (2020). *პანდემიის პირობებში ტურიზმის ინდუსტრიაში არსებული გამოწვევები, სიტუაციის სოციალურ-ეკონომიკური ანალიზი და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის რეკომენდაციები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://eap-csf.ge/wp-content/uploads/2021/03/EAP-ტურიზმის-კვლევა-და-პოლიტიკის-დოკუმენტი.pdf

*თიბისი კაპიტალი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gse.ge/broker-companies/tbccapital

*ივნისში საქართველოში 146 664 უცხოური ვიზიტი განხორციელდა — ეს პანდემიური პერიოდის რეკორდია.* (2021). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://on.ge/story/85123-ივნისში-საქართველოში-146-664-უცხოური-ვიზიტი-განხორციელდა-ეს-პანდემიური-პერიოდის-რეკორდია

*კოვიდ 19 გავლენა ტურიზმზე: საქართველოს და მსოფლიო ტურიზმის ტენდენციები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.galtandtaggart.com/en

*პოლიტიკის დოკუმენტი: ტურიზმის სექტორი საქართველოში.* (2020). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.pmcresearch.org/policypapers_file/eeff5fa05276f3014.pdf

*საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხედვა - „ეკონომიკა - 2030".*

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). *საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2018.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Content&ID=a60c6446-f408-4ccc-8325-eaffcf86ecf0

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2018). *ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=Survey&ID=26c121ff-bdee-4295-a5e7-c00b18c7abe1

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2019). *საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი 2019.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.lmis.gov.ge/Lmis/Lmis.Portal.Web/Handlers/GetFile.ashx?Type=UserReport&ID=30ad9f6d-7c9e-48f2-b90c-d56bc719d0bd

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. *ნათია თურნავამ საქართველოს ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების ხედვა- „ეკონომიკა - 2030“ წარმოადგინა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.economy.ge/?page=news&nw=1724

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. (2021). *მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/2021-publikaciebi/02-04-2021/Outlook%20March%202021_GEO.pdf

*ქართული ტურიზმის მენეჯმენტის გამოწვევები და COVID-19.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://tourister.ge/ge/blog/georgian-tourism-management-challenges-and-covid-19/225

*შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემა.* ვებგვერდი: http://www.lmis.gov.ge

2021 წლის იანვარ-ივნისის მაკროეკონომიკური მიმოხილვა. (2021). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/2021-shesrulebis_angarishebi/6_Tve/TAVI%20II%202021%206%20tev.docx

Schubert, S. (2012). Tourism and unemployment: The effects of a boom in tourism demand on unemployment. *Tourism Economics, 4*, 35-36.

***Maia Azmaiparashvili***
*Gori State University*

## LABOR MARKET NEEDS SURVEY IN THE TOURISM INDUSTRY AND EMPLOYER DEMAND ANALYSIS IN PANDEMIC CONDITIONS

## RESUME

The tourism industry appears as a socio-economic phenomenon that can solve many economic problems facing the country. Employment, development of tourism and hospitality industry remain a acute national problem in Georgia, it has a direct proportional effect on these indicators of economic importance. It is important to analyze employment market dynamics and identify employers' demand for human capital skills in the tourism industry, especially in pandemic conditions. The paper reflects the assessment of the current situation in the labor market in the field of tourism and hospitality, identifies the needs and problems of the tourism sector, the issue of demand-supply of tourism professions. The presented research findings and recommendations reflect the current state and challenges of the labor market in the tourism sector, as well as the measures to be taken to address them. It must be said that the COVID-19 pandemic has forced the tourism sectors around the world to shift the focus from volume to value. To focus on the development of the tourism sector and from high volume and low quality tourism to low volume and high quality services. It should be noted that tourism is a very specific field in terms of employment prospects. Research shows that it is difficult to find staff with the basic skills that are most focused on when hiring an enterprise. Cooperation between tourism industry operators and the education sector and exchange of information is enhanced. What specific requirements do businesses have for staffing. A clear and sound personnel policy, clear presentation of career opportunities in the tourism industry for potential employees will have a positive impact on restoring confidence in the industry. Creating a co-secure environment in their spaces by the hospitality sector gives them a better chance of successful operation and is also the basis for creating stability for the workforce.infrastructure, tourism product and service quality on the agenda.

***Keywords:*** Industry, Workforce, Pandemic, Challenges, Research, Skills.

*ხათუნა ბებნაძე*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# კომუნიკაციის როლი და მართვის პრობლემები მენეჯმენტის სისტემაში

*საკვანძო სიტყვები:* კომუნიკაცია, მენეჯმენტის სისტემა, ინფორმაცია, მართვის სისტემა, კომუნიკაციური პროცესი, საკომუნიკაციო პოტენციალი, კომუნიკაციის ეფექტიანობის შეფასება.

ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციური პროცესების შეფერხების გარეშე წარმართვას. ჩაკეტილი კომუნიკაციური კავშირები აფერხებს ინფორმაციული ნაკადის საჭირო ოდენობას. ინფორმაციული კრიზისი კი არა ეფექტიანი და ერთპიროვნული გადაწყვეტილებების მიღების გარანტიაა. დიდია კომუნიკაციური კავშირების გავლენა გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

კომუნიკაცია, როგორც მართვის ფუნქცია, მოიცავს ინფორმაციის გადაცემას, მიღებას და მიღებულ ინფორმციაზე რეაგირებას. იგი ხორციელდება სხვადასხვა არხების საშუალებით. ამდენად, თითოეული მათგანის არსში ჩაწვდომა მნიშვნელოვანია. მიღებული ინფორმაციის სწორი აღქმა გავლენას ახდენს გადაწყვეტილების ეფექტიანობაზე, სწორედ ამიტომ, არსებითი მნიშვნელობა აქვს, გადაწყვეტილების მიღებამდე მოხდეს ყველა სახის ინფორმაციის დაზუსტება, რაც საშუალებას მოგვცემს, გარემო გავხადოთ განსაზღვრული. ორგანიზაციათა უმეტესობაში შიდა კომუნიკაციური კავშირები არაეფექტიანია, კომუნიკაციური პროცესები ჩაკეტილია, გადაწყვეტილებები ცენტრალიზებული და ერთპიროვნულია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის შესწავლა, არსებული ნაკლოვანებების გამოვლენა და მენეჯერთათვის სპეციალური, პროფესიული რეკომენდაციების შემუშავება, რაც დაეხმარება მათ კომუნიკაციური კავშირების გაძლიერებასა და გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაზრდაში.

კომუნიკაციური პროცესები და გადაწყვეტილების მიღების პროცესი მრავალი მეცნიერის შესწავლის საგანია, არსებობს სხვადასხვა დროს და ადგილას ჩატარებული კვლევები და მისი შედეგები. 1991 წლიდან 2016 წლამდე შუალედში, აღნიშნული საკითხის კვლევის მიმართულებით, ლიდერობს საფრანგეთი, გერმანია, აშშ, ჩინეთი, საუდის არაბეთი, პალესტინა, იორდანია და სხვ. ჩვენს ქვეყანაში აღნიშნული საკითხის შესწავლის მდგომარეობა არასახარბიელოა, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული რაოდენობის თეორიული მასალები, არ არსებობს უახლესი მეცნიერული კვლევის შედეგები, თუ არ ჩავთვლით, 2014 წელს, საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მიერ საქართველოს საჯარო სექტორში ჩატარებულ კვლევას, სადაც გამოვლენილ პრობლემათა შორის, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა არასწორი კომუნიკაციის პრობლემამ და არაეფექტიანმა გადაწყვეტილებებმა.

ვინაიდან ხელმძღვანელი თავის მმართველობით საქმიანობას და ფუნქციებს ახორციელებს იმისათვის, რომ მოახდინოს კომპანიის მიზნების ფორმულირება და მათი მიღწევა, ამიტომ ინფორმაციის გაცვლა პირდაპირ ზეგავლენას ახდენს მიზნების რეალიზაციის ხარისხზე. ყოველივე ეს ნიშნავს იმას, რომ ინდივიდებისა და კომპანიის წარმატებისათვის აუცილებელია ეფექტიანი კომუნიკაცია და პირიქით, კომპანიაში ინფორმაციის გაცვლის ცუდად დაყენებული სისტემა აფერხებს კომპანიის განვითარებას. ჩვენი ქვეყნის თანამედროვე პირობებში კომპანიების მდგრადი ფუნქციონირებისა და განვითარებისათვის აუცილებელია სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების ახალი წყაროების მოძიება. არამატერიალური ფაქტორები, ისეთები როგორებიცაა: ინფორმაცია და კომუნიკაცია, იძენენ სულ უფრო დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

თანამედროვე ეტაპზე კომპანიებში კომუნიკაციების მართვა ატარებს უსისტემო ხასიათს. უმეტეს შემთხვევაში არ ხდება ინფორმაციის სისტემატიზაცია, ამასთან დაკავშირებით არ ხდება კომუნიკაციური მოთხოვნილებებისა და კომპანიის განვითარების ხანგრძლივვადიანი ინტერესების გათვალისწინება. წარმოიშობა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია საკადრო პოტენციალის არასრულ გამოყენებასთან და ცვალებად გარემო პირობებზე დროული რეაგირების უუნარობასთან. ამიტომ, ინფორმაციის მართვისა და კომუნიკაციის პრობლემები წარმოადგენენ აქტუალურს ქართული კომპანიებისათვის.

ინფორმაცია განუყოფლად დაკავშირებულია კომპანიაში კომუნიკაციურ პროცესებთან, რომლებზედაც დამოკიდებულია ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღების ეფექტიანობა. თუ ირღვევა საინფორმაციო ნაკადები, კომპანიის შიგნით და გარე სამყაროსთან კავშირი, საფრთხის ქვეშ დგება თვით

კომპანიის არსებობა. მხოლოდ ინფორმაციის მიღება არ არის საკმარისი. იგი სათანადო სახით უნდა გარდაიქმნას და დამუშავდეს, ე.ი. როდესაც წარმოიშობა კომუნიკაციური კავშირი, უზრუნველყოფილი ხდება კომპანიის საქმიანობის არსებობა და ეფექტიანობა.

ეფექტიანობის გასაზრდელად აუცილებელია კომუნიკაციის პროცესის გაუმჯობესება. კომუნიკაციის პროცესის წარმატებით წარმართვის მიზნით აუცილებელია, მენეჯერთან ერთად თანამშრომლებმაც იგრძნონ პასუხისმგებლობა და მაქსიმალური მონდომებით მოახდინონ პროცესში ჩართვა. საჭიროა, გადაწყვეტილების მიღებას წინ უსწრებდეს საკითხის შესახებ ინფორმაციის მოსმენა, დისკუსია და საერთო ინტერესების გამოკვეთა, რომელიც თანხვედრაში იქნება ორგანიზაციის მიზანთან. ეფექტიანი და ადეკვატური გადაწყვეტილებები თანამშრომელთა მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია. მნიშვნელოვანია, მენეჯერმა ყურადღება გაამახვილოს კომუნიკაციურ კავშირებზე, გააანალიზოს და შეისწავლოს ყველა არხი, საიდანაც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება. ასევე მიაგნოს მოპოვებული ინფორმაციის ეფექტიანი მართვის შესაძლებლობებს, რომელსაც გამოიყენებს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. აუცილებელია, მენეჯერმა ყურადღებით შეარჩიოს კომუნიკაციის საშუალებები, რადგან სწორედ მათ აქვთ უდიდესი გავლენა წარმატებული კომუნიკაციური კავშირების ჩამოყალიბებასა და ეფექტიანი გადაწყვეტილების მიღებისთვის. მაქსიმალური ეფექტის მისაღებად მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა ტიპის კომუნიკაციის საშუალებები, მათ შორის, თანამედროვე ტექნოლოგიები და ინტერნეტ საშუალებები. კომუნიკაციის საშუალებები სწრაფად ვითარდება. ორგანიზაციებს უჭირთ ცვლილებებთან ფეხის აწყობა და ტექნიკურ პროგრესს ჩამორჩებიან. სამინისტროებში არსებული კომუნიკაციური ტექნოლოგიები ვერ უზრუნველყოფს მონაცემთა ბაზების შეუფერხებელ წარმოებას, განახლებას და ხარვეზების გამოვლენას. ამიტომ, მნიშვნელოვანია, გაიზარდოს ინვესტირება თანამედროვე კომუნიკაციის საშუალებების შეძენასა და გაუმჯობესებაში.

ორგანიზაციებმა ინდივიდუალურად უნდა განსაზღვრონ საჭიროებები და მოაგვარონ გამოკვეთილი პრობლემები. გაუმჯობესებული კომუნიკაციის საშუალებები უზრუნველყოფს ინფორმაციის სწრაფ გაცვლას შეუზღუდავი რაოდენობის ადრესატთა შორის. დაზოგილ დროსთან ერთად დაიზოგება სხვა რესურსებიც, რომელთა ხარჯვაც გარდაუვალი იქნება სხვა ტიპის კომუნიკაციის განხორციელებისას. ყურადღება უნდა გამახვილდეს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ინტერნეტ კომუნიკაციის სიხშირე და მრავალფეროვნება. გადაუდებელი პრობლემის გადაწყვეტისას, გაიზარდოს ინტერნეტკომუნიკაციის საშუალებების გამოყენება. ინტერნეტ კომუნიკაციური პროცესების უფრო მაღალი ხარისხით განხორციელების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს ინვესტირება აღნიშნული მიმართულებით.

თანამედროვე ორგანიზაციებში ინფორმაციის გადაცემა მოიცავს ყველა ქვეგანყოფილებასა და საქმიანობის ყველა მხარეს. ამიტომ ნათელია, რომ კომპანიის საქმიანობა დამოკიდებულია კომუნიკაციური პროცესის ეფექტიანობის ხარისხზე. მაგრამ კომუნიკაციის პროცესში შესაძლოა მოხდეს ინფორმაციის დამახინჯება, არასწორად გაგება ან აღქმა. ინფორმაციის გაცვლის ეფექტიანობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ერთი მხარე გადასცემს ინფორმაციას, ხოლო მეორე მხარე კი სწორად აღიქვამს მას.

მართალია, კომუნიკაციას აქვს უაღრესად დიდი მნიშვნელობა კომპანიის წარმატებული საქმიანობისათვის, მაგრამ გამოკითხვებმა გვიჩვენეს, რომ 73% ამერიკელი, 63% ინგლისელი და 85% იაპონელი ხელმძღვანელებისა კომუნიკაციას თვლიან კომპანიის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების გზაზე მთავარ დაბრკოლებად. კიდევ ერთი გამოკითხვის თანახმად 2000 სხვადასხვა კომპანიის 250 ათასი თანამშრომლისათვის ინფორმაციის გაცვლა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე რთულ პრობლემას კომპანიაში. ეს გამოკითხვები მოწმობენ, რომ არაეფექტური კომუნიკაციები წარმოადგენენ პრობლემების წარმოშობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს.

კომუნიკაცია ითვლება წარმატებულად, თუ ინფორმაციის მიმღები ღებულობს (გებულობს) მის შინაარსს ადეკვატურად იმ შინაარსისა, რომელსაც მასში დებს გამგზავნი. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომუნიკაცია არაწარმატებული ანუ არაეფექტურია. ფაქტორებს, რომლებიც აფერხებს წარმატებულ კომუნიკაციას, კომუნიკაციურ ბარიერებს უწოდებენ. არსებობს როგორც მაკრო, ასევე მიკროდონის კომუნიკაციური ბარიერები. მაკრობარიერები ხელს უშლის წარმატებულ კომუნიკაციას, როგორც საერთო პროცესს. მაკრობარიერებს მიეკუთვნება:

- საინფორმაციო ქსელების გადატვირთვა, ინფორმაციის დაზიანება;
- რთული ინფორმაციის გადაცემის საჭიროება;
- საქმიანი კონტაქტების ინტერნაციონალიზაცია, უცხო ენების როლის გაზრდა და ა.შ.

მიკრობარიერები, თავის მხრივ, ხელს უშლიან წარმატებულ და ეფექტურ კომუნიკაციას უფრო კონკრეტულ, ვიწრო სფეროებში. ასეთი ტიპის ბარიერებს მიეკუთვნება:

- ინფორმაციის წყაროს (მიმწოდებლის) დამოკიდებულება ინფორმაციის მიმღებთან

(ადრესატთან);

- ადრესატის დამოკიდებულება ინფორმაციის წყაროსთან;
- ადრესატის მიერ სიტყვების მრავალაზროვანი აღქმა;
- უკუკავშირის არარსებობა.

ბარიერები, რომლებიც შეიძლება არსებობდეს პიროვნებათაშორის ან ორგანიზაციული კომუნიკაციის დროს, შეიძლება გამოვსახოთ სქემის სახით (ნახ. 1):




ნახ. 1. კომუნიკაციური ბარიერების კლასიფიკაცია

ორგანიზაციებში ჩამოყალიბებულ მართვის სისტემას ხშირად ახასიათებს დაგვიანებული გადაწყვეტილებების მიღების პრობლემა. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ქვედა დონის მენეჯერს უფლება არ აქვს, დამოუკიდებლად გადაწყვიტოს პრობლემა და ამყარებს იერარქიულ კომუნიკაციას. რიგითი თანამშრომელი პრობლემის შესახებ ინფორმაციას აწვდის ქვედა რგოლის მენეჯერს, ქვედა რგოლის მენეჯერი - საშუალო რგოლის მენეჯერს, ხოლო ეს უკანასკნელი - ზედა რგოლის მენეჯერს. არცერთი მათგანი, ზედა რგოლის მენეჯერის გარდა, დამოუკიდებელი არ გახლავთ გადაწყვეტილებებში. შესაბამისად, პროცესის ესკალაცია საკმაოდ დიდ დროს საჭიროებს და ხშირ შემთხვევაში რეაგირება დაგვიანებულია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღნიშნული ხარვეზი წლების განმავლობაში საფუძვლიანად დამკვიდრებული პრაქტიკაა, ამას ემატება მენეჯერის დამოუკიდებლად მოქმედების შიშიც. პრობლემის აღმოფხვრის მიზნით, მნიშვნელოვანია, ნებისმიერ ხელმძღვანელს, საკუთარი პასუხისმგებლობების ფარგლებში, გააჩნდეს მოქმედების და გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება.

ჩვენი აზრით, საკვანძო პრობლემას ორგანიზაციული კომუნიკაციების მენეჯმენტის სფეროში წარმოადგენს კომუნიკაციის ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასების პრობლემა. არსებული მრავალრიცხოვანი მეთოდოლოგიები ატარებენ გაფანტულ ხასიათს, არ ქმნიან ერთიან დასრულებულ სურათს და არ იძლევიან სრულ წარმოდგენას კომპანიის საკომუნიკაციო პოტენციალის შესახებ, ასევე კომპანიის საკვანძო მაჩვენებლებზე მისი ზემოქმედების შედეგს. ამის გარდა კომუნიკაციებს განიხილავენ კომპანიის მიზნებისაგან და მიღებული სტრატეგიისგან იზოლირებულად, რაც არ იძლევა კომუნიკაციების მართვის კომპანიის სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემაში ინტეგრირების საშუალებას.

ეფექტიანობისა და შედეგიანობის შეფასების მეთოდოლოგიის შემუშავება საშუალებას მოგვცეს კომუნიკაციებისათვის გამოვიყენოთ სტრატეგიული მართვის ელემენტები, რომელთა მთავარი პრინციპი უნდა გახდეს საკომუნიკაციო სტრატეგიის კომპანიის მიზნებთან შესაბამისობა. განვიხილოთ კომუნიკაციის მართვის პროცესი, როგორც შვიდი თანმიმდევრული ეტაპი (იხ. ნახ. 2).




ნახაზი 2. კომუნიკაციის მართვის საერთოო მოდელი

კომუნიკაციის მართვის მოცემული ალგორითმი შეესაბამება დემინგის მართვის ციკლის ძირითად ეტაპებს და მის უწყვეტი სრულყოფის პრინციპს: საკომუნიკაციო სტრატეგიის ცალკეული ელემენტების რეალიზაციის შემდეგ ჩაატარონ შუალედური შედეგების ანალიზი და შეიტანონ კორექტივები. კომპანიის ორგანიზაციული კომუნიკაციების მართვის ეფექტიანობის ძირითად მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს წარმოადგენს კომპანიის სტრატეგიულ მიზნებზე მკაცრი ორიენტირება, თუ რამდენად მიუახლოვა კომპანია საკომუნიკაციო ღონისძიებებმა დასახულ მიზნებს.

დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაციების მართვა ჩვენს ქვეყანაში გამოირჩევა თავისი სპეციფიკით. თუ უმრავლეს უცხოეთის კომპანიებში არსებობს კორპორაციული კომუნიკაციის განყოფილებები, ქართულ კომპანიებში მისდამი ინტერესი დაბალია. კომუნიკაცია ჩართულია მართველობითი საქმიანობის ყველა ძირითად სფეროში, ამიტომ მას შესაძლოა ვუწოდოთ დამაკავშირებელი პროცესი. კომპანიის კომუნიკაციის სისტემა წარმოადგენს მისი ორგანიზაციული განვითარების მართვის პროცესის ერთ-ერთ ფაქტორს და მოითხოვს მისი შესწავლისა და ფორმირებისადმი კომპლექსურ მიდგომას.

ამრიგად, კომუნიკაციების ჩართვა სამართავი ფაქტორების რიცხვში კომპანიის ხელმძღვანელებს გადასცემს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მნიშვნელოვან ქმედით ინსტრუმენტს, რომლის ეფექტიანად გამოყენების სარგებელი მნიშვნელოვნად გადააჭარბებს დანახარჯებს, გაწეულს კომუნიკაციების რეგულარული მართვის პრაქტიკაში დანერგვაზე.

**ბიბლიოგრაფია:**

*თანამედროვე ორგანიზაციების მართვა.* (2012). თბილისი: პალიტრა L.

მაჭავარიანი, შ. (2014). *მენეჯმენტის საფუძვლები.* თბილისი: მეგობრობა.

*მენეჯერის ბრძოლა წარმატებისთვის.* (2012). თბილისი.

Cazeneuve, J. (2016). *„QU'est ce que la communication volume II Persee.* Paris.

Chichester, W., & Frochot, D. (2000). *La Theorie La Communication.* Edition France.

*Communication.* (n.d.). Retrieved from Wikipedia, the free encyclopedia: https://en.wikipedia.org/wiki/Communication#Barriers_to_effective_human_communication

Cornelissen, J. (2002). *Corporate Communications Theory and Practice.* London.

Dunod, M. (2010). *Communication: stage initial Initiateur.* Paris: CTR74 lionel Edition .

Nelson, B., & Economy, P. (2005). *The Management Bible.* Hoboken. New Jersey.
Nickols, F. W. (2015). *Strategic Decision Making, Commitment to Strategic Action.* Distance Consulting LLC. Retrieved from http://www.nickols.us/strategic_decision_making.pdf
*Principles of Management.* (2015). University of Minnesota Libraries Publishing Edition. Retrieved from https://open.lib.umn.edu/principlesmanagement/

***Khatuna Bebnadze***
*Gori State University*

## THE ROLE OF COMMUNICATION IN THE MANAGEMENT SYSTEM AND THE PROBLEMS OF THEIR MANAGEMENT

## RESUME

The importance of communication increases in the management system. In modern conditions communication is the basis of ev- ery company’s vitality. In the management system the importance of consideration of the current problems that arise in the field of organizational communication and the solution of which can facilitate communication is a factor of strategic importance of the company development.

***Keywords:*** Communication, management system, information management system, communication process, communication potential, communication efficiency assessment.

***ლია ბიბილაშვილი***
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის დამახასიათებელი გლობალური ტენდენციები

***საკვანძო სიტყვები:*** პირდაპირი ინვესტიცია, გლობალიზაცია, საბაზრო ეკონომიკა, კაპიტალი.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ეკონომიკური ზრდა დიდძალ კაპიტალს მოითხოვს. ერთადერთი გზა, რითაც ქვეყანას შეუძლია ძირითადი კაპიტალის დაგროვება და მოდერნიზაცია არის ინვესტირება. გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების უმეტესობას რომც ჰქონოდა საკმარისი შემოსავლები დანაზოგების აკუმულირების მაჩვენებლების გასაზრდელად, გაუმართავი ინფრასტრუქტურა შეუძლებელს გახდიდა ეკონომიკურ ზრდას ახლო მომავალში, მხოლოდ შიდა ძალისხმევის ხარჯზე. ასეთ დროს სუსტი ეკონომიკის ქვეყნებისათვის ფიზიკური და ფინანსური კაპიტალის მოზიდვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები განაპირობებს შესაძლებლობების, მატერიალური სიმდიდრისა და კეთილდღეობის გენერირებას, რაც წარმოქმნის ახალ სამუშაო ადგილებს. უცხოური ინვესტორების მიერ გადახდილი გადასახადებიდან მიღებული ახალი შემოსულობები ზრდის საშემოსავლო კალათას და ეს იძლევა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და არსებული ადამიანური კაპიტალის გაძლიერების შესაძლებლობას. ამრიგად, უცხოური კაპიტალის შემოდინების მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას იძენს ასეთი ქვეყნებისათვის.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები (უპი) წარმოადგენს ახალი ტექნოლოგიების, ტრანსფერისა და დანერგვის ეფექტურ საშუალებას. ტექნოლოგიურ ტრანსფერს უცხოელი ინვესტორების მხრიდან თან ახლავს უწყვეტი ინიციატივები, რაც ორიენტირებულია მიმღები ქვეყნის ადამიანური რესურსების განვითარებისაკენ და გამოიხატება ადგილობრივი მუშახელის შრომის ნაყოფიერების ზრდის

ხელშემწყობ ტრენინგებში, თანამედროვე მენეჯმენტის, პრაქტიკის და სხვადასხვა საორგანიზაციო ხასიათის ინოვაციების დანერგვაში.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციები განიხილება, როგორც უფრო სტაბილური, გრძელვადიანი ინვესტიცია, რაც გულისხმობს ისეთი გადაწყვეტილების მიღებას და ვალდებულების აღებას, რომლის გადაწყვეტა და შეწყვეტა იოლი არ იქნება.

უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ძირითადი მახასიათებლებია:

- მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ტექნოლოგიების გადაცემასა და მათ ეფექტიან გამოყენებაში;
- ქმნის სამუშაო ადგილებს და აქვს შესაძლებლობა, კონსტრუქციული წვლილი შეიტანოს საკადრო რესურსების განვითარებაში;
- ხელს უწყობს წარმოებას, ექსპორტს და ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- ინვესტორს აძლევს საწარმოს მართვისა და კონტროლის უფლებას.

უცხოურ პირდაპირ ინვესტიციებს შეუძლია გაზარდოს მიმღები ქვეყნის ეკონომიკის საწარმოო პოტენციალი და პროდუქტიულობა სხვადასხვა განვრცობითი ეფექტებით. უცხოური პირდაპირი ინვესტიციები სტიმულს აძლევს სხვა მრავალნაციონალურ საწარმოებს/უცხოურ ფირმებს შევიდნენ ადგილობრივ ბაზარზე და შეიტანონ თავიანთი კაპიტალი და სხვა შესაძლებლობები მიმღებ ქვეყანაში. უცხოელი ინვესტორები ეხმარებიან ადგილობრივ ფირმებს, შეაღწიონ გლობალურ რეგიონულ ქსელებსა და სტრუქტურებში; უპი ზრდის კონკურენციას მიმღებ ქვეყანაში, რომელსაც საბოლოო ჯამში კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ მივყავართ; უპი ასოცირდება მაღალ ხელფასებთან, მოგებისა და რენტაბელობის მაღალ კოეფიციენტებსა და შიდა ინვესტირების შესაძლებელ ზრდასთან, რაც, თავის მხრივ, განპირობებულია კონკურენციის ზრდით; უპი განიხილება როგორც მყარი ვალუტის მნიშვნელოვანი წყარო და ეროვნულ მთავრობებს აძლევს შესაძლებლობას დააფინანსონ საგადასახდელო ბალანსის დეფიციტი.

აღსანიშნავია, რომ ყველა ექსპერტი არ იზიარებს უცხოური პირდაპირი ინვესტიციის ამგვარ როლს მიმღებ ქვეყანაში. ზოგიერთი მათგანი თვლის, რომ უცხოური პირდაპირი ინვესტიციების გავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება იყოს დადებითი ან უარყოფითიც კი, იმის მიხედვით, თუ რა გზით ხორციელდება ესა თუ ის ინვესტიცია.

კრიტიკული ნაშრომების ავტორები თვლიან, რომ მოკლევადიან პერსპექტივაში უცხოურმა პირდაპირმა ინვესტიციებმა შეიძლება სრულიად დათრგუნონ ადგილობრივი ფირმები ბაზრის დიდი წილის დაკავებით და სრულიად დააკნინონ ამ ფირმების შესაძლებლობები.

ინვესტირება არის ერთ-ერთი იმ სამ კომპონენტთაგან (ინვესტიცია, მოხმარება და დაგროვება) რომელიც თამაშობს ერთ-ერთ უმთავრეს როლს ქვეყნის ეკონომიკის წარმოებაში. რაც უფრო მეტ ინვესტიციებს ახორციელებს ქვეყანა ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ძირითადი კაპიტალის აკუმულირებისათვის, მით უფრო მაღალია წარმოების დონე, დასაქმების, შემოსავლების, მსყიდველობითუნარიანობის, მოხმარების და დაგროვების. შესაბამისად, კაპიტალი (ინვესტიცია) წარმოადგენს გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდის არსებით და მამოძრავებელ ძალას.

მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციამ, როგორც ეკონომიკურმა ფენომენმა, დადებითი გავლენა იქონია უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოცულობაზე. ამ ინვესტიციების ძირითადი ნაწილი მაღალგანვითარებული ქვეყნების კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის რაოდენობის ზრდით აიხსნება.

გრძელვადიანი პერიოდის ტენდენციისგან განსხვავებით 2010 წლიდან 2014 წლის ჩათვლით უცხოური პირდაპირი ინვესტიციის ღირებულება დაეცა თითქმის 60 პროცენტით. დაფიქსირებული უცხოური პირდაპირი ინვესტიციის შენელება, სავარაუდოდ, დროებით ხასიათს ატარებდა, რასაც განაპირობებდა შემდეგი მოვლენები: მსოფლიო ეკონომიკის საერთო ზრდის სიჩქარის შენელება, გაზრდილი გეოპოლიტიკური გაურკვევლობა, რომელიც 11 სექტემბრის მოვლენებს მოჰყვა, გლობალური ფინანსური კრიზისი, რომელიც დაიწყო აშშ-ში და შეზღუდა მულტინაციონალური კომპანიების უნარი, გაეზარდათ ის დამატებითი კაპიტალი, რომელიც აუცილებელი იყო უცხოური პირდაპირი ინვესტიციის დასაფინანსებლად.

ისტორიულად, უპი-ს ყველაზე დიდი რაოდენობა მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებზე მოდიოდა, რადგან ფირმები, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში არსებობდნენ, დებდნენ ფულს სხვა ქვეყნების ბაზრებში. ამერიკის შეერთებული შტატები ყოველთვის სასურველი ქვეყანა იყო ინვესტიციების დასაბანდებლად. ეს ტენდენცია გაგრძელდა 1990-იანი წლების ბოლომდე, როდესაც აშშ დარჩა ინვესტიციების ყველაზე დიდ მიმღებად. 2000 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კვლავ ყველაზე დიდი რაოდენობით მიიღო ინვესტიციები, დააგროვა რა 281 მილიარდი დოლარი, როდესაც მსოფლიო უპი შეადგენდა 1.3 ტრილიონ დოლარს, ხოლო ევროპაში უპი-ს ნაკადები შეადგენდა 633 მილიარდ დოლარს. მიუხედავად ამისა, 2012 წლისთვის აშშ-სა და ევროპის ნაკადები დაეცა 30 მილიარდ

და 374 მილიარდ დოლარამდე. შესაბამისად, ამის ახსნა შეიძლება გლობალური ფინანსური კრიზისით. ისტორიულად, აშშ ყოველთვის მიმზიდველი ,,სამიზნე" იყო ინვესტიციებისთვის, მისი ფართო და მდიდარი ბაზრის, დინამიური და სტაბილური ეკონომიკის, სასურველი პოლიტიკური მდგომარეობისა და ინვესტიციებისადმი გახსნილობის გამო.

განვითარებულ ქვეყნებზე მოდის უპი-ის უდიდესი წილი, მაგრამ სულ უფრო და უფრო იზრდება ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებშიც. გარდამავალი და განვითარებადი ქვეყნების, როგორც ინვესტორი ქვეყნების როლის ზრდა შესაძლოა გლობალიზაციის მზარდი ზეწოლით აიხსნას, რაც კომპანიებს აიძულებს, კონკურენციისათვის იბრძოლონ როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე.

ბოლო წლების მანძილზე განხორციელებული ინვესტიციების მიხედვით, შეიძლება ითქვას რომ, საქართველო ინვესტორებისათვის სულ უფრო მიმზიდველი ხდება. ამავე დროს ისიც აღსანიშნავია, რომ დარგობრივ სტრუქტურაში მომსახურების სფერო დომინირებს. საინვესტიციო პოტენციალის შეფასებისა და მეტი კაპიტალის მოსაზიდად ადეკვატური პოლიტიკის განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია იმ კომპანიების მოტივაციის გაანალიზება, რომლებიც საქართველოში აბანდებენ კაპიტალს. ამდენად თუ გავაანალიზებთ საქართველოს ამჟამინდელ მდგომარეობას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, შემოსული საინვესტიციო ნაკადები ფრაგმენტული და ნაკლებად მდგრადია. საშუალოვადიან პერსპექტივაში მათ უნდა დაემატოს კაპიტალდაბანდებები ისეთ წარმოებაში, რომელიც დასაქმებისა და ექსპორტის ზრდას შეუწყობს ხელს. პოზიტიური ცვლილებები შეიმჩნევა ისეთ დარგებში, როგორიც კვების პროდუქტების გადამუშავებაა (ღვინო, თხილი, მინერალური წყლები და სხვა), საექსპორტო საქონლის გადამუშავებაში ინვესტირების ცალკეული შემთხვევები აღინიშნება საფეიქრო მრეწველობაშიც. საბოლოოდ, საქართველომ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ახალ მაღალტექნოლოგიურ წარმოებაში კაპიტალის მოზიდვაში.

ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს პარტნიორ ქვეყნებთან სწორი და მომგებიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, აგრეთვე აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს გლობალურ პროცესებში. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების უმთავრესი მიზანია ქვეყნის ეკონომიკური ზრდა, ქვეყნის იმიჯის განმტკიცება მსოფლიოში. ქვეყნის ეკონომიკური ზრდა მიიღწევა ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკით, უცხოური პირდაპირი ინვესტიციების ზრდით, რაშიც ქვეყნის იმიჯი დიდ როლს თამაშობს.

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე, შესაბამისად, თავისი სატრანსპორტო მაგისტრალებით ქვეყანა არის ის ხიდი, რომელიც აკავშირებს მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებს. ესენია: ევროპა, შავი ზღვის აუზის ქვეყნები. ამ ქვეყნებს შორის მასზე გადის ყველაზე მოკლე გზა დასავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიას შორის ნავთობის, გაზის და სხვა ტვირთების გადასაზიდად. 2003 წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულმა რეფორმებმა და ინიციატივებმა დადებითი შედეგები გამოიღო, რაც საერთაშორისო კვლევებითა და შეფასებებითაც დასტურდება. სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი პრინციპი კერძო ინვესტორებთან მიმართებით არის ის, რომ არ ჩაერიოს მათ საქმიანობაში, მაქსიმალურად შეუსაბამოს საკანონმდებლო ბაზა საინვესტიციო აქტიურობის პროცესს და უზრუნველყოს დაბანდებული სახსრების საიმედო დაცვა.

**ბიბლიოგრაფია:**


გელაშვილი, მ. (2012). *საინვესტიციო პოლიტიკა.* თბილისი.
საქართველოს ეროვნული ბანკი. ვებგვერდი: https://nbg.gov.ge/
საქართველოს პარლამენტი. ვებგვერდი: https://www.parliament.ge/
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: https://www.geostat.ge/ka
შენგელია, თ. (2010). *გლობალური ბიზნესი.* თბილისი.
Squire, I., & Tak, H. G. (2001). *Economic Analysis of Project.* World Bank, Baltimor, London.
World Bank. (2010). *Doing Business.* Washington (DC): World Bank.

***Lia Bibilashvili***
*Gori State University*

**GLOBAL TRENDS CHARACTERISTIC TO FOREIGN DIRECT INVESTMENTS**
**RESUME**

Georgia, similar to any other state, in the conditions transition economy, was placed in force majeure situation and this was further aggravated by the political instability and altogether, this, caused significant fall in investment activities. Key reasons of fall in investment activities included: crisis in industrial sectors; change of ownership forms; limiting of investment function of the state.

Investment activities in the countries and its economic development are in proportional relationship. Therefore, the state should pay great attention to the issues of implementation of investment policies.

Currently there are poor opportunities for the improvement of economic effectiveness but the grow, particularly, by the attraction of foreign capital and therefore, the necessity use of these assets increases.

***Keywords:*** Direct investments, Globalization, Market economy, Capital.

*გიული გიგუაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები Covid-19-ის პირობებში

*საკვანძო სიტყვები:* მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, პანდემია.

**შესავალი.** ეკონომიკის მდგრადი განვითარების პრინციპი საქართველოს ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი ამოსავალია და გულისხმობს საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა და ბუნებრივი კატასტროფების რისკების თავიდან აცილება. გადაწყვეტილებების მიღებისას, აუცილებელია როგორც ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეფასება, ასევე ეკოლოგიური და სოციალური ეფექტიანობის გათვალისწინება. მწვანე ეკონომიკის წახალისება, რომელიც ქვეყნის მდგრადი განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს, გრძელვადიან პერსპექტივაში ხელს შეუწყობს ბიზნესის მხრიდან დანახარჯების შემცირებას და ახალი სექტორების განვითარებას.

**კვლევის მიზანი.** კვლევის მთავარი მიზანია განისაზღვროს, რა გავლენა მოახდინა პანდემიამ საქართველოს ეკონომიკაზე და რა შესაძლებლობები გაგვაჩნია კრიზისიდან თავის დასაღწევად, ეკონომიკის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად. უდავოა, რომ მდგრადი განვითარება ხელს უწყობს საზოგადოების კეთილდღეობის ზრდას და გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის პირობების შექმნას გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით, მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის გზით.

**მეთოდოლოგია.** კვლევის პროცესში გამოყენებული იქნა სისტემური მიდგომა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, შედარებითი ანალიზი.

**ლიტერატურის მიმოხილვა.** პანდემიამდე ბევრად ადრე, 2015 წლის სექტემბერში გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა: 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის", რომელიც წარმოადგენს 15 წლიან სამოქმედო გეგმას და მიზნად ისახავს თანამედროვე გლობალური გამოწვევების, კერძოდ, სიღარიბის, უთანასწორობის, კეთილდღეობის, განათლების, მშვიდობის, სამართლიანობის, ასევე კლიმატურ და ეკოლოგიურ პრობლემებთან გამკლავებას. რეზოლუციაში წარმოდგენილია მდგრადი განვითარების 17 მიზანი და 169 ამოცანა, რომლებიც ურთიერთდაკავშირებულია და ეკონომიკურ, სოციალურ და ეკოლოგიურ ჯგუფებად ერთიანდება. საქართველომ, სხვა ქვეყნების მსგავსად, მოახდინა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ნაციონალიზაცია, შემუშავდა ჰორიზონტალური ინტეგრაციის მოდელი, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს გლობალური მიზნებისა და მათ ამოცანათა დაკავშირებას და ასახვას არსებულ თემატურ სტრატეგიებსა და სამოქმედო გეგმებში. (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2021)

მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობის საკითხი მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ევროკავშირთან საქართველოს ასოცირების შეთანხმების დოკუმენტში. ასოცირების შეთანხმების 301-ე პარაგრაფის თანახმად, მხარეები თავიანთ ურთიერთობებს ააგებენ და გააძლიერებენ, მდგრადი განვითარებისა და მწვანე ეკონომიკის გრძელვადიანი მიზნების გათვალისწინებით. ამასთანავე, მდგრადი განვითარების პრინციპების უპირატესობები და მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა აღნიშნულია საქართველო სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში „საქართველო 2020". მდგრადი განვითარების მიზნები (SDG) და ამოცანები ითვალისწინებენ განსხვავებულ ეროვნულ თვისებებს, შესაძლებლობებს და განვითარების დონეს და პატივს სცემენ ეროვნულ პოლიტიკას და პრიორიტეტებს. (ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, გვ. 426)

ჯერ კიდევ 2016 წელს საქართველო შეუერთდა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მწვანე ზრდის დეკლარაციას, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობა მწვანე ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის. საქართველოს მთავრობის მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის ძირითად მიზანს საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზების ხელშეწყობა, მდგრადი და მწვანე განვითარების საფუძვლის შექმნა წარმოადგენდა. მწვანე განვითარებისკენ გადადგმული ნაბიჯები დადებითად აისახება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მაჩვენებლებზე და საერთაშორისო იმიჯზე. (საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო)

მწვანე ეკონომიკური განვითარებისკენ სვლაში საქართველოს მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა ევროკავშირის მიერ დაფინანსებულმა პროგრამამ „მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN). პროექტმა ქართულ სამრეწველო საწარმოებში მოახდინა იმ პრაქტიკული გზების დემონსტრირება, რომლებიც აუმჯობესებენ წარმოებაში რესურსების გამოყენების პროდუქტიულობას, ამცირებენ გარემოზე უარყოფით ზეგავლენას და მოაქვთ ეკონომიკური სარგებელი. რესურსეფექტური და სუფთა წარმოების ფართო დანერგვის მიზნით პროექტმა ხელი შეუწყო ინდივიდუალური და ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარებას, რესურსეფექტური ტექნოლოგიების გადაცემას და შესაბამისი ინვესტიციების მხარდაჭერას, რაც წარმოადგენს საუკეთესო პრაქტიკას მცირე და საშუალო საწარმოებებისათვის მწვანე და კონკურენტუნარიანი წარმოების მისაღწევად. (მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN))

**შედეგები-დისკუსია.** მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს: განახლებადი ენერგია; მწვანე შენობები; სუფთა ტრანსპორტი; წყლის მენეჯმენტი; ნარჩენების მენეჯმენტი და მიწის მენეჯმენტი.

მოსახლეობის რაოდენობის ზრდასთან ერთად, იმატებს ენერგიაზე მოთხოვნა, რაც ზრდის ისედაც შეზღუდული რესურსების დეფიციტს და ამწვავებს კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამოწურვადი რესურსების პრობლემის მოგვარების მიზნით, მსოფლიომ დაიწყო განახლებადი ენერგიების: ტალღების, ქარის, ბიომასის, მზის, გეოთერმული, წყლის ენერგიების მოძიება და გამოყენება. საქართველოში არსებული ელექტროენერგეტიკული რესურსების ეფექტიანად გამოყენების, ელექტროენერგეტიკული უსაფრთხოების გაზრდისა და მდგრადობის, ასევე ქვეყანაში ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნის სრულყოფილად დაკმაყოფილების მიზნით, მთავარ პრიორიტეტად რჩება წყლის, მზის, ქარის და სხვა ტიპის განახლებადი ენერგიის რესურსების რაციონალურად ათვისების პოლიტიკის სრულყოფა, არსებული სამართლებრივი ბაზის განახლება, ევროკავშირის დირექტივებთან დაახლოება, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს კონკურენტული ენერგეტიკული ბაზრის ჩამოყალიბებას, ენერგო უსაფრთხოების გაუმჯობესებას და მდგრად ეკონომიკურ განვითარებას. სამწუხაროდ, საქართველოში ძალიან მცირე რაოდენობით ხდება განახლებადი ენერგიის რესურსების ათვისება, რაც ძირითადად გამოწვეულია ტექნოლოგიებისა და დაფინანსებების სიმწირით, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო სექტორის მხრიდან. ქვეყანაში

სერიოზული პრობლემებია მწვანე შენობების, სუფთა ტრანსპორტის, წყლის, ნარჩენების და მიწის მენეჯმენტის მიმართულებითაც.

ქვეყნების მიერ მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების ხარისხის შეფასება ხდება მდგრადი განვითარების ანგარიშში, რომელიც, თავის მხრივ, ეყრდნობა საერთაშორისო ორგანიზაციების, სამოქალაქო საზოგადოების და კვლევითი ორგანიზაციების მონაცემებსა და ანალიზს. აღსანიშნავია, რომ მდგრადი განვითარების ანგარიში 2021-ის მიხედვით, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების რეიტინგში საქართველომ წინა წელთან შედარებით, ორი ადგილით გაიუმჯობესა პოზიცია და 56-ე ადგილს იკავებს 165 ქვეყნიდან, რითაც ჩამოუვარდება ბელარუსს, უკრაინას, ყირგიზეთს, რუსეთს, მოლდოვასა და აზერბაიჯანს. ქვეყანაში მნიშვნელოვანი გამოწვევებია „გენდერული თანასწორობის", „ეკონომიკური უთანასწორობის შემცირების" და ეკოლოგიური გამოწვევების თვალსაზრისით. გაუარესება აღინიშნება შრომითი უფლებების დაცვის მიმართულებით. მისასალმებელია, რომ ორი მიზნის, კერძოდ: ხელმისაწვდომი და უსაფრთხო ენერგია (SDG-7) და ხარისხიანი განათლება (SDG-4), შესრულების საერთაშორისო სამიზნე ნიშნულები უკვე მიღწეულია და შედეგები შენარჩუნებულია. მოსახლეობის თითქმის 100%-ს ხელი მიუწვდება ელექტროენერგიაზე, წიგნიერების დონე კი - 99.6%-ია. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შეფასებისთვის გამოყენებული მონაცემები 2019 წლის ჩათვლით პერიოდს მოიცავს, რის გამოც Covid-19 პანდემიით გამოწვეული შედეგები ჯერ არ ასახულა საერთაშორისო ინდექსის SDG-4-ის შესრულების ინდიკატორებზე. (მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები)

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პასუხისმგებლობა აქვს აღებული 4 მიზნის 14 სხვადასხვა ამოცანის შესრულებაზე, კერძოდ:

- მე-7 მიზანი - ხელმისაწვდომი, საიმედო, სტაბილური და თანამედროვე ენერგიის საყოველთაო ხელმისაწვდომობა;
- მე-8 მიზანი - სტაბილური, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა, სრული და პროდუქტული დასაქმება და ღირსეული სამუშაო ყველასათვის;
- მე-9 მიზანი - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა;
- მე-10 მიზანი - ქვეყნის შიგნით და ქვეყნებს შორის უთანასწორობის შემცირება.

აღნიშნული ამოცანები მოიცავს ენერგოეფექტურობის, განახლებადი ენერგიების, ენერგო-მომსახურებაზე წვდომის, ეკონომიკური ზრდის, მეწარმეობის, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების, ტურიზმის, კავშირგაბმულობის, დასაქმების, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისა და მათი ფინანსებზე წვდომის საკითხებს. (მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები)

მიუხედავად მკაფიოდ ჩამოყალიბებული, მდგრად ეკონომიკურ განვითარებაზე ორიენტირებული სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკისა, Covid-19 პანდემიამ მკვეთრად შეამცირა საქართველოს ეკონომიკის განვითარება და კიდევ უფრო გაამწვავა კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებული კრიზისი. მსოფლიოს სხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოს ეკონომიკა ღრმა კრიზისმა მოიცვა: შემცირდა მშპ-ი, ინვესტიციების მოცულობა, ფულადი გზავნილები, საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა, შეფერხდა საერთაშორისო ვაჭრობა. პანდემიის შესაჩერებლად სახელმწიფოს მიერ შემოღებულმა შეზღუდვებმა, ე.წ. ლოქდაუნის პოლიტიკამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ბიზნესის ფუნქციონირება, გაიზარდა უმუშევრობის დონე, გამწვავდა ინფლაციური პროცესები, კიდევ უფრო გაუსაძლისი გახადა მოსახლეობის სოციალური პრობლემები, შემოსავლების უთანასწორობა და სიღარიბე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2020 წელს ეკონომიკური ზრდა შემცირდა 6.2 პროცენტით, რაზეც ყველაზე დიდი გავლენა იქონია ტურიზმთან დაკავშირებულმა სექტორმა, რასაც საქართველოს ეკონომიკის 10-12 პროცენტი უჭირავს. ტურიზმის სექტორმა პანდემიის შედეგად დიდი დარტყმა მიიღო და 2020 წლის მარტის თვიდან თითქმის 100 პროცენტით შემცირდა. იმის მიუხედავად, რომ 2021 წლის პირველი 8 თვის განმავლობაში ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი აღემატება 2020 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 45.6 პროცენტით, ტურიზმიდან მიღებული შემოსავლების დონე შეადგენს 2019 წლის ანალოგიური მაჩვენებლის მხოლოდ 31.1 პროცენტს. ამავე დროს, 2021 წლის აგვისტოს თვეში პანდემიის ახალი ტალღა და დაბალი ვაქცინაციის ტემპი აფერხებს ტურიზმის სექტორის აღდგენის პერსპექტივას. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო)

Covid-19-ის კრიზისის შედეგად უმუშევრობის დონე გლობალურად გაიზარდა. 2021 წლის მდგრადი განვითარების ანგარიშის შემუშავების პერიოდში არსებული მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 12.5%-ს შეადგენდა, რაც საქსტატის უახლესი მონაცემებით კიდევ უფრო გაუარესდა და 18.5%-ს მიაღწია. 2021 წლის მონაცემებით, საქართველოში მოსახლეობის 3.24% დღეში 1.9 აშშ

დოლარზე ნაკლებით ცხოვრობს, ხოლო თითქმის 14% 3.20 აშშ დოლარზე ნაკლებით; მნიშვნელოვანი გამოწვევებია სოციალური უთანასწორობის მიმართულებით. დაზუსტებული ჯინის კოეფიციენტის მიხედვით, საქართველო ყველაზე უთანასწორო ქვეყნების ათეულშია.

ეკონომიკის და ინდუსტრიის განვითარებაში კრიტიკულად მნიშვნელოვანია კვლევებსა და განვითარებაში (R&D) ჩადებული ინვესტიციები. მდგრადი განვითარების მიზნების ფარგლებში, საქართველომ აიღო ამ ინვესტიციების გაზრდის ვალდებულება, თუმცა, ქვეყანაში ამ მიმართულებით პროგრესი არ აღინიშნება. 2018 წლის ხარჯი 125 მილიონ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის მხოლოდ 0.3%-ია, მაშინ როცა სამიზნე მაჩვენებელი მშპ-ის 3.7%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში R&D ხარჯების ძირითადი წილი ბიზნეს სექტორიდან მომდინარეობს, ხოლო საქართველოში მეტწილად უნივერსიტეტებიდან და საჯარო სექტორიდან, რაც ასევე გამოწვევას წარმოადგენს.

გაუარესება აღინიშნება შრომითი უფლებების თვალსაზრისით. აღნიშნული ინდიკატორი ეყრდნობა მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის „კანონის უზენაესობის ინდექსს", რომელიც ზომავს ფუნდამენტური შრომითი უფლებების დაცვის დონეს, დამსაქმებლის მხრიდან დისკრიმინაციის დონეს და იძულებითი შრომის მაჩვენებლებს.

ამრიგად, COVID-19 პანდემიამ მნიშვნელოვნად შეაფერხა მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) მიღწევა. გლობალური გამოწვევები, როგორიცაა პანდემია, კლიმატის ცვლილება და ბიომრავალფეროვნების კრიზისი საჭიროებენ ძლიერ მულტილატერალურ სისტემას. პანდემიის პირობებში გაიზარდა კიბერშეტევების საფრთხე. არცერთ ქვეყანას არ შესწევს უნარი დამოუკიდებლად გაუმკლავდეს ამ გლობალურ გამოწვევებს, სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი მჭიდრო საერთაშორისო თანამშრომლობა, კოორდინირებულ მოქმედება. (მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები)

COVID-19-მა ნათლად გამოკვეთა, რომ ის ქვეყნები, რომლებსაც აქვთ გამართული ჯანდაცვის სისტემა და ეფექტური სოციალური დაცვის მექანიზმები ყველაზე კარგად არიან აღჭურვილი პანდემიასთან გასამკლავებლად. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკის აღდგენა და მდგრადი განვითარება პირდაპირ კავშირშია ვაქცინაციის პროცესთან. საქართველოში ვაქცინაცია მიმდინარეობს შედარებით ნელი ტემპებით, რაც დასახული მიზნის (60%) მიღწევის პერსპექტივას ბუნდოვანს ხდის. კერძოდ, 2021 წლის 29 სექტემბრის მდგომარეობით, სრულიად აცრილია მოსახლეობის მხოლოდ 21.4 პროცენტი, მსგავსი მაჩვენებელი ევროკავშირში 62.0 პროცენტს აღწევს. აქედან გამომდინარე, ახალი შტამების გამოჩენა და ვაქცინაციის შედარებით ნელი ტემპი ქმნის დამატებით რისკებს ეკონომიკის აღდგენის თვალსაზრისით, ამასთან, ინფიცირების ზრდასთან ერთად, დღის წესრიგში დგება დამატებითი შეზღუდვების შემოღება, რაც კიდევ უფრო ამცირებს ეკონომიკურ აქტივობას. პანდემიის გამწვავების პირობებში, შესაძლებელია კაპიტალის გადინების და მნიშვნელოვანი გარე დაფინანსების საჭიროების გამო საფრთხე შეექმნის საგარეო სტაბილურობას, რაც, სავარაუდოდ, გამოიწვევს ლარის გაუფასურებას და კიდევ უფრო გაზრდის ინფლაციას. ამავე დროს, ხანგრძლივი პანდემიის პირობებში შესაძლებელია ვეღარ მოხერხდეს სოციალური პოლიტიკის საკმარისი მხარდაჭერა, რაც გაზრდის სიღარიბეს მოსახლეობას შედარებით დაუცველ ნაწილში. (საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, გვ. 8)

**დასკვნა და რეკომენდაციები.** ამრიგად, თანამედროვე მსოფლიო და მათ შორის ჩვენი ქვეყანა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დგას, მომავალი საკმაოდ ბუნდოვანია, ამიტომ მკვლევრები და პოლიტიკოსები პროგნოზების გაკეთებისას უმთავრესად განიხილავენ სტანდარტულ, პოზიტიურ და ნეგატიურ სცენარებს. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიტიური სცენარის მიხედვით, 2021 წლის ეკონომიკური ზრდა 10.3 პროცენტს შეადგენს, ხოლო 2022 წელს 6.3 პროცენტიანი ზრდა იქნება. რაც შეეხება საშუალოვადიან პერიოდს, 2022-2025 წლებში ზრდა საშუალოდ 5.7 პროცენტს შეადგენს. ამგვარი ოპტიმისტური მიდგომით, იმედს ვიტოვებთ, რომ პოსტპანდემიურ პერიოდში, მწვანე ეკონომიკის პოლიტიკის აქტიური განხორციელებით, გარემოს დაცვის ხარისხის გაუმჯობესებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების პირობებში, რაც, თავის მხრივ, მჭიდრო კავშირშია საზოგადოებრივ უსაფრთხოებასა და მოსახლეობის ჯანმრთელობასთან, სრულად შესაძლებელია საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარება. საჭიროა მოვუფრთხილდეთ და მოვუაროთ გარემოს, რაციონალურად გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალი, ვაქციოთ ეს მიდგომა ცხოვრების წესად, დავნერგოთ ციფრული ტექნოლოგიები, მივიღოთ ცოდნის ეკონომიკაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები, გავინაწილოთ პასუხისმგებლობა და, შედეგად მივიღებთ სუფთა ჰაერს, სუფთა წყალს, ხარისხიან საკვებს. საბოლოო ჯამში კი - ჯანმრთელ ადამიანებს, ჯანსაღ გარემოს და ძლიერ, კონკურენტუნარიან ეკონომიკას.

**ბიბლიოგრაფია:**
*ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://old.infocenter.gov.ge/uploads/files/2016-08/1472219609_asocirebis-shesakheb-shethankhmeba.pdf

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). (2021 წლის 16 აგვისტო). *მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://idfi.ge/ge/sdg-report-2021-georgia-results

*მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://idfi.ge/public/upload/Analysis/SDGResults-GEO.pdf

მწვანე ეკონომიკის ხელშეწყობა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (EaP GREEN). ვებგვერდი: http://www.green-economies-eap.org/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (თ. გ.). *მდგრადი განვითარება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=43

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. *მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf

***Giuli Giguashvili***
*Gori State University*

## OPPORTUNITIES FOR SUSTAINABLE ECONOMIC DEVELOPMENT OF GEORGIA UNDER THE CONDITIONS OF COVID-19

## RESUME

At the end of 2021, the main challenge of the world's global problems is still Covid-19. We have already gone through several phases of the crisis, but the spread of various strains of infection and death rates are still increasing. The world economy was engulfed by a deep crisis. The problems are especially aggravated in underdeveloped, poor countries, where infection and death rates are high. They need special efforts to overcome the crisis, poverty, and hunger. Naturally, it is relevant to ask what impact the pandemic has had on the economy of Georgia and what opportunities we have to get out of the crisis. Most of the world's researchers and politicians unanimously agree that countries will be able to protect themselves from the global pandemic only if they have perfect health systems. The sustainable development of the economy is the basis for the healthcare system development.

In the post-pandemic period, the priority direction of the state's economic policy is the rational use of natural resources in economic development, ensuring ecological safety and sustainability, and avoiding the risks of natural disasters. When managing a pandemic, it is necessary to assess the economic feasibility of decisions on the one hand and to consider ecological and social effects on the other hand. Encouraging the green economy, one of the necessary tools for the country's sustainable development will contribute to new business development directions and economic growth in the long run.

Based on quantitative-statistical research methods, the paper analyzes the main problems of the Georgian economy in the conditions of the pandemic and expresses opinions to ensure the sustainable development of the economy, taking into account the long-term goals of the green economy.

***Keywords:*** Sustainable development, Green economy, Pandemic.

*მაკა სოსანიძე, ლეილა მამულაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# საქართველო გლობალურ ეკონომიკურ სივრცეში

*საკვანძო სიტყვები:* ექსპორტი, იმპორტი, ბაზარი, საქონელი, საერთაშორისო ვაჭრობა.

დღეს, როცა ასე აქტიურად მიმდინარეობს და უფრო მეტად ღრმავდება საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი, საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიმართულებას წარმოადგენს საერთაშორისო ვაჭრობა, რომელიც სამწუხაროდ არასასურველი ტენდენციით ხასიათდება. ეს კი უარყოფით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ამიტომ ჩვენი ქვეყნის საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთ პირველ ამოცანას წარმოადგენს ექსპორტის გაზრდა, რომ მისი ღირებულება მაქსიმალურად მიუახლოვდეს იმპორტის ღირებულებას, ხოლო მომავალში გადააჭარბოს კიდეც. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ეფექტიანი გამოყენების რეზერვია ქვეყანაში არსებული ბუნებრივი, მატერიალური და შრომითი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეროვნული მრეწველობის განვითარება და ახალი სავაჭრო კავშირების დამყარება, ამასთანავე საექსპორტო-საიმპორტო საქმიანობაში სწორი პრიორიტეტების გამოკვეთა.

თანამედროვე პირობებში მსოფლიო ვაჭრობა გვევლინება, როგორც შრომის საერთაშორისო განაწილების და სხვადასხვა ქვეყნის წარმოებების განსაზღვრული პროდუქციის წარმოებაზე სპეციალიზაციის შედეგი. მსოფლიო ეკონომიკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების გაცვლას სხვადასხვა ქვეყანას შორის, რომლებიც დაკავშირებულნი არიან სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციით მეცნიერულ ტექნიკური პროგრესის პირობებში. დღეისათვის საერთაშორისო ვაჭრობის ფორმებს წარმოადგენს: პირდაპირი ექსპორტი (იმპორტი); ირიბი ექსპორტი (იმპორტი); კოოპერაციული ექსპორტი (იმპორტი); შემხვედრი ვაჭრობა; საერთაშორისო ბაზრობები, ბირჟები აუქციონები; ინტერნეტ-ვაჭრობა.

საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობის გაუმჯობესების მიზნით ქვეყნის ხელისუფლებამ უნდა გაატაროს აქტიური ღონისძიებები ექსპორტზე ორიენტირებული წარმოებების წასახალისებლად და დაეხმაროს მათ საერთაშორისო ბაზრებზე გასვლაში. საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, მათ შორის საერთაშორისო ვაჭრობაში, შემუშავებულია და იყენებენ სპეციალურ პრინციპებს. აღნიშნული პრინციპების მოქმედება მიმართულია სავაჭრო-პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური რეჟიმების ფორმირებაზე. შეთანხმებული საერთაშორისო სავაჭრო რეგულირების გამოყენების მექანიზმები წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის საზოგადოდ მიღებულ ნორმებსა და პრინციპებს.

როგორც საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხედვაშია აღნიშნული ეკონომიკის სფეროში საქართველოს პოლიტიკის უმთავრესი პრინციპი მდგომარეობს ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკის გატარებაში. ქვეყნის ხელისუფლებამ გაატარა რა რეფორმები სატარიფო პოლიტიკასა და საგარეო ვაჭრობის ტექ. რეგულირების სფეროებში, მიიღო დღეისათვის ისეთი სახის საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალურია მთელ მსოფლიოში. ეს ყოველივე კი ნიშნავს შემსუბუქებულ საბაჟო პროცედურებსა და სავაჭრო მარეგულირებელ რეჟიმებს.

იმპორტზე სატარიფო პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების თანახმად, საქართველოში იმპორტზე გადასახადების თექვსმეტი სატარიფო განაკვეთიდან დარჩენილია სულ სამი. ასევე სრულად გაუქმდა სეზონური ტარიფები. ექსპორტზე სატარიფო პოლიტიკის ლიბერალიზაციის ფორმატში ექსპორტი ქვეყნიდან და რეექსპორტიც სრულად განთავისუფლებულია ბაჟისაგან, ვინაიდან საქართველო აღარ ახდენს ექსპორტის დაბეგვრას დამატებითი ღირებულების გადასახადით. საქართველოს საკანონმდებლო სივრცეში არ ხდება არასატარიფო შეზღუდვების დაწესება, გამონაკლის წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც ეს ეხება უსაფრთხოებას, ჯანმრთელობასა და ბუნების დაცვას. ყველა ამ შემთხვევაში ნებართვებს გასცემენ შესაბამისი უწყებები.

სავაჭრო რეჟიმებიდან ქვეყანაში მოქმედებს უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი, პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (GSP) და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი.

სასაქონლო ურთიერთობების განხორციელება გლობალურ ეკონომიკაში გულისხმობს წარმოებული პროდუქციის ერთიანი ხარისხობრივი პარამეტრების დადგენას მსოფლიოს ნებისმიერი

რეგიონისათვის, ამასთან შესაბამისობის ძირითად კრიტერიუმს უნდა წარმოადგენდეს წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობა და მისი საკმარისი ლიკვიდობა და მოთხოვნადობა. ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება ან უნდა კვოტირებულ იქნას მსოფლიოს ძირითად ბაზრებზე სხვა ქვეყნებში წარმოებული პროდუქციის თანაბრად, ანდა გამოიწვიონ თავისი უნიკალურობით ისეთი ინტერესი, რომ მზად იყონ მიიღონ ისინი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს პროდუქცია არ შეესაბამება ზოგადად მიღებულ ხარისხობრივ პარამეტრებს.

განსაკუთრებული ადგილი საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ამაღლებაში უკავია სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციას. ევროკავშირში საქართველოს ექსპორტის დიდ წილს შეადგენს თხილი და ღვინო. არსებობს ევროკავშირში ექსპორტის გაზრდის მრავალი პრობლემა, მათ შორის უნდა აღინიშნოს: პროდუქციის ხარისხის დაბალი დონე, ლოგისტიკასთან დაკავშირებული საკითხები, ევროკავშირის ქვეყნებში ქართული პროდუქციის შესახებ ინფორმაციის სიმცირე.

მსოფლიო გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს, როგორც ყოველი ცალკეული ქვეყნის, ასევე მსოფლიოს მთლიანობაში, ფუნქციონირებისა და განვითარების მნიშვნელოვან შემადგენელს. საერთაშორისო ვაჭრობა ეროვნული ეკონომიკის ფორმირებისა და წარმატებით განვითარების საქმეში ასრულებს მნიშვნელოვან როლს, ასევე აღსანიშნავია მისი ზრდადი ზეგავლენა ქვეყნის მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ჩართვის გზაზე.

ქვეყანაში საბაზო დარგების საექსპორტო პოტენციალი იძენს მნიშვნელოვან მასტაბილიზირებელ როლს საქართველოს ეკონომიკის განვითარების პირობებში და პრაქტიკულად წარმოადგენს ქვეყნის ბიუჯეტში სავალუტო შემოსავლების ერთ-ერთ ძირითად წყაროს.

COVID პანდემიის ფონზე მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური კრიზისის პირობებში საქართველოს საგარეო ვაჭრობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოშიც მცირდება საქონლის ექსპორტი და იმპორტი. 2020 წელს საქართველოს სავაჭრო ბრუნვამ შეადგინა 11373.0 მილიონი აშშ დოლარი, რაც 1942.4 მილიონი დოლარით ნაკლებია 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე, რაც გამოწვეული იყო COVID პანდემიასთან ბრძოლის ღონისძიებებით, რამაც შეაფერხა წარმოება, ვინაიდან ეკონომიკურ აქტივობასთან მიმართებაში შემოღებულ იქნა მკაცრი შეზღუდვები.

გლობალური COVID პანდემიის პირობებში საქართველოს საერთაშორისო ვაჭრობიდან მისაღებ შემოსავლებზე უარყოფითი გავლენა იქონია სავაჭრო პარტნიორების ეკონომიკური საქმიანობის შესუსტებამ, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა საქონლის იმპორტიც, ვინიდან საგრძნობლად შემცირებულია მოთხოვნა საერთაშორისო და ეროვნულ ბაზრებზე. ზოგადად საქონლის იმპორტი უფრო დიდი ტემპით შემცირდა, ვიდრე ექსპორტი.

საქართველოს განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრობას, რითაც ქვეყნის საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობები ახალ დონეზე ავიდა, ასევე ევროკავშირის ბაზარზე ქართული კომპანიების გასვლისათვის განუზომლად დიდი მნიშვნელობა იქონია ევროკავშირთან ხელშეკრულების გაფორმებამ.

საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ექსპორტზე ორიენტირებული დარგების სტიმულირებასა და მხარდაჭერას. მართალია ქართულ პროდუქციას დიდი საექსპორტო პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ამ მიმართებით გვაქვს საკმაოდ საგრძნობი პრობლემები, რომელთა დასაძლევად აქტიურად მუშაობს საქართველოს მთავრობა.

საქართველოს საექსპორტო პოტენციალის გაზრდისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მთავრობის მიერ ექსპორტის სტიმულირების ღონისძიებების გატარებას. ვინაიდან ექსპორტის სტიმულირება საშუალებას აძლევს პროდუქციის მწარმოებლებს აამაღლონ მწარმოებლურობა. ექსპორტის წახალისების პროგრამის ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს ისეთი ორგანიზაციების შექმნა, რომელთა ფუნქცია იქნება აღმოფხვრას ის ინფორმაციული ვაკუუმი, რომლებიც წარმოეშვებათ პოტენციურ ექსპორტიორებს. მაგალითად: მეწარმეების დახმარება მარკეტინგის საკითხებში, საერთაშორისო სტანდარტების შესახებ სრული ინფორმაციის მიწოდება, საერთაშორისო ვაჭრობებში და გამოფენებში მონაწილეობის მიღებისათვის და ა.შ.

ამრიგად, საქართველოს ეკონომიკური განვითარებისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ამაღლება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა და ბიო პროდუქციის წარმოებას, რომლის დიდი პოტენციალიც გააჩნია ქვეყანას. ასევე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტიორების მხარდაჭერის პროგრამების დახვეწა. ექსპორტზე ორიენტირებულმა საწარმოებმა თავის მხრივ უნდა შეიმუშაონ უცხოურ ბაზარზე შესვლის სტრატეგია და მოახდინონ მისი თანმიმდევრული რეალიზაცია. კარგად

ჩამოყალიბებული და რეალიზებული სტრატეგია წარმოადგენს კომპანიის უცხოურ ბაზარზე წარმატებით შესვლისა და ფუნქციონირების საფუძველს, რითაც გაიზრდება საქართველოში მოზიდული ინვესტიციების რაოდენობა და შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები, გაიზრდება ექსპორტის მოცულობა და ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების დონე.

**ბიბლიოგრაფია:**

ლომთაძე, გ. (2020). *ქართული ექსპორტის პოტენციალი.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://nsf.com.ge/news/206/

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. (2021). *საგარეო ვაჭრობა.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12

საქართველოს მთავრობა. (2018). *ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2019-2022 წლისათვის.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.mof.ge/images/File/BDD-new/19-22-BDD-wardgena.pdf

*საქართველოს საგადასახადო კოდექსი 2010.* (#3591). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1043717?publication=173

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2020). *საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/single-news/2016/sakartvelos-sagareo-vachroba-2020-tseli-tsinastsari

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *ექსპორტი და იმპორტი თვეების მიხედვით.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2021). *საგარეო ვაჭრობა.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

***Maka Sosanidze**, **Leila Mamulashvili***
*Gori State University*

## GEORGIA IN THE GLOBAL ECONOMIC SPACE
## RESUME

Changes in the positions of the needy, the strengthening of competition for resources, the development of information systems, the rapid spread of information and the delivery of information have brought about a significant increase in the importance of the growth of exports and the emergence of international strategies. In order to increase the export potential of Georgia, it is important that the government takes measures to stimulate exports. Whereas export incentives allow producers to increase productivity.

One of the important factors in the economic development of Georgia is the increase in the country's export potential, special attention should be paid to the production of environmentally friendly and organic products in Georgia, which has great potential for the country. It is also important to finalize the programs of state support for exporters. Export-oriented enterprises, in turn, must develop a strategy for entering the foreign market and consistently implement it. A well-developed and implemented strategy is the basis for the successful entry and operation of the company in foreign markets, which will increase the number of investments attracted in Georgia and create new jobs, increase exports and improve the living standards of the population.

***Keywords:*** Export, Import, Market, Goods, International trade.

*თამაზ ქობულაშვილი, გია ედიშერაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## გორის მუნიციპალიტეტის ეკოტურისტული მარშრუტები

*საკვანძო სიტყვები:* ეკოტურიზმი, მარშრუტი, საჯომარდო, საფეხმავლო, უფლისციხე, ნადარბაზევი.

გორის მუნიციპალიტეტი (ადმინისტრაციული ცენტრი გორი) შიდა ქართლის რეგიონის აღმოსავლეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტის ტერიტორია ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით სამი მორფოლოგიური ერთეულით - კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთი მთისწინა ზონით, მთათაშუა ვაკით და მცირე კავკასიონის ჩრდილო ფერდობებით არის წარმოდგენილი.

ტერიტორიის ჰიფსომეტრია, კლიმატი ჰიდროლოგია და ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსების შეთანაწყობა ეკოტურიზმის განვითარების კარგ პირობებს ქმნის.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი გორი ტურისტების მაღალი ლოკაციის ადგილს წარმოადგენს, რაც უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სიახლოვით აიხსნება და მის გარშემო სხვადასხვა მიმართულების მარშრუტების დაგეგმვას უწყობს ხელს.

სხვადასხვა მიმართულების მარშრუტებიდან განსაკუთრებულად პერსპექტიული გორი-უფლისციხის და ნადარბაზევის ტბა-უფლისციხის საფეხმავლო და ასევე მდინარე მტკვარზე საჯომარდო მარშრუტებია.

**გორი-უფლისციხის საფეხმავლო მარშრუტი.**

**რეგიონი** - შიდა ქართლი.

**მუნიციპალიტეტი** - გორი

**კატეგორია** - საფემავლო.

**რეკომენდირებული პერიოდი** - მარტიდან ნოემბრამდე

**სირთულე** - მარტივი

**ტიპი** - გამჭოლი / წრიული

**სიგრძე** - 8,5 კმ.

**გავლის დრო** - 3 სთ

**JPS კოორდინატები** - დასაწყისი-N 41 58 44.81/ E 44 07 21.60; დასასრული-N 41 57 58.21 / E 44 12 37.19;

**ჯამური აღმართი -** 292 მ.

**ჯამური დაღმართი -** 292 მ.

**ფიჭური ქსელის დაფარვა -** სტაბილური

**მარშრუტის მოკლე აღწერა:**

მარშრუტი იწყება გორში კვერნაქის დასახლებიდან, გაივლის კვერნაქის ქედს, მდინარე მტკვრის ჭალას და უფლისციხის ქვაში ნკვეთ ქალაქ მუზეუმთან სრულდება.

საწყისი წერტილიდან მივუყვებით სამანქანო გრუნტის გზას, რომელიც თანდათანობით კრებს სიმაღლეს და კვერნაქის ქედის გასწვრივ მიემართება. მარშრუტის მსვლელობისას შეგიძლიათ დატკბეთ სტეპური ტიპის, მდინარე მტკვრის ხეობის და მარჯვენა სანაპიროს ვრცელი ჭალის ლანშფტებით. იგი ერთნაირად მიმზიდველია წელიწადის სხვადასხვა დროს. მარშრუტი მარტივი გასავლელია, მხოლოდ რამდენიმე ადგილას გადაკვეთს მცირე მშრალ ხევს. საბოლოოდ იგი მტკვრის ჭალისკენ ეშვება და უფლისციხის ქვაში ნაკვეთ ქალაქთან სრულდება.

**უარყოფით მხარე -** მარშრუტი სასმელ წყალს და ტყის საფარს არის მოკლებული.




გორი-უფლისციხის საფეხმავლო მარშრუტის სქემატური რუკა

**ნადარბაზევის ტბა-უფლისციხის საფეხმავლო მარშრუტი.**
**რეგიონი** - შიდა ქართლი.
**მუნიციპალიტეტი** - გორი
**კატეგორია** - საფემავლო.
**რეკომენდირებული პერიოდი** - მარტის მეორე ნახევრიდან ოქტომბრის პირველ ნახევრამდე
**სირთულე** - მარტივი
**ტიპი** - საფეხმავლო
**სიგრძე** - 11 კმ.
**გავლის დრო** - 4-5 სთ.
**JPS კოორდინატები** - დასაწყისი - N 42 00 16.74/ E 44 17 06.74; დასასრული - N 41 58 15.64 / E 44 12 04.88;
**ჯამური აღმართი** - 2,5 კმ.
**ჯამური დაღმართი** - 3,5 კმ.
**ფიჭური ქსელის დაფარვა** - სტაბილური

**მარშრუტის მოკლე აღწერა:**

მარშრუტი ნადარბაზევის ტბის ჩრდილოეთ ნაპირის ამაღლებიდან იწყება, მიუყვება ტბის აღმოსავლეთ ნაპირს სამხრეთისკენ და კვერნაქის ქედის თხემზე ადის. შემდგომ დასავლეთისკენ გადაიხრება და ქედის თხემურ ნაწილის და სამხრეთ ფერდობების გავლით მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირისკენ ეშვება, სადაც ძველი უფლისციხის ნასოფლართან მთავრდება. მარშრუტი ძირითადად ზერდვოჩერებზეა გათვლილი. ლანდშავფტის მრავალფეროვანებიდან გამომდინარე ზერდვოჩერებს საშუალება მიეცემათ დააკვირდნენ წყალთან და წყლის სანაპირო ზოლთან, ტყე-ბუჩქნართან, ღია მინდვრებთან და ვერტიკალურად დანაწევრებულ რელიეფთან დაკავშირებულ ფრინველებს. სხვა სახეობებთან ერთად ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დააკვირდნენ საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილ სახეობებსაც: ფასკუნჯს (*Neophron percnopterus*), ველის კაკაჩას (*Buteo rufinus*) და ნადარბაზევის ტბაზე მობინადრე წითელ იხვს (*Tadorna ferruginea*).




ნადარბაზევის ტბა-უფლისციხის საფეხმავლო მარშრუტის სქემატური რუკა

**გორი უფლისციხის საჯომარდო მარშრუტი.**

მარშრუტი დაიწყება ქალაქის და რკინიგზის შემაერთებელი ე.წ. „ახალი ხიდის" მიდამოებში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე.

საჯომარდო ნავებში ჩასაჯდომად გამოყენებული იქნება ხიდიდან მდინარის სანაპირომდე მოწყობილი კიბეები. ჯომარდობის ხანგრძლივობა წლის სეზონების ანუ მდინარის სიჩქარის გათვალისწინებით 40 წუთიდან 1 საათამდე გაგრძელდება. მარშრუტი დამთავრდება მდინარე მტკვრის მარცხენა ნაპირზე უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის ტერიტორიაზე სპეციალურად მოწყობილ შენობასთან, სადაც ტურისტებს საშუალება ექნებათ გამოიცვალონ სპეციალური საჯომარდო სამოსი და დაათვალიერონ ძეგლი, ხოლო გორში დაბრუნდნენ მარშრუტისთვის განკუთვნილი მიკროავტობუსით.

მარშრუტის სატესტო კვლევემა გვიჩვენა, რომ 10.5 კილომეტრის ეგზოტიკური მარშრუტის გავლა წლის სეზონების და კლიმატური პირობების (წვიმიანი დღე) გათვალისწინებით 40 წუთიდან 1 საათამდე გრძელდება.

**მარშრუტის დახასიათება:**

**რეგიონი** - შიდა ქართლი

**მუნიციპალიტეტი** - გორი

**კატეგორია** - საჯომარდო

**რეკომენდირებული პერიოდი** - მაისი-ნოემბერი

**სირთულე** - მარტივი

**ტიპი** - საჯომარდო

**სიგრძე** - 10,5 კილომეტრი

**გავლის დრო** - 40 წუთიდან 1 საათამდე

**JPS კოორდინატები** - დასაწყისი N 41. 58. 30. 28 /E 44. 06. 31. 37;
დასასრული N 41. 57. 55. 06 / E 44. 12. 37. 04;

**ფიჭური ქსელის დაფარვა** - კი

**ხელისშემშლელი პირობები** - არახელსაყრელი კლიმატური პირობები.




გორი-უფლისციხის საჯომარდო მარშრუტის სქემატური რუკა

განხილული მარშრუტების ამოქმედება ტურისტების მოზიდვის მორიგი საშუალება იქნება შიდა ქართლის რეგიონში.

***Tamaz Kobulashvili, Gia Edisherashvili***
*Gori State University*

**ECOTOURISM ROUTES OF GORI MUNICIPALITY**

**RESUME**

The diversity of natural conditions in the territory of Gori Municipality is favorable for the development of various directions of tourism, including ecotourism. The article discusses three ecotourism routes in the vicinity of Gori, the introduction of which will make the region more attractive in terms of tourism.

***Keywords:*** Ecotourism, Route, Rafting, Hiking, Uplistsikhe, Nadarbazevi.

***სოფიო ცეცხლაძე***
*კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი;*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*
***ლალი ოსაძე***
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# საქართველოს ღვინის ბაზრის განვითარების ტენდენციები

*საკვანძო სიტყვები:* ღვინის ბაზარი, ღვინის ექსპორტი, კონკურენტუნარიანობა, ღვინის ტურიზმი.

**შესავალი.** საქართველოში ღვინის დაყენების ტრადიცია რვა ათას წელს ითვლის და მას ქართულ კულტურაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. უძველესი გათხრები ცხადყოფს, რომ მევენახეობის კულტურამ აქ ყველა მისთვის დამახასიათებელი საფეხური გაიარა. ვაზის კულტთან არის დაკავშირებული ქრისტიანობის გავრცელებაც საქართველოში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს გარდა, არცერთ ქრისტიანულ ქვეყანაში არ არსებობს „ვაზის ჯვრის კულტი“.

აღმოჩენილი ისტორიული წყაროები, სამეცნიერო საზოგადოებას, ჯერ კიდევ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან აძლევდა იმის ფიქრის საბაბს, რომ საქართველო ღვინის სამშობლო იყო. 1999 წელს ლონდონში ღვინის ქალაქი „ვინოპოლისი“ გაიხსნა, სადაც კომპანია GWS-ის ხელმძღვანელების, ლევან გაჩეჩილაძის და თამაზ კანდელაკის ინიციატივითა და საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით საქართველოს კუთხე შეიქმნა, რომელსაც „საქართველო – ღვინის სამშობლო“ ეწოდა. „ვინოპოლისის“ საგამოფენო დარბაზში საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში დაცული სამუზეუმო ასლებით წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის ისტორია. მოგვიანებით აკადემიკოსმა ლევან ჭილაშვილმა ამ თემას წიგნი-ალბომიც მიუძღვნა. ვარაუდი იმის შესახებ, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა, საერთაშორისო ლიტერატურაში ცნობილმა მწერალმა, ჰიუ ჯონსონმა გამოთქვა თავის წიგნში „ღვინის ისტორია“, რომელიც 1989 წელს გამოიცა. მოგვიანებით იგივე ვარაუდი გამოთქვა ღვინის ისტორიის აღიარებულმა მკვლევარმა, პენსილვანიის უნივერსიტეტის პროფესორმა პატრიკ მაკგოვერნმაც, რომელმაც 1998 წელს იმოგზაურა საქართველოში. 2003 წელს კი გამოსცა წიგნი „უძველესი ღვინო“, სადაც კავკასია ღვინის სავარაუდო სამშობლოდაა მოხსენიებული. 2008 წელს პროფ. პატრიკ მაკგოვერნი კვლავ ეწვია საქართველოს და წაიკითხა ლექცია უძველესი ღვინის ქიმიური შესწავლის საკითხებთან დაკავშირებით (ლორთქიფანიძე, 2017).

გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის - იუნესკოს გადაწყვეტილებით, 2013 წლიდან, ქვევრში ღვინის დაყენების ქართული ტრადიციული მეთოდი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაში შევიდა. 2017 წელს კი, საფრანგეთის ქალაქ ბორდოში - ღვინის მსოფლიო დედაქალაქში განხორციელებული პროექტის „საქართველო ღვინის აკვანი“-ს ფარგლებში, მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ საქართველო „ღვინის სამშობლოდ“ აღიარა (ქურდაძე, 2020).

ჩვენი ქვეყანა ყოველთვის საინტერესო იყო ტურისტებისათვის, ხოლო, ღვინო, ეროვნული საგანძური და ტურისტებისათვის საინტერესო პროდუქტია. ეს ფაქტი, უფრო მეტ მნიშვნელობას და აქტუალობას სძენს ღვინის ტურიზმის ბიზნესს.

ქართული ღვინის მიმართ საერთაშორისოდ აღიარებული იმიჯისა და ღვინის ექსპორტის რაოდენობრივი ზრდის პარალელურად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქართული ღვინის ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას. ვინაიდან მეღვინეობა არაერთხელ იქნა აღიარებული ქვეყნის ეკონომიკის პრიორიტეტულ მიმართულებად, საქართველოს მეღვინეობის დარგის მარეგულირებელი ორგანოს, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ ქართული ღვინის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობა და შესაბამისობის კონტროლია (ქურდაძე, 2020).

**ლიტერატურის მიმოხილვა.** ნაშრომზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა სხვადასხვა დროს შექმნილი ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების შრომები, სტატისტიკის დეპარტამენტის მასალები, საკანონმდებლო მაცნე - კანონი ღვინის შესახებ, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასალები, ასოციაცია ქართული ღვინის მიერ ჩატარებული კვლევა, სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს მასალები და სხვა.

**მეთოდოლოგია.** გამოყენებულია ზოგადი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები: ანალიზისა და სინთეზის, სტატისტიკური მონაცემების დაჯგუფების და სხვა.

**შედეგები/დისკუსია** - XX საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული ქართული ღვინო გამუდმებით ვითარდება, დიდი მარნების გარდა, გაჩნდნენ მცირე მარნებიც, საქართველოში ჩამოყალიბდა რამდენიმე ბიო და ბიოდინამიკური მეურნეობაც. წინსვლაზე ვერც 2006 წლის რუსულმა ემბარგომ მოახდინა გავლენა. პირიქით, ქართული ღვინო უფრო ხარისხიანი გახდა, რადგან რუსეთის ბაზრის დაკარგვის შემდეგ ქართველმა მეღვინეებმა შედარებით მკაცრ და რთულ ბაზრებზე შეღწევაც სცადეს და საკმაოდ წარმატებით (ხარბედია, 2010).

2006 წლის რუსეთის მიერ საქართველოს ღვინის ემბარგოს ამოქმედებით ქართულმა ღვინის ექსპორტმა ერთ-ერთი მთავარი ბაზარი დაკარგა საერთაშორისო გამოფენებსა და კონკურსებში მონაწილეობის მიუხედავად. ემბარგომდე რუსულ ბაზარზე ექსპორტირებული ღვინის დაახლოებით 75% გადიოდა. ბაზრის დაკარგვამ ღვინის ბიზნესი მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო, მაგალითად, თუ 2005 წელს ექსპორტზე 80 მილიონი დოლარის ღირებულების ღვინო გავიდა, 2007 წელს ეს მაჩვენებელი 29 მილიონ დოლარამდე დაეცა. საქართველოს ხელისუფლებამ 2008 წლიდან ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზრებზე ცნობადობის გასაზრდელად, გარკვეული პროექტების განხორციელება დაიწყო, რაც, საბოლოოდ ღვინის ექსპორტის გაზრდაზე იყო ორიენტირებული. მთავრობამ რუსეთის ემბარგოს დაწესების შემდეგ ახალი ბაზრების ძიება დაიწყო. საქართველოს სახელმწიფო ცდილობდა ქართული ღვინის პოპულარიზაციას (რობიტაშვილი, 2018, გვ. 16).

მთავრობის წევრები აქტიურად მოუწოდებდნენ მევენახეებს მოეძებნათ რუსეთის ბაზრის ალტერნატივები. შეიძლება ითქვას, რომ სხვა ბაზრების ძიების სტრატეგიამ გაამართლა, რისი თვალსაჩინო მაგალითი არის ისიც, რომ დღესდღეობით წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად იმატა ღვინის ექსპორტმა და ქართულმა ღვინომ პოპულარობა მიპოვა მსოფლიო ბაზარზე. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველოში ყველაზე კარგ მდგომარეობაში ღვინის ბიზნესია.

ტოპ ექსპორტიორი ქართული ღვინის ბრენდებია:

• ს.ს. თბილღვინო
• ს.ს. თელიანი ველი
• შ.პ.ს ბადაგონი
• შ.პ.ს. კახური ტრადიციული მეღვინეობა
• შ.პ.ს. ქართული ღვინის სახლი
• ს.ს. თელავის ღვინის მარანი
• ყვარლის სარდაფი
• შ.პ.ს GWS 16

(ღვინის ეროვნული სააგენტო, 2020)

მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი სამართლებრივი საფუძველი ,,ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონია, რომლის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც ქვეყნის ისტორიულად, კულტურულად და ეკონომიკურად პრიორიტეტული დარგის განვითარებას, ვაზის მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი, ქართული ჯიშების, მეღვინეობის ქართული, ტრადიციული მეთოდების გავრცელებასა და პოპულარიზაციას, მაღალხარისხოვანი ყურძნის, ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სხვა ალკოჰოლიანი სასმელების წარმოებასა და რეალიზაციას, საქართველოში ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარებას და მომხმარებელთა ინტერესების დაცვას, ქართული მევენახეობა-მეღვინეობის დარგის საერთაშორისო რეპუტაციის შენარჩუნებასა და ზრდას. აღნიშნულ კანონში 2017 წელს არსებითი ცვლილებები განხორციელდა და გატარებული რეფორმის მიზანი - ღვინის სექტორში არსებულ გამოწვევებზე მორგება და საერთაშორისო სტანდარტებთან დაახლოება იყო. დარეგულირდა ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის სპირტიანი სასმელების ექსპორტთან, იმპორტთან, ადგილობრივ ბაზარზე განთავსებასთან და სერტიფიცირებასთან დაკავშირებული საკითხები. საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) „ენოლოგიური პრაქტიკის საერთაშორისო კოდექსი“-ს მოთხოვნათა გათვალისწინებით, ახლიდან ჩამოყალიბდა ღვინოების კლასიფიკაცია და განისაზღვრა ღვინის კატეგორიები. ასევე, გათვალისწინებული იქნა OIV-ის, ევროკავშირისა და WWTG-ის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული წესი და განისაზღვრა პროდუქციის ეტიკეტირებასთან დაკავშირებული ნორმები („ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 2017).

ქართული ღვინის ხარისხის შენარჩუნება და გაუმჯობესება არა მხოლოდ ღვინის მწარმოებელი კომპანიების, არამედ სახელმწიფოს პრიორიტეტია. ღვინის წარმოებასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია გამოვყოთ სახელმწიფოს მიერ ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან

შესაბამისობის დადგენის სამი სახის კონტროლის მექანიზმი, რაც განსაზღვრულია „ვაზისა და ღვინის“ შესახებ საქართველოს კანონით. ესენია, **სახელმწიფო კონტროლი, სახელმწიფო ზედამხედველობა და ინსპექტირება.** როდესაც შესაბამისობის დადგენაზე ვსაუბრობთ, „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის გარდა, გასათვალისწინებელია საქართველოს მთავრობის 2018 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“. ტექნიკური რეგლამენტი ადგენს სავალდებულო მოთხოვნებს ღვინის მახასიათებლებთან, წარმოების წესებთან, დავარგებასთან, სამომხმარებლო ბაზარზე ადგილწარმოშობის დასახელებისა და გეოგრაფიული დასახელების, ღვინის განთავსებასა და მეღვინეობის პრაქტიკაში ნებადართულ პროცესებთან, მასალებსა და ნივთიერებებთან დაკავშირებით (საქართველოს მთავრობა, 2018).

საქართველოში რეგისტრირებულია 24 დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინო, მათ შორის ხვანჭკარა, ტვიში, ქინძმარაული, ახაშენი, მუკუზანი, წინანდალი და სხვა. სახელმწიფო კონტროლის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებთან ერთად სწორედ ზემოაღნიშნული დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის წარმოების სპეციფიკაციასთან შესაბამისობა დგინდება (ქურდაძე, 2020).

აღსანიშნავია, რომ ღვინის ეროვნული სააგენტო „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზეა შექმნილი. სააგენტოს უშუალო მოვალეობა ღვინის წარმოების ხარისხის კონტროლი და სერტიფიცირება, ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაციაა. მნიშვნელოვანია სააგენტოს როლი ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობაში. უნდა აღინიშნოს, რომ პანდემიის მიუხედავად, ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ტენდენცია შენარჩუნებულია, რაც დისტანციურ ფორმატში ჩატარებული მარკეტინგული ღონისძიებებითაა განპირობებული. თუმცა, გლობალურად ღვინის ბაზრებზე ფასების შემცირების გამო, ქართული ექსპორტირებული ღვინის ღირებულებაც 5%-ითაა შემცირებული (მოსიაშვილი, 2021).

ღვინის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, 2021 წლის 8 თვეში, საქართველოდან მსოფლიოს 59 ქვეყანაში 65 მლნ ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული. იანვარ-აგვისტოში საქართველოდან ექსპორტირებული ღვინით მიღებული შემოსავალი 145 მლნ აშშ დოლარს აღწევს, რაც გასული წლის ანალოგიურ მონაცემზე 13%-ით მეტია, 19%-ით გაზრდილია ექსპორტირებული ღვინის რაოდენობაც. ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ექსპორტის ზრდის დინამიკა შენარჩუნებულია: პოლონეთი - 29% (3638057), ჩინეთი - 29% (3373517), ლატვია - 4% (1119219), ლიეტუვა - 56% (675510), აშშ - 26% (700696), გერმანია - 23% (553852), დიდი ბრიტანეთი - 73% (435 264). მიმდინარე წელს ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: კანადა - 132% (235888), შვედეთი - 65% (69280), ჩეხეთი - 646% (112236), საფრანგეთი - 31% (50416), ყაზახეთი - 37% (2552200), ისრაელი - 52% (304827), აზერბაიჯანი - 21% (158411), თურქეთი - 156% (77226), უკრაინა - 16% (7366327), რუსეთი - 17% (39474016), მონღოლეთი - 316% (306690), ბელარუსი - 13% (2062327) და ა.შ. (ღვინის ეროვნული სააგენტო).

ქართული ღვინის საექსპორტო ქვეყნების პირველი ხუთეულია: რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი, ჩინეთი და ყაზახეთი. საქართველოდან სხვადასხვა მოცულობის ღვინის ექსპორტი 368 კომპანიამ განახორციელა. ამასთან, საანგარიშო პერიოდში, ექსპორტირებულია 22 მლნ ბოთლი (0,5 ლ) ბრენდი, რაც 21%-ით აღემატება 2020 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. ბრენდის ექსპორტით მიღებულმა შემოსავალმა 40,3 მლნ აშშ დოლარს მიაღწია (ზრდა 8%). ღვინის, ბრენდის, ჭაჭის, საბრენდე სპირტისა და ჩამოსასხმელი ბრენდის ექსპორტის შედეგად მიღებულია 234 მლნ აშშ დოლარი შემოსავალი, რაც 18%-ით მეტია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე (ღვინის ეროვნული სააგენტო).

უნდა აღინიშნოს, რომ ღვინის ტურიზმი ღვინის ბიზნესის ნაწილია და დღეს შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სეგმენტად. ღვინის ტურიზმმა მოიპოვა მიმზიდველობა როგორც ღვინისა და ტურისტული ღირებულების ჯაჭვში, ასევე ხელისუფლებასა და საზოგადოებაში. 2016 წელს გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ (UNWTO) მოაწყო UNWTO-ს პირველი გლობალური კონფერენცია ღვინის ტურიზმის შესახებ საქართველოში და გამოაქვეყნა საქართველოს დეკლარაცია ღვინის ტურიზმის შესახებ. დეკლარაცია ადგენს ღვინის ტურიზმის ჩარჩოს UNWTO-ს ინსტიტუციურ გარემოში, აღიარებს ღვინის ტურიზმს, როგორც გასტრონომიისა და კულტურული ტურიზმის ნაწილს. მომდევნო ორი ყოველწლიური კონფერენცია განაგრძობდა მუშაობას ღვინის ტურიზმის მდგრად განვითარებაზე, რის შედეგადაც მე-3 გამოცემა ფოკუსირებული იყო - „ღვინის ტურიზმი, როგორც სოფლის განვითარების ინსტრუმენტი“ და ხაზს უსვამდა ტურიზმის წვლილს 2030 წლის დღის წესრიგში მდგრადი განვითარებისთვის და 17 მდგრადი განვითარების მიზანს (SDG). მე-3 გლობალური კონფერენციის დასკვნები ხაზს უსვამს პარტნიორობისა და თანამშრომლობის ინოვაციური მოდელების, ასევე ადგილობრივი თემის ჩართულობისა და გაძლიერების აუცილებლობას. გაეროს 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის (SDG) მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის

(გაერო) 2015 წლის სამიტზე და ეფუძნება ათასწლეულის განვითარების მიზნებს (MDG). 17 SDG-ს აქვს 169 სამიზნე და 304 ინდიკატორი, რომელიც გაზომავს შესაბამისობას. ღვინო მტკიცედ არის დაკავშირებული კულტურულ და კულინარიულ მემკვიდრეობასთან, გარემოსთან, ეკონომიკასთან და მეღვინეობის რეგიონების და ქვეყნების საზოგადოებასთან, მევენახეობა-მეღვინეობის სექტორს შეუძლია ძლიერი გავლენა მოახდინოს მდგრადობის 3 P-ებზე: ხალხი, პლანეტა და მოგება (სამმაგი ქვედა ხაზი). ღვინისა და SDG-ის შესახებ დისკუსიამ უნდა გაითვალისწინოს ვაზისა და ღვინის როლი ჩვენს საზოგადოებებში და პასუხისმგებლური მოხმარება. მთავრობებს, კერძო სექტორსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის უფრო ფართო პარტნიორობაა საჭირო მდგრადი განვითარების დღის წესრიგისა და მოქმედებისთვის (Filopoulos & Frittella, 2019).

**დასკვნა.** როგორც აღვნიშნეთ, საქართველო უძველესი ისტორიისა და კულტურის ქვეყანაა, სადაც ღვინოს განსაკუთრებული როლი ენიჭებოდა. საქართველოში არსებობს უდიდესი პოტენციალი ღვინის ბიზნესის განსავითარებლად. ამისათვის საჭიროა ღვინის და მისი ატრიბუტების ცნობადობასთან დაკავშირებული აქტივობების გაზრდა სახელმწიფოს, კერძო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციების ერთობლივი მოქმედებით. საჭიროა ღვინის ტურისტების მოზიდვა და მარკეტინგული აქტივობების უფრო მიზნობრივი გამოყენება. ქართული ღვინის ცნობადობა გაიზარდა ბოლო პერიოდში, მსოფლიო ბაზარზე, თუმცა, საჭიროა, რომ ღვინის მწარმოებლებმა დაიცვან ტრადიციები და უფრო მეტი ყურადღება გაამახვილონ ღვინის ხარისხზე. აგრეთვე, საჭიროა ღვინის ტურიზმის განვითარება და ამ მიმართულებით განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარება.

**ბიბლიოგრაფია:**


ელიზბარაშვილი, გ. (2019). *კონკურენცია ღვინის ბაზარზე და ქართული ღვინის კონკურენტუნარიანობის ზრდის მიმართულებები.* სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: თსუ. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://openscience.ge/bitstream/1/755/1/samagistro%20elizbarashvili%20gigi.pdf

ლორთქიფანიძე, დ. (2017). *საქართველო - ღვინის სამშობლო.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://nationalgeographic.ge/story/saqartvelo-ghvinis-samshoblo/

მოსიაშვილი, მ. (2021). *ქართული ღვინის ექსპორტი 2021 წლის პირველ კვარტალში 2%-ით გაიზარდა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://forbes.ge/qarthuli-ghvinis-eqsporti-2021-tslis-pirvel-kvartalshi-2-ith-gaizarda/

რობიტაშვილი, გ. (2018). *ქართული ღვინის კომპანიების უცხოურ ბაზრებზე გასვლის სტრატეგიები შპს ქინძმარაულის მაგალითზე.* სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი: კსუ. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://openscience.ge/bitstream/1/75/1/Giorgi%20Robitashvili.pdf

საქართველოს მთავრობა. (2018 წლის 06 ნოემბერი). *საქართველოს მთავრობის დადგენილება ტექნიკური რეგლამენტის – ღვინის წარმოების ზოგადი წესისა და ნებადართული პროცესების, მასალებისა და ნივთიერებების ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ* (№524). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/4359875?publication=0

ქურდაძე, ს. (2020). სახელმწიფოს როლი ქართული ღვინის ხარისხის უზრუნველყოფაში: სამართლებრივი ჩარჩოს მიმოხილვა. *ჩემი ადვოკატი*(IV). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gba.ge/ka/ჟურნალი-ადვოკატი/ჩემი-ადვოკატი-4/სახელმწიფოს-როლი-ქართული-ღვ.html

ღვინის ეროვნული სააგენტო. *ანგარიში 2020.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://wine.gov.ge/Ge/Files/Download/14146

ხარბედია, მ. (2010). *ქართული ღვინის ისტორია.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://vinoge.com/istoria/qarTuli-Rvinis-istoria

*„ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე.* (2017). #972-IIს. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/3711533?publication=1

Filopoulos, S., & Frittella , N. (2019). Designing sustainable and responsible wine tourism experiences. *BIO Web of Conferences, 12.* doi:https://doi.org/10.1051/bioconf/20191203006

***Sopio Tsetskhladze***
*Caucasus International University; Gori State University*
***Lali Osadze***
*Gori State University*

**DEVELOPMENT TRENDS OF GEORGIAN WINE MARKET**
**RESUME**

The tradition of making wine in Georgia dates back eight thousand years. Wine had a special place in Georgian culture. Even today, winemaking does not lose its relevance. The paper focuses on the scope, opportunities and prospects of the Georgian wine market. Wine is used by many countries distinguished by tourism for the development of wine tourism. Georgia has unique opportunities for wine market development. Maintaining and improving the quality of Georgian wine is a priority not only for wine producing companies, but also for the state. It is important that in Georgia the strategy of wine production and key, wine tourism as a means of business development is correctly defined and the European Union and international demand for wine and international standards in this direction are taken into account.

***Keywords:*** Wine market, Wine export, Competitiveness, Wine tourism.

*დავით ჭიოტაშვილი, ხალიანა ჩიტაძე*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების რეგულირება მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის საქართველოში**

*საკვანძო სიტყვები:* ფინანსური ანგარიშგება, მეოთხე კატეგორიის საწარმოები, ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი, ფინანსური ანგარიშგების რეგულირება.

**შესავალი**

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტრანდარტები ბიზნეს ურთიერთობების საერთაშორისო გლობალურ ენას წარმოადგენს, რაც თითოეული კომპანიის ანგარიშგებას გასაგებსა და შესადარისს ხდის მსოფლიოს ნებისმიერი სხვა კონმპანიის ანგარიშგებასთან.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით კერძო და საჯარო სექტორი ერთმანეთისაგან თანდათან გაიმიჯნა და ფინანსური აღრიცხვის სრულყოფის აუცილებლობა გამოიწვია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ თანდათანობით დაიწყო ბუღალტრული აღრიცხვის იმ სტანდარტების დანერგვა, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ევროპის და მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში უკვე აპრობირებულ საერთაშორისო სტანდარტებს. 1995 წლიდან ამოქმედდა კანონი „მეწარმეთა შესახებ", რომლის თანახმადაც განისაზღვრა სამეწარმეო სფეროს აღრიცხვის ზოგადი პრინციპები, რითაც პირველი ნაბიჯი გადაიდგა ქვეყანაში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასასვლელად. 1999 წელს მიღებული კანონის თანახმად „ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების შესახებ", კერძო სექტორში ბუღალტრული აღრიცხვა და ანგარიშგება დაექვემდებარა თვითრეგულირებას და კანონმა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები აღიარა სავალდებულოდ. 2006 წლიდან ამოქმედდა მცირე საწარმოთა ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტები, რომელიც წარმოადგენდა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამარტივებულ ვერსიას. 2014 წლის საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებული

ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, განისაზღვრა ბიზნეს სუბიექტების ზომითი კატეგორიები, რომლის ძირითადი მიზანი იყო ფინანსური გამჭვირვალობის ხელშეწყობა ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ასოცირების შეთანხმება საფუძველი გახდა 2016 წლის 24 ივნისს განხორციელებული ცვლილებებისა კანონში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის“ შესახებ, რომელიც ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებით განხორციელდა და რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა აღრიცხვის რეგულირების ჰარმონიზაცია საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩვენი ქვეყნის სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინებით. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის ევროპულ კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მოთხოვნებს უკავშირდება.

**დასახულ იქნა შემდეგი ამოცანები:**

- რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს საქართველოში მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა?
- რა გამომოწვევების წინაშე დგას მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და რეგულირება საქართველოში?
- რამდენად შესაძლებელია ფინანსური ანგარიშგების გარკვეული მოდელის შემუშავება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდება საწარმოების ფინანსური საქმიანობის შეფასება ერთიანი და მარტივი მეთოდიკით?
- რა შემდგომი ნაბიჯებია დაგეგმილი განვითარების და რეგულირების სრულყოფის მიმართულებით შემდგომ ეტაპებზე?

**მეთოდოლოგია**

ნაშრომი მოიცავს საქართველოში მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების დანერგვის, განვითარების და რეგულირების ეტაპებს და შესაბამისობას ევროკავშირის აღიარებულ სტანდარტებთან და მის შესაბამისობას მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის სახელმწიფო მოთხოვნილებებთან და ევროკავშირის დირექტივებთან.

კვლევაში გამოყენებულია რაოდენობრივი, თვისობრივი, სტატისტიკური დაკვირვების და გამოკითხვის მეთოდები არსებული რეალობის დასადგენად. იგი ეფუძნება სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და შედეგებს, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან მიღებულ მონაცემებს.

ნაშრომში გამოყენებულია წამყვანი ქართველი და უცხოელი მეცნიერების ნაშრომები, საქართველოს საჯარო საინფარმაციო რესურსის და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინფორმაცია და შედეგები, ინტერნეტ რესურსები.

**მიმოხილვა**

საქართველოს კანონის თანახმად, მეოთხე კატეგორიის საწარმო წარმოადგენს სუბიექტს, რომლის აქტივების ჯამური ღირებულება არ აღემატება 1 მილიონ ლარს, მისი შემოსავალი არ აღემატება 2 მილიონ ლარს და დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 10 კაცზე ნაკლებია. აღნიშნული კატეგორიის მინიჭება ხდება, როცა საანგარიშო პერიოდის ბოლოს სუბიექტი აკმაყოფილებს მინიმუმ ორ კრიტერიუმს. მეოთხე კატეგორიის საწარმოთა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებზე იმ შემთხვევის გარდა, როდესაც საწარმო იყენებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებს ან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს, უნდა გამოეყენებინათ 2018 წლის 1 იანვარიდან. მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა ფინანსური ანგარიშგება უნდა მოამზადონ სტანდარტით გათვალისწინებული დაშვებებით და ძირითადი პრინციპებით: ფუნქციონირებადობის პრინციპით, დარიცხვის პრინციპით, წინდახედულობა, არსებითობა.

საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა (SARAS), დიდი ბრიტანეთის მმართველობის ფონდის მხარდაჭერით მეოთხე კატეგორიის საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების ახალი, გამარტივებული სტანდარტი შეიმუშავა. 2019 წელს კი მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით სტანდარტის განახლების პროექტი დაიწყო.

არ არსებობს დასაბუთებული მტკიცებულება იმის შესახებ, თუ როგორია ზოგადად სახელმწიფოს ჩარევა, ხელს უშლის ბიზნესის განვითარებას, ან პირიქით, მაგრამ აუცილებელია ითქვას, რომ ყველა ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფო არეგულირებს ბიზნესს და საერთოდ ეკონომიკას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება შესაბამისი ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბება და ფორმირება. საქართველოში დღესდღეობით ერთ-ერთ აქტუალურ საკითხად მცირე ბიზნესის ხელშეწყობა და გააქტიურება დგას. სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი არის მეოთხე კატეგორიის საწარმოები, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს მცირე და საშუალო მეწარმეობის

განვითარების სტიმულირების საქმეში. ბოლო ათეული წლების ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზი ცხადყოფდა, რომ საქართველოში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ ფაქტორთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს არაეფექტური ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა წარმოადგენდა. არსებული სიტუაცია ეკონომიკურ საქმიანობას სერიოზულ ბარიერებს უქმნიდა. ვითარება თანდათან რთულდებოდა იმ გარემოებებითაც, რომ მის გასაუმჯობესებლად მასში პერიოდულად შედიოდა ცვლილებები, რაც კიდევ უფრო ართულებდა ქვეყანაში არსებულ სააღრიცხვო პოლიტიკას. ყოველივე ასეთი ცვლილებები მნიშვნელოვნად აუარესებდა საინვესტიციო გარემოს, რადგან პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა ინვესტორისათვის გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების შედეგად მისაღები ეფექტის გათვლას. აღნიშნული აგრეთვე ართულებდა უკვე მოქმედი ბიზნესის მართვას.

დღეს ბიზნესს სჭირდება დახმარება და მხარში ამოდგომა მთავრობის მხრიდან. ამ მიზნით შემუშავდა მეოთხე კატეგორიის საწარმოების სტანდარტები, რომელიც დაეხმარება და ხელს შეუწყობს სისტემის უკეთ ამუშავებას.

**სტატისტიკური მონაცემები და შედეგები**

სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მანძილზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა და დანერგვა ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის საქართველოში სხვადასხვა წლებში განსხვავებული დინამიკით მიმდინარეობდა.

სქემა №1-ზე მოცემულია ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროვება ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის, რომელიც ასევე მოიცავს მეოთხე კატეგორიის საწარმოებს.

საქართველოში საწარმოების მიერ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება 2016-2020 წლების მიხედვით:

სქემა N1




სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, ერთი მხრივ პირველ ეტაპზე, 2016-2017 წლებში, საქმე გვაქვს ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროვების დაბალ მაჩვენებლებთან, რაც გამოწვეული იყო საკანონმდებლო ბაზის ნაკლებობით და სავალდებულო ელემენტის არარსებობით. 2018 წლიდან საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზე სავალდებულო გახდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლა, საზოგადოებრივად დაინტერესებული პირების და 1-2 კატეგორიის საწარმოებისთვის, საქმე გვაქვს მაჩვენებლების

ზრდასთან, გამონაკლისი გახდა 2019 წლის შედეგები, რაც კოვიდ პანდემიის სირთულეებიდან გამომდინარეობდა, ხოლო 2020 წელს კი საგრძნობ მტებასთან, გამომდინარე იქიდან, რომ 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებების გასაჯაროვება სავალდებულო გახდა კონკრეტულად მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვისაც.
სქემა №2-ზე დეტალურად მოცემულია 2020 წლის შედეგები ყველა კატეგორიის საწარმოებისათვის და მათ შორის მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის.

სქემა №2




აღსანიშნავია, რომ შედეგების საგრძნობი მატება სწორედ მცირე და საშუალო საწარმოების და მათ შორის მეოთხე კატეგორიის საწარმოების ხარჯზე მოდის და შეადგენს სრული გასაჯაროებული მაჩვენებლების თითქმის 83%. ასევე გამოიკვეთა, რომ ყველაზე მეტი რაოდენობის ფინანსური ანგარიშგებები გამოაქვეყნა მეოთხე კატეგორიის საწარმოებმა.

**დასკვნა**

საქართველოში დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის გამომწვევ მიზეზთა შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემაფერხებელ ფაქტორს არაეფექტური ფინანსური აღრიცხვის სისტემა წარმოადგენდა, რამაც განაპირობა ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებზე გადასვლის და დანერგვის აუცილებლობა ყველა და მათ შორის მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის, რომელიც ეტაპობრივად წარიმართა. საერთაშორისო გამოცდილება ნათლად ადასტურებს, რომ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების განვითარებას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას უმეტესად რეგულირების გამართული სისტემა განაპირობებს. ასეთი სისტემის ჩამოყალიბება ნებისმიერი ქვეყანაში რთული და ხანგრძლივი პროცესია. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა, სადაც დღემდე მიმდინარეობს ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის რეგულირების სრულყოფის მიმართულების ძიება და მდგრად განვითარებაზე ორიენტირებული საკანონმდებლო ბაზის შექმნა.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შემდგომი განვითარება და სრულყოფა მოიტანს ისეთ დადებით შედეგებს, როგორიცაა: სამეურნეო სფეროში ფინანსური პრობლემების დროულად გამოვლენა და გადაწყვეტა; არსებული რისკების და გამოწვევების ეფექტური მართვა; ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობის დამკვიდრება; საწარმოო პროცესის სტაბილურობის და უსაფრთხოების განმტკიცება; დასაქმების ზრდას და სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ფინანსური პერსონალის პროფესიული დონის ამაღლება.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ საქართველოში საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზებული და გამართული ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მოთხოვნები და მიდგომები მეოთხე კატეგორიის საწარმოებისათვის წარმოადგენს სამეურნეო სისტემის და ამ სფეროში დასაქმებული საზოგადოების მოთხოვნას და აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული მიდგომები სრულ შესაბამისობაში მოვიდა, გამოიკვეთა გარკვეული პრობლემები და გამოწვევები, რომლებიც კიდევ საჭიროებს შემდგომ სრულყოფას.

**ბიბლიოგრაფია:**
*ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური.* ვებგვერდი: www.saras.gov.ge
*საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.* ვებგვერდი: www.economy.gov.ge
*საქართველოს მთავრობა.* ვებგვერდი: www.gov.ge
*საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.* ვებგვერდი: www.mof.gov.ge
ჩიტაძე, ხ., & თენაძე, გ. (2017). *ბუღალტრული აღრიცხვის თეორიული საფუძვლები. ფინანსური აღრიცხვა.*
ხარაბაძე, ე. (2018). *ფინანსური აღრიცხვა.* თბილისი.

***David Tchiotashvili*, *Khaliana Chitadze***
*Gori State University*

## REGULATION OF INTERNATIONAL FINANCIAL REPORTING STANDARDS FOR ENTERPRISES OF THE FOURTH CATEGORY IN GEORGIA

**RESUME**

Among the causes of the low economic situation in Georgia, one of the important hindering factors was the inefficient financial accounting system, which led to the need to move to international financial accounting standards and implement them for all enterprises, including the fourth category, which was carried out gradually. International experience clearly confirms that the development of international standards of financial reporting and compliance with modern requirements is mostly determined by a well-functioning system of regulation. Establishing such a system in any country is a difficult and long process. In this regard, Georgia is no exception, where the search for the perfect direction of financial accounting and audit regulation and the creation of a legal base focused on sustainable development is still ongoing.

Further development and perfection of international financial reporting standards will bring such positive results as: timely detection and solution of financial problems in the economic sphere; effective management of existing risks and challenges; establishment of transparency of financial reporting; strengthening the stability and safety of the production process; Increasing employment and raising the professional level of financial personnel in various positions.

Practice has shown that in Georgia, the basic requirements and approaches of financial reporting harmonized with international standards for enterprises of the fourth category represent the demand and necessity of the economic system and the society employed in this field. Although some approaches have come into full compliance, some problems and challenges have been identified that still need further refinement.

***Keywords:*** Financial reporting, Enterprises of the fourth category, International reporting standard, Regulation of financial reporting.

*ნუგზარ აბრამიშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ალფრედ ნორთ უაიტჰედი და ტრადიციული ფილოსოფია

*საკვანძო სიტყვები:* ფილოსოფია, კულტურა, მეცნიერება, ღირებულებები, ნიჰილიზმი.

მეოცე საუკუნის დასავლური ფილოსოფიის ერთ-ერთი თავისებურება „ფილოსოფიის კრიზისში" გამოვლინდა. დამკვიდრდა აზრი ფილოსოფიის არათუ უსარგებლობის, არამედ მავნეობის შესახებ, მაგრამ მაინც არიან მეოცე საუკუნის ფილოსოფოსთა შორის ისეთი მოაზროვნეები, რომელნიც ერთგულნი რჩებიან ფილოსოფიის იმ ტრადიციული, კლასიკური იდეალისა, რომელიც პირველად თეორიული ფორმით არისტოტელემ ჩამოაყალიბა. ისინი თავის თავში ნახულობენ „გონის იმ გმირობას", რაც აუცილებლად მიაჩნდა ჰუსერლს, როგორც საერთოდ კულტურის, ისე ფილოსოფიის გადასარჩენად. ასეთ მოაზროვნეთა შორის ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ფიგურას წარმოადგენს ალფრედ ნორთ უაიტჰედი.

ფილოსოფიური ტრადიციის სისტემატიზაცია, უაიტჰედის აზრით, იმავე დროს მეცნიერების განვითარების ლოგიკის გამომხატველიცაა, რომელიც თანდათანობით განიცდის ძირითად ცნებათა მსხვრევას, რაც იწვევს მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ცვლილებებს. თავისი ფილოსოფიით უაიტჰედი ცდილობს ორგანულად შეაერთოს აზროვნების ეს ორი ტრადიცია და შეიმუშაოს კატეგორიათა ისეთი სისტემა, რომელიც თავის ქმედითობას გამოავლენს კულტურის ყველა სფეროში.

მეცნიერება ფილოსოფიის გარეშე თავის ფესვებს სწყდება კულტურაში, ხოლო ფილოსოფია მეცნიერებას მოწყვეტილი სუბიექტივისტურ ირაციონალიზმად გადაგვარდება. ფილოსოფია არა მარტო ქმნის სამყაროს მთელის სურათს და ამ საფუძველზე აგებს მსოფლმხედველობას, ის კერძო მეცნიერებათა პრაგმატულად ეფექტურ იდეებს უკავშირებს ამ ერთიან სურათს, იმ სურათს, რომელიც თავის თავში უნდა აერთიანებდეს ადამიანურ ღირებულებათა მთელ სისტემას, რადგან მხოლოდ ღირებულებათა ეს სისტემა ანიჭებს საზრისს ყოველგვარ მეცნიერულ მიზანსა და შედეგს. „ამით ფილოსოფია ასრულებს თავის მთავარ ფუნქციას, შეიმუშავებს ისეთ მსოფლმხედველობას, რომელიც დაღუპვისგან იხსნის ადამიანებს, რომელთათვისაც ძვირფასია ის ღირებულებები, რომელნიც ცხოველურ მოთხოვნილებებზე მაღლა დგანან." (Уайтхед, 1990, стр. 560)

ფილოსოფია არ ფლობს რაიმე უპირატესობას ჭეშმარიტების გამოთქმაში, ის მეცნიერებებთან საერთო საფუძველზე უნდა განვიხილოთ. ყოველგვარი მეცნიერება გარკვეულ იდეათა სისტემას წარმოადგენს, რომელიც დროთა ვითარებაში ექვემდებარება გარდაქმნა-გადახალისებას. ფილოსოფია მხოლოდ იმით განსხვავდება მეცნიერებისგან, რომ ცდილობს შეიმუშავოს უფრო ზოგადი იდეების სისტემა. იდეათა ამ სისტემის მეშვეობით ის უდიდეს მეცნიერულ-ევრისტიკულ მნიშვნელობას იძენს, მეცნიერულ კვლევაზე ახდენს უკუზეგავლენას. ფილოსოფიის მეშვეობით შემუშავებული კატეგორიები სტიმულსა და ორიენტაციას აძლევს თეორიულ კვლევას. „ფილოსოფიური სისტემები, კონკრეტული მეცნიერებების თვალსაზრისით, უაღრესად სასარგებლონი არიან, სწორედ მათში და მათი მეშვეობით ადამიანური სული ივითარებს თავის ყველაზე ღრმა ინტუიციას. ასეთი სისტემები სიცოცხლეს ანიჭებენ და ავითარებენ განყენებულ იდეებს. და რომ არა მოცალეობისა და რეფლექსიის ჟამს დაბადებულ ამ იდეათა სისტემატიზაცია, ისინი შეუმჩნევლად ჩაქრებოდნენ და დავიწყებას მიეცემოდნენ" (Уайтхед, 1990, стр. 545).

უაიტჰედის აზრით, ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნებები წარმოადგენს იმ ფილოსოფიურ ინტუიციათა კონკრეტიზაციას, რომლებიც ქმნიან მოცემული ეპოქის კულტურული აზროვნების საფუძველს. თუ ტრადიციულ ფილოსოფიაში ერთმანეთისგან განასხვავებდნენ გონს, როგორც

ფილოსოფიური აზროვნების სპეციფიკურ ორგანოს, და განსჯას, რომელიც გამოიყენება კერძო მეცნიერულ კვლევაში და ახასიათებს ყოველდღიურ მეცნიერებას, უაიტჰედი ლაპარაკობს გონის ორ ფუნქციაზე. გონის პირველი ფუნქცია მოქმედებს როგორც „პრაგმატული აგენტი“, როგორც მიზანშეწონილი, პრაქტიკული მოღვაწეობის ინსტრუმენტი და მოქმედების ეფექტიანობის გამაძლიერებელი საშუალება. ამ ასპექტში გონი მიზნის გამომრკვეველია; გარკვეულ საზღვრებში ის მიზანს ხდის ეფექტურად. როგორც კი ამ ფუნქციას შეასრულებს, გადადის მთვლემარე მდგომარეობაში. გონის მოქმედების ამ ასპექტს, უაიტჰედის აზრით, კარგად გამოხატავს ოდისევსის ცხოვრება.

სულ სხვაა „სპეკულატური გონი“, რომელიც იბადება „უსასრულო ცნობისმოყვარეობის სულისგან“, დაუინტერესებელი ცნობისმოყვარეობისგან. მატერიალური ინტერესებისგან დამოუკიდებელი და თავისუფალი, ის თავის ერთადერთ მიზნად ისახავს მთლიანი სამყაროს რაც შეიძლება უფრო სრულ ახსნას. ისე არ უნდა გავიგოთ თითქოს უაიტჰედი მეცნიერულ აზროვნებას აიგივებდეს „პრაქტიკულ გონთან“. მისი თვალსაზრისით, მეცნიერული აზროვნება პრაგმატული მომენტების გარდა, აუცილებლობით შეიცავს „სპეკულატური გონის“ ელემენტებსაც. მეცნიერება, უაიტჰედის აზრით, განვითარდა სპეკულატური გონის გავლენით. მეცნიერების პროგრესის საიდუმლო აბსტრაქტული სქემებისადმი სპეკულატურ ინტერესში მდგომარეობს. „მეცნიერება და ფილოსოფია მხოლოდ განსხვავებული ასპექტებია ერთიანი ადამიანური აზროვნებისა. როგორც მეცნიერების, ისე ფილოსოფიის მიზანია, ახსნან ცალკეული ფაქტები როგორც ზოგადი პრინციპების ილუსტრაცია. პრინციპები აბსტრაქტული ხასიათისაა და ფაქტების ნამდვილი გაგება მხოლოდ მაშინ გვაქვს, როცა ისინი ვიცით პრინციპებთან დამოკიდებულებაში. მეცნიერებასა და ფილოსოფიაში პირველი ნაბიჯი მაშინ გადაიდგა, როცა მიხვდნენ, რომ ყოველი ფაქტი და პროცესი რომელიღაც პრინციპის გამოვლენას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება აბსტრაქტულად გამოიხატოს ისე, რომ არ მივმართოთ მის კერძო გამოვლინებებს. ცნობისმოყვარეობა, რომელიც უძველესი დროიდან იყო ცივილიზაციის მამოძრავებელი ძალა, სწორედ ამ აბსტრაქტული პრინციპების დადგენისკენ სწრაფვას წარმოადგენს“ (Уайтхед, 1990, стр. 540).

მეცნიერულ აზროვნებაში სპეკულატური ელემენტის არსებობა განაპირობებს ფილოსოფიასა და ბუნების მეცნიერებებს შორის ორგანულ კავშირს. ფილოსოფიის მიერ დადგენილი ნახევარჭეშმარიტებებიდან ყალიბდება მეცნიერული პრინციპები. ფილოსოფიამ უნივერსალურ განზოგადებათა შუქზე უნდა ახსნას კონკრეტული ფაქტი, რომლისგანაც მეცნიერება აბსტრაგირებას ახდენს. სპეციალურმა მეცნიერებმა თავისი პრინციპები უნდა მონახონ იმ კონკრეტულ ფაქტებში, რომელიც წარმოდგენილია ფილოსოფიური სისტემების მეშვეობით. აზროვნების ისტორია არის შეცდომებისა და წარმატებების ისტორია ფილოსოფიისა და მეცნიერების ერთობლივი მოღვაწეობის პროცესში.

უაიტჰედი წუხს, რომ თანამედროვე ეპოქაში მეცნიერებასა და ფილოსოფიას შორის ისევე, როგორც ერთ დროს გალილეის ეპოქაში, გათიშულობაა. გალილეის დროს ამ გათიშულობის მიზეზი თეოლოგიის აგრესიული დოგმატიზმი იყო, და მეცნიერების წარმომადგენლები ებრძოდნენ თეოლოგიის ობსკურანტიზმს მეცნიერული კვლევის თავისუფლებისთვის. ახლა სიტუაცია შეიცვალა: მეცნიერების წარმომადგენლები უნდა შეებრძოლონ ობსკურანტიზმს თავიან რიგებში, სპეციალისტთა ობსკურანტიზმს. „როცა ცდილობენ აღმოაჩინონ თავიანთი იდეების პირველწყარო ფილოსოფიის ფუნდამენტურ ცნებებში, კერძო მეცნიერებების წარმომადგენლები, როგორც წესი, შუა გზაზე ჩერდებიან, მათ თავიანთი ანალიზი მიყავთ მხოლოდ იმ ცნებებამდე, რომელნიც საჭირონი არიან მათი უშუალო მიზნის მიღწევისა და კონკრეტული მეთოდების დადგენისთვის, ამის იქით კი აღარ მიდიან. კვლევის კონკრეტულ სფეროებში მიღწეული წარმატებებით გაბრუებულნი ისინი აღარ ზრუნავენ იმაზე, რომ კერძო მეცნიერებათა იდეები დაუკავშირონ სინამდვილის ერთიან სურათს“ (Уайтхед, 1990, стр. 544).

აზრი, რომელმაც ჯერ კიდევ ფრენსის ბეკონთან მიიღო დასრულებული სახე, ფილოსოფიის უსარგებლობის კონსტატაციაში მდგომარეობს. ამ პოზიციის თანახმად, ჩვენ უნდა გულმოდგინედ აღვწეროთ ფაქტები და გამოვავლინოთ ისეთი ზოგადობების მქონე კანონები, რომელნიც მკაცრადაა განსაზღვრული აღწერილი ფაქტების სისტემატიზაციით. მიჩნეულია, რომ ზოგადი ინტერპრეტაცია არანაირ გავლენას არ ახდენს ამ პროცედურაზე და ამიტომ ნებისმიერი ფილოსოფიური სისტემა, იმის მიუხედავად ჭეშმარიტია თუ მცდარი, არსებითად უნაყოფოა. ამ პოზიციის გასაბათილებლად უაიტჰედი შენიშნავს: „არ არსებობს არანაირი უხეში, თვითკმარი ფაქტები, რომელნიც შეიძლება სხვანაირად გაგებულ იქნენ თუ არა როგორც რომელიმე სისტემის ინტერპრეტირებული ელემენტები. როცა ვცდილობთ გამოვთქვათ უშუალო ცდის ფაქტი, მაშინ აღმოვაჩენთ, რომ ფაქტის გაგებას გავყავართ მის საზღვრებს გარეთ, მის თანადროულ ფაქტებთან, მის წარსულთან და მომავალთან; ასევე იმ უნივერსალიებთან, რომელთა ტერმინებშიცაა წარმოდგენილი ფაქტთა განსაზღვრულობა. მაგრამ მსგავსი უნივერსალიები უკვე თავისი უნივერსალურობის გამო განასახიერებენ სხვა ფაქტების შესაძლებლობებს სხვადასხვა ტიპის განსაზღვრულობებით. ასე რომ, უშუალო, უხეში ფაქტების გაგება მოითხოვს მათ

მეტაფიზიკურ ინტერპრეტაციას, როგორც სამყაროს ელემენტებისას, რომელნიც სამყაროსთან იმყოფებიან სისტემურ ერთიანობაში“. (Уайтхед, 1990, стр. 581)

ასე რომ, ფილოსოფია არ არის მეცნიერების სხეულში გაჩენილი სენი, არც უნიადაგო ოცნება ან გრძნობათა გადმოფრქვევა. ის სხვა არაფერია, თუ არა მეცნიერების სულის უფრო ძლიერი და წმინდა გამოხატულება (ამხსნელი სულის და არა პრაგმატულის), თავისი მარადიული სწრაფვით მოახდინოს უშუალო მოცემულობის „უხეში ფაქტიურობის“ რაციონალიზაცია. ამიტომ „მორფოლოგიის აბსტრაქტული საქმეები“, რომელსაც შეიმუშავებს ფილოსოფია, წარმატების შემთხვევაში შეიძლება ხვალინდელი მეცნიერებისთვის პროგრამად იქცეს, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა ცივილიზაციის ისტორიაში. ამასთან ერთად, ცოდნის სხვადასხვა სფეროების მეცნიერულ იდეათა ფილოსოფიური განზოგადება ავლენს განსხვავებულ მეცნიერულ დისციპლინებს შორის არსებულ კავშირს და აფუძნებს მათ შორის ინტეგრაციას. უაიტჰედის აზრით, ევროპული აზროვნების ისტორია დღევანდლამდე განმსჭვალულია ფატალური ცდომილებით, რასაც უაიტჰედი დოგმატურ შეცდომას უწოდებს. შეცდომა ჩვენს იმ დაჯერებულობაშია, რომ თითქოს შეგვეძლოს დასაბუთებული და დასრულებული სისტემის შექმნა. სინამდვილეში კი არითმეტიკის უმარტივესი ცნებების გამოკლებით, ჩვენი ყველაზე ცნობილი და ერთი შეხედვით ცხადი იდეებიც კი განუკურნებელი გაურკვევლობით ხასიათდებიან. ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ჩვენი აზროვნებისთვის დამახასიათებელი ეს თავისებურება. ყოველ სისტემატიზებულ სფეროში გამოყენებული ცნებები მოითხოვს ყოველ განსხვავებულ თვალსაზრისთა ახსნას. ისინი უნდა დაექვემდებარონ კრიტიკულ ანალიზს, როგორც მოცემულ სფეროსთან შეთავსებადობის, ისე სხვა სფეროთა ანალოგიური ზოგადობებისა და უფრო ფართო ფილოსოფიური სფეროს თვალსაზრისით.

ადამიანური აზროვნება თანდათანობით გამოიმუშავებს ფილოსოფიურ ცნებებს. ეს პროცესი ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევს წინ და გრძელდება დაუსრულებლად ისე, რომ არა აქვს ბოლო. ჩვენ არ შეგვიძლია შევქმნათ დასაბუთებული განზოგადებების მქონე დასრულებული სისტემა, რომელიც მოგვცემდა სრულყოფილ მეტაფიზიკას, მაგრამ შეგვიძლია შევქმნათ მრავალფეროვანი ნაწილობრივი, შეზღუდული ზოგადობების მქონე სისტემები. არცერთი მეცნიერება არ შეიძლება იყოს უფრო საიმედო, ვიდრე ის გაუცნობიერებელი ფილოსოფია, რომელსაც ის ფარულად ეყრდნობა. ყოველი ინდივიდუალური საგანი წარმოადგენს თავისი გარემომცველი საგნების მოდიფიკაციას და შეუძლებელია გავიგოთ ეს საგანი, თუ მოვწყვიტეთ ამ გარემოცვას. ასე რომ, მეცნიერულ მონაცემთა უეჭველობა ილუზიაა, რადგან ეს მონაცემები კავშირშია გამოუკვლეველ მხარეებთან. მეცნიერული კონცეფციები ეპოქის საყოველთაოდ მიღებულ ფილოსოფიურ ცნებათა კონტროლქვეშ იმყოფება. ამიტომაა, რომ ჩვენი მოლოდინი ასე ხშირად არ მართლდება და როცა გამოჩნდება დაკვირვების რომელიმე ახალი ხერხი, ძველი კონცეფციები უზუსტობისა და შეცდომების ოკეანეში იძირება. მთავარი პრობლემა მაინც ისაა, რომ მთლიანად გავიგოთ ფაქტი. ეს კი შესაძლებელია ფილოსოფიის იმ ფუნდამენტური ცნებების მეშვეობით, რომელნიც აღწერენ რეალობის ბუნებას. მეცნიერული და ფილოსოფიური სისტემები მოდიან და მიდიან, შემეცნების ყოველი მეთოდი ბოლოს და ბოლოს, ამოწურავს თავის შესაძლებლობებს, გზის დასაწყისში ყოველი სისტემა ტრიუმფალურ წარმატებებს აღწევს, ბოლოს კი დაბრკოლებად იქცევა. ახალ, ნაყოფიერ შემეცნების ხერხებზე გადასვლა ჩვენს უღრმეს ინტუიციასთანაა დაკავშირებული, რომელიც აღვიძებს წარმოსახვას. ბოლოს, - თუმც კი ამ პროცესს არა აქვს დასასრული - მიიღწევა თვალსაწიერის გაფართოება, რომელიც ზრდის ჩვენს შესაძლებლობებს.

ფილოსოფიას, საუბედუროდ, თან სდევდა აზრი, თითქოს მისმა მეთოდმა დოგმატურად უნდა მიგვითითოს იმ წინაპირობებზე, რომელნიც ცხადია, მკაფიოა და აშკარა, შემდეგ კი ამ წინაპირობებზე უნდა ავაგოთ აზროვნების დედუქციური სისტემა. მაგრამ, უაიტჰედის აზრით, უმაღლეს საყოველთაობათა ზუსტი გამოხატვა შეიძლება კვლევის მიზანი იყოს და არა წყარო. ფილოსოფიას გზა-კვალი აუბნიეს მათემატიკის მაგალითით, მაგრამ მათემატიკაშიც კი ამოსავალი ლოგიკური პრინციპების მტკიცება დაკავშირებულია სირთულეებთან, რომელნიც ჯერაც არაა გადალახულნი.

რაციონალისტური სქემის უპირატესობა უნდა დავინახოთ არა მის განსაკუთრებულ სიაშკარავესა და პირველი პრინციპების გარკვეულობაში, არამედ მის წარმატებულ შედეგებში უაიტჰედი თვლის, რომ ანტიკურობიდან დაწყებული, ნებისმიერი პროდუქტიული აზროვნება ვითარდებოდა ან პოეტური გაცისკროვნების, ანდა აზროვნების სქემის იმაგინაციური დამუშავების წყალობით. ფილოსოფია ვერასდროს განთავისუფლდება ექსპერიმენტული თავგადასავლებისგან. მათემატიკამ და რელიგიამ, მართალია, უდიდესი როლი შეასრულა ფილოსოფიის წარმოშობაში, მაგრამ მას, საუბედუროდ, დოგმატიზმიც მოახვიეს თავს. რაციონალიზმი განვითარებადი და დაუსრულებელი თავგადასავალია, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია თვით ნაწილობრივი წარმატება. უაიტჰედი შენიშნავს, რომ ფილოსოფიის მიმართ გამოთქვამენ პრეტენზიებს მისი ამბიციურობის გამო, რომ ფილოსოფიის წყალობით კონკრეტული მეცნიერებების საზღვრებში ადგილი კი აქვს განვითარებას, მაგრამ ამ

შეზღუდულმა წარმატებებმა არ უნდა წაახალისოს საგანთა საერთო ბუნების გამომხატველი ამბიციური სისტემების შექმნის მცდელობანი. ამ კრიტიკული დამოკიდებულების ერთ-ერთი საფუძველია ტრადიციული ფილოსოფიური სისტემების წარუმატებლობა, რომ ევროპული აზროვნება დანაგვიანებულია ასეთი წარუმატებელი სისტემებით.

უაიტჰედის აზრით, ფილოსოფია არ შეიძლება შევაფასოთ ძველი, დოგმატური კრიტერიუმით მსგავსი კრიტერიუმით შეიძლება მეცნიერებაც შეფასდეს, როგორც წარუმატებელი. მეჩვიდმეტე საუკუნის ფიზიკიდან უფრო მეტი იქნა შენარჩუნებული, ვიდრე იმავე დროის კარტეზიანული ფილოსოფიიდან, მაგრამ თავის საზღვრებში ორივე გამოხატავდა საჭირო და მნიშვნელოვან ჭეშმარიტებას. იმ პერიოდში დოგმატური შეხედულებები ბატონობდა და ამიტომ როგორც ფიზიკის ისე კარტეზიანული ცნებების გამოსადეგობა არასწორად იყო გაგებული. კაცობრიობამ არასდროს არ იცის სრულად, თუ რა უნდა მას. აზროვნებისა და პრაქტიკის ისტორიული განვითარების პროცესში იდეები ერთმანეთის კვალდაკვალ მოწმდებოდა, დგინდებოდა მათი საზღვრები და იკვრებოდა ჭეშმარიტი ბირთვი.

ავგუსტინე ამბობს: „სამყაროში ყველაფერზე მხოლოდ დაუდევარნი სჯიან“. სისტემატიზაციის საქმეში ადამიანები მხოლოდ იმას აკეთებენ, რაც იმ დროში მათ შეუძლიათ. სისტემის ადეკვატურ შეფასებად უნდა ჩაითვალოს არა მისი დასრულებულობა, არამედ პროგრესი.

ა. უაიტჰედის ნააზრევი ფილოსოფიის აუცილებლობისა და განსაკუთრებული ღირებულების მტკიცებას წარმოადგენს. უაიტჰედის დამსახურება ისაა, რომ პოზიტივისტური ფილოსოფიური ნიჰილიზმისა და ირაციონალისტური სუბიექტივიზმის ბატონობის პირობებში, მან ფილოსოფიას შესძინა უდიდესი მეცნიერული და ევრისტიკული მნიშვნელობა.

**ბიბლიოგრაფია:**


Уайтхед, А. Н. (1990). *Избранные работы по философии.* Москва: Прогресс.



***Nugzar Abramishvili***

*Gori State University*


**ALFRED NORTH WHITEHEAD AND TRADITIONAL PHILOSOPHY**

**RESUME**


A. Whitehead is one of the outstanding thinkers of the XX century Europian philosophy. His merit Before Philosophy is that under the conditions of Philosophical nihilism domination he returned to Philosophy those values and significance it hab hand since antiquity.



***Keywords:*** Philosophy, Culture, Science, Values, Nihilism.

*ივანე ბალახაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი;*
*აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი*

# ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიები

*საკვანძო სიტყვები:* ხელშეკრულება, ადმინისტრაციული, საჯარო, მომსახურება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომელიც იდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. საქართველოს სასამართლო პრაქტიკა დამატებითი განმარტების გარეშე, საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებით მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულების მიზანს, რომელიც არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელება. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა, 2020) თუმცა, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გაჩნდა კითხვები ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის უნივერსალურობაზე, „არსებობს უამრავი ცხოვრებისეული მაგალითი, როდესაც ადამიანი სულაც არ გრძნობს, რომ მისი მოქმედებით, მის მიერ ხელშეკრულების დადებით, თუნდაც კერძო პირთან, იგი საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას ახორციელებს, მას წარმოეშობა საჯარო სამართლის ნორმებით განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები“. (ქარდავა, 2006, გვ. 66) ზოგიერთი ავტორი ადმინისტრაციული ხელშეკრულებისა და სამოქალაქო ხელშეკრულების ეფექტიანი გამიჯვნისთვის ახალი თეორიის შემუშავების აუცილებლობაზე საუბრობს. (კიკილაშვილი, 2016, გვ. 69)

არ ვსაუბრობთ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის ზედაპირულ გადასინჯვაზე. ამ თეორიის შემადგენელი სხვადასხვა ელემენტი - ხელშეკრულების მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები და ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართლის დიდი „თეორიები“ - არ არის უშუალოდ გათვალისწინებული რეფორმებით, რომლებიც გარდაქმნიან საკითხს. სინამდვილეში, გადასინჯვა უფრო ღრმაა და შეეხება ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის საფუძვლებს. მიუხედავად იმისა, რომ „საჯარო მომსახურება“ წარმოდგენილი იყო როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის ალფა და ომეგა, დღეს ეს ასე აღარ არის. მას კონკურენციას უწევს სხვა საფუძვლები და კარგავს მნიშვნელობას. მაშასადამე, გადასინჯვის ამ მოძრაობას მნიშვნელოვანი შედეგები აქვს ზოგადი თეორიის ზოგიერთი კლასიკური კომპონენტისთვის.

პირველ რიგში, ზოგადი თეორიის ეჭვქვეშ დაყენება ხორციელდება „საჯარო მომსახურების“ კონკურენტი სხვადასხვა ლოგიკის დადასტურებით, რომლებიც სრულად ცვლიან ზოგად თეორიას. მეორე რიგში, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის ეჭვქვეშ დაყენება გამოიხატება საჯარო მომსახურების, როგორც ზოგადი თეორიის არსებითი საფუძვლის, რღვევით.

საჯარო მომსახურება, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის მთავარი ელემენტი, რომელიც დიდი ხნის მანძილზე იყო იდეალიზებული, შეიძლება ითქვას უძრავიც კი, აღარ არის პოპულარული. ამის დამადასტურებელია ის, რომ დღეს მას კონკურენციას უწევს სხვადასხვა ლოგიკა, რომელთაც სხვადასხვა მიზანი აქვთ: ეს არის ერთი მხრივ სახელშეკრულებო ლოგიკა, ხოლო მეორე მხრივ - კონკურენციული ლოგიკა. პირველი ისწრაფვის ადმინისტრაციული ხელშეკრულება გახადოს ბანალური, ჩვეულებრივი, სამოქალაქო ხელშეკრულების მსგავსი, ანუ წაართვას მას თავისებურება. უპირველეს ყოვლისა, ადმინისტრაციული ხელშეკრულება ჩაფიქრებული უნდა იყოს როგორც ხელშეკრულება და მაშასადამე, გამორჩეულად სწორედ მხოლოდ თავისი „ადმინისტრაციული ბუნების“ გამოხატვა უნდა შეეძლოს. მეორე უფრო შორს მიდის: ის არ ინტერესდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივი რეჟიმის შესაძლო სპეციფიკურობებით, იქნება ეს პოზიტიური თუ ნეგატიური მნიშვნელობით. კონკურენციული ლოგიკა ფაქტობრივად ვლინდება როგორც უპირატესი ლოგიკა, რომელიც საჯარო მომსახურების ტრადიციულ ლოგიკას ზემოდან ექცევა და შეიძლება მიგვიყვანოს ამ უკანასკნელის მარტივ უარყოფამდე.

ისტორიულად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორია განვითარებული იყო სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ზოგიერთი ხელშეკრულების სპეციფიკურობის დასადასტურებლად, კერძო სამართლის სუბიექტების მიერ დადებულ ხელშეკრულებებთან შედარებით. საუბარია დოქტრინულ კონსტრუქციაზე. მაშასადამე, ჯეზის, პეკინოს

და ლობადერის მიერ განხორციელებული სისტემატიზაცია ნაწილობრივ ხელოვნურია და უპირველეს ყოვლისა, იძლევა summa divisio-ს დამტკიცების საშუალებას საჯარო სამართალსა და კერძო სამართალს შორის (Plessix, 2011, p. 46). ამრიგად, ზოგადი თეორიის ამ გამოყენებამ სახელმწიფო რეგულირების ზოგიერთი ხედვისთვის, კლასიკოსი ავტორები მიიყვანა ადმინისტრაციულ ხელშეკრულებაში სახელშეკრულებო ნაწილის დაჩრდილვამდე ან შემცირებამდე, მეტწილად იმიტომ, რომ „ადმინისტრაციული ხელშეკრულება არ არის დაბადებული ხელშეკრულებად“. (Gaudemet, 2010, p. 313)

მიუხედავად ამისა, სახელშეკრულებო ლოგიკა დიდი ხანია წარმოდგენილია ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიისადმი მიძღვნილ კვლევებში, მაშინაც კი, თუ ის დარჩა ჩანაცვლებული საჯარო მომსახურების ლოგიკით. (Péquignot, 1945, p. 182) მას შემდეგ, სახელშეკრულებო ლოგიკა აღარ გადასინჯულა. პირიქით, ადმინისტრაციული ხელშეკრულებები განხილულია, როგორც ნამდვილი ხელშეკრულებები. (Llorens, 1981, p. 139) თუმცა, თუ ჩანს, რომ სახელშეკრულებო ლოგიკა სულ უფრო და უფრო არსებობს, საკმაოდ ნაკლებ სავარაუდოა, რომ სახელშეკრულებო ლოგიკამ უპირატესობა მოიპოვოს ადმინისტრაციულ ლოგიკაზე. მაშასადამე, ეს ლოგიკა უნდა დარჩეს მეორეული.

სახელშეკრულებო ლოგიკის დადასტურება სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში. სახელშეკრულებო ურთიერთობაზე გადასვლის მოძრაობის მიღმა, რომელსაც მივყავართ ხელშეკრულების პუნქტებში სამოქალაქო ხელშეკრულების ზოგადი თეორიით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების გამოხატვამდე, სახელშეკრულებო ლოგიკის გაძლიერება ხორციელდება ზოგადი სახელშეკრულებო სამართლიდან გამომდინარე პრინციპების დადასტურებით, რომლებიც ზღუდავენ ან ამცირებენ ადმინისტრაციული ხელშეკრულების ზოგადი თეორიის გამოყენებას.

**ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის საერთო პრინციპების უარყოფა ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში.** ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის საერთო პრინციპების არსებობა არ გვაკვირვებს, რამდენადაც „ზოგადად ადმინისტრაციული ხელშეკრულება განხილულია, და სრულიად სამართლიანად, როგორც ნამდვილი სახელშეკრულებო ბუნების მფლობელი“. (Brenet, 2011, p. 222) თუმცა, ისტორიულად, წინააღმდეგობა არსებობდა ზოგად სახელშეკრულებო სამართალში შემავალ პრინციპებსა და იმ პრინციპებს შორის, რომლებიც ქმნიან ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივ რეჟიმს. ამრიგად, ჯორჯ პეკინო წერდა, რომ „ადმინისტრაციული ხელშეკრულება ეწინააღმდეგება სახელშეკრულებო სტაბილურობის იდეას“ (Péquignot, 1945, p. 25) მაშინ როცა, იმავდროულად, ის განიხილავდა, რომ „ხელშეკრულების ცნება [...] შეუთავსებელია საჯარო მომსახურების ცნებასთან“. (Péquignot, 1945, p. 605) ასევე საკამათო იყო ადმინისტრაციული ხელშეკრულების სახელშეკრულებო ბუნება. (Péquignot, 1945, p. 433) ასეთი წინააღმდეგობა აღარ არის აქტუალური: მას შემდეგ სახელშეკრულებო ურთიერთობების სტაბილურობა წინა პლანზეა წამოწეული სასამართლოს უფლებამოსილებების რეგულირებისათვის სარჩელის ფარგლებში ხელშეკრულების ნამდვილობის გასაჩივრებისას, ხელშეკრულების მხარეთა თავისუფლების დაცვის უზრუნველსაყოფად. (Amilhat, 2019a) იმავდროულად, ხელშეკრულება გახდა კვაზი „ბუნებრივი“ საშუალება საჯარო მომსახურების მართვაში.

**ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის საერთო პრინციპების ადგილი და როლი ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში.** ნათელია, „რომ სამოქალაქო კოდექსის მიღმა არსებობს კონცეფციებისა და ცნებების ზოგადი ნაწილი, რომელიც თანაბრად ფარავს სამოქალაქო სამართალსა და ადმინისტრაციულ სამართალს“, მაგრამ მაშინ, როცა ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართალი აგებულია დიფერენციაციის იდეის ირგვლივ, აქედან მოყოლებული მიღებულია, რომ „საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელშეკრულებების შესრულება არსებითად არ არღვევს საერთოსამართლებრივ ნორმებს“ და რომ „სამოქალაქო სამართლის ჩამომყალიბებელი პრინციპები მათზე ვრცელდება, მაშინაც კი, თუ მათ ზოგჯერ შეუძლიათ ზოგიერთ ორიგინალურ ნორმასთან შეხამება“. (Ubaud-Bergeron, 2017, pp. 305-306) მაშასადამე, ეს საერთო პრინციპები დოქტრინის მიერ წარმოდგენილია ისე, რომ სულ უფრო და უფრო ცენტრალურ ადგილს იკავებენ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შესრულების რეჟიმში: მათი მნიშვნელობა ასევე სძლევს ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის კლასიკური პრინციპების მნიშვნელობას.

ამასთან დაკავშირებით, პიერ დელვოლვე მხედველობაში იღებდა სამ პრინციპს, რომლებიც განმტკიცებულია სამოქალაქო კოდექსით (Delvolvé, 2016, p. 613): სახელშეკრულებო თავისუფლება, კეთილსინდისიერება, და ხელშეკრულებების სავალდებულო ძალა. ეს პრინციპები გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალში და დაწინაურდნენ, სულ მცირე ნაწილობრივ, როგორც ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის შემქმნელები. კერძოდ, ეს შეეხება წინასწარგაუთვალისწინებლობის თეორიას. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ ამ თეორიის გავრცელება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიზანი არ არის საჯარო მომსახურების მისიის მართვა,

გამომდინარეობს სახელშეკრულებო ურთიერთობების სამართლიანობის, კეთილსინდისიერების და ერთგულების პრინციპების განხორციელებიდან. (Brenet, 2011, pp. 253-254) ვინაიდან არ არსებობს საკმარისი კავშირი საჯარო მომსახურებასთან, ფაქტობრივად ამ ხელშეკრულებებზე შეიძლება მხოლოდ გავრცელდეს ზოგადი თეორიის წესები, თუ ეს წესები ეყრდნობიან სხვა საფუძვლებს.

ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალსა და კერძო სახელშეკრულებო სამართალს შორის არსებობს სიახლოვე, რომელსაც ზოგჯერ მივყავართ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულებების სამართლის პრივატიზაციის დასკვნამდე. ეს სიახლოვე მარტივად ხსნის განვიხილავთ თუ არა, რომ „რეჟიმების დიფერენციაცია არ გამოიყენება ცნების საბოლოო კონცეპტუალური მთლიანობისთვის, რომელიც არსებითად ეყრდნობა ნების გამოხატვას და მისგან გამომდინარე იძულებით ძალას". (Barloy, 1995) თუმცა, ეს კონცეპტუალური მთლიანობა გვხვდება ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შესრულებისას გამოსაყენებელი ზოგიერთი ნორმის მეშვეობით. ფაქტობრივად, ის იმდენად ჩვეულებრივია, რომ ადმინისტრაციული სასამართლო ნორმებს სესხულობს ზოგადი სახელშეკრულებო სამართლიდან (Boulouis, 2009, p. 921); ასევე არსებობს საერთო სამართლებრივი მაქსიმები, რომლებიც სძლევენ საჯარო/კერძო გამიჯვნას და გამოხატავენ ხელშეკრულების ცნების მთლიანობას (Hoepffner & Klein, 2014, p. 201).

მით უფრო, ამ დაახლოვებამ არ უნდა დაგვავიწყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ბუნება. ლაფერიერი სახელმწიფო ნარდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებით უკვე განმარტავდა, რომ ისინი არიან „ერთდროულად როგორც ხელშეკრულებები, მომსახურების პროცესთან მჭიდროდ დაკავშირებული ნამდვილი ადმინისტრაციული ოპერაციები" (Laferrière, 1888, p. 134). საუბარი არაა ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში სახელშეკრულებო ლოგიკის გაძლიერების იდეის უარყოფაზე: უდავოა „ხელშეკრულებაში დაბრუნება", მაგრამ ეს უკანასკნელი „არ უნდა ავურიოთ კერძო სამართლისადმი ერთგულებაში" (Clamour, 2006, p. 639). ფაქტობრივად, თუ „ზოგადი თეორიების დაახლოების ტენდენცია უდავოა", ის არ აფერხებს „რეჟიმების სპეციალიზაციას ხელშეკრულების საგნის მიხედვით". (Hastings-Marchadier, 1998, p. 683) მაშასადამე, მიუხედავად ყველაფრისა, სახეზეა ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართლის სპეციფიკურობის შენარჩუნება.

სახელშეკრულებო ლოგიკის გაძლიერება ქმნის რეალობას და შეიძლება ის „ჩანდეს მიმზიდველი საჯარო სამართალსა და კერძო სამართალს შორის დაახლოებით მომხდარი ევოლუციის განსაზღვრაში". (Pontier, 2013, p. 837) თუმცა, ხელშეკრულების ადმინისტრაციული თუ საჯარო ბუნება არ უნდა დაგვავიწყდეს და გვიბიძგებს უარყოფისკენ იდეის, რომლის მიხედვითაც სახელშეკრულებო ლოგიკა შექმნიდა ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართლის ახალ საფუძველს. ფაქტობრივად, აუცილებელია შეხსენება „ადმინისტრაციული ორგანოს მტკიცე სპეციფიკურობის". (Pontier, 2013, p. 837) რასაკვირველია, აღარ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შესრულების რეჟიმი არსებითად არაგათანაბრებითია და რომ კერძო სამართლის ხელშეკრულებების შესრულების რეჟიმი გათანაბრებითია: სახელშეკრულებო წონასწორობა ორივე სამართალში იძებნება და უნილატერალიზმი (ცალმხრივობა) გვხვდება როგორც ერთში, ისე მეორეში. (Amilhat, 2019b, 15) თუმცა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შესრულების რეჟიმი აგრძელებს გამორჩეულობის ჩვენებას.

საჯარო სახელშეკრულებო სამართლისა და კერძო სახელშეკრულებო სამართლის დაახლოება სახელშეკრულებო პრინციპების ირგვლივ არ აფერხებს დიფერენციაციას და არ უნდა გავაკეთოთ ნაადრევი დასკვნები, რომლებიც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას გადააქცევდნენ კერძო სამართლის ხელშეკრულებად. ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის სიმბოლური ნორმების ძალაში შენარჩუნება - თუნდაც ნაწილობრივ - საშუალებას იძლევა თავიდან ავირიდოთ „უფლებების ჩამორთმევის გადაჭარბება" (Amilhat, 2019b, 15). თუმცა, Société Grenke Location გადაწყვეტილება (Conseil d'Etat, 2014), რომელიც მიღებულ იქნა საფრანგეთში, ახდენს ამის კარგ ილუსტრირებას. ამ გადაწყვეტილებაში, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო უშვებს, რომ ხელშეკრულების მონაწილე კერძო სამართლის სუბიექტს, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ფარგლებში, შეუძლია მიიღოს ხელშეკრულების ცალმხრივი შეწყვეტის გადაწყვეტილება. მაშასადამე, ადმინისტრაციული სასამართლო უშვებს exceptio non adimpleti contractus (კონტრაჰენტის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობაზე შედავება), მაშინ როცა, ტრადიციულად, მისი უარყოფა წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგადი თეორიის სპეციფიკურობის საჩვენებლად ზემოთ მოყვანილი წესების ნაწილს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ კერძო სამართალთან სიახლოვე? რასაკვირველია, მაგრამ ის არის „შეზღუდული" (Amilhat, 2019b, 15) და ფარდობითი. გამონაკლისი არ დაიშვება ყველა ადმინისტრაციული ხელშეკრულებისთვის, ის დაიშვება მხოლოდ მათთვის, რომლებსაც არ აქვთ „საჯარო მომსახურების განხორციელების მიზანი" (Conseil d'Etat, 2014). მაშასადამე, პირველ რიგში, ეს ნიშნავს, რომ არსებობს ადმინისტრაციული ხელშეკრულებები, რომელთა ადმინისტრაციული ბუნება დომინირებს ნებისმიერ შემთხვევაში. გარდა ამისა, რამდენადაც საუბარია ხელშეკრულებებზე,

რომელთათვისაც გამონაკლისმა შეიძლება იმოქმედოს, გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ, თუ მისი გამოყენება გათვალისწინებული იყო მხარეების მიერ ხელშეკრულების პუნქტების მეშვეობით. მაშასადამე, მეორე რიგში, ეს ნიშნავს, რომ საუბარი არაა ისეთი ზოგადი წესის იდენტურ ზოგად წესზე, რომელიც გამოიყენება კერძო სამართალში, არამედ - სახელშეკრულებო ინსტრუმენტით შემოთავაზებულ მარტივ შესაძლებლობაზე. საბოლოოდ, და განსაკუთრებით, ასეთი გამონაკლისის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, თუ „წინასწარ, უშუალოდ ადმინისტრაციული ორგანო წინააღმდეგია სახელშეკრულებო ურთიერთობების მოშლის, კერძოდ საჯარო მომსახურების მოთხოვნებიდან გამომდინარე საერთო ინტერესის მოტივით“ (Conseil d'Etat, 2014). მაშასადამე, მესამე რიგში, ეს ნიშნავს, რომ სიჭარბის წილი დაცულია ხელშეკრულების მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს სასარგებლოდ. მაშასადამე, ხელშეკრულების ადმინისტრაციული ბუნება აგრძელებს დომინირებას მის სახელშეკრულებო ასპექტზე.

ხელშეკრულების ადმინისტრაციულობის ეს დომინირება მის სახელშეკრულებო ხასიათზე ასევე გვხვდება ადმინისტრაციული ორგანოსათვის მინიჭებულ შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გაატაროს სანქცია გამოუსწორებელი მენარდის მიმართ ან განახორციელოს სუბსტიტუცია (დადოს სუბსტიტუციის ხელშეკრულება), როდესაც ხელშეკრულების მონაწილე მხარე არ იცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. Société Fostmax გადაწყვეტილებაში (Conseil d'Etat, 2016), საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო ამტკიცებს, რომ ეს უფლებამოსილება ქმნის ზოგად წესს, რომელიც გამოიყენება ადმინისტრაციული ხელშეკრულებებისადმი; ის ასევე ქმნის „საჯარო წესრიგის ნორმას“ (Llorens & Soler-Couteaux, 2017). აღიარებული წესის მიღმა, ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ განვითარებული არგუმენტაცია საშუალებას იძლევა შევაფასოთ ხელშეკრულების ადმინისტრაციული ბუნების რომელი ასპექტი არის მნიშვნელოვანი. იმის მტკიცების შემდეგ, „რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულებებისადმი გამოსაყენებელი ზოგადი ნორმებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი სამუშაოების შემკვეთი, რომელმაც უშედეგოდ წარუდგინა მოთხოვნა თავის კონტრაჰენტს განახორციელოს მომსახურება, რომელიც მან იკისრა ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ფლობს შესაძლებლობას აღასრულოს ეს პირობები, თავისი კონტრაჰენტის სახსრებითა და რისკებით, სხვა საწარმოს ან თავისივე მეშვეობით“, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო უპირისპირებს წესს, რომელიც მან ჩამოაყალიბა ადმინისტრაციული ხელშეკრულების „სახელშეკრულებო ასპექტთან“ დაკავშირებით. ფაქტობრივად ის ამტკიცებს, რომ გამოუსწორებელი მენარდის მიმართ სანქცია „შეიძლება იყოს დაწესებული მისი ზუსტად გამთვალისწინებელი ხელშეკრულების ყოველგვარი პირობის არარსებობის შემთხვევაშიც“ და რომ „ადმინისტრაციულ ორგანოებს არ შეუძლიათ მასზე ლეგალურად თქვან უარი“. მოცემულ შემთხვევაში, საფრანგეთის სახელმწიფო საბჭო ამ ზოგად წესს აკავშირებს აღნაგობის საჯარო-სამართლებრივი რეჟიმით ექსპლუატაციის ცნებასთან, მაგრამ რამდენიმე თვის შემდეგ ის იგივე ამ წესს იყენებს კონცესიური ხელშეკრულებებისადმი როგორც ყველა ადმინისტრაციული ხელშეკრულებისადმი გამოსაყენებელ წესს, მიუხედავად ხელშეკრულების საგნისა. (Conseil d'Etat, 2017) ნებისმიერ შემთხვევაში, და მაშინაც, თუ ეს წესი არ არის კოდიფიცირებული საფრანგეთის სახელმწიფო შესყიდვების კოდექსში, საუბარია ზოგად წესზე, რომელიც ხელშეკრულების პუნქტებზე მაღლა დგას.

ადმინისტრაციულ ლოგიკასა და სახელშეკრულებო ლოგიკას შორის ბალანსზე მსჯელობის როლის აღიარება ახალი არ არის და ადმინისტრაციული ხელშეკრულებების ზოგად თეორიასთან დაკავშირებული დოქტრინალური ანალიზი ყოველთვის ზრუნავს გაზარდოს სპეციფიკურობის წილის შენარჩუნება. თუმცა, ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართლის ბანალიზების დოგმატური აღიარება, იმის კვლევის გარეშე, შეიძლება თუ არა დაწინაურების ახალი ფორმა იყოს იდენტიფიცირებული, ჩანს საშიში. ფაქტობრივად, სახელშეკრულებო ლოგიკის და კერძო სახელშეკრულებო სამართალთან სიახლოვის წინ წამოწევა ეწერება სახელმწიფო რეგულირების ფართო გავრცელების უფრო ზოგად მოძრაობაში, რომელსაც მივყავართ დისკუსიამდე აქვთ თუ არა ადმინისტრაციულ ორგანოებს გადაწყვეტისა და მოქმედების ლეგიტიმაცია. უკვე 20 წელია, რაც ქრისტინ ბრეშონ-მულენი ანალიზებდა ადმინისტრაციული ორგანოების სახელშეკრულებო თავისუფლების აღიარებას, როგორც „პოლიტიკური ნების“ შედეგს, ვინაიდან „საბაზრო ეკონომიკაში, საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელშეკრულებო თავისუფლება ჩანს აუცილებელი მათი კერძო კონტრაჰენტების სახელშეკრულებო თავისუფლებაში“ (Bréchon-Moulènes, 1998). ეს მსჯელობა შეიძლება გაგრძელდეს და გაფართოვდეს იმის მხედველობაში მიღებით, რომ სახელშეკრულებო ლოგიკის გამტკიცება ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო სამართალში, მაშინაც თუ ის შეზღუდულია, ასევე შედეგია პოლიტიკური ნების, რომლის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების დაყენება მათი კონტრაჰენტების დონეზე.

ამ ევოლუციის ნეიტრალური და იდეალისტური განხილვით კმაყოფილი დოქტრინა მიდრეკილია დაივიწყოს, რომ სამართლის ნორმები არ არიან ნეიტრალური ობიექტები და რომ მისი როლი ასევე არის

განმარტოს რა ღირებულებებს ატარებენ ეს ნორმები. საჯარო სახელშეკრულებო სამართალი არ უნდა იყოს ამაში შეზღუდული. ისტორიულად, არსებობდა პოლიტიკური ნება ადმინისტრაციული სახელშეკრულებო სამართალი გაეხადა საჯარო მომსახურების ლოგიკით განსაზღვრული სამართალი (Plessix, 2011). მას შემდეგ, სახელშეკრულებო ლოგიკის გაძლიერება სხვა ლოგიკის საშუალებას იძლევა, რომელსაც ატყვია ორდოლიბერალიზმის კვალი (Caron, 2017, p. 45), ინტეგრირების და რომელთან დაკავშირებითაც „საჯარო მომსახურებას" უჭირს წინააღმდეგობის გაწევა. ადმინისტრაციული ორგანოები აქ განიხილებიან როგორც ეკონომიკური ცხოვრების კვაზი-ჩვეულებრივი მონაწილეები, როგორც მონაწილეები, რომლებმაც მართებულია გამოიჩინონ სიფრთხილე და რომელთა მოქმედება უნდა იყოს შემოსაზღვრული.

მაშასადამე, ადმინისტრაციული ხელშეკრულების ადმინისტრაციული ბუნების დომინირება მის სახელშეკრულებო ბუნებაზე, საფრთხის შემცველია მაშინაც, თუ ის აგრძელებს პირველობას. ამასთან ერთად, სახელშეკრულებო ლოგიკის განვითარებას ადმინისტრაციული ხელშეკრულებების შესრულების რეჟიმში თან ახლავს სხვა ლოგიკის ინტეგრირება, კონკურენციული წესრიგის, რომლის შედეგები ისევ მეტად მნიშვნელოვანია. თუ პირველი აგრძელებს გზის დათმობას ხელშეკრულების ადმინისტრაციული ბუნებისათვის, მეორე ჩანს უფრო რთული გადასალახავად.

**ბიბლიოგრაფია:**


კიკილაშვილი, გ. (2016). *ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამიჯვნის საპროცესო სამართლებრივი ფუნქცია (შედარებითსამართლებრივი ანალიზი). დისერტაცია.*

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა. (2020 წლის 18. 03). განჩინება საქმეზე Nბს-127.

ქარდავა, ე. (2006). *ადმინისტრაციული ხელშეკრულება ქართულ და გერმანულ სამართალში.* თბილისი: უნივერსალი.

Amilhat, M. (2019)a. Liberté contractuelle, contrats publics et rôle du juge. In E. M. Garcia (dir.), *La portée du contrôle juridictionnel des décisions adoptées par les autorités à composition technique.* Thomson Civitas.

Amilhat, M. (2019)b. *Pour une nouvelle théorie générale des contrats publics.* Mémoire.

Barloy, F. (1995). *Le contrat et la norme juridique en droit public français. Contribution à une théorie de l'unité du concept de contrat, thèse.* Montpellier.

Boulouis, N. (2009). *Regards d'un rapporteur public du côté du droit privé des contrats.* AJDA.

Bréchon-Moulènes, C. (1998). *Liberté contractuelle des personnes publiques.* AJDA.

Brenet, F. (2011). Les contrats administratifs. In P. Gonod, F. Melleray, & P. Yolka, *Traité de droit administratif.* Dalloz.

Caron, M. (2017). Le recodage du droit public français par le néolibéralisme économique: de la théorie à la pratique. In F. Bottini (dir.), *Néolibéralisme et droit public.* Mare et Martin.

Clamour, G. (2006). Esquisse d'une théorie générale des contrats publics. In *Mélanges en l'honneur du professeur Michel Guibal, préc* (Vol. II).

Conseil d'Etat. (2014, octobre 8). Société Grenke Location. N 370644.

Conseil d'Etat. (2016, novembre 9). Société Fosmax. N388806.

Conseil d'Etat. (2017, févr 14). Société de manutention portuaire d'Aquitaine. N405157. Lebon.

Delvolvé, P. (2016). *Les nouvelles dispositions du code civil et le droit administratif.* RFDA.

Gaudemet, Y. (2010). *Pour une nouvelle théorie générale du droit des contrats administratifs: mesurer les difficultés d'une entreprise nécessaire.* RDP .

Hastings-Marchadier , A. (1998). *Les contrats de droit privé des personnes publiques et la liberté contractuelle.* AJDA .

Hoepffner, H., & Klein, J. (2014). *Les adages communs au droit public et au droit privé.* RFDA.

Laferrière, E. (1888). *Traité de la juridiction administrative et des recours contentieux* (Tome 2). Berger-Levrault.

Llorens, F. (1981). *Contrat d'entreprise et marché de travaux publics (contribution à la comparaison entre contrat de droit privé et contrat administratif).* LGDJ.

Llorens, F., & Soler-Couteaux, P. (2017). *Le régime d'ordre public des contrats administratifs.* Contrats-Marchés publ. repère 5.

Péquignot, G. (1945). *Théorie générale du contrat administratif.* Paris: Pédone.

Plessix, B. (2011). La part de la doctrine dans la création du droit des contrats administratifs. *Revue de droit d'Assas.*

Pontier, J. M. (2013). *La liberté contractuelle des personnes publiques.* AJDA.

Ubaud-Bergeron, M. (2017). *Droit des contrats administratifs.* LexisNexis.

***Ivane Balakhashvili***
*Gori State University;*
*East European University*

**THE GENERAL THEORY OF ADMINISTRATIVE CONTRACTS**
**RESUME**

The dominance of the administrative nature of an administrative contract over its contractual nature is threatening even if it continues to take precedence. In addition, the development of contract logic in the mode of execution of administrative contracts is accompanied by the integration of another logic, the competitive order, the results of which are still very important. If the former continues to give way to the administrative nature of the contract, the latter seems to find it more difficult to overcome.

***Keywords:*** Contract, Administrative, Public, Service.

***კლარა ელჩიბეგაშვილი***
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## სიყვარულის ფენომენი ფილოსოფიაში

*საკვანძო სიტყვები:* სიყვარული, „ეროსი“, „ფილია“, „სტორგე“, „აღაპე“, მითოსი, ნეოპლატონიზმი, მორალური ვალდებულება.

**შესავალი**

დიდი ხანია ადამიანები ეკითხებიან ერთმანეთს - როგორ წარმოიშვა სიყვარული? გადმოიღო თუ არა ეს ურთიერთობა ადამიანმა ცხოველთა სამყაროსაგან? მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სიყვარული წარმოიშვა გაცილებით გვიან, ვიდრე სიძულვილი, მეცნიერთა განსხვავებულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ქვის ხანის ადამიანებმა, რომლებიც ჯოგებად ცხოვრობდნენ, არაფერი იცოდნენ სიყვარულის შესახებ. ამ მოსაზრებას ბევრი ფილოსოფოსი ეთანხმება და თვლის, რომ ეს იყო უბრალო ადამიანური ლტოლვა. ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს ნაკლებად აინტერესებდათ შეკითხვა - რა არის სიყვარული? მასში ვერ ხედავდნენ ვერანაირ საიდუმლოს, თვლიდნენ, რომ ის არსებობს როგორც კოსმოსი, ღმერთი, ადამიანი, მცენარე, ჩიტები, ცხოველები და ბევრი რამ დედამიწაზე. სიყვარულის შესახებ თავიანთ შეხედულებებს აყალიბებდნენ მითოსში. სიყვარულის ბუნება ისევე რთულია, როგორც თვით ადამიანის ბუნება, მასში გაერთიანებულია ბედნიერების, დარდის, სულიერების და ფიზიკური სიახლოვის კომპონენტები. ბოლო ათწლეულებში არცერთი გამოჩენილი მეცნიერის მცდელობა არ შეინიშნება გრძნობების სისტემატიზაციის შესწავლის კუთხით, მაშინ, როდესაც ჩვენი სულიერი სამყარო უფრო რთულდება, ხოლო ემოციური განცდები მეტად მძაფრი ხდება.

**მეთოდოლოგია:** კვლევის დროს გამოვიყენეთ ზოგადმეცნიერული მეთოდები: ანალიზი და სინთეზი, დაკვირვება, შედარება, ჰიპოთეზა და ანალოგია.

სიყვარულის ბუნება ისევე რთულია, როგორც თვით ადამიანის ბუნება, მასში გაერთიანებულია ბედნიერების, დარდის, სულიერების და ფიზიკური სიახლოვის კომპონენტები. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი ევრიპიდე ამბობდა, რომ სიყვარული ესაა ყველაფერი, რაც გვაქვს და მხოლოდ სიყვარულით შეგვიძლია ერთმანეთს დავეხმაროთ. დიდი ხანია ადამიანები ეკითხებიან ერთმანეთს - როგორ წარმოიშვა სიყვარული? გადმოიღო თუ არა ეს ურთიერთობა ადამიანმა ცხოველთა სამყაროსაგან?

მეცნიერთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ სიყვარული წარმოიშვა გაცილებით გვიან, ვიდრე სიმულვილი, მეცნიერთა განსხვავებულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ქვის ხანის ადამიანებმა, რომლებიც ჯოგებად ცხოვრობდნენ, არაფერი იცოდნენ სიყვარულის შესახებ. ამ მოსაზრებას ბევრი ფილოსოფოსი ეთანხმება და თვლის, რომ ეს იყო უბრალო ადამიანური ლტოლვა. ანტიკური ხანის ფილოსოფოსებს ნაკლებად აინტერესებდათ შეკითხვა - რა არის სიყვარული? მასში ვერ ხედავდნენ ვერანაირ საიდუმლოს, თვლიდნენ, რომ ის არსებობს როგორც კოსმოსი, ღმერთი, ადამიანი, მცენარე, ჩიტები, ცხოველები და ბევრი რამ დედამიწაზე. სიყვარულის შესახებ თავიანთ შეხედულებებს აყალიბებდნენ მითოსში. ძველ საბერძნეთში სიყვარულს უწოდებდნენ „ეროსს“, „ფილიას“, „სტორგეს“, „აღაპეს“ და მათ განმარტებებში განსხვავებული ტიპის ურთიერთობებს მოიაზრებდნენ.

- „ეროსი“ ძველ საბერძნეთში იყო სექსუალური ურთიერთობების ქვეტექსტით ნახმარი სიტყვა. ეს იყო თავდავიწყებამდე მისული სიყვარული. ადამიანები, რომლებიც ასეთი ურთიერთობებით იყვნენ დაკავებულები, მიდიოდნენ სიგიჟემდე, ხშირად თვითმკვლელობამდეც კი;
- სიყვარულის შედარებით მშვიდი ფორმაა „ფილია“, იგი არა მხოლოდ ქალისა და მამაკაცის სიყვარულს, არამედ დიდ მეგობრობასაც გულისხმობს, მშობლების, დედმამიშვილების, მშობლიური ქალაქის, საყვარელი მაღლის სიყვარულსაც გულისხმობს. იგი იხმარებოდა ღმერთის სიყვარულის გამოსახატავად;
- „აღაპე“ შედარებით სათუთი სიყვარულია ვიდრე „ფილია“, ასეთი კეთილშობილი სიყვარული დაედო საფუძვლად ქრისტიანობას, ესაა ძმური სიყვარული, კაცთმოყვარეობა, ერთგულება და თანადგომა;
- „სტორგე“ გამოხატავს ისეთ ურთიერთდამოკიდებულებას, როგორიც აქვთ ოჯახის წევრებს ერთმანეთის მიმართ, როდესაც მათ ვერ წარმოუდგენიათ ცხოვრება ერთმანეთის გარეშე.

ძველბერძნულ ფილოსოფიაში სიყვარულის გააზრების მცდელობას ადგილი აქვს პლატონის „ნადიმში“, სადაც საუბარია ანდროგინების მითის შესახებ, როდესაც უხსოვარ დროში ადამიანები იყვნენ სამი სქესის, მდედრობითი, მამრობითი და საშუალო, რომელიც აერთიანებდა ორივე სქესის ნიშნებს. ასეთ ადამიანებს ქონდათ ოთხი ხელი, ოთხი ფეხი, ოთხი ყური, ორი სახე, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით იყურებოდა და ა.შ. ასეთი ადამიანები გამოირჩეოდნენ დიდი ძალით და მოინდომეს ღმერთებთან ბრძოლა. ღმერთებმა ბევრი იფიქრეს და მიიღეს გადაწყვეტილება კი არ დაეხოცათ ისინი, არამედ შუაზე გაეჭრათ, ამით რაოდენობრივად გამრავლდებოდნენ, ხოლო ძალა შეუმცირდებოდათ. ასეც მოიქცნენ და ყოველი გაჭრილი ნაწილი ეძებდა თავის მეორე ნახევარს ისევ გაერთიანებისათვის. ძებნის პროცესში ბევრი იღუპებოდა. პლატონი ამბობს, რომ თითოეული ჩვენთაგანი სწორედ ის განაჭერი ვართ, რომელიც მთელი ცხოვრება თავის მეორე ნახევარს ეძებს, ეს რთული პროცესია, ამიტომ ადამიანები დროებით ოდნავ მსგავს გაერთიანებებშიც კი ნახულობენ შვებას. თუ მამაკაცი ან ქალი თავის ანდროგინურ წყვილს შეხვდება, მათ შორის წარმოიშობა გრძნობა, რომელსაც ვუწოდებთ სიყვარულს.

ძველი სამყაროს ფილოსოფიაში შეინიშნება სამყაროს შემეცნების მითოლოგიური გავლენა, ადამიანი გაიაზრება, როგორც კოსმოსის ნაწილი, ანუ პიროვნება არ არსებობს, ის გათქვეფილია სამყაროში, ამიტომ ქალსა და მამაკაცს შორის სიყვარული არ მიიჩნევა ღრმა გრძნობად, დიდ განცდად. სიყვარული გააზრებულია, როგორც სამყაროს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსის შერწყმა ჰარმონიის მისაღწევად. (თომაძე, 2019, გვ. 132-133)

შუა საუკუნეებში შეინიშნება მნიშვნელოვანი ცვლილებები ძირეულ ცხოვრებისეულ შეხედულებებზე, რაც დაკავშირებულია ქრისტიანობის გავრცელებასთან, რომელიც, როგორც მსოფლიო რელიგია, აღმოჩნდა პრინციპულად ახალი ეთიკის მატარებელი, მან განსხვავებული ადგილი მიუჩინა ადამიანს სამყაროში. ახალ აღთქმაში სიყვარული გაიაზრება ფართოდ და მისი ყველა ასპექტი უკავშირდება ღმერთის ფენომენს.

აღორძინების ხანის ეპოქამ დააბრუნა ანტიკური შეხედულებები სიყვარულის შესახებ. გვიანი აღორძინების ხანის უდიდესმა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ფრენსის ბეკონმა (XVI ს.) (კილასონია, 2008, გვ. 12) ქრისტიანული სიყვარულის საპირისპიროდ ყურადღება გაამახვილა „მიწიერ“ სიყვარულზე. მისი აზრით ქრისტიანული სიყვარული ადამიანში უკეთ აყალიბებს სიკეთის ნორმებს, ვიდრე ამას ეთიკის რომელიმე მასწავლებელი გააკეთებდა, ასეთი სიყვარული ამშვიდებს სულს, მაგრამ არსებობს „მიწიერი სიყვარულიც“, რომელსაც არც აქებს და არც განიკითხავს, მაგრამ ის არსებობს. ასეთი სიყვარული წარმოშობს დიდ ლტოლვას, სწორედ ასეთ სიყვარულში ადამიანი პოულობს საკუთარ თავს, ასეთი სიყვარულის გარეშე ცხოვრება უბრალო და მოსაწყენია. მეორე მხრივ ის ამბობს, რომ სიყვარული კარგია სცენაზე კომედიის ან ტრაგედიის სახით, რეალურ ცხოვრებაში კი ბევრი უბედურება მოაქვს, ხელს გვიშლის მოვლენები რეალურად შევაფასოთ. ბეკონი არაა „მიწიერი“ სიყვარულის წინააღმდეგი, იგი მისი გიჟური, უსაზღვრო გამოხატულების წინააღმდეგია.

ფრანგი ფილოსოფოსი რენე დეკარტი (XVI ს.) ნაშრომში „სულის განცდები" ამტკიცებს, რომ სიყვარული სულიერი განცდაა, რომელიც მიისწრაფვის უახლოესთან შერწყმისაკენ. იგი ცდილობს მოახდინოს ნამდვილი, რაციონალური ობიექტურობის დემონსტრირება. (ჩიხლაძე & ზერუაშვილი, 2011, გვ. 230–234) დეკარტის აზრით:

- პირველი, ესაა იმის სიყვარული, ვისაც ვუყვარვართ, ამან შეიძლება თვითშეწირვამდეც მიგვიყვანოს, ამის ნათელი მაგალითია მშობლების სიყვარული შვილებისადმი;
- მეორე, ესაა საყვარელი ქალის ან მამაკაცის სიყვარული;
- რაც შეეხება მესამეს, ეს მკაცრად რომ ვთქვათ არაა სიყვარული, არამედ დიდი ლტოლვაა იმის დაუფლებისა, რაც ჩვენში სიამოვნებას იწვევს, თუნდაც საგნების. (ხალვაში, 2012, გვ. 152-167)

აღორძინების ხანის ფილოსოფოსები სიყვარულს განიხილავენ ნეოპლატონიზმის მიდგომებით, წარმოადგენენ სიყვარულის ვერტიკალურ იერარქიას, მათ შორისაა ტოლის ტოლთან სიყვარული, დაბლა მდგომის უმაღლესისადმი სიყვარული და პირიქით. ფრანგი ფილოსოფოსის ეტიენ ბონო დე კონდილიაკის, ინგლისელი ფილოსოფოსის თომას ჰობსის (ბურჯალიანი, კალანდია, & კუტუბიძე, 2016, გვ. 102-111) და ჯონ ლოკის ნაშრომების მიხედვით სიყვარული სასურველისაკენ ძლიერი ლტოლვაა და ეს სასურველი, უპირველეს ყოვლისა, მატერიალური სამყაროა. (Бочоришвили, 1958, стр. 16)

უდიდესი გერმანელი ფილოსოფოსი იმანუელ კანტი გამოყოფს ღმერთთან მიახლოებულ სიყვარულს და სექსუალურ სიახლოვეს, მისი ფილოსოფიით სიყვარული მორალური ვალდებულების სინონიმია. (თევზაძე, 1974, გვ. 343-348)

უდიდეს გერმანელ ფილოსოფოსთან, ჰეგელთან სიყვარული იღებს აბსოლუტური სულის, შემოქმედი იდეის სტატუსს, რომელის რეალიზაციისათვის აუცილებელია ფილოსოფიური ცოდნა. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ კანტი და ჰეგელი, მორალისა და პიროვნულობის სფეროში ახდენენ სიყვარულის ანტიკური მახასიათებლების ექსტრაპოლარიზაციას. კანტის კატეგორიული იმპერატივი ემყარება არისტოტელესა და პლატონის მიერ ჩამოყალიბებულ სიყვარულის ახსნას. (ბუაჩიძე, 1976, გვ. 92-112)

ლუდვიგ ფოიერბახთან სიყვარული თამაშობს იმ ძალის როლს, რომელიც აერთიანებს და აქცევს ქალსა და მამაკაცს სრულყოფილ ადამიანებად. (ზარანდია, 1958, გვ. 92-97)

გერმანელი ფილოსოფოსის, ფსიქოლოგის, ერიხ ფრომის აზრით სიყვარული ესაა მოთხოვნილება გაერთიანებისაკენ, არსებობს მხოლოდ ერთი ლტოლვა, რომელიც სრულიად აკმაყოფილებს ადამიანის მოთხოვნებს, ესაა სამყაროსთან გაერთიანება და იმავდროულად მთლიანობის, ინდივიდუალურობის განცდა. სწორედ ეს განცდა დგას ადამიანის ინტიმური ურთიერთობების უკან. ადამიანი მიილტვის სიახლისაკენ, უცნობისაკენ, ცდილობს დაიცვას თავისი ინდივიდუალიზმი, თავისი უნიკალურობა და დამოუკიდებლობა, ამ დროს ის სულიერად იზრდება და ამას ახდენს სიყვარულის დემონსტრირებით. (Фромм, 1992, стр. 80-87) თუ მოვახდენთ ბოლო ათწლეულებში სიყვარულის ფილოსოფიური კონცეფციების ანალიზს, დავინახავთ, რომ სიყვარულის გრძნობითი განცდები დაყვანილია სექსუალურ ინსტიქტებამდე, მთელი მისი ეგზისტენციალური თავისებურებებით, რაც ახდენს სულიერი განცდების იგნორირებას.

XX საუკუნის მოაზროვნეები მიიჩნევენ, რომ სექსი სიყვარულის ექსპრესიაა, მაგრამ არსებობს სიყვარულის სხვა გამოხატულებები. თუ ეროტიკულ ურთიერთობებში სიყვარული არაა მეორე ადამიანის მიმართ და ის ნაკარნახევია მხოლოდ გაერთიანების სურვილით, მაშინ ეს მხოლოდ სექსუალური ვნებაა, ეს არაა სიყვარული. ერიხ ფრომი ამბოს, რომ სექსუალური აქტის დროს ის ერწყმის სამყაროს და იმავდროულად დამოუკიდებელიც რჩება, არ კარგავს ინდივიდუალიზმს. სიყვარულის ასეთი აღქმა ფრომთან თითქოს პარადოქსულ სიტუაციას ქმნის, როდესაც ორი ადამიანი ხდება ერთი და იმავდროულად დამოუკიდებელიც.

სიყვარულის ეგზისტენციალური ახსნის მცდელობა აქვს უდიდეს ფრანგ ფილოსოფოსს ჟან-პოლ სარტრს. ის ამბობს, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს საკუთარი ყოფიერების სხვისი თვალით დანახვა, უნდა გვქონდეს სურვილი ავირჩიოთ ჩვენში ის კონკრეტული სხვა, როგორც აბსოლუტური რეალობა. სარტრის აზრით სიყვარულის იდეალი, მისი მამოძრავებელი პრინციპი, მიზანი და შინაარსია მოქმედება სხვის თავისუფლებაზე, არსებობა სხვისთვის. ხდება რა სარტრის სიყვარული თავისუფლების აბსოლუტური ზღვარი, ხდება ყველა ღირებულების აბსოლუტური წყარო. რამდენადაც სიყვარულის ობიექტი, ჩვენი არჩევანით, არის ჩვენი არსებობის საფუძველი, თავისი არსებობით ის ასაბუთებს ჩვენს ობიექტურობას, ჩვენი არსებობის ფაქტს. (სანაია, 2000, გვ. 63-67)

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ფილოსოფოსები და მწერლები გაცილებით მეტ დროს უთმობენ ისტორიებს სიყვარულზე და არა თვით სიყვარულის ფენომენის შესწავლას. თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ტრანსცენდენტური ესპანელი ფილოსოფოსი, პუბლიცისტი და სოციოლოგი ხოსე ორტეგა და გასეტი წერს - თუ ძველმა საზერძნეთმა ჩამოაყალიბა უდიდესი თეორიები სიყვარულის

შესახებ, ბოლო ორი საუკუნე ამას მოკლებულია. ანტიკურმა სამყარომ ყველაფერს პლატონის მოძღვრებები ამჯობინა, ელინისტური პერიოდის ფილოსოფოსებმა სტოიციზმი, შუა საუკუნეებმა აღიარა თომა აქვინელის და არაბი მოაზროვნეების შეხედულებები. XVIII საუკუნე გულმოდგინედ სწავლობდა დეკარტისა და სპინოზას სულიერი დარღვევების თეორიებს, ბოლო ათწლეულებში არცერთი გამოჩენილი მეცნიერის მცდელობა არ შეინიშნება გრძნობების სისტემატიზაციის შესწავლის კუთხით, მაშინ, როდესაც ჩვენი სულიერი სამყარო უფრო რთულდება, ხოლო ემოციური განცდები მეტად მძაფრი ხდება.

სიყვარული, როგორც უმაღლესი ადამიანური გრძნობა ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. უდიდესი მხატვარი ვან გოგი ამბობდა - მე ვარ ადამიანი, ადამიანი განცდებით, მე არ შემიძლია სიყვარულის გარეშე, სიყვარულის გარეშე მე გავიყინები და გავხდები ქვა. ჩვენ ნიჰილისტურ, ცინიკურ საუკუნეში დიდების კვარცხლბეკზე სექსი ავიდა, რომელსაც „სექსუალური რევოლუციის“, „თავისუფალი სიყვარულის“ თეორიები ემსახურება და უმძლავრესი „სექსუალური ინდუსტრია“ უმაგრებს მხარს. თანამედროვე განვითარებული საზოგადოება კი, რომელმაც შეიქმნა ზღაპრული კომფორტი თითქმის ყველა სფეროში, ნამდვილი სიყვარულის დეფიციტს განიცდის.

**ბიბლიოგრაფია:**


ბუაჩიძე, თ. (1976). *ჰეგელი და ფილოსოფიის არსების პრობლემა.* თბილისი: მეცნიერება.

ბურჯალიანი, ა., კალანდია, ი., & კუტუზიძე, ი. (2016). განწყობა და ადამიანის თავისუფალი ქცევის ფსიქოლოგია. *საისტორიო ვერტიკალები* (35-36).

ზარანდია, მ. (1958). *ლ. ფოიერბახი მოთხოვნილების ბუნების შესახებ.* თბილისი.

თევზაძე, გ. (1974). *იმანუელ კანტი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თომაძე, თ.-ბ. (2019). *პლატონი.* თბილისი: პალიტრა L.

კილასონია, ს. (2008 წლის 30 მაისი). ფრენსის ბეკონი - ადამიანი ილუზიების გარეშე : XX საუკუნის ყველაზე რეალისტური პორტრეტის ავტორი. *24 საათი* (119 (1863)).

სანაია, მ. (2000). ჟან-პოლ სარტრი ემოციათა შესახებ. *სოხუმის ინსტიტუტის შრომები.* 5.

ჩიხლაძე, ც., & ბერუაშვილი, ნ. (2011). რენე დეკარტი – „ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. *გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი. სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული* (1).

ჩუხუა, მ. (2011). *ჯონ ლოკი ფიქრები აღზრდაზე.* თბილისი: მერიდიანი.

ხალვაში, მ. (2012). არსებობა ტანჯვაა თუ ბედნიერება? *ფილოსოფიური ძიებანი*(XVI).

Бочоришвили, Г. А. (1958). *Психологическая концепция Э. Б. де Кондильяка. Автореферат.* Тбилиси: ТГУ.

Фромм, Э. (1992). *Душа человека.* (П. С. Гуревич, Ред.) Москва: Республика.



***Klara Elchibegashvili***

*Gori State University*


**THE PHENOMENON OF LOVE IN PHILOSOPHY**

**RESUME**


The ancient world preferred the teachings of Plato to everything else, the philosophers of the Hellenistic period, Stoicism, the Middle Ages recognized the views of Thomas Aquinas and Arab thinkers. The eighteenth century diligently studied the theories of spiritual disorders by Descartes and Spinoza, and in recent decades no eminent scientist has tried to study the systematization of feelings, as our spiritual world becomes more complex and emotional sensations more intense. Twentieth century thinkers believe that sex is an expression of love, but there are other expressions of love as well. If in an erotic relationship there is no love for another person and it is dictated only by the desire to unite, then this is just a sexual passion, not love. Love as the highest human feeling is an integral part of our life. In our nihilistic, cynical age, sex has risen to the brink of glory, served by theories of "sexual revolution", "free love" and supported by the powerful "sex industry." Even a modern developed society, which has created incredible comfort in almost all areas, suffers from a lack of true love.



***Keywords:*** Love, “Eros”, “Philia”, “Storge”, “Agape”, Mythos, Neoplatonism, Moral duty.

*ანა იმნაძე*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# კომუნიკაციის სოციალური ასპექტები

*საკვანძო სიტყვები:* სოციალური კომუნიკაცია, კომუნიკანტი, კომუნიკატორი, სოციალური ურთიერთობების სისტემა.

## 1. სოციალური კომუნიკაციის განმარტება

დღეს თითქმის ყველაფერს შეიძლება ეწოდოს კომუნიკაცია. ამიტომ ჩნდება კითხვა: ეს კონცეფცია სხვა რამეს ნიშნავს? როგორც ზოგადი მეტაფორა, ის ფართოდ გამოიყენება ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, პირველ რიგში სოციალურ მეცნიერებებში, ასევე შექმნილი „კულტურული წარმოების" თანამედროვე ინტელექტუალური სფეროს წარმომადგენლების მიერ განსხვავებული იდეები სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ.

როგორც ვიცით „კომუნიკაციის" ცნებას (ლათინური communicatio - გაგზავნა, გადაცემა) აქვს მრავალი განმარტება და გამოიყენება სხვადასხვა მეცნიერებაში. პირველად ტერმინი „კომუნიკაცია" სამეცნიერო მიმოქცევაში გამოჩნდა XIX საუკუნის ბოლოს - XX საუკუნის დასაწყისში. თავდაპირველად კომუნიკაციის პროცესი განიხილებოდა ექსკლუზიურად, როგორც ადამიანური კომუნიკაციის პროცესი. მაგალითად, ვლადიმირ დალმა თავის ლექსიკონში მოგვცა „კომუნიკაციის" ასეთი განმარტება: „კომუნიკაცია" არის შეტყობინება, გზები, ადგილების კომუნიკაციის საშუალებები".

ბოლო დრომდე, კომუნიკაციის სფეროში, კაცობრიობა პრიორიტეტულად დგას მასობრივი წიგნიერების და დაგროვების, არსებული ცოდნისა და ინფორმაციის ათვისების ამოცანების წინაშე. ინფორმატიზაციისა და გლობალიზაციის თანამედროვე პროცესებმა წინა პლანზე წამოწია ახალი სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებზეც მეცნიერები და მოაზროვნეები მხოლოდ საუკუნეების განმავლობაში იოცნებებდნენ.

თანამედროვე ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემების მოსვლასთან ერთად, კიბერნეტიკისა და კომუნიკაციის მათემატიკური თეორიის განვითარებით, ცნება „კომუნიკაცია" ფართოდ გავრცელდა მეცნიერების სხვადასხვა დარგში: ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება, სემიოტიკა, სოციოლოგია და ა.შ. 1960-იანი წლების დასაწყისში მხოლოდ უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში იყო კომუნიკაციის ასამდე განმარტება. ტერმინი შეიძლება განვმარტოთ შემდეგნაირად: „კომუნიკაცია" - სუბიექტის ინფორმაციული კავშირი ობიექტთან - პიროვნებასთან, ცხოველთან, მანქანასთან (მ. კაგანი). „კომუნიკაცია" არის ინფორმაციის გაგზავნა ერთი ადამიანის ტვინიდან მეორე ადამიანის ტვინში (პ. სმიტი, კ. ბარი) „კომუნიკაცია" (ბიოლოგიაში) არის სიგნალების გადაცემა ორგანიზმებს ან იმავე ორგანიზმის ნაწილებს შორის. კომუნიკაციის პროცესში ხდება ინფორმაციის ცვლილება და სუბიექტების ურთიერთადაპტაცია (დ. ლუისი); „კომუნიკაცია" არის „მექანიკა, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ადამიანური ურთიერთობების არსებობა და განვითარება, მათ შორის ყველა გონებრივი სიმბოლო, სივრცეში მათი გადაცემისა და დროში შენარჩუნების საშუალება" (კ. კოელი); კომუნიკაცია არის ინდივიდების სოციალური ასოციაცია ენის ან ნიშნების დახმარებით, ზოგადად მოქმედი წესების დადგენა სხვადასხვა მიზანმიმართული აქტივობებისთვის (კ. ჩერი).

სოციალური კომუნიკაციისთვის კ. კოელისა და კ. ჩერის განმარტებები უფრო შესაფერისია, რადგან პრიორიტეტი ენიჭება ადამიანთა სოციალური ურთიერთქმედების ფორმებს ენისა და სხვა ნიშნების სისტემების გამოყენებით განხორციელებული ინფორმაციის გადაცემასთან, შენახვასთან და გამოყენებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული განმარტებებიდან ირკვევა, რომ კომუნიკაცია ხორციელდება ინდივიდებს, ჯგუფებს, ორგანიზაციებს, კულტურებს შორის სხვადასხვა ნიშანთა სისტემების (ენების) მეშვეობით. კომუნიკაციის რამდენიმე სახეობა არსებობს, ამიტომ ტერმინს „კომუნიკაცია", გარდა ზოგადისა, უნივერსალურისა, აქვს დამატებითი და განმსაზღვრელი მნიშვნელობები, იმისდა მიხედვით, თუ რა მნიშვნელობა აქვს მასში მოცემული კონკრეტული სამეცნიერო მიდგომის ფარგლებში.

„სოციალური კომუნიკაციის" განმარტების რამდენიმე ინტერპრეტაციის გაცნობის შემდეგ, ჩვენ ავირჩიეთ ყველაზე ტევადი და მარტივი განმარტება. „სოციალური კომუნიკაცია არის სოციალური კონტაქტების მთელი მრავალფეროვნება, რომელიც თან ახლავს ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში". ჩვენ ვგულისხმობთ მათ, უპირველეს ყოვლისა, კომუნიკაციას, ინტერპერსონალურ ურთიერთობებს და ურთიერთქმედებებს, სოციალური კომუნიკაცია ნიშნავს ადამიანების, ჯგუფების,

ხალხების, სახელმწიფოების ურთიერთქმედების აუცილებელ ელემენტს, რომლის დროსაც ხდება ინფორმაციის, გრძნობების, შეფასებების, მნიშვნელობების გადაცემა და ურთიერთგადაცემა. მნიშვნელობები, ღირებულებები და ა.შ.

სოციალური კომუნიკაციის ობიექტი არის თავად კომუნიკაცია, რომელიც წარმოდგენილია მისი სახესხვაობებით; საგანი - სოციალური ფაქტორებით განსაზღვრული ურთიერთქმედების სპეციფიკა; სუბიექტად არის ინდივიდები, ინდივიდთა ჯგუფები, მართვის სისტემები და ორგანიზაციები მთლიანად.

კომუნიკაციის მონაწილედ მოქმედებს ორი სუბიექტი (ინდივიდი, ადამიანთა ჯგუფი), უნდა იყოს ობიექტი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს მატერიალური ფორმა ან არ ჰქონდეს. მაგალითად, კომუნიკაბელურს შეუძლია ქვეცნობიერად გავლენა მოახდინოს მიმღებზე (შთააგონოს მას ნდობა, თანაგრძნობა, სიყვარული, ზიზღი და ა.შ.).

კომუნიკაციას ახასიათებს მიზანშეწონილობა, ის შეიძლება გამოიხატოს სამი ფორმით:

1. მატერიალური ობიექტის მოძრაობა გეომეტრიულ სივრცეში, ერთი წერტილიდან მეორეში;
2. სუბიექტების ურთიერთქმედება მნიშვნელობების ერთმანეთთან კომუნიკაციისას, რომლებსაც აქვთ იდეალური ბუნება. (მნიშვნელობის მატარებელია ნიშნები, სიმბოლოები, ტექსტები, რომლებსაც აქვთ გარეგანი, გრძნობით აღქმული ფორმა და შინაგანი, სპეკულაციურად გააზრებული შინაარსი);
3. კომუნიკაციის ელემენტარული სქემა (კომუნიკატორი - შეტყობინება - მიმღები) შესაფერისია გენეტიკური კომუნიკაციისთვის (ბავშვები - მშობლები, გადაცემული ობიექტი ამ შემთხვევაში გენეტიკური ინფორმაცია იქნება). კომუნიკაციის მიზანია ბიოლოგიური ნიმუშის გადაცემა თაობიდან თაობაში.

სოციალური კომუნიკაციის განმასხვავებელი ნიშნებია ის, რომ კომუნიკატორს (საკომუნიკაციო აქტის მონაწილე, ინფორმაციის გაგზავნა) და მიმღებს (საკომუნიკაციო აქტის მონაწილე, ინფორმაციის მიღება) შორის ურთიერთქმედების ობიექტი არის შინაარსიანი მესიჯი. და ასევე ის ფაქტი, რომ ეს ურთიერთქმედება ხდება არა მენტალურ სივრცეში, არამედ სოციალურ გარემოში. უნდა ითქვას, რომ გზავნილს, როგორც წესი, აქვს გრძნობად აღქმული ფორმა, მაგრამ შეიძლება არ ჰქონდეს.

სოციალური კომუნიკაციის ცნება მეცნიერთაშორისია. მის განვითარებაში ჩართულია რამდენიმე მეცნიერება (ფსიქოლოგია, ლოგიკა, ლინგვისტიკა, სოციოლოგია, ფილოსოფია და სხვ.). ფსიქოლოგების, სოციოლოგების, ფილოსოფოსების და ჰუმანიტარული მეცნიერებების სხვა წარმომადგენლების ყურადღება სოციალური კომუნიკაციების სხვადასხვა ასპექტზე დაკავშირებულია ადამიანის ცხოვრების სფეროების მრავალფეროვნების გაგებასთან. ეს ტენდენციები ვლინდება, უპირველეს ყოვლისა, სხვადასხვა სიტუაციებში სოციალური ქცევის მახასიათებლების შესწავლის სურვილში, იქნება ეს ინტიმურ-პიროვნული, ინტერპერსონალური თუ ჯგუფთაშორისი ურთიერთობები, რომლებიც თან ახლავს ადამიანის მთელი ცხოვრების მსვლელობას და აკმაყოფილებს მის სხვადასხვა სოციოგენურ მოთხოვნილებებს.

სოციალური კომუნიკაცია არის მნიშვნელობების მოძრაობა სოციალურ დროსა და სივრცეში. კომუნიკაცია არის ორი სუბიექტის შუამავლობითი და მიზანშეწონილი ურთიერთქმედება. კომუნიკაბელურიდან მიმღებამდე მოძრავი მნიშვნელობებია ცოდნა, უნარები, სტიმული, ემოციები. სოციალური სივრცე არის სოციალური ურთიერთობების სისტემა ადამიანებს შორის. სოციალური დრო არის სოციალური ცხოვრების მიმდინარეობა, რომელსაც ადამიანები ინტუიციურად გრძნობენ, რაც დამოკიდებულია სოციალური ცვლილებების ინტენსივობაზე.

სოციალურ კომუნიკაციას ჩვეულებრივ აქვს მატერიალური, სენსუალურად აღქმული ფორმა და სულიერი, გონებრივად გააზრებული შინაარსი.

### 2. სოციალური კომუნიკაციების სახეები

კომუნიკაციების სახეები, ზოგადი გაგებით, სხვადასხვა ადამიანებს შორის ურთიერთქმედების პროცესების ფორმებია; ეს არის მრავალმხრივი გაცვლის პროცესი ინდივიდებს, სხვადასხვა ინტერესების, იდეების, ინფორმაციის მქონე ადამიანების ჯგუფებს შორის.

კომუნიკაციური მოქმედება არის სემანტიკური ურთიერთქმედების დასრულებული ოპერაცია, რომელიც ხდება კომუნიკაციის სფეროების შეცვლის გარეშე. „საკომუნიკაციო აქტივობა მოიცავს არა ერთ, არამედ ორ სოციალურ სუბიექტს, განსხვავებით შრომითი და შემეცნებითი აქტივობისა, რომელსაც ერთი შემსრულებელი ჰყავს. აქედან გამომდინარეობს, რომ საკომუნიკაციო აქტივობა არის სოციალური მიმართება, რომლის პოლუსებია თანამშრომლობა და კონფლიქტი“ .

კომუნიკაციის მონაწილეთა რაოდენობა შეიძლება განსხვავდებოდეს. ამის მიხედვით შეიძლება გამოიყოს კომუნიკაციის რამდენიმე ტიპი: მიკროკომუნიკაცია, შუაკომუნიკაცია და მაკროკომუნიკაცია.

მიკროკომუნიკაცია არის კომუნიკაცია, სადაც ინდივიდი მოქმედებს როგორც აქტიური მიმღები ან აქტიური კომუნიკატორი; როგორც კომუნიკაციის პარტნიორები, შეიძლება იმოქმედოს ან სხვა ინდივიდმა, ან სოციალურმა ჯგუფმა, ან მასობრივმა აგრეგატმა. მიკროკომუნიკაციას აქვს 7 ფორმა. კერძოდ:

1) მოდელის კოპირება - არჩეული მისაბაძი მოდელის ქცევის ფორმების, უნარების, გარეგანი ატრიბუტების დაუფლება (ინტერპერსონალურ დონეზე);

2) საუბარი - აზრების, არგუმენტების, წინადადებების გაცვლა თანამოსაუბრეებს შორის (ინტერპერსონალურ დონეზე);

3) ბრძანება - ინსტრუქციები მათი ქვეშევრდომის მიერ შესასრულებლად (ინტერპერსონალურ დონეზე);

4) მინიშნება - სოციალური ჯგუფის იმიტაცია (ჯგუფის დონეზე);

5) გუნდის ლიდერობა - ლიდერობა ჯგუფში (ჯგუფის დონეზე);

6) სოციალიზაცია - ადამიანის მიერ საყოველთაოდ მიღებული ნორმების შემუშავება (მასობრივ დონეზე);

7) ავტორიტარიზმი - მასების დესპოტური კონტროლი (მასების დონეზე).

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ინდივიდის დიალოგი ჯგუფთან ან მასასთან გამორიცხულია, რადგან დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ თანაბარი დონის პარტნიორებს შორის.

მეორე ტიპის სოციალური კომუნიკაცია ეწოდება შუაკომუნიკაციას. შუაკომუნიკაცია არის კომუნიკაცია, სადაც სოციალური ჯგუფები მოქმედებენ როგორც კომუნიკაბელურად და მიმღებად. შუაკომუნიკაციას აქვს ხუთი ფორმა: მოდა, მოლაპარაკება, ჯგუფური იერარქია, გარემოსთან ადაპტაცია, საზოგადოების ლიდერობა.

დავახასიათოთ თითოეული ეს ფორმა.

1) მოდა - იმიტაციაზე დაფუძნებული გადაცემა სოციალურ სივრცეში მატერიალური ფორმების, ქცევის ნიმუშებისა და იდეების, რომლებიც ემოციურად მიმზიდველია სოციალური ჯგუფებისთვის;

2) მოლაპარაკება - საერთო გზა კონფლიქტების მოგვარებისა და სოციალურ ჯგუფებს შორის შეთანხმების მისაღწევად;

3) ჯგუფური იერარქია ყალიბდება დიდ დაწესებულებებში, „მენეჯერები – თანამშრომლები“ სქემის მიხედვით. მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ არმიის ნაწილები, კლასობრივ-კასტური საზოგადოებები. იქ ჯგუფებს შორის კონტაქტები აშკარად რეგულირდება;

4) გარემოსთან ადაპტაცია გადადის კომუნიკაციის პრობლემად უცხოეთში მცხოვრები ეროვნული დიასპორებისათვის, სხვადასხვა აღმსარებლობის წარმომადგენელბისთვის და ა.შ.;

5) საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებენ შემოქმედებითი ჯგუფები, რომლებიც აწარმოებენ მსოფლმხედველობრივ მნიშვნელობებს, რომლებიც განსაზღვრავენ საზოგადოების სულიერ ცხოვრებას. უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლმხედველობრივი მნიშვნელობები არის ცოდნა, რომელიც ხსნის დაკვირვებულ ფენომენებს, ადამიანისა და სამყაროს წარმოშობას, ადამიანის ცხოვრების მნიშვნელობას, იდეალებს, ნორმებს და სოციალური საქმიანობის სტიმულს. სოციალური ჯგუფები, რომლებიც ავითარებენ ამ მნიშვნელობებს და საკომუნიკაციო გზავნილებს, რომლებშიც ისინი აღიბეჭდება, აღმოჩნდებიან საზოგადოების სულიერი ცხოვრების ცენტრში. ეს ცენტრები იცვლება სოციო-კულტურული ევოლუციის პროცესში.

სოციალური კომუნიკაციის შემდეგი ტიპი არის მაკროკომუნიკაცია. მაკროკომუნიკაცია არის კომუნიკაცია, სადაც საზოგადოებები მთლიანობაში ან სახელმწიფო წარმონაქმნები, ცივილიზაციები და ა.შ. მოქმედებენ როგორც ობიექტები. ამ ტიპის კომუნიკაციას აქვს სამი ფორმა:

1. მიღწევების „სესხება“;

2. კულტურათა ურთიერთქმედება;

3. საინფორმაციო აგრესია (შედარებით ახალი ფენომენი, ის მხოლოდ მე-20 საუკუნეში გამოჩნდა).

ზემოაღნიშნულის შეჯამებით, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა სახის სოციალური კომუნიკაცია მიმართულია ურთიერთობის დამყარების, ურთიერთგავლენისა და ინფორმაციის გაცვლისკენ კომუნიკატორებს შორის. კომუნიკაცია არის ინფორმაციის გაცვლა. მონაწილეთა მიზნიდან გამომდინარე, საკომუნიკაციო მოქმედება შეიძლება განხორციელდეს სამი ფორმით: იმიტაცია, კონტროლი, დიალოგი. საკომუნიკაციო აქტივობების იმ ტიპებს, სადაც ცალკეული ადამიანი მოქმედებს როგორც აქტიური, მიზანმიმართული სუბიექტი, ეწოდება მიკროკომუნიკაცია, სადაც მოქმედებს სოციალური ჯგუფი - შუაკომუნიკაცია, სადაც მასობრივი აგრეგატი (მთლიანად საზოგადოებამდე) მოქმედებს - მაკროკომუნიკაცია. იმ ტიპებს, სადაც ცალკეული ადამიანი, ან სოციალური ჯგუფი, ან მასობრივი აგრეგატი მოქმედებს, როგორც გავლენის ობიექტი, ეწოდება, შესაბამისად, ინტერპერსონალური, ჯგუფური და მასობრივი კომუნიკაცია.

სოციალური კომუნიკაციების ტიპებთან დაკავშირებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფუნქციებს, რადგან მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ პიროვნების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, სოციალური გამოცდილების უწყვეტობისა და ერთობლივი საქმიანობის ორგანიზებაში. სოციალური კომუნიკაციების მიზნის იდეა დაკავშირებულია მათ გლობალურ სოციალურ ფუნქციებთან.

კომუნიკაციის მთავარი საგანია ადამიანი, რომელიც თავისი ცხოვრების უზრუნველსაყოფად სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში შედის. ადამიანს არ შეუძლია გათავისუფლდეს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისგან. შეუძლებელია საზოგადოებაში ცხოვრება და თავისუფალი იყო სოციალური კომუნიკაციისგან. ადამიანთა ურთიერთობის სისტემაში შუამავალია კულტურა, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა კომუნიკაციის ბუნებას და ეფექტურობას. მაგრამ ადამიანის საქმიანობის სხვადასხვა სახეობის დროს საჭიროა კომუნიკაციის უფრო სრულყოფილი და ეფექტური ფორმების ძიება, რაც იწვევს სხვადასხვა როლებს და კომუნიკაციის გარკვეული ფორმების დადგენას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სხვადასხვა მიზეზიდან გამომდინარე, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმა იძენს სათანადო დანიშნულებას ადამიანების ცხოვრებაში, ანუ ფუნქციას. კომუნიკაციის ფუნქციური ანალიზი შესაძლებელს ხდის გამოავლინოს ის სოციალური როლი, რომელსაც იგი ასრულებს საზოგადოებაში და ეხმარება უფრო ზუსტად გაიგოს მისი არსი.

**ბიბლიოგრაფია:**


Levi-Strauss, K. (1999). *Primitive thinking.* Terra Book Club.

Rickheit, G., & Strohner, H. (2008). *Handbook of Communication Competence.*

Simonson, P., Peck, J., Craig, R. T., & Jackson, J. (2013). *The Handbook of Communication History.*

Timler, G. R., Olswang, L. B., & Coggins, T. E. (2005). "Do I know what I need to do?" A social communication intervention for children with complex clinical profiles. *Language, Speech, and Hearing Services in the Schools* (36), 73-84.

Шюц, А. (2004). *Избранное.* (В. Г. Николаев, С. В. Ромашко, & Н. М. Смирно, Перев.)



***Ana Imnadze***

*Gori State University*


**SOCIAL ASPECTS OF COMMUNICATION**

**RESUME**


Communication is the exchange of information. The main subject of communication is a person who enters into relationships with other people to ensure his life. A person cannot be freed from relationships with other people. It is impossible to live in society and be free from social communication. All types of social communication are aimed at establishing relationships, mutual influence and information exchange between communicators.

The system of human relations is mediated by culture, which determines the nature and effectiveness of human communication. But during different types of human activity, it is necessary to search for more complete and effective forms of communication, which leads to different roles and establishing certain forms of communication. In other words, depending on different reasons, different forms of communication acquire a proper purpose in people's lives, that is, a function. Functional analysis of communication makes it possible to reveal the social role it plays in society and helps to more accurately understand its essence.

Regarding the types of social communications, special attention should be paid to the functions, because they are of great importance in the formation and development of the personality, continuity of social experience and organization of joint activities. The idea of the purpose of social communications is related to their global social functions.



***Keywords:*** Social communication, Communicant, Communicator, System of social relations.

*ანი კობახიძე*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# რუსეთის ფედერაცია - ამერიკის შეერთებული შტატების მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი (ამერიკა-რუსეთის „გადატვირთვის“ პოლიტიკაზე დაყრდნობით)

*საკვანძო სიტყვები:* ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთის ფედერაცია, „გადატვირთვის“ პოლიტიკა, ჰარვარდის უნივერსიტეტის კვლევა.

2008 წლისთვის პუტინის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვანი ცვლილებებით გამოირჩეოდა. კერძოდ, მან გაიარა ე.წ. კონცენტრირების (2000-2003 წწ), ლიბერალური იმპერიის (2003-2006 წწ) და „სუვერენული დემოკრატიის“ პერიოდები. ი. ტოროშელიძის (2008) მტკიცებით, თითოეული ეტაპი გარკვეული დანიშნულების იყო. პირველი ეტაპის უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა ქვეყნის რესურსებისა და საზოგადოების კონსოლიდაცია ძლიერი მმართველის ირგვლივ; მეორე, დაგროვილი მანდატისა და რესურსების გამოყენებას რუსული ინტერესების საზღვარგარეთ გაძლიერებისათვის, მესამე ეტაპი კი გულისხმობდა, რომ რუსეთი დაუბრუნდა საერთაშორისო სისტემას, როგორც გლობალური მოთამაშე და რომ სამყარო კვლავ ბიპოლარული გახდა. (ტოროშელიძე, 2008)

2008 წლამდე რუსეთის პოლიტიკის ტრანსფორმაციის მესამე საფეხური მხოლოდ თეორიულ სახეს ატარებდა. იგი პრაქტიკულად 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომით განხორციელდა, როდესაც ჯორჯ ბუშმა კავკასიონზე „წითელი ხაზი“ გაავლო და შეეცადა ნატოსა და აშშ-ს ინტერესების დამყარებას ჩრდილოეთ მეზობლის ეროვნული ინტერესების უშუალო ზონაში. რუსეთმა გამოიყენა საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის იმპულსურობა და ქვეყანა ჩაება ომში, რომელშიც გამარჯვების პერსპექტივა საქართველოს არ ჰქონდა.

საქართველოს სამხედრო ინფრასტრუქტურის განადგურებით, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ რესპუბლიკებად აღიარებითა და იქ საკუთარი სამხედრო ბაზების გაძლიერებით, რუსეთმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების გზა ჩაუხერგა; უფრო მეტიც, აშშ-ს დაუმტკიცა, რომ იგი ყველა არსებული ხერხით დაიცავდა საკუთარ ეროვნულ ინტერესებს.

საქართველოში გახორციელებული ბლიცკრიგით, რუსეთმა რეგიონალური მოთამაშის როლი გაამყარა.

პრეზიდენტ ობამას კამპანიის მთავარი სლოგანი იყო „ცვლილება“, რომელიც ორ მიმართულებას მოიცავს:

1. ცვლილება თეთრი სახლის არსებულ პოლიტიკაში;
2. აშშ-ს ურთიერთობების ცვლილება მის პარტნიორებთან მეტი თანამშრომლობის გზით.

ობამამ, უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა დაისახა მიზნად. ეკონომიკის გამოცოცხლება, ერაყიდან და ავღანეთიდან, მთლიანი თუ არა ნაწილობრივი გამოსვლა, ევროპულ მოკავშირეებთან კვლავინდებური დაახლოება და ძველი ნდობის აღდგენა - ეს იყო მისი ადმინისტრაციის უმთავრესი პრიორიტეტები.

სწორედ ამ პრიორიტეტებს ემსახურებოდა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკა. ამერიკას ამოსუნთქვა სჭირდებოდა და საამისოდ სურდა რაიმე გარანტი იმისა, რომ ცივი ომის შემდგომი სტატუს კვოს უპირველესი მტერი - რუსეთი (განსაკუთრებით 2008 წლის რუსეთ -საქართველოს ომის შემდეგ) პრობლემებს არ შეუქმნიდა.

აშშ-ში ახლად მოსული მთავრობა - ობამას ადმინისტრაცია, შეეცადა არსებული შეცდომების გაანალიზებას და რუსეთთან „გადატვირთვის“ პოლიტიკა გამოაცხადა. თუმცა, შესაძლოა, შეცდომების გაანალიზების მიღმა იმპლიციტურად იგულისხმებოდა ის ფაქტიც, რომ ამერიკა რუსეთთან გადატვირთვის პოლიტიკის გამოცხადებით შეეცადა რუსეთის ფედერაციის მოქცევას უნიპოლარული სამყაროს ფარგლებში, სადაც დომინანტი აქტორი და, შესაბამისად, მსოფლიოს ერთადერთი ზესახელმწიფო აშშ იქნებოდა.

როგორც ცნობილმა რუსმა პოლიტოლოგმა, სერგეი მარკედონოვმა (2014) განაცხადა, რუსეთის საგარეო პოლიტიკის მთავარი დანიშნულება იყო საერთაშორისო სისტემაში არსებული თამაშის წესების შეცვლა; ბუნებრივია, ამ ცვლილებას ქვეყნის სტატუსის ცვლილებაც მოჰყვებოდა. აშშ კი ცდილობდა, რომ

რუსეთი მოექცია უნიპოლარული სამყაროს ფარლებში, სადაც ის „შერიფის“ როლს შეასრულებდა. (Маркедонов, 2015)

ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა ბელფერის ცენტრის ექსპერტთა მიერ მომზადებული ანგარიში „რუსეთი და აშშ-ს ეროვნული ინტერესები: რატომ უნდა იზრუნონ ამერიკელებმა?“ გვთავაზობს კვლევას იმის შესახებ, თუ რატომ არის რუსეთი აშშ-სთვის მთავარი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტი და რატომ იყო მნიშვნელოვანი რუსეთთან ურთიერთობების „გადატვირთვა.“

კვლევა ცხადყოფს, რომ რუსეთი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქვეყანაა, რომელსაც შეუძლია უდიდესი გავლენა იქონიოს აშშ-ს ეროვნულ ინტერესებზე და სწორედ ამიტომაც აშშ-სთვის რუსეთი და რუსეთთან ურთიერთობა უპირველეს პრიორიტეტად შეიძლება ჩაითვალოს.

კვლევაში ნათლადაა გამოკვეთილი „გადატვირთვის“ პოლიტიკის მთავარი მიზნები. რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება აუცილებელი იყო შემდეგი მიზეზების გამო:

• ბირთვული არსენალი - პრეზიდენტი ობამა ბირთვულ ტერორიზმს მიიჩნევდა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების მთავარ საფრთხედ. მსოფლიო ბირთვული იარაღის 95% კი სწორედ აშშ-სა და რუსეთზე მოდის. ამასთან, რუსეთი არის ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ამერიკის განადგურება 30 წუთში შეუძლია. შესაბამისად, რუსეთთან თანამშრომლობა და მისი მხარდაჭერა აუცილებელია ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად.

• მასობრივი იარაღის გაუვრცელებლობა - რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს აშშ-ს საერთაშორისო ძალისხმევაში, რომელიც ბირთვული იარაღის გავრცელებას ზღუდავს არა მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოების, არამედ არასახელმწიფო აქტორების მიერ. მოსკოვი, ზოგადად, მხარს უჭერს ამერიკის ინიციატივებს ბირთვული ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და რუსეთის დახმარების გარეშე, ამერიკას უამრავ დამატებით სირთულეებთან მოუწევს ბრძოლა მასობრივი იარაღის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით.

• გეოპოლიტიკა - რუსეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობს დღევანდელ საერთაშორისო სისტემაში. მასთან მჭიდრო თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ძალთა ბალანსს, რასაც დიდი უპირატესობა აქვს ამერიკის შეერთებული შტატებისათვის. ძალთა ბალანსის ხელშეწყობაში ასევე მოიაზრება ჩინეთის, როგორც გლობალური ძალის ჩამოყალიბებაში ხელის შეშლა.

• ავღანეთი - ტერორისტული ძალები, რომლებიც ებრძვიან ამერიკას, მხარს უჭერენ რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ეთნიკურ და ტერორისტულად განწყობილ ჯგუფებს. რუსეთის ფედერაცია დახმარებას უწევდა ამერიკის შეერთებული შტატების ტვირთისა და სამხედროების ტრანსპორტირებას საკუთარი აეროპორტებისა და ბაზების გავლით, რაც კიდევ უფრო მეტად მნიშვნელოვანი გახდა მას შემდეგ, რაც ობამას ადმინისტრაციას ურთიერთობა დაეძაბა პაკისტანთან.

• ენერგეტიკული რესურსები - რუსეთის ფედერაცია მსოფლიოს ერთ-ერთი წამყვანი ენერგო-რესურსების მწარმოებელია. ქვეყანა ფლობს გაზისა და ნავთობის უდიდეს მარაგს. შესაბამისად, რუსეთი უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს გლობალური ეკონომიკის მდგრადობის შენარჩუნებასა და გაფართოებაში, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობს ამერიკის შეერთებული შტატებისა და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ეკონომიკურ ზრდას.

• ფინანსები - რუსეთი არის „დიდი რვიანისა“ და „დიდი ოცეულის“ წევრი, ამიტომაც მას გარანტირებული ადგილი აქვს იმ მაგიდასთან, სადაც მსგავსი ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე ქვეყნები სხდებიან და აწარმოებენ მოლაპარაკებებს.

• სტრატეგიული გეოგრაფია - ტერიტორიულად რუსეთი უდიდესი ქვეყანაა დედამიწაზე, ევროპაში კი მოსახლეობის რაოდენობით პირველ ადგილზეა. იგი მდებარეობს ევროპის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სტრატეგიულ გზაჯვარედინზე და არის ამერიკის მეზობელი არქტიკაში. (Allison, Blackwill, Simes, & Saunders, 2011)

შედეგად, რუსეთი ახლოსაა ე.წ. ცხელ წერტილებთან და კრიტიკულად მნიშვნელოვან სატრანზიტო დერეფანთან.

ზემოთ ხსენებული სფეროების ანალიზი ცხადყოფს, რომ რუსეთის ფედერაციის პოლიტიკური ქმედებები და გადაწყვეტილებები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ინტერესებისათვის და ცოტა მოიძებნება ისეთი ქვეყანა, რომელიც ისეთივე მნიშვნელოვანი იქნება ამერიკისათვის, როგორც რუსეთი. (Allison, Blackwill, Simes, & Saunders, 2011)

**დასკვნა:**

საკონფერენციო ნაშრომში წარმოვადგინე რუსეთის ფედერაციის გავლენა ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკაზე.

როგორც გაირკვა, „გადატვირთვის“ პოლიტიკის ინიციატორის, პრეზიდენტ ობამასა და მისი ადმინისტრაციის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენდა რუსეთის ფედერაციასთან ჩიხში შესული ურთიერთობების ნორმალიზება. სწორედ ამ პრიორიტეტს ემსახურებოდა „გადატვირთვის“ პოლიტიკა.

კონცეპტუალური მიდგომით, ჰარვარდის უნივერსიტეტის მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხთა ბელფერის ცენტრის მიერ მომზადებულ ანგარიშზე დაყრდნობით შევეცადე გამომეკვეთა რუსეთის ფედერაციის უდიდესი მნიშვნელობა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნულ ინტერესებსა და საგარეო პოლიტიკაზე.

**ბიბლიოგრაფია:**


აბესაძე, ა. (2016). *როგორ უნდა გავიაზროთ „რუსული სამყარო“?* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://iberiana2.wordpress.com/russia/a_abesadze/

ანთაძე, გ. (2013). *გლობალური ომის ერთი მოდელის შესახებ.* თბილისი.

ბატიაშვილი, ზ. (2017 წლის 27 ივნისი). სირიის სამოქალაქო ომი რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტში. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://gfsis.org.ge/ge/blog/view/723?fbclid=IwAR1yIRk0m16eJRWSyVMdsk8kTyHzi2al2gTifE974THq_5_PtRFWW8n_OZg

ბრეკი, დ. (2016). *მოსაზრებები რუსეთის ეროვნული უსაფრთხოების ახალ სტრატეგიასთან დაკავშირებით.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://iveria.biz/1525--.html

დარჩაშვილი, მ. (2014). მოქალაქეთა ჩართულობა საქართველოში, როგორც დემოკრატიის დამკვიდრების მნიშვნელოვანი ფაქტორი. *სამოქალაქო განათლება საქართველოში: მიღწევები და პერსპექტივები.* თბილისი: სამოქალაქო განათლების ლექტორთა ასოციაცია.

ვარდიაშვილი, ზ. (2015). *სისხლიანი მოზაიკა IBIS-ის გარშემო.*

ზურაბიშვილი, თ. (2006). *თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში.* თბილისი: სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი.

თუაშვილი, თ. (2017). *აშშ-რუსეთი: იქნება თუ არა გადატვირთვა.*

იმედაშვილი, გ. (2015). *ახლო აღმოსავლეთის უკეთ გასაგებად საჭირო რუკები.* ივერია.

კვესელავა, ი. (2004). *საქართველოს ისტორიის ქრონიკები.* თბილისი.

კვესელავა, ი., გაბისონია, ი., & ჩალაძე, ე. (2018). რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომი და საერთაშორისო სასამართლოები. *საისტორიო ვერტიკალები*(N41).

ნასრაშვილი, ლ. (2010). *ბარაკ ობამას საგარეო პოლიტიკა - „ჭკვიანი ძალა“ თუ იდეალიზმი.*

სენარკლენი, პ., & არიფენი, ი. (2014). *საერთაშორისო პოლიტიკა: თანამედროვე თეორიები და ამოცანები.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

სიხარულიძე, ა. (2014). *რუსეთი 1991-2008.* თბილისი: ინტელექტი.

სიხარულიძე, ა. (2015). *„დიდი სახელმწიფო“- პუტინისა და რუსეთის შეთანხმება.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://regional-dialogue.com/big-state/

ტოროშელიძე, ი. (2008). *პუტინის საგარეო პოლიტიკა.* ბზთკ.

ჩხიკვაძე, ა. (2015). *საქართველო და ახლო აღმოსავლეთის პროცესები.*

ჯენტლესონი, ბ. (2015). *ამერიკის საგარეო პოლიტიკა: არჩევნის დინამიკა 21-ე საუკუნეში.* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Adelman, J. (2015). *Surprise, surprise, Russia is a world power again.* Retrieved from http://www.foxnews.com/opinion/2015/09/28/surprise-surprise-russia-is-world-power-again.html

Ahmad, M. (2016). *Barack Obama's presidency will be defined by his failure to face down Assad.* Retrieved from https://www.theguardian.com/world/2016/dec/17/obama-presidency-defined-failure-face-down-assad-syria

Allison, G., Blackwill, D., Simes, D., & Saunders, P. (2011). *Russia and U.S. National Interests. Why Should Americans Care?* Cambridge MA: Belfer Center for Science and International Affairs. Harvard University. Retrieved from https://www.belfercenter.org/sites/default/files/legacy/files/Russia-and-US-NI_final-web.pdf

Aristova, M. (2013). *US-Russia Relations on Reset: Results and Perspectives.* Retrieved from http://www.rieas.gr/researchareas/2014-07-30-08-58-27/russian-studies/2048-us-russia-relations-of-reset-results-and-perspectives%20

CNN Library. (2019). *Syrian Civil War Fast Facts.* Retrieved from https://edition.cnn.com/2013/08/27/world/meast/syria-civil-war-fast-facts/

Cohen, S. (2011). *Obama's Russia 'Reset': Another Lost Opportunity?* Retrieved from https://www.thenation.com/article/archive/obamas-russia-reset-another-lost-opportunity/

Collier, D. (2011). Understanding Process Tracing. *Political Science and Politics*(4), 823-30.

Council for Foreigm Relations. (2017). *U.S. Foreign Policy Powers: Congress and the President.* Retrieved from https://www.cfr.org/backgrounder/us-foreign-policy-powers-congress-and-president

Dempsey, J. (2015). *Judy Asks: Is Russia back on the World Stage?* Retrieved from http://carnegieeurope.eu/strategiceurope/?fa=61450

Election Results. (2008). *The New York Times.* Retrieved from https://www.nytimes.com/elections/2008/results/president/votes.html

Goldberg, J. (2016). *The Obama Doctrine.* Retrieved from https://www.theatlantic.com/magazine/archive/2016/04/the-obama-doctrine/471525/

Inter-University Consortium for Political and Social Research (ICPSR). (2008). *Campaign Issues and Candidates Positions.* Retrieved from https://www.icpsr.umich.edu/web/instructors/setups2008/campaign-issues.jsp

Joseph, S. N. (2008). *Public Diplomacy and Soft Power.* Retrieved from https://journals.sagepub.com/doi/10.1177/0002716207311699

Kaplan, R. (2013). *Obama's "I'm not George W. Bush" Foreign Policy.* Retrieved from https://www.realclearworld.com/articles/2013/08/15/obamas_not_george_w_bush_foreign_policy.html

Mankoff, J. (2011). *Russian Foreign Policy: The Return on Great Power Politics.* United States: Rowman & Littlefield.

McFaul, M. (2015). *The Myth of Putin's Strategic Genius.* Retrieved from https://www.nytimes.com/2015/10/23/opinion/the-myth-of-putins-strategic-genius.html

National Security Strategy. (2010). *Obama White House Archives.*

Obama Whitehouse. (2009). *Vice President Biden in Central Europe.* Retrieved from https://obamawhitehouse.archives.gov/blog/Vice-President-Biden-in-Central-Europe

Pifer, S. (2014). *US- Russia Relations in the Obama Era: from Reset to Refreeze?.* OSCE Yearbook.

Suslov, D. (2013). *The US- Russia Relations after the "Reset": Pragmatics of a New Confrontation? (Working Papers, Series International Relations WP BRP 04/IR/2013).*

The Guardian. (2010). *Kyrgyzstan: A Russian Revolution?* Retrieved from https://www.theguardian.com/commentisfree/2010/apr/08/kyrgyzstan-vladimir-putin-barack-obama

The White House. (2015). *Remarks by President Obama to the United Nations General Assembly.* Retrieved from https://obamawhitehouse.archives.gov/the-press-office/2015/09/28/remarks-president-obama-united-nations-general-assembly

USNEWS.COM. (2014). *Edwars Snowden's Asylum in Russia Expended.* Retrieved from https://www.usnews.com/news/articles/2014/01/24/edward-snowdens-asylum-in-russia-extended

Walker, M. (2008). The Year of the Insurgents: The 2008 US Presidential Campaign. *International Affairs (Royal Institute of International Affairs 1944-), 84*(6), 1095-1107. Retrieved from https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/j.1468-2346.2008.00759.x

Warren, A. (2014). *The Obama Administration's Nuclear Weapon Strategy.* New York: Routledge.

Маркедонов, С. (2015). *И Путин и его команда – Стихийные Западники.* Получено из http://bogudonia.ru/opinions/sergej_markedonov_i_putin_i_ego_komanda_stihijnye

Нартов, Н. А., & Нартов, В. Н. (2000). *Геополитика.* Москва.

Филиппов, А. (2007). *Новейшая История России 1945-2006.* Москва: Просвещение.

***Ani Kobakhidze***
*Georgian Technical University*

**THE RUSSIAN FEDERATION – THE US MAJOR FOREIGN POLICY PRIORITY (BASED ON THE US-RUSSIAN "RESET" POLICY)**

**RESUME**

In the presented conference, I analyse the reasons which led to the necessity of the "Reset" Policy. I discuss the above-mentioned issue with regard to International Relations. Firstly, I observe and analyse the US-Russian attempt to normalize their relations and then I evaluate the impact of the "Reset" Policy not only on these two countries' foreign policy but at the international level.

***Keywords:*** The USA, The Russian Federation, The "Reset" Policy, Harvard University research.

***გიორგი ლომია***
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

## სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური კონიუნქტურა და დაბალანსების პოლიტიკა

***საკვანძო სიტყვები:*** დაბალანსების პოლიტიკა, სამხრეთ კავკასიის რეგიონი, გეოპოლიტიკური მდებარეობა, საქართველო, თურქეთი, რუსეთი, ეროვნული უსაფრთხოება, აჭარის რეგიონი, ევროპა, ენერგეტიკული ჰაბი, მონოპოლია, სახელმწიფო ინტერესები.

თავისი ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული სამხრეთ კავკასიის რეგიონი ოდითგანვე ატარებდა მაღალ გეოპოლიტიკურ რეიტინგს ევრაზიის საზღვარზე და თითქოს უღელტეხილზე მდებარე ეს რეგიონი საუკუნეების მანძილზე იყო დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა, მსოფლიო რელიგიათა და დაუნდობელ დამპყრობელთა შეჯახება-ბრძოლების ადგილი. თანამედროვე ეტაპზე, ამჟამად ქვეყნებს შორის საერთაშორისო ურთიერთობათა ტრანსფორმაციის პირობებში სამხრეთ–კავკასიის რეგიონი თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან და აგრეთვე კასპიის ზღვის ენერგორესურსების მარაგებიდან გამომდინარე აღმოჩნდა მსოფლიოს ძლიერი ქვეყნების ყურადღების ცენტრში. სამხრეთ-კავკასიის რეგიონის მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეებს შეადგენენ სახელმწიფოები, რომელთა გეოგრაფიული არეალი და საზღვრები ამ რეგიონშია: საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი და ასევე სახელმწიფოები, რომლებიც დაინტერესებული არიან ამ რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარებით: აშშ, ირანი, ევროპის მოწინავე ქვეყნები, ჩინეთი...

თავიდანვე ხაზგასასმელია, რომ ქართველები წარმოშობით წინა აზიის ძველ მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთნებიან, რომლებიც უმაღლესი კულტურულ-საგანმანათლებლო დონით გამოირჩეოდნენ მუდამ. ჩვენი დიდი მეცნიერების მტკიცებით: „უძველეს ხანაში, ამ ხუთი-ექვსი ათასი წლის წინათ, ხეთურ-იბერიული გვარტომობის, ერთმანეთის მონათესავე ხალხებს, ვრცელი მიწა-წყალი ეჭირათ წინა აზიაში და აქედან, დასავლეთისაკენ გავრცელების შედეგად, აგრეთვე აფრიკის ჩრდილოეთ სანაპიროზე და სამხრეთ ევროპაში. ევროპაში ამ გვარტომობის ხალხები წინ უსწრებდნენ შემდეგ მოსულ ინდოევროპელებს, რომელთაც დამხვდური (იბერიული) მოსახლეობისა და მისი განვითარებული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს" (ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, & ჯანაშია, 1943, გვ. 22-23). ქართული ცივილიზაციის შესახებ მსგავს შეხედულებას ჰეგელის შრომებშიც ვხვდებით (ჰეგელი, 1984, გვ. 61-63).

სამწუხაროდ, წინა აზიის იბერიულ-კოლხური მოსახლეობის ყველანაირი სიმდიდრე ძველი დროიდანვე იზიდავდა უცხოელ დამპყრობლებს. როგორც ცნობილია, ქართველი ხალხი ძირითადად სამხრეთ კავკასიის რეგიონის მკვიდრი, ავტოქტონი მოსახლეობაა, რომლის განფენილობასაც გასაოცარი ბუნებრივი საზღვრები აკრავს გარს: ჩრდილოეთიდან კავკასიის თოვლიანი ქედი, სამხრეთიდან ე. წ. მცირე კავკასიონის მთების სისტემა, დასავლეთიდან შავი ანუ პონტოს ზღვა, ხოლო აღმოსავლეთიდან მტკვრის შენაკადებს (ძეგამი და ალაზან-აგრი-ჩაი) მიუყვება საზღვარი. აქედან გამომდინარე, უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისტორიის მანძილზე დღემდე ქართველი ერის ბედი და ხშირად, ჩვენი საბედისწერო ვითარება, განსაკუთრებულმა გეოპოლიტიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. მიუხედავად ამისა, ქართველმა ხალხმა უამრავჯერ თავისზე გაცილებით ძლიერი და მრავალრიცხოვანი გარეშე მტრის მოგერიება და ეროვნული თვითმყოფადობის და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება შეძლო, თუმცა ჟამთა სიავემ და დამპყრობელთა ხშირმა სისხლიანმა შემოსევებმა, იმპერიების ზეაღმატებულმა სამხედრო ძალებმა ჩვენს ისტორიულ საზღვრებს თავისი მძიმე ხელი დაატყო (აბაშიძე, ვაშაკიძე, მირიანაშვილი, & ჭეიშვილი, 2014, გვ. 7-9; ჯავახიშვილი, ბერძენიშვილი, & ჯანაშია, 1943, გვ. 418).

ერთ-ერთი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც სამხრეთ კავკასიის რეგიონში აქტიურ პოლიტიკას აწარმოებს მე-20 საუკუნის ბოლოდან და 21-ე საუკუნის დასაწყისიდან – თურქეთის რესპუბლიკაა, რომლის ბოლო დროის ენერგიულმა სოციალურ-ეკონომიკურმა ცვლილებებმა იგი წარმატებულ ქვეყნად აქცია და მსოფლიოს მეტ-ნაკლებად განვითარებულ ოც სახელმწიფოს შორის ჩააყენა. აქედან მოყოლებული თურქეთს პრეტენზია აქვს სამხრეთ-კავკასიის რეგიონის ლიდერობაზე. ამასთან აღსანიშნავია, რომ თურქეთის საგარეო ვექტორის განსაკუთრებული ყურადღება საქართველოსკენ არის მიმართული. იმ პირობებში, როდესაც ყარაბახის კონფლიქტი ბოლომდე გადაჭრილი არ არის, იზრდება საქართველოს არა მარტო როგორც სატრანზიტო ქვეყნისა და რეგიონალურ ენერგოსატრანსპორტო პროექტების განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მდგენელის როლი, არამედ მას უკავია შუალედური დამაკავშირებელი რგოლი თურქეთსა და აღმოსავლეთის თურქულენოვან სამყაროს შორის. ეს ფაქტი უბიძგებს თურქეთს საქართველოსთან დაიჭიროს უფრო ღრმა ურთიერთობა სხვადასხვა სფეროში და ასევე ეძიოს ახალი გზები, საქართველოზე გავლენის გასაძლიერებლად. თუ რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული ქმედებები ასე თუ ისე ცნობილია ჩვენთვის (შეწყვეტილი დიპლომატიური ურთიერთობა, სავიზო რეჟიმი, მცოცავი ოკუპაცია და სხვ.), თურქეთის, როგორც ჩვენი ე. წ. „პარტნიორი და მეგობარი" სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ნიუანსები შესასწავლია, რამეთუ თურქეთის სახელმწიფოსათვისაც და ჩვენთვისაც ეს ურთიერთობები (სავაჭრო-ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო, კულტურულ-საგანმანათლებლო) დღესდღეობით მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნისათვის.

განსაკუთრებით აქტუალურია ამ ურთიერთობების შესწავლა ე.წ. „სამკუთხედის" კონტექსტში: თურქეთი–საქართველო–რუსეთი (ან აღნიშნულის ნებისმიერი კონფიგურაციის შემთხვევაში), რადგანაც სამხრეთ კავკასიის რეგიონში ამ ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესების და ურთიერთდამოკიდებულების ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებას. რა თქმა უნდა, აქ არ გამოვრიცხავთ რეგიონის სხვა ორ მოთამაშეს: აზერბაიჯანსა და სომხეთს, რომელთა ქმედებებიც ასევე აისახება სამხრეთ კავკასიის რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ სამხრეთ კავკასიის რეგიონის მთავარი მოთამაშეების თურქეთის და რუსეთის ურთიერთმიმართება, მათი საგარეო პოლიტიკის ვექტორები, მათი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ანუ როგორ არის ასახული საქართველოს საკითხი მათ საგარეო პოლიტიკაში, როგორია ის თავისებურებები როგორც რუსეთის, ასევე თურქეთის საგარეო პოლიტიკაში საქართველოსთან მიმართებაში, როგორია საქართველოს საგარეო პოლიტიკა, მისი ორიენტირები როგორც თურქეთთან, ასევე რუსეთთან მიმართებაში. ამისათვის საჭიროა გავეცნოთ ბოლო პერიოდის რუსეთის, თურქეთის და ჩვენი ქვეყნის ოფიციალურ სამთავრობო დოკუმენტებს, რომლებშიც ასახულია და სამთავრობო დონეზე გამოქვეყნებულია ზემოთ ჩამოთვლილი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ვექტორები, პრიორიტეტები, ამოცანები, თავისებურებები თუ საფრთხეები.

საქართველოს როლის სწორი განსაზღვრა თურქეთის და რუსეთის საგარეო პოლიტიკაში, სამხრეთ კავკასიის რეგიონის მოთამაშეთა საგარეო ვექტორების და პრიორიტეტების დადგენა, საშუალებას მისცემს საქართველოს აწარმოოს სასარგებლო დაბალანსებული პოლიტიკა.

გამოვიკვლიე, რომ ასეთ ოფიციალურ დოკუმენტთა კომპლექსს მიეკუთვნება:

1. ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია მიღებული 2005 წელს;

   ბ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, მიღებული 2011 წელს;

   გ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების (უშიშროების) კონცეფცია მიღებული 2015 წელს;

   დ) საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია 2005–2009 წლები (საქართველოს პარლამენტი, 2005).

2. ამ ჯგუფში შედიან რუსეთის სახელმწიფოს ოფიციალური სამთავრობო დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია რუსეთის საგარეო პოლიტიკის მიზნები, ამოცანები და პრიორიტეტები. კერძოდ,

ა) რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონცეფცია, დამტკიცებული რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის მიერ 2016 წლის 30 ნოემბერს (Указ Президента Российской Федерации, 2016);

ბ) რუსეთის ფედერაციის ეროვნული უშიშროების (უსაფრთხოების) სტრატეგია, რომელიც 2015 წლის 31 დეკემბერს დაამტკიცა პრეზიდენტმა ვ. პუტინმა (Указ Президента Российской Федерации, 2015).

3. ამ ჯგუფში შედიან ის ძირითადი სამთავრობო ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც ძირითადად განსაზღვრავენ თურქეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკას. კერძოდ:

ა.) 2013 წელს ანკარაში მიღებული მე-10 ნაციონალური განვითარების გეგმა (2014-2018 წწ.)

ბ.) თურქეთის ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების 2015-2019 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;

გ.) თურქეთის მმართველი პარტიის (სამართლიანობის და განვითარების პარტია) პროგრამა.

4. დოკუმენტების (ანუ დოკუმენტური წყაროების) ამ ჯგუფში შედიან საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის დადებული შეთანხმებები და ხელშეკრულებები, ასევე ჩვენი ქვეყნის და თურქეთის სხვადასხვა სამინისტროების და უწყებების ანგარიშები, რეზოლუციები და სხვ. აღნიშნული დოკუმენტური წყაროები კარგად ასახავენ ამ ქვეყნების მთავრობების პოზიციებს სახელმწიფოთაშორისო, რეგიონალურ და საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით. (საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, 1992)

5. ამ დოკუმენტში გავაერთიანოთ დოკუმენტები, რომლებიც ასახავენ საქართველო–რუსეთის ოფიციალურ ურთიერთობებს, ასევე ურთიერთობებს საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით, როგორც რუსეთ-საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტამდე (2008 წ.), ასევე მას შემდეგ პერიოდში (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო).

სამხრეთ კავკასიის რეგიონის გეოპოლიტიკური კონიუნქტურის და საქართველოს როლის შესასწავლად საჭიროა გამოვააშკარაოთ ის ოფიციალური თუ არაოფიციალური საგარეო პოლიტიკის თავისებურებები, რომელიც გააჩნიათ თურქეთს და რუსეთს საქართველოსთან მიმართებაში, რათა მოვახდინოთ თურქეთ-რუსეთის საგარეო პოლიტიკის შედარებითი ანალიზი და სწორი მშვიდობიანი, დაბალანსებული ნაბიჯები გადავდგათ. ამისათვის საჭიროა გადავჭრათ შემდეგი ფორმალიზებული ამოცანები:

1. განვსაზღვროთ სამხრეთ-კავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც თურქეთისთვის, ისე რუსეთისთვის საქართველოსთან მიმართებაში;

2. ავხსნათ და გავაანალიზოთ თურქეთის რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე;

3. ავხსნათ და გავაანალიზოთ რუსეთის რეგიონალური პოლიტიკის თავისებურებები თანამედროვე ეტაპზე;

4. გამოვიკვლიოთ თურქეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუციური განვითარება საქართველოსთან მიმართებაში;

5. გამოვიკვლიოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ევოლუციური განვითარება საქართველოსთან მიმართებაში აფხაზეთ-ცხინვალის რეგიონის და შიდა ქართლის ომებიდან დაწყებული (1991–92–93 წ.), მათი სრული ოკუპაციით დამთავრებული (პლუს დალის ხეობა, 2008 წ.).

6. გამოვავლინოთ არსებული უთანხმოება საქართველოსა და თურქეთს შორის ორმხრივ საკითხებთან დაკავშირებით;

7. გამოვიკვლიოთ საქართველო-რუსეთს შორის დაძაბულობის და უთანხმოების მიზეზები და შიდა და გარე ფაქტორები;

8. თურქეთის ეკონომიკური სტრატეგიის რეალიზაციის მექანიზმების განსაზღვრა საქართველოსთან მიმართებაში;

9. რუსეთის ეკონომიკური საგარეო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში;

10. საქართველო-თურქეთის ურთიერთობის განვითარებაში ენერგეტიკული ფაქტორების მნიშვნელობის გამოკვლევა;

11. ენერგეტიკული ფაქტორების და საქართველო-რუსეთის ურთიერთობის სამომავლო პერსპექტივები;

12. თურქეთის პოლიტიკის თავისებურებების განსაზღვრა საქართველოსთან მიმართებაში ორმხრივი და მრავალმხრივი (თურქეთი, საქართველო, აზერბაიჯანი...) პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში;

13. „ჟენევის ფორმატის" გაფართოების პერსპექტივების გზების ძიება და მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი დიალოგის დაწყების პერსპექტივები.

2008 წლიდან რუსეთის ფედერაციასთან შეწყვეტილია ყოველგვარი პირდაპირი დიპლომატიური ურთიერთობა, გვხვდება უახლოეს პერიოდში საქართველო-რუსეთს შორის ესკალაციის, სხვადასხვა სახის დაძაბულობის სერიოზული ფაქტები (მცოცავი ოკუპაცია, საქართველოს მოქალაქეების მოტაცება-დაპატიმრება ოკუპაციის საზღვრისპირა მიდამოებში და ა. შ.). ჩვენი აზრით ამას გარდა საქართველო-რუსეთს შორის მუდმივი დაძაბულობის პროცესის მყარ არსებობაში დაინტერესებულნი არიან გარე, დასავლეთური ძალები, რომლებიც ამავე დროს ხელს უწყობენ ყველანაირად სამხრეთ-კავკასიის რეგიონში და განსაკუთრებით საქართველოში, თურქეთის პოლიტიკურ-ეკონომიური თუ სამხედრო გავლენის გაძლიერებას. ამას დავუმატოთ ენერგორესურსების სატრანსპორტო მარშრუტები (ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი და ბაქო-თბილისი-ერზერუმი).

თუ რუსეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორები უფრო მოქმედებათა პოლიტიკური ველის ზედაპირზეა და მიწებებული აქვს „ოკუპანტის" „აგრესორის", „მტრის" იარლიყი, თურქეთის საგარეო პოლიტიკა უფრო შენიღბულია და ე. წ. „შენელებული" მოქმედების ბომბის ხასიათისაა. თანაც თურქეთის სახელმწიფო ჩვენთვის ერთ-ერთი უდიდესი სავაჭრო ეკონომიკური პარტნიორია. ზოგიერთი პოლიტიკოსისათვის „მოყვარე-მეგობარი" მეზობელია. გავიხსენოთ, რომ ქართველი კაცის ბრძნული ნათქვამი: „მოყვარე მტერად მოსული მტერზედა უფრო მტერია!"... ამიტომ ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის და სამხრეთ კავკასიის რეგიონში მშვიდობიანი გარემოს შენარჩუნებისათვის აუცილებელია განვახორციელოთ დაბალანსების პოლიტიკა რუსეთსა და თურქეთს შორის. ამდენად საჭიროა, თურქეთის საგარეო პოლიტიკის თავისებურებების გამოვლენა საქართველოსთან მიმართებაში. ამასთან, საჭიროა არგუმენტირებულად დავადგინოთ, რომ თურქეთის სახელმწიფოს აქტიური საგარეო პოლიტიკა საქართველოს მიმართ ემსახურება ჩვენს ქვეყანაში თურქეთის გავლენის და პოზიციების განმტკიცებას და გაძლიერებას, მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონში მისი გავლენის გამყარებას, ასევე თურქეთის მთავარი ისტორიული კონკურენტის – რუსეთის ფედერაციის როლის გავლენის შესუსტებას და მინიმუმადე დაყვანას სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ამ მიზნის შესრულებას ემსახურება თურქეთის საგარეო პოლიტიკის მექანიზმები სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო კუთხით ქართულ სახელმწიფოსთან მიმართებაში. დროთა განმავლობაში საქართველო სულ უფრო და უფრო მეტად დამოკიდებული ხდება თურქეთზე, როგორც ქვეყნებს შორის ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი შეთანხმებების თვალსაზრისით.

ცალკე აღსანიშნავი და გამოსაყოფია აჭარის თემატიკა, რადგანაც თურქეთის სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა ცალსახად სპეციფიკურია საქართველოს ამ რეგიონის მიმართ და აჭარის ავტონომიაზე ფაქტობრივად დაუფარავ კონტროლს ახორციელებს, როგორც პოლიტიკური, ისე კონფესიური და ეკონომიური კუთხით. საგანგაშოა, რომ თურქეთის ამჟამინდელი პოლიტიკა აჭარასთან დამოკიდებულების კუთხით მიმართულია საქართველოს სახელმწიფოს ამ ისტორიული, ძირძველი, ულამაზესი რეგიონის მაქსიმალური კონტროლისკენ, როგორც კულტურულ-რელიგიური, ისე ეკონომიკური კუთხით და ჩვენი ისტორიული მეზობელი სწორედ ასეთი პროექტების აქტიური განხორციელებით არის დაკავეული დღეს აჭარაში.

საქართველო-თურქეთის ურთიერთობისას აუცილებლად გამოსაყოფია ცალკე თურქეთის დამოკიდებულება აფხაზეთთან მიმართებაში, რომელთანაც თურქეთი მიუხედავად იმისა, რომ დადებული აქვს საქართველოსთან ორმხრივი ხელშეკრულება და აღიარებული აქვს ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ერთიანობა, იგი საქართველოს მთავრობის დაუკითხავად აწარმოებს აქტიურ სავაჭრო-ეკონომიურ ურთიერთობას თვითაღიარებულ ე. წ. „აფხაზეთის რესპუბლიკასთან", ასევე არაოფიციალური მონაცემებით თურქეთი ცდილობს თავისი ბიზნესის გაფართოებას აფხაზეთში. მისი გემები საქართველოს კუთვნილი საზღვაო აკვატორიის გავლით შედიან აფხაზეთში ძალზე ხშირად, რაც უხეში კანონდარღვევაა საქართველოს სუვერენიტეტისა და ორმხრივი ხელშეკრულებისა. აქედან გამომდინარე თამამად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თურქეთი თავის სუბიექტურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერეს აყენებს სუვერენულ საქართველოსთან დადებულ საერთაშორისო დონის ხელშეკრულიბაზე მაღლა.

ასევე ცალკე გამოსაყოფია საქართველო-თურქეთის ურთიერთობისას ე.წ. „თურქი–მესხების" საქართველოში რეპატრიაციის სპეციფიკური საკითხი, რომლითაც თურქეთის ხელისუფლებაა დაინტერესებული, რათა საქართველოში შეიქმნას და გაძლიერდეს თურქულენოვანი ელემენტი და ზოგადად მუსულმანური გარემო, რომელიც იქნება საქართველოს სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონში პროთურქული დერეფნის შექმნის საფუძველი აზერბაიჯანისაკენ გასასვლელად (მოგახსენებთ, თურქეთი სომხეთის კუთვნილ ნახიჭევანის ავტონომიურ რესპუბლიკას ესაზღვრება, რომლიდანაც აზერბაიჯანის საზღვრამდე თხუთმეტიოდე კილომეტრია (Алексанян, 2019, стр. 13).

ხაზგასასმელია, რომ საქართველო-თურქეთის მომავალ ურთიერთობას სხვა ფაქტორებთან ერთად ხელი შეუწყო ორი ქვეყნის ენერგეტიკული საკითხის თანხვედრამ. ასევე მათმა საერთო ინტერესებმა შავი ზღვის აუზის ეკონომიკურ ორგანიზაციაში მონაწილეობისას, გარკვეულწილად რუსეთის ფედერაციის საწინააღმდეგოდ. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კავკასიის რეგიონში სწორედ თურქეთია ინიციატორი „თურქეთი-აზერბაიჯანი-საქართველო" სამმხრივი ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმის ამოქმედებისა. საყურადღებოა, რომ თურქეთმა აქტიურად აამოქმედა პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურულ-საგანმანათლებლო მექანიზმები ე. წ. „ჰორიზონტალური" გეოპოლიტიკური ღერძის გასწვრივ თურქეთი-საქართველო-აზერბაიჯანის მიმართულებაზე, რასაც ხელი შეუწყო ენერგოტრანსპორტირების პროექტებში ამ ქვეყნების მჭიდრო თანამშრომლობამ. ამით თურქეთმა გააძლიერა თავისი ეკონომიკური, სამხედრო–პოლიტიკური (განსაკუთრებით აზერბაიჯანთან) და კულტურულ-საგანმანათლებლო და რელიგიური ზემოქმედების ბერკეტები სამხრეთ-კავკასიის რეგიონში. კონკრენტულად კი საქართველო ჩართო თურქეთ-აზერბაიჯანის მაჰმადიანურ ტანდემში. რეალურად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, თურქეთი ცდილობს გააძლიეროს თავისი გეოპოლიტიკური მთავარი მოთამაშის როლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში და თავის საგარეო ვექტორებს საქართველოს, აზერბაიჯანს თუ სომხეთის მიმართულებით ამ მიზნის შესასრულებლად იყენებს, რასაც ხელს უწყობს ამ რეგიონში რუსეთის გავლენის შესუსტება. სამხრეთ კავკასიის რეგიონში სავაჭრო-ეკონომიკური თუ ენერგომატარებლების ტრანსპორტირების მარშრუტების შედგენის ინიციატორად აქტიურად გამოდის თურქეთი, რითაც იგი ევროპას სთავაზობს ენერგორესურსების საკითხში მჭიდრო თანამშრომლობას. ზოგადად უნდა ითქვას, რომ თურქეთი ესწრაფვის თავისი გავლენის გავრცელებას და გაძლიერებას არა მარტო სამხრეთ კავკასიის რეგიონში, არამედ ცენტრალური აზიის რეგიონში მთლიანად: საქართველო თურქეთისთვისაც და რუსეთისთვისაც ის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური პლაცდარმია, რომელზეც კონტროლის თუ გავლენის მოპოვება სამხრეთ კავკასიის რეგიონის ლიდერი მოთამაშის მანტიით შემოსავს გამარჯვებულს.

ამ საუკუნის ბოლო ათწლეულში თურქეთის სავაჭრო-ეკონომიური და საინვესტიციო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ გაძლიერდეს თურქული სახელმწიფოს როლი ქართულ ეკონომიკაში. ასევე შეინიშნება ამ ქვეყნებს შორის არათანაბარი დამოკიდებულება სავაჭრო–ეკონომიკური თანამშრომლობისას. ბალანსის ეს დარღვევა ბოლო წლებში უკვე აშკარაა, თურქეთის ეკონომიკური პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში მჭიდროდ არის დაკავშირებული მის ინტერესებთან ენერგეტიკის სფეროში. სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის სახელმწიფო ცდილობს გახდეს ე.წ. ენერგეტიკული ჰაბი და დაიკავოს მონოპოლიური მდგომარეობა ევროპაში ენერგორესურსების ტრანზიტის მხრივ. საქართველოს მონაწილეობა ამ ენერგეტიკულ პროექტებში მინიმალური (არათანაბარი) სარგებლის კუთხით კიდევ უფრო აძლიერებს თურქეთის საგარეო პოლიტიკის ვექტორს ენერგეტიკული მიმართულებით. საქართველოს მთავრობის ასეთი ლოიალური საგარეო პოლიტიკა კიდევ უფრო აძლიერებს თურქეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ გავლენას ჩვენს ქვეყანაზე, განსაკუთრებით აჭარის ულამაზეს და უმდიდრეს რეგიონზე და სხვადასხვაგვარი საფრთხის წინაშე აყენებს ჩვენს სახელმწიფოს, რასაც დღემდე არ ექცევა სამთავრობო დონეზე ყურადღება.

ვფიქრობთ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში თურქეთის ჰეგემონიის გაძლიერება შეიძლება შევაჩეროთ ე.წ. დაბალანსების პოლიტიკით და რუსეთის ფედერაციის გონივრული ჩართულობით (და არა ჭარბი ჩართულობით), რაც საშუალებას მისცემს ქართულ სახელმწიფოს უფრო უსაფრთხოდ იგრძნოს თავი, როგორც ეკონომიკური, ასევე სამხედრო-პოლიტიკური კუთხით. ამას გვკარნახობს მწარე ისტორიული გამოცდილება და წარსულში გადატანილი უამრავი სისხლისმღვრელი შემოსევები ოტომანთა იმპერიის მხრიდან. და ქვეყნისთვის წამგებიანი ზავები (გურული & ჯიქია, 2015, გვ. 20-42). აღნიშნული „დაბალანსების პოლიტიკა" ჩვენი აზრით უფრო უსაფრთხოს გახდის მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონს, დააშოშმინებს პანთურქულ აგრესიულ ფარულ ზრახვებს ამ, მსოფლიოსთვის გეოპოლიტიკურად უმნიშვნელოვანეს სამხრეთ კავკასიის რეგიონშიც და მთლიანად კავკასიაშიც. მით უმეტეს, რომ ბოლო ოცწლეულში ხშირად ისმის მოწოდებები თურქეთის უმაღლესი თანამდებობის ყოფილი თუ ახლანდელი პირებისაგან „ერთიანი ოტომანთა იმპერიის ძველ საზღვრებში აღდგენის" თაობაზე, როგორც ოფიციალურ, ისე არაოფიციალურ შეხვედრებზე, რაც ვფიქრობ სულაც არ არის შემთხვევითი.

ამიტომ ვფიქრობთ რომ ქვეყნებს შორის ურთიერთობის დაბალანსების პოლიტიკა, არის ინსტრუმენტი რომლის მეშვეობითაც ქვეყანამ უნდა შეძლოს საკუთარი ინტერესების დაცვა.

ქვეყანას, რომელიც ფლობს ასეთ ინსტრუმენტს, ყოველთვის შეუძლია მიიღოს საკუთარი სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება ისე, რომ არ შეუთანხმდეს თავის პარტნიორებს და ამ პარტნიორების მხრიდან მასზე სანქციები ან საერთოდ არ ამოქმედდება, ან იქნება მინიმალური და უმტკივნეულო. მაგალითად შემიძლია მოვიყვანო თურქეთი, რომელსაც ხანგრძლივი ისტორიის

მანძლილზე დასავლეთი ხელს უწყობს გაძლიერებაში სამხრეთ კავკასიის რეგიონში. ასევე აღსაღნიშნია, რომ თურქეთი, დასავლელი პარტნიორების გარეშეც, ყოველთვის ცდილობდა ჰქონოდა გავლენები და კონტროლი სამხრეთ კავკასიის რეგიონში, თუმცა ზუსტადაც დასავლეთის დახმარებით თურქეთმა შეძლო საკუთარი მიზნის მიღწევა თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. დასავლეთს ყოველთვის სჭირდებოდა კონტროლი პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში, რითაც მაქსიმალურად დაესუსტებინა რუსეთის გავლენა ამ რეგიონზე. ამ გეგმის განხორციელებისთვის თურქეთი, როგორც NATO-ს ალიანსის წევრი, ყველაზე სანდო პარტნიორია დასავლეთისთვის. თურქეთს სჭირდება შუააზიაში გასასვლელი თურქულენოვან ერებთან საკომუნიკაციოდ და ეს არის შესაძლებელი საქართველო-აზერბაიჯანული დერეფნის გამოყენებით. თურქეთს ასევე სჭირდება აზერბაიჯანის ნავთობი და ბუნებრივი აირი, რისთვისაც აშენდა ორი მილსადენი: ერთი ნავთობის (ბაქო-თბილისი-ჯეიხანი, ოფიციალურად გაიხსნა 2006 წელს) და მეორე ბუნებრივი აირის (ბაქო-თბილისი-ერზურუმი, ოფიციალურად გაიხსნა 2007 წელს). ევროპის ქვეყნების ნაწილისთვის მნიშვნელოვანი არის ტრანსანატოლიის ბუნებრივი აირის მილსადენი, რომელიც არის ბაქო-თბილისი-ერზურუმის გაგრძელება ევროპისკენ. ეს ყველაფერი ხდება რუსეთის გვერდის ავლით, და ფასდება როგორც ალტერნატივა ევროპისათვის, რაც დასავლეთის ინტერესებში შედის იმიტომ, რომ ამით სუსტდება რუსეთის ეკონომიკა და ამაში თურქეთი, როგორც ენერგორესურსების გამანაწილებელი ქვეყანა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობას.

მიუხედავად იმისა რომ დასავლეთს სურს რუსეთის ეკონომიკის შესუსტება ტრანს-ანატოლიის გაზსადენის ამოქმედებით, თურქეთი არ ჩქარობს რუსეთთან ბუნებრივ აირზე კონტრაქტების გაუქმებას და ამით აჩვენებს რომ პარტნიორების პოლიტიკური ინტერესები, მაშინ უნდა გაითვალისწინო, როცა ის არ აზიანებს საკუთარი ქვეყნის ინტერესებს. ქვეყნებს შორის ურთიერთობისას, თურქეთი წინა პლანზე სკუთარ საჭიროებებს აყენებს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში ბუნებრივ აირს ყიდულობს იმ მომწოდებლისაგან, რომელიც ყველაზე დაბალ ფასს სთავაზობს, რუსეთი იქნება ეს, აზერბაიჯანი თუ სხვ.

ის, რომ თურქეთი კარგად იყენებს დაბალანსების პოლიტიკას საკუთარი ქვეყნის ინტერესების დასაცავად, ჩანს იქედანაც, რომ 2017 წელს, როცა შეერთებულმა შტატებმა, უარი უთხრა თურქეთს სარაკეტო კომპლექსის „პატრიოტ"-ის მიყიდვაზე, თურქეთს ბევრი არ უფიქრია და რუსული სარაკეტო კომპლექსი „C-400" იყიდა, რითაც სერიოზულად გააღიზიანა ამერიკელები, რომლებიც სანქციებითაც დაემუქრნენ მას. მიუხედავად ყველაფრისა, 2018 წელს, ყოველწლიურ გაეროს ასამბლეაზე გამოსვლისას თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა თქვა: „მე ვფიქრობ, რომ ეს ამად ღირდა ... ჩვენ გვაქვს სრული უფლება გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვა, ისე როგორც ჩვენ თვითონ ჩავთვლით საჭიროდ". ამით თურქეთმა NATO-ს ალიანსსაც მიანიშნა, რომ ალიანსში წევრობა, თურქეთს ვერ შეუზღუდავს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უფლებას, მით უმეტეს მაშინ, როცა ეს გადაწყვეტილება ქვეყნის ინტერესებს ემსახურება. თურქეთი, იყენებს დაბალანსების პოლიტიკას საერთაშორისო ურთიერთობებში. სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკა, არის წამგებიანი იმ ქვეყნებისთვის, ვის მიმართაც ის არის გამოყენებული, თუ ის ქვეყნები არ ანიჭებენ უპირატესობას საკუთარი სახელმწიფოს ინტერესების დაცვას.

ამიტომაც, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, საქართველო მომავალში რომ არ გადაიქცეს რუსეთ-თურქეთის საომარ პლაცდარმად, აუცილებლად უნდა აწარმოოს დაბალანსების და სამხედრო მიუმხრობლობის პოლიტიკა.

**ბიბლიოგრაფია:**


აბაშიძე, ზ., ვაშაკიძე, ვ., მირიანაშვილი, ნ., & ჭეიშვილი, გ. (2014). *ყოველი საქართველო (ქართული სახელმწიფოს ისტორიული საზღვრები უძველესი დროიდან დღემდე).* თბილისი.

გურული, ვ., & ჯიქია, ლ. (2015). *საქართველოს ისტორიული ტერიტორია რუსეთ-ოსმალეთის (თურქეთის) ომებსა და ზავებში (1695-1953).* თბილისი.

საქართველოს პარლამენტი. (2005). *საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" დამტკიცების შესახებ.* (#1895). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/43156?publication=0

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. (1992 წლის 30 ივლისი). *ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკას და თურქეთის რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობების შესახებ.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://matsne.gov.ge/ka/document/view/1207454?publication=0

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო. *ორმხრივი ხელშეკრულებები საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/InternationallegalAgreements/რუსეთის-ფედერაცია.aspx

ჯავახიშვილი, ი., ბერძენიშვილი, ნ., & ჯანაშია, ს. (1943). *საქართველოს ისტორია (უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე).* თბილისი.

ჰეგელი, გ. ვ. (1984). *გონის ფილოსოფია.* თბილისი: მეცნიერება.

Алексанян, Л. (2019). *Грузия во внешней политике Турции на современном этапе.* Москва.

Указ Президента Российской Федерации. (31 декабря 2015 г.). *О Стратегии национальной безопасности Российской Федерации.* №683. Получено из http://kremlin.ru/acts/bank/40391

Указ Президента Российской Федерации. (30 ноября 2016 г.). *Об утверждении Концепции внешней политики Российской Федерации.* №640. Получено из http://kremlin.ru/acts/bank/41451

***Giorgi Lomia***

*Georgian Technical University*

**GEOPOLITICAL CONJUNCTURE AND BALANCING POLICY OF THE SOUTH CAUCASUS REGION**

RESUME

The article presents the geopolitical situation in the South Caucasus region in the context of the transformation of international relations between the countries. The emphasis is placed on the external factors that threaten Georgia, and the need to properly conduct a balancing policy in order to protect the interests of the Georgian state in dealing with strong players in the South Caucasus region.

***Keywords:*** Balanced policy, South Caucasus region, Geopolitical location, Georgia, Turkey, Russia, National security, Adjara region, Europe, Monopoly, Interests of the state.

***მალხაზ ლომსაძე***

*სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი;*

*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები საქართველოს სისხლის სამართლის მეცნიერებასა და სასამართლო პრაქტიკაში

***საკვანძო სიტყვები:*** ჯგუფური დანაშაული, სასამართლო პრაქტიკა, „ცოცხალი იარაღი“, კვალიფიკაცია, სისხლის სამართალი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში კანონმდებლის მიერ მოცემულია ჯგუფური დანაშაულის სახეების განსაზღვრება (დონჯაშვილი, 2007, გვ. 264). ჯგუფური დანაშაულის სახეები დიფერენცირებეულია მათი ორგანიზებულობის ხარისხის მიხედვით. კანონმდებელი გამოყოფს ჯგუფური დანაშაულის სამ სახეს, კერძოდ:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის პირველ ნაწილში მოცემულია ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობის ყველაზე ნაკლებად საშიში და მარტივი სახე, კერძოდ „დანაშაული ჩადენილი პირთა ჯგუფის პირთა მიერ წინასწარი შეთანხმების გარეშე“, ე.ი. ისეთი დანაშაული რომელიც ჩადენილია, წინასწარ შეუთანხმებლად, ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან

მეტი ამსრულებელი, თუმცა შესაძლებელი იყოს მხოლოდ ერთ-ერთი თანაამსრულებელი. ამ ფორმის ჯგუფური დანაშაულის დროს მონაწილეთა შორის შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის დროს, ე.ი. ქმედების ობიექტური შემადგენლობის განხორციელების დაწყების შემდეგ. აქ თანამონაწილეთა ქმედებაში სახეზეა წინასწარ შეუთანხმებელი განსაზღვრა.

2. ჯგუფური დანაშაულის ყველაზე გავრცელებული და საშიში ფორმაა, „პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით ჩადენილი დანაშაული, ე.ი ისეთი დანაშაული რომელიც ჩადენილია ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, თუ მასში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად. აქაც აუცილებელია ორი ან მეტი ამსრულებელი და არ არის საკმარისი მხოლოდ თანამონაწილეობა. აქ ორგანიზატორად შეიძლება გამოდიოდეს ადამიანი, რომლის ინიციატივაც შეიქმნა ჯგუფი ან რომელიც მას ხელმძღვანელობს და თვითონ უშუალოდ მონაწილეობს დანაშაულის ჩადენაში თანაამსრულებლის სახით. წინასწარი შეკავშირების ქვეშ იგულისხმება შეთანხმება, სისხლის სამართლის კერძო ნაწილის მუხლში აღწერილი მოქმედების თუნდაც ერთი პირის მიერ დაწყებამდე. შეთანხმება შეიძლება განხორციელდეს სიტყვიერი ან წერილობითი ფორმით. თანამონაწილეები იშვიათად აღწევენ შეთანხმებას კონკლუდენტური მოქმედებით. შეთანხმების საგანს ყველაზე ხშირად წარმოადგენს ხელყოფის ობიექტი ან საგანი. ცალკეულ შემთხვევებში შეთანხმების საგანი შეიძლება იყოს დანაშაულის ხერხიც.

3. „ორგანიზებული ჯგუფი". ორგანიზებული ჯგუფი წარმოადგენს წინასწარი შეთანხმებით თანამონაწილეობის ყველაზე საშიშ სახეს. ორგანიზებული ჯგუფი არის ორი ან მეტი პირის ერთობლიობა, რომელიც წინასწარ ორგანიზებული იქნა ერთი ან მეტი დანაშაულის ჩასადენად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლობის უკანონოდ მიღება (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, 1999). ორგანიზებული ჯგუფისათვის დამახასიათებელია პროფესიონალიზმი და სიმყარე, მიზანდასახულობა, ორგანიზაციული ხელმძღვანელობა, დისციპლინა ჯგუფის შიგნით და ა.შ. ასეთი ჯგუფის სათავეში დგანან ყველაზე ავტორიტეტული დამნაშავეები, რომლებიც შეიმუშავებენ გეგმებს, ადგილზე ხელმძღვანელობენ დანაშაულთა ჩადენას, ზოგჯერ კი თვითონ არიან ძირითადი ამსრულებლები. ორგანიზებული ჯგუფის საქმიანობა ძირითადად დაკავშირებულია როლების განაწილებასთან, მაგრამ არ არის გამორიცხული თანაამსრულებლობა. ორგანიზებული ჯგუფის მიზნებისათვის სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არი არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს როლები განაწილებული მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა. ორგანიზებული ჯგუფების აუცილებელი ნიშნებია წინასწარ შეთანხმება და სიმყარე. ორგანიზებული ჯგუფის სიმყარე გულისხმობს ჯგუფის წევრებს შორის მუდმივი კავშირების არსებობას და საქმიანობას სპეციფიკურ მეთოდების ერთი ან რამდენიმე დანაშაულის მომზადების ან ჩადენისას.

სიმყარე ნიშნავს, რომ ორგანიზებული ჯგუფი იქმნება დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, ე.ი. დანაშაულთა განუსაზღვრელი რაოდენობის ჩასადენად განუსაზღვრელი შედარებით ხანგრძლივი პერიოდისათვის.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას, მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა, ხოლო ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაში იგი მონაწილეობდა.

ჯგუფური დანაშაულის თეორიული მნიშვნელობა მრავალმხრივ არის განპირობებული თვით ამ ფორმის ფენომენის სირთულით. ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულისაგან განსხვავებით ჯგუფი ყოველთვის უფრო საშიში კრიმინოლოგიური ფაქტორია. „ჯგუფური დანაშაულობა ადამიანთა უზარმაზარ მასებს აუბედურებს, ემუქრება სახელმწიფო ცხოვრების საფუძველთა საფუძველს, ქვეყნის ეკონომიკას. მარტო საქართველოში ზოგიერთი კრიმინალური ჯგუფების ზრდის შედეგად „ჩრდილოვანმა ეკონომიკამ" 45% შეადგინა. უცხოეთის კრიმინოლოგთა ანალიზი გვიჩვენებს, რომ ბევრ ქვეყანას ჯგუფური დანაშაულობა მთელი დანაშაულობათა ბირთვს ქმნის. ჯგუფური დანაშაულობის ამ

განსაკუთრებული ბუნების აღწერისა და ახსნის გამო სამეცნიერო კვლევის წინაშე რიგი სპეციალური ამოცანა დგას“ (ზამაღუა, 1998, გვ. 40).

საერთოდ, პირთა ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული უფრო მეტი საშიშროების შემცველია, ვიდრე ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაული. დანაშაულში რამდენიმე პირის მონაწილეობა აადვილებს მისი ჩადენის ობიექტურ შესაძლებლობას. დაბრკოლება, რომელიც გადაულახავი იქნებოდა ინდივიდუალურად მოქმედი პირისათვის, ადვილად შეიძლება გადალახოს რამდენიმე კაცის გაერთიანებულმა ძალღონემ.

კოდექსის 27-ე მუხლის შინაარსის მიხედვით, დანაშაულებრივი დაჯგუფება იყოფა სამ სახედ: წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედ ჯგუფად, წინასწარ შეთანხმებულად მოქმედ ჯგუფად და ორგანიზებულ ჯგუფად.

დანაშაული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში წინასწარ შეუთანხმებლად ერთობლივად მონაწილეობდა ორი ან მეტი ამსრულებელი.

მაგალითად, დავუშვათ გაუპატიურების მიზნით ზერაძე ფიზიკურ ძალას იყენებდა დაზარალებული ფერაძის მიმართ. ეს შენიშნა შემთხვევით გამვლელმა გულაშვილმა და ფერაძეს წინააღმდეგობის დაძლევის მიზნით გაუკავა ხელები. მათი მოქმედება დაკვალიფიცირდება კოდექსის 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (გაუპატიურება ჩადენილი ჯგუფურად). ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედ ჯგუფთან.

დანაშაული ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებითაა ჩადენილი, თუ მის განხორციელებაში მონაწილენი წინასწარ შეკავშირდნენ დანაშაულის ერთობლივად ჩასადენად.

მაგალითად, დავუშვათ, აბულაძე და ბაბლიძე წინასწარი შეთანხმებით შევიდნენ საცხოვრებელ სახლში და მისაკუთრების მიზნით ფარულად წაიღეს ხელჩანთა, სადაც აღმოჩნდა ფული და ძვირფასი ნივთები. ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით, რაც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ქურდობისათვის, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ და ბინაში უკანონო შეღწევით.

დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად და რომლის მიზანია პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას, როგორც წესი, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ამიტომ არ შეიძლება ორგანიზებული ჯგუფის სინონიმად ჩავთვალოთ ბანდა (224-ე მ.), რომელიც მყარი შეიარაღებული ჯგუფია.

მაგალითად, თუ ქურდობა განახორციელა ორგანიზებულმა ჯგუფმა, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და არა კოდექსის 224-ე მუხლით.

ასევე ორგანიზებული ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს პირდაპირი ან არაპირდაპირი ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება. შეიძლება ორგანიზებული ჯგუფის მიზანი იყოს არაანგარებითიც.

მაგალითად, არაანგარებითია თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მუხლი 182-ე, მე-3 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი).

სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფად მიიჩნევა ჯგუფი, რომელიც არ არის შემთხვევით შექმნილი დანაშაულის დაუყოვნებლივ ჩასადენად და რომელშიც არ არის აუცილებელი ფორმალურად იყოს განაწილებული როლები მის წევრთა შორის, წევრობას ჰქონდეს უწყვეტი ხასიათი ან ჩამოყალიბებული იყოს განვითარებული სტრუქტურა.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ორგანიზებული ჯგუფის შექმნისათვის ან ხელმძღვანელობისათვის დაეკისრება იმას, ვინც შექმნა ასეთი ჯგუფი ან ხელმძღვანელობდა მას. მასვე დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ ჯგუფის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისათვის, თუ მათ მოიცავდა მისი განზრახვა. ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისათვის კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, აგრეთვე იმ დანაშაულისათვის, რომლის მომზადებაში ან ჩადენაშიც იგი მონაწილეობდა.

თუ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მხოლოდ „ჯგუფურად“ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთ შემთხვევაში ჯგუფის ცნებაში იგულისხმება სამივე სახის ჯგუფი. მაგალითად, კოდექსის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ჯგუფურად ჩადენილი განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში.

თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ან ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთი დანაშაულის ჩადენა თუ მოხდება წინასწარ შეუთანხმებელი ჯგუფის მიერ, მათი პასუხისმგებლობა დადგება ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულისათვის. მაგალითად, თუ ქურდობა ჩაიდინა წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედმა ორმა კაცმა, მათი პასუხისმგებლობა დადგება ინდივიდუალურად ჩადენილი ქურდობისათვის.

თუ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას „ჯგუფურად" და „ორგანიზებული ჯგუფის" მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის, ასეთ შემთხვევაში „ჯგუფის" ცნებაში იგულისხმება წინასწარ შეუთანხმებლად მოქმედი და წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფი. მაგალითად, 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ზ" ქვეპუნქტი.

ზოგჯერ ჯგუფს, რომელიც შედგება ორი წევრისაგან და მათ შორის ერთ-ერთი შერაცხვისუუნაროა, არ თვლიან ჯგუფად და გვთავაზობენ ქმედება დაკვალიფიცირდეს ერთპიროვნულად ჩადენილი დანაშაულით. „თუ ყაჩაღური თავდასხმის ორი მონაწილიდან ერთ იმალება და მისი ვინაობა დაუდგენელია, - წერს ო. გამყრელიძე, - მაშინ მეორემ არ უნდა აგოს პასუხი ჯგუფურად ჩადენილი ყაჩაღობისათვის" (გამყრელიძე, 1998, გვ. 37-39).

იგივე აზრს იმეორებენ სასამართლო პრაქტიკის კომენტარის ავტორები და წერენ, რომ „პირს არ შეიძლება პასუხისმგებლობა დაეკისროს ჯგუფური დანაშაულისათვის, იქნება ეს ყაჩაღობა, ქურდობა თუ სხვა, თუ ჯგუფის ორი წევრიდან ერთი იმალება ან რაიმე მიზეზით სამართალში მიცემული არ ყოფილა" (სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული), 2004, გვ. 102). „თუ ყაჩაღობა ჩადენილია ორი პირის მიერ, - წერს რ. კვარაცხელია, -რომელთაგანაც მხოლოდ ერთია შერაცხადი, მაშინ შეუძლებელია ამ უკანასკნელმა პასუხი აგოს ყაჩაღობის ჯგუფურად ჩადენისათვის, რადგან ასეთია სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მოთხოვნა" (კვარაცხელია, 2010, გვ. 38).

ცხადია ცდებიან მოცემული დებულების ავტორები. „ჯგუფურობა" სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების შემადგენელი ნაწილია (კანონის შემადგენელი ნაწილი), ხოლო შერაცხვა-შეურაცხაობის საკითხი ბრალის დადგენის ეტაპზე წყდება. შეიძლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება ჯგუფმა ჩაიდინა, მაგრამ ჯგუფური დანაშაულის ჩადენა შეერაცხება ბრალად შერაცხად პირს, ხოლო შერაცხვისუუნარო პირს ბრალად არ შეერაცხება მოცემული დანაშაულის ჩადენა. ქმედების ჯგუფურად ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მის ჩადენაში მონაწილე პირთა რაოდენობას და არა იმას, თუ რამდენ კაცს შეერაცხება ბრალად მისი ჩადენა.

ახლა განვიხილოთ, ის გარემოება თუ როგორ წყდება საკითხი და როგორ ხდება ქმედების კვალიფიკაცია შუალობითი ამსრულებლობის დროს. ამსრულებლობის ერთ-ერთ სახედ ითვლება შუალობითი ამსრულებლობა. იმას, ვინც დანაშაული ჩაიდინა სხვა ისეთი პირის მეშვეობით, რომელსაც კოდექსის მიხედვით ასკის, შეურაცხაობის ან სხვა გარემოების გამო არ დაეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შუალობითი ამსრულებელი ეწოდება.

„იმ პირს, ვინც შუალობითმა ამსრულებელმა გამოიყენა, სისხლის სამართლის თეორიაში „ცოცხალი იარაღი" ეწოდება" (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები, 1976, გვ. 137). ცოცხალი იარაღი შეიძლება იყოს:

ა) ის, ვინც მართლსაწინააღმდეგო ქმედება ფიზიკური იძულებით ან ჰიპნოზის მდგომარეობაში შეასრულა;

ბ) ფსიქიკურად დაავადებული პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება შერაცხვაუნარიანი პირის შეგულიანებით ჩაიდინა;

გ) 14 წლამდე პირი, რომელმაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება შერაცხვაუნარიანი პირის შეგულიანებით ჩაიდინა;

დ) პირი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება მუქარით ჩაადენინეს, თუ მის მოქმედებაში არის საპატიო უკიდურესი აუცილებლობის ნიშნები;

ე) პირი, თუ იგი შეცდომაში შეიყვანა მეორე პირმა და მართლსაწინააღმდეგო ქმედება ჩაადენინა, თუ ეს შეცდომა საპატიოა;

ვ) ხელქვეითი, რომელმაც უფროსის სავალდებულო ბრძანება შეასრულა და ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო ქმედება, თუ ეს ბრძანება აშკარა დანაშაულებრივ ხასიათს არ ატარებს.

„ცოცხალი იარაღის" მოცემული ჩამონათვალი ამომწურავი არ არის და მისი გაზრდა-გაფართოება შეიძლება სხვადასხვა გარემოებათა გამო.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი პირი შეიძლება გამოიყენოს შუალობითმა ამსრულებელმა. შუალობითი ამსრულებლობის შემთხვევაში ის პირი, რომელმაც გამოიყენა „ცოცხალი იარაღი" დანაშაულის ჩასადენად, პასუხს აგებს როგორც დანაშაულის ამსრულებელი.

რაც შეეხება „ცოცხალ იარაღს“, იგი პასუხს არ აგებს, მაგრამ თუ „ცოცხალი იარაღი“ მოქმედებდა გაუფრთხილებლად, ე.ი. თუ მას გათვალისწინება ევალებოდა და შეეძლო კიდეც გაეთვალისწინებინა, რომ მის მოქმედებას განსაზღვრული სამართლებრივი შედეგი მოჰყვებოდა, იგი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობისათვის, რა თქმა უნდა, თუ ქმედება, რომელიც მან ჩაიდინა, ისჯება გაუფრთხილებლობითი მოქმედების დროსაც.

აქედან შეიძლება დასკვნა გამოვიტანოთ:

ა) თუ შერაცხვისუნარიანი პირი დანაშაულის ჩასადენად იყენებს „ცოცხალ იარაღს“, იგი პასუხს აგებს შუალობითი ამსრულებლობისათვის;

ბ) თუ შერაცხვისუნარიანი პირი დანაშაულს სჩადის „ცოცხალ იარაღთან“ ერთად, იგი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულისათვის.

დანაშაულის ჯგუფურად ჩადენის კვალიფიკაციისათვის საკმარისია დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობდეს ორი ან მეტი პირი. თუ დანაშაულში მონაწილეობს ორი პირი და მათ შორის ერთ-ერთი შერაცხვისუუნაროა, ქმედება დაკვალიფიცირდება ჯგუფურ დანაშაულად, მაგრამ ბრალის საკითხის გადაწყვეტის დროს შერაცხვისუუნარო პირს დანაშაულის ჩადენა ბრალად არ შეერაცხება, ხოლო შერაცხვისუნარიანი პირი პასუხს აგებს ჯგუფური დანაშაულისათვის. ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რაოდენობრივ ნიშანს, (ქმედების ობიექტური მხარე, ორი ან მეტი პირი). ხოლო ჯგუფში მონაწილე პირის შერაცხადობა-შეურაცხაობის საკითხი უნდა გადაწყდეს ბრალის ეტაპზე. დანაშაულის ჯგუფურად ჩადენა უნდა დადგინდეს იმ ეტაპზე, როდესაც დგინდება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედება და არა იმ ეტაპზე, როდესაც დგინდება ბრალი.

ამრიგად, ჯგუფურად დანაშაულის ჩადენის სწორად კვალიფიკაცია:

1. ხელს შეუწყობს სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევას;
2. სამართლიანი სასჯელის დანიშვნას;
3. სამართლიანობის აღდგენას.


**ბიბლიოგრაფია:**

ბაბაღუა, მ. (1998). *ჯგუფური დანაშაულობა, ჯგუფური დანაშაულობის გამოკვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა.*

გამყრელიძე, ო. (1998). სასამართლო პრაქტიკის ერთი საკითხის განმარტებისათვის. *მართლმსაჯულების მაცნე, 4,* გვ. 37-39.

დონჯაშვილი, თ. (2007). საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი.

კვარაცხელია, რ. (2010). განაჩენის დაუსწრებლად გამოტანისა და ჯგუფური დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემა. *ცხოვრება და კანონი, 1*(9).

*სასამართლო პრაქტიკის კომენტარი (ეკონომიკური დანაშაული).* (2004). თბილისი.

*საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.* (1999 წლის 22 ივლისი). #2287. https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426?publication=236

*საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარები.* (1976). თბილისი: საბჭოთა საქართველო.



***Malkhaz Lomsadze***

*Samtskhe-Javakheti State University;*

*Gori State University*


## PROBLEMS OF QUALIFICATION OF GROUP CRIME IN CRIMINAL LAW AND JUDICIAL PRACTICE OF GEORGIA

## RESUME


Crime by group has always been a subject of discussion for law scholars. This article differentiates crime by group according to the degree of its organization. The article highlights that unlike the offence committed by an individual, the group has always contained a more dangerous criminogenic factor. Organized offence makes large number of people unhappy, and puts the fundamental of fundamentals of state life – economy of the country under risk. In general, a crime committed by a group of people contains more danger than a crime committed individually. Participation of several people in the crime simplifies the objective possibility of its occurrence. The hindrance that would have been insurmountable for a person acting individually, can be easily overcome by united forces of several

persons. In general, a crime is committed by a group if two or more actors jointly participated in it without prior agreement. Usually, an organized group can be formed for committing one or more crimes. This is why we cannot use the word ‘band’ (Article 224) interchangeably with an organized group, as far as it is a solid armed group. The article provides an attempted justification for addressing the problem of qualification of crime by group. It is enough to have two or more people involved in committing the crime for qualifying it as a crime by group. If there are two persons involved in the crime and one of them is not mentally capable, the action will be qualified as crime by group, but while deciding the charge, the incapable person will not be charged of committing the crime, though the capable person will bear responsibility for the crime by group. We think that this article will assist law scholars, practitioners and those individuals who are interested in the problems of qualification of crime by group.

***Keywords:*** Group crime, Judicial practice, "Living weapon", Qualification, Criminal law.

***ქეთევან ლომსაძე, ბექა ტოლიაშვილი***
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ხელმძღვანელის ფსიქოლოგიური პორტრეტის შესახებ

***საკვანძო სიტყვები:*** ემპათია, კონტენტ-ანალიზი, მოტივაცია, ფსიქოლოგიური გარემო.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმა, რომელიც საბაზრო ეკონომიკის განვითარებაზეა ორიენტირებული, აქტუალურს ხდის მენეჯმენტის მაღალეფექტურ გამოყენებას. ეს პროცესი კი მთლიანად დამოკიდებულია მენეჯერის აქტივობაზე, რომლის ხასიათიც განსაზღვრავს დაწესებულების წარმატება-წარუმატებლობას.

გარდა იმისა, რომ სპეციალისტი უნდა ფლობდეს ეკონომიკური პროცესის წარმართვის ცოდნას და უნარებს ყველა მისი პარამეტრის გათვალისწინებით (ბაზრის მოთხოვნილებას, ფასწარმოქმნის, საწარმოს განვითარების სტრატეგიის და ტაქტიკის, ახალი ტექნოლოგიების დანერგვის და ა.შ.) წარმატების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ახალი ტიპის ხელმძღვანელის ჩამოყალიბება, რომელსაც უნდა ახასიათებდეს ასევე ორგანიზაციის სტაბილურობის შენარჩუნების, სიახლეების დანერგვის და ხელსაყრელი ფსიქოლოგიური გარემოს შექმნის უნარი. პოზიტიური ფსიქოლოგიური გარემოს შექმნასა და წარმატებულ საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ხელმძღვანელისა და თანამშრომლების ურთიერთდამოკიდებულებებს. ამ ურთიერთობათა ხასიათს განსაზღვრავს მათი ღირებულებები, ორიენტაციებისა და შეხედულებების ერთიანობის ხარისხი, ერთიმეორის პიროვნული თვისებებისა და ქცევის შეფასების და გათვალისწინების უნარი (Волков, 1989). აღნიშნული ადასტურებს მოცემული ნაშრომის **აქტუალურობას და მნიშვნელობას**.

ადამიანებთან მუშაობის უნარი თანდაყოლილი არ არის. იგი ყალიბდება წლების განმავლობაში სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედების შედეგად, როგორიცაა ცხოვრებისეული გამოცდილება, საკუთარ თავზე მუშაობა, სწავლა სხვადასხვა ფორმით. ხელმძღვანელისათვის მნიშვნელოვანია სხვისი ფსიქოლოგიის გაგება; ყოველივე მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ თვითონ ხელმძღვანელია ჰარმონიულად განვითარებული პიროვნება. ხელმძღვანელმა უფრო ადვილად უნდა გაუგოს თანამშრომელს, ვინაიდან ეს როლი მისთვის ნაცნობია. სამსახურებრივ კიბეზე თანდათანობით ასვლის დროს, ხელმძღვანელი აფართოებს თავის შემეცნებით უნარებს, უფრო ობიექტურად აფასებს ადამიანებს და უფრო კარგად იგებს მათ მოთხოვნებსა თუ საჩივრებს (ლომსაძე, 2021).

კარგი ხელმძღვანელი ცდილობს კოლექტივში შექმნას წახალისების ატმოსფერო, თანამშრომლებთან დამოკიდებულებაში ხელმძღვანელობს ურთიერთგაგების პრინციპით. დაშვებულ

შეცდომებზე ხელმძღვანელი უთითებს თანამშრომლებს, მაგრამ თან იქვე დასძენს, რომ ეს ალბათ შემთხვევითია მისი კეთილსინდისიერი მუშაობის ფონზე. მან იცის, რომ იდეალური კოლექტივის შექმნა პრაქტიკულად ძალიან ძნელია და აქ შემგუებლობა კარგ ფსიქოლოგიურ ეფექტს იძლევა. კეთილსასურველი ფსიქოლოგიური კლიმატი და თანამშრომელთა აქტიურობა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ხელმძღვანელი მუშაკთა წახალისებასა და დასჯის ფსიქოლოგიურ ასპექტს (ფილიპი, 2001). დაჯილდოება უნდა შეეფერებოდეს მუშაკის წვლილს კოლექტივის საერთო საქმის წინსვლაში. ამის გამო, თუ რომელიმე მუშაკი შეამჩნევს, რომ მისი ნაკლებხარისხოვნად მომუშავე ამხანაგი ჯილდოვდება ისევე, როგორც თვითონ, თავისი ხელმძღვანელით უკმაყოფილო რჩება. ასევე პატიოსანი მუშაკი, რომელიც სხვებთან შედარებით ზედმეტად, დაუმსახურებლად დაჯილდოვდა, სირცხვილის გრძნობით იმსჭვალება და თავს უხერხულად გრძნობს სხვების წინაშე. ზოგჯერ გაუგებრობის მიზეზად იქცევა თანამშრომელთა მიერ თავიანთი და სხვისი საქმიანობის სუბიექტური შეფასება. ასეთი სუბიექტურობისაგან არც ხელმძღვანელია დაზღვეული. ამიტომ წახალისებისა და დასჯის საკითხები სასურველია ხელმძღვანელმა კოლექტიურად გადაწყვიტოს. ამასთანავე უნდა გავითვალისწინოთ, რომ წახალისება შეიძლება არა მარტო დიდი საქმეების გაკეთებისათვის, არამედ პატარა, შედარებით უმნიშვნელოებისთვისაც. აუცილებელი არ არის ეს წახალისება გამოიხატებოდეს პრემიით ან ოფიციალური ბრძანებით. ზოგჯერ არანაკლებ ეფექტურია ერთი-ორი თბილი სიტყვა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს დასჯის ფორმის შერჩევა. აქ უნდა გავითვალისწინოთ შეცდომების სიმძიმე, მათი შედეგები და განმეორებადობა, მუშაკების შეგნების დონე, ტემპერამენტი და სხვა ინდივიდუალური თვისებები; აგრეთვე დამოკიდებულება კოლექტივის მიმართ. დასჯის შემთხვევაში დაუშვებელია პიროვნების ადამიანური ღირსების შეურაცხყოფა, ამასთანავე აუცილებელი არ არის ყოველთვის დასჯის აფიშირება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ორი ადამიანი, რომელთაც თანაბარი ძალით აქვს რაიმეს მოთხოვნილება, სხვადასხვა გზით ცდილობს მიზნის მიღწევას. ასე მაგალითად, ზოგი თანამშრომელი მიდის ხელმძღვანელთან და სთხოვს ხელფასის მომატებას ან დაწინაურებას, მეორენი ფიქრობენ, რომ ხელმძღვანელმა თვითონ ობიექტური მონაცემების საფუძველზე - შრომისნაყოფიერების, მუშაობისა თუ კარგი მუშაობის გამო უნდა დააწინაუროს იგი. როგორც წესი ეს უკანასკნელნი არიან უფრო კეთილსინდისიერი მუშაკები (ლომსაძე, 2021).

კარგი ხელმძღვანელი ცდილობს შეუქმნას თავის მუშაკებს პერსპექტიულობის განცდა. ახალგაზრდა მუშაკები უნდა გრძნობდნენ, რომ მოცემულ დაწესებულებაში მათ აქვთ თავიანთი პროფესიული ოსტატობის სრულყოფისა და ზრდის საშუალება. პერსპექტიულობის განცდა უნდა ჰქონდეს ხანდაზმულებსაც: სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება, ჯილდოს მიღება და სხვა. თანამშრომლებთან წარმატებით მუშაობის ერთ-ერთი პირობაა თითოეულთან ინდივიდუალური მიდგომა, რაც უნდა ემყარებოდეს თანამშრომლის შრომის მოტივაციის თავისებურებას. ხელმძღვანელის ძირითადი ფუნქციაა თანამშრომლებში წარმოებითი შრომის მოთხოვნილებების აღძვრა. ეს კი ხდება პიროვნებაზე მიზანდასახული ზემოქმედებით - მისი მოთხოვნილებების, ღირებულებითი ორიენტაციისა და მოტივების გათვალისწინებით. კერძოდ, თუ ადამიანის ქცევის მოტივი და მიზანი შორეულ მოტივებს მიეკუთვნება, ის იწოდება შორეულ მოტივაციად, ხოლო თუ ისინი დაკავშირებულია მხოლოდ უახლოეს მიზნებთან, მაშინ საქმე გვაქვს ადამიანის ახლო მოტივაციასთან. მოტივაციის ამ სახეობების შეხამებაზე ბევრადაა დამოკიდებული მუშაობის სწორი პოზიციის გამომუშავება. შორეული მოტივაცია ეხმარება მუშაკს გადალახოს დროებითი წინაღობანი საქმიანობაში, ვინაიდან ის მიმართულია მომავლისაკენ, მისთვის აწმყო მხოლოდ აწმყო კი არ არის, არამედ პერსპექტიული მიზნების განხორციელების ეტაპია, ხოლო თუ მუშაკს ახლო მოტივაცია ამოძრავებს, მაშინ წარმატებულობა მის აქტივობას აქვეითებს, შეიძლება გამოიწვიოს მიზნის და ზოგჯერ სამუშაო ადგილის შეცვლაც. შრომის უშუალო მოტივებზე საუბრობენ მაშინ, როცა ადამიანი იღებს კმაყოფილებას თვითონ მუშაობის პროცესითა და მისი შედეგებით, ირიბი მოტივების დროს კი ადამიანს იზიდავს არა მარტო სამუშაო და მისი შედეგები, არამედ - ხელფასის სიდიდე, აღიარება, საზოგადოებრივი მდგომარეობა და სხვა. შრომის უშუალო და ირიბი მოტივები, როგორც წესი, ურთიერთკავშირია: ადამიანს იტაცებს როგორც სამუშაო, ასევე ხელფასი და სხვა ღირებულებებიც. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ადამიანი, რომელიც მხოლოდ ხელფასისათვის იწყებს მუშაობას, თანდათანობით პოულობს იმ საქმიანობის მიმზიდველობას, რომელსაც ასრულებს. შრომის მოტივაციაში დიდი ადგილი უჭირავს იმ მოტივებს, რომლებიც მატერიალურ დაინტერესებასთანაა დაკავშირებული. ისინი ზოგჯერ მოქმედებენ პროფესიის შერჩევაზე, სამუშაო ადგილზე და სხვა. მაგრამ ზოგჯერ მუშაკი კმაყოფილდება ნაკლები ხელფასითაც, თუ ეს სამუშაო აკმაყოფილებს მის სულიერ მოთხოვნილებებს. გამოკითხვებმა ცხადყო, რომ ბევრისთვის კვალიფიკაციის ზრდა დაკავშირებულია სოციალურ-ფსიქოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებასთან: მიაღწიოს პატივისცემას ამხანაგებისა და ხელმძღვანელების მხრიდან: ზოგისთვის

კვალიფიკაციის ამაღლების ზრდის სტიმულად ხელფასის მომატების შესაძლებლობაა; მესამე ჯგუფისათვის კი კვალიფიკაციის ამაღლების სტიმულად სამსახურებრივი დაწინაურების პერსპექტივაა. ხელმძღვანელი თავის საქმიანობაში უნდა ცდილობდეს შექმნას შესაძლებლობები თანამშრომელთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად (Тутушкина, 1996). ამიტომაც შრომის მოტივების ცოდნა დირექტორს ხელს უწყობს სწორად გადაწყვიტოს მუშაკთა მიღების, განაწილების და დაწინაურების საკითხები. მოტივაციის გამოვლენა იოლი საქმე როდია. სიძნელე იმაშია, რომ ზოგჯერ ადამიანი თვითონაც ვერ ერკვევა საკუთარ მოტივაციაში. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგჯერ მუშაკი მოტივაციის გამოკითხვისას, შეგნებულად ამახინჯებს და მალავს მის ნამდვილ ხასიათს. ამისათვის შრომის მოტივაციის გამოვლენა ობიექტური მონაცემების ღრმა ანალიზსა და სპეციალურ პროცედურას მოითხოვს. ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს, რომ რა დიდი უნარების მქონეც არ უნდა იყოს მუშაკი, მისი შრომის ეფექტურობა უმნიშვნელო იქნება, თუკი მას შესრულებული სამუშაო კმაყოფილებას არ მოუტანს (კარნეგი, 1992).

ხელმძღვანელისათვის პროფესიულ ცოდნასთან ერთად, საჭიროა ფსიქოლოგიური ცოდნაც, როგორც ზოგადი, ისე ცალკეული დარგების ფსიქოლოგიიდან. ადამიანთა მოღვაწეობის ხელმძღვანელობა, სამართავი ობიექტის ცოდნა მოითხოვს კარგ მეხსიერებას. ხელმძღვანელს ყოველთვის უნდა ჰქონდეს შესაბამისი ფაქტები და სამეცნიერო ცნობები, დარგის მოთხოვნებისა და მუშაკების თვისებების ცოდნა. კარგი წარმოსახვა აუცილებელია პრობლემათა სწორად შეფასებისა და გადაწყვეტილებისათვის. იგი აუცილებელია შემოქმედებითი მიდგომისათვის, დაგეგმვისა და პროგნოზირებისათვის, წარმოსახვა საჭიროა არა მარტო ახლის შესაქმნელად, არამედ მისი სწორი შეფასებისთვისაც. თავის პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელს ხშირად უხდება გარკვეულ სიტუაციებთან შეხლა, რომლის დროსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სიტუაციურ აზროვნებას, რომელიც ხელს უწყობს სწრაფად მონახოს სხვადასხვა პრობლემათა გადაწყვეტის საშუალება. ხელმძღვანელს თავის საქმიანობაში ხშირად ხელს უშლის ზედმეტი ემოციურობა, რომელიც მოქმედებს გადაწყვეტილების მიღებასა და მის შედეგებზე. იმპულსების ამყოლი ხელმძღვანელი კარგავს ობიექტური განსჯის უნარს და დაუფიქრებელი მოქმედებით ან სიტყვით იჩენს უტაქტობას თანამშრომელთა მიმართ (ლომსაძე, 2021).

ხელმძღვანელის ფუნქციები მრავალგვარია და ამ ფუნქციის წარმატებით შესრულებისათვის პიროვნებას უნდა ახასიათებდეს მტკიცე ნებისყოფა, შეუპოვრობა და გამძლეობა, რაც წარმატების პირობაა. მართვის სპეციალისტები თვლიან, რომ ხელმძღვანელისათვის აუცილებელია ე.წ. „ლტოლვა პასუხისმგებლობისადმი“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელი თავის თავზე იღებს ძნელი ამოცანის გადაწყვეტას, არ ეშინია გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების, პასუხისმგებლობის. ხელმძღვანელის ადმინისტრაციულ თვისებად ითვლება სხვათა მოღვაწეობის მართვის უნარი. კარგ ხელმძღვანელად ითვლება არა ის, ვინც თვითონ მუშაობს კარგად, არამედ ვისი კოლექტივიც მუშაობს კარგად. იმისათვის, რომ იყოს ხელმძღვანელი არა მარტო თანამდებობით, არამედ თვისებებით, პიროვნებას უნდა ახასიათებდეს სოციალური ლიდერის განსაზღვრული თვისებები, რაც გავლენას ახდენს თანამშრომლებზე (ხომერიკი, 2000). ხელმძღვანელმა უნდა იცოდეს ადამიანთა ფსიქოლოგიური თავისებურებანი. ეს ხელს შეუწყობს მას მონახოს საფუძველი მათდამი სწორი ინდივიდუალური მიდგომისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს უნარიანად გაანაწილოს მათ შორის ვალდებულებები. ხელმძღვანელმა უნდა მონახოს ამა თუ იმ პრობლემის ორიგინალური გადაწყვეტა და ბრმად არ მიყვეს სხვათა გამოცდილებას, რადგან სხვათა გავლენის ქვეშ მოყოლილი ადამიანი ადვილად კარგავს ავტორიტეტს.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ადამიანთა ურთიერთობის ორი სახე: ფორმალური და არაფორმალური. ფორმალური სტრუქტურა ყალიბდება ორგანიზაციის ფარგლებში არსებული ოფიციალური ვალდებულებებით. თითოეული წევრი მოვალეა ურთიერთობა დაამყაროს დანარჩენებთან განსაზღვრული წესებისა და დაქვემდებარების შესაბამისად. მაგრამ ამასთანავე ყოველთვის ყალიბდება ურთიერთობათა არაფორმალური სტრუქტურა, რაც გარკვეულ კავშირშია პირად ურთიერთობებთან, სიმპათიებსა და ანტიპათიებთან, ინტერესებთან, ღირებულებით ორიენტაციებთან და სხვა. ცხოვრების განვითარება და გართულება თანდათანობით მოითხოვს ცვლილებების შეტანას ხელმძღვანელობის საკითხების გადაჭრის გზებშიც. თანდათანობით წინა პლანზე გამოდის არაფორმალური, არაოფიციალური და არაადმინისტრაციული ურთიერთობები, ხდება დაახლოება ოფიციალური ხელმძღვანელის და ჯგუფის არაოფიციალური ლიდერის როლებს შორის, ამის საფუძველი კი ფსიქოლოგიური მექანიზმები უფროა, ვიდრე სხვა რამ. არაოფიციალური ჯგუფისათვის მთავარი ფსიქოლოგიური კანონზომიერებებია და ეს ეხება ხელმძღვანელსაც. ყოველგვარ ჯგუფსა და კოლექტივში არაფორმალური, შინაგანი დამოკიდებულებების გამო მთავარი ხდება პიროვნული თვისებები, სხვებზე ზემოქმედების უნარები და მათი გაძღოლის ხელოვნება. სწორედ ეს განაპირობებს ლიდერის

(არაოფიციალური ხელმძღვანელის) სტატუსის აღიარებას სხვათა მიერ, მის გაყოლას, მის დაქვემდებარებას და მთლიანი ჯგუფის შეკვრას. სასურველია ყოველი ხელმძღვანელი იყოს ლიდერიც, ე.ი. შინაგანად, ფსიქოლოგიურად მისაღები და არა მხოლოდ გარედან დანიშნული.

ოფიციალურ და ფორმალურ ჯგუფებში მთავარია როლების ფუნქცია, თანამდებობრივი უფლებები და ვალდებულებები, რაც ოფიციალური სტატუსით განისაზღვრება. საქმის წარმატებაც და თვით ჯგუფის ორგანიზება და სიმტკიცეც იზრდება, როცა დაკისრებულ როლსა და მოვალეობებს თანხვდება არაოფიციალური დამოკიდებულებები, როცა მოცემული პირი არა მხოლოდ პირადი ინტერესებით კმაყოფილდება, ხოლო როდესაც ხელმძღვანელი (დირექტორი) არაა შინაგანად კოლექტივისათვის, რადგან იგი არ ფლობს პირადი თვისებებიდან და დამოკიდებულებებიდან გამომდინარე ავტორიტეტს, ასეთი ხელმძღვანელი ფაქტიური ლიდერი ვერ გახდება, რის გამოც საქმეც ფუჭდება და ადამიანებს შორის ურთიერთობაც, ამ დროს ხელმძღვანელი მხოლოდ სკამის ავტორიტეტის ამარად რჩება და კონფლიქტების ზრდის კვალდაკვალ იზრდება ოპოზიცია და განხეთქილება კოლექტივში. ამიტომ აუცილებელია, რომ ოფიციალურმა ხელმძღვანელმა იცოდეს კოლექტივის არაოფიციალური სტრუქტურა. კოლექტივის წევრებზე არაფორმალურ ურთიერთობათა სისტემის საშუალებით რომ იქონიოს გავლენა, ხელმძღვანელს თვითონ უნდა ეჭიროს ამ სისტემაში ღირსეული ადგილი. მას ნათელი წარმოდგენა უნდა ჰქონდეს თავის რეალურ /არა მარტო ოფიციალურ/ მდგომარეობაზე კოლექტივში. ადამიანებთან ურთიერთობებში ხელმძღვანელები ავლენენ თავიანთ თვისებებს და იყენებენ ამა თუ იმ ხალხს, რომელთა საფუძველზე თავის მხრივ ყალიბდება ხელმძღვანელის განსაზღვრული ტიპი, რაც გარკვეულ კავშირში იმყოფება პიროვნების ხასიათის ტიპსა და სხვა თვისებებთან. არჩევენ ხელმძღვანელის ავტორიტარულ /ანუ ერთპიროვნულ/, დემოკრატიულ /ანუ კოლექტიურ/ და ლიბერალურ/ ანუ დათმობით/ ტიპებს (ლანდაუ & პენტონი, 1992).

ავტორიტარული ტიპი თვითონ იღებს ყველა სადავეს ხელში, იგი მკაცრად აკონტროლებს თანამშრომელთა მოქმედებას, ხშირად ერევა მათ საქმიანობაში და მოითხოვს მიცემული მითითებების პუნქტუალურ შესრულებას. ასეთ სიტუაციაში თანამშრომლებს მხოლოდ მინიმალური შესაძლებლობები რჩებათ დამოუკიდებლობის და ინიციატივის გამოვლენისათვის. ხელმძღვანელობის ავტორიტარული ტიპის ღირსება კოლექტივზე ცენტრალიზებულ ზემოქმედებაშია, რის შედეგადაც თანამშრომელთა საქმიანობა ოპერატიულად წარიმართება, მაგრამ ასეთი ტიპი სტიმულს არ აძლევს თანამშრომელთა ინიციატივას. ხელმძღვანელის მიერ ავტორიტარული მეთოდების გამოყენება გამართლებულია ზოგიერთი ობიექტური სიტუაციის დროს: როცა არასათანადო დონეზეა დისციპლინა და წესრიგი კოლექტივში, დარღვეულია მმართველობა და აუცილებელია მისი რეორგანიზაცია, საჭიროა ნაკლოვანებათა დროული, ოპერატიული გამოსწორება. ასეთი მეთოდი ზოგჯერ უნდა გამოიყენოს ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა, რომელსაც ჩამორჩენილი უბანი ჩააბარეს (ლომსაძე, 2021).

დემოკრატიული /კოლექტიური/ ხელმძღვანელობის დროს გადაწყვეტილების გამოტანისას ხშირად უწევენ ანგარიშს კოლექტივის წევრებს, ფართოდ იყენებენ წაკითხვის, განხილვის, შეთანხმებისა და კონტროლის კოლექტიურ ფორმებს. ასეთი ხელმძღვანელი თავის უფლებამოსილების ნაწილს უნაწილებს თანამშრომლებს, თვითონ კი მხოლოდ განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხებს წყვეტს. დემოკრატიული ტიპის ხელმძღვანელის უპირატესობაა - თანამშრომელთა კმაყოფილება სამუშაოთი, კეთილსასურველი პირობების შექმნა ინიციატივის გამოვლენისათვის. ამის მიუხედავად ნაკლოვანებებისაგან არც ეს ტიპია დაზღვეული. ის გამოუსადეგარია ისეთ სიტუაციაში, როცა დრო არაა დისკუსიებისა და განხილვისათვის და საჭიროა საკითხის ერთპიროვნული, სწრაფი გადაწყვეტა.

გამოყოფენ აგრეთვე ხელმძღვანელობის ლიბერალურ ტიპს, რომელიც ხასიათდება ხელმძღვანელის მინიმალური ჩარევით კოლექტივის საქმიანობაში. ხელმძღვანელი ამ შემთხვევაში გამოდის შუამავლის როლში თავისსა და სხვა წევრებს შორის კონტაქტების განხორციელებისას. ხელმძღვანელის ლიბერალური ტიპი შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მიზანი ნათელია და ხელქვეითთა მუშაობას აქვს ინდივიდუალიზებული, შემოქმედებითი ხასიათი. ისინი დამოუკიდებლად გეგმავენ და აორგანიზებენ თავიანთ საქმიანობას. ხელმძღვანელი ასრულებს ხელქვეითთა მუშაობის სტიმულატორის და კონტროლიორის როლს. ლიბერალური ტიპი ხშირად მისაღებია სამეცნიერო-კვლევით კოლექტივში, სადაც მოითხოვება მაღალი შემოქმედებითი აქტივობა და მნიშვნელოვანია დამოუკიდებლობა. მაგრამ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში და საწარმოო საქმიანობაში ხელმძღვანელობის ამ ტიპის გამოყენება მიუღებელია.

პრაქტიკულად ამა თუ იმ ხელმძღვანელობის ტიპი სუფთა სახით იშვიათად გვხვდება. ხშირია ხელმძღვანელობის ტიპების რომელიმე კომბინაცია. ასეთ შემთხვევაში ხელმძღვანელი ცდილობს გამოიყენოს ამა თუ იმ ტიპის დადებითი თვისებები და გაანეიტრალოს, შეასუსტოს მისი ნეგატიური მხარეები. ასეთი რამ მეტად სასარგებლოა, რადგან მოცემული ტიპებიდან თითოეულს აქვს გამოყენების და განვითარების განსხვავებული პერსპექტივა.

თუ კოლექტივში ფსიქოლოგიურად შეუთავსებელი ადამიანები არიან, იქ იქმნება ხელსაყრელი პირობა წევრთა შორის კონფლიქტისათვის. საერთო ინტერესებისა და მოთხოვნების დროს ადამიანებს უჩნდებათ ერთად დასვენების, ერთად შრომისა და სხვა მსგავსი სურვილები. რაც შეეხება კონფლიქტებს, მათი ბუნება სხვადასხვაა. ზოგჯერ მათ საქმიანი საფუძველი აქვთ და აღმოცენდებიან რთული პრობლემების გადაწყვეტისას, ზოგჯერ კონფლიქტს შეიძლება გააჩნდეს პირადი და ხანდახან არცთუ საქმიანი ბუნება. მწვავე კონფლიქტები უარყოფითად მოქმედებს ადამიანთა ნერვიულ-ფსიქიკურ მდგომარეობაზე. ასეთ შემთხვევაში ადამიანი, რომელიც მწვავედ განიცდის წარუმატებლობას, შეიძლება აღმოჩნდეს განსაკუთრებულ ფსიქიკურ მდგომარეობაში - ფრუსტრაციაში. ესაა ემოციური დაძაბულობის მდგომარეობა, ფსიქიკური დარღვევა. ფრუსტრაციის დროს იცვლება ადამიანის მოქმედების ძველი გზა და იგი თავის ფსიქიკურ ენერგიას გადართავს ნამდვილი ან წარმოსახვითი წინააღმდეგობების დასაძლევად. კონფლიქტურ სიტუაციაში ადამიანები სხვადასხვანაირად იქცევიან: ზოგს მრისხანება ეუფლება, ზოგი გარეგნულად წყნარი და პასიურია, მაგრამ ყველანი რაღაც გზებს ეძებენ წინაღობის დასაძლევად. ზოგიერთ ადამიანში კონფლიქტი არ იწვევს ფრუსტრაციას. ასეთ ადამიანებზე ამბობენ, რომ ისინი ფლობენ მოთმინებას, მდგომარეობას. ყველაზე „ჯანმრთელი" მათ შორის ისეთი ფსიქიკური მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანი იჩენს სიმშვიდეს და მომხდარ ფაქტს უყურებს, როგორც ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილს. ზოგიერთი ადამიანი კი გაღიზიანებული და აგრესიული ხდება; ფრუსტრაციის ერთ-ერთ ასეთ გამოვლენად ითვლება ადამიანის აგრესიულობა წარუმატებლობის გადატანის შემდეგ. აგრესიულობა ვლინდება მრისხანებაში, იმპულსურ, უწესრიგო რეაქციაში, სიზმრებში და უხეშობაში. მსგავსი კონფლიქტები არასასურველია ხელმძღვანელებისათვის და ზოგჯერ ისინი ცდილობენ ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილონ თანამშრომლის დასაბუთებული თხოვნა. მაგრამ ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს სხვა თანამშრომლებზე, რომელთა თვალშიც იქმნება არასწორი შთაბეჭდილება - თითქოს კოლექტივში მხოლოდ ასეთ ადამიანებს შეუძლიათ წარმატებებზე ფიქრი და ისინიც იწყებენ ზეწოლას ხელმძღვანელზე. ამ დროს საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება მათ გადასალახავად. კონფლიქტთა გადაჭრის მნიშვნელოვანი საშუალებაა მართვის სწორი ორგანიზაცია, ეფექტური და სამართლიანი მორალური და მატერიალური სტიმულირება, კადრების სწორი შერჩევა და განაწილება ფსიქოლოგიური შეუთავსებლობის გათვალისწინებით. კონფლიქტის სრულფასოვანი და დროული გადაწყვეტა ითვალისწინებს ორ მომენტს: განხეთქილების მიზეზის ლიკვიდაციასა და კონფლიქტით გამოწვეული უარყოფითი ემოციების მოხსნას ან შემცირებას.

ადამიანური თვისებებისა და ქცევებისადმი დამოკიდებულება მნიშვნელოვნადაა გაშუალებული შრომის პირობებით და შინაარსით, აგრეთვე იმ მდგომარეობის თავისებურებებით, რომელიც ამა თუ იმ ინდივიდს უკავია საქმიან სტრუქტურაში. თუ კოლექტივის რომელიმე წევრის რაიმე თვისება ხელს უწყობს თანამშრომელთა ერთობლივ მოქმედებას, მაშინ კოლექტივის წევრები ძირითადად დადებითად აფასებენ მას.

ჩავატარეთ კვლევა ანკეტის გამოყენებით, რომელიც ფოკუს-ჯგუფის პრინციპით შევარჩიეთ. მონაცემები დამუშავდა კონტენტ-ანალიზის მეთოდით. **კვლევის მიზანი** იყო ხელმძღვანელისთვის აუცილებელი ფსიქოლოგიური თვისებების გამოვლენა და მისადმი ხელმძღვანელის და თანამშრომლების დამოკიდებულებების გარკვევა.

კვლევა ჩატარდა 60 ხელმძღვანელზე და 120 დასაქმებულზე, რაც კვლევაში **დამოუკიდებელ ცვლადებს წარმოადგენს**. **დამოკიდებული ცვლადები** კი არის კითხვარში შეტანილი ფსიქოლოგიური თვისებები.

გამოკითხვა ჩატარდა დისტანციურად, ანონიმურ რეჟიმში. მონაცემების დამუშავების შედეგად დადგინდა 5 ძირითადი ფსიქოლოგიური თვისება, რომელსაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ექსპერიმენტში მონაწილე თითოეული ჯგუფის წევრები წარმატებული ხელმძღვანელისთვის.

დასაქმებულთა ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ეს თვისებებია: კარგი თვისებების შემჩნევის უნარი, ემპათია, ადამიანების ნდობა, ობიექტურობა, გულისხმიერება, ხოლო ხელმძღვანელების ჯგუფის წარმომადგენლებისთვის ეს თვისებებია: ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ფუნქციების შესრულება, მომთხოვნელობა, სიმკაცრე, თავდაჯერებულობა და კონტროლირება.




ამრიგად, გამოკითხვამ ცხადყო, რომ ხელმძღვანელი მუშაკისათვის საჭირო თვისებების ხუთბალიანი სისტემით შეფასების დროს, ისინი მრავალ საკითხში (შრომისმოყვარეობა, პატიოსნება, სამართლიანობა, ტაქტი, სხვა ადამიანების სიყვარული, მომთხოვნელობა საკუთარი თავისადმი, პირადი მაგალითით დამუხტვა, თანამედროვე პრობლემების ცოდნა და სხვა) თანაბარ მოსაზრებებს გამოთქვამდნენ, მაგრამ ისეთი თვისებების შეფასებისას, როგორიცაა თავისუფალი დროის გაფრთხილება, კარგი თვისებების შემჩნევის უნარი, ემპათია, ადამიანების ნდობა, ტოლერანტობა, გულისხმიერება და სხვა, ხელმძღვანელები და თანამშრომლები აშკარად განსხვავებულ და ზოგჯერ საწინააღმდეგო პასუხებსაც იძლეოდნენ. რიგითი თანამშრომლები ხელმძღვანელებისაგან უფრო მეტ გულისხმიერებასა და კოლექტივის წევრთა პიროვნებათაშორისი ურთიერთობის მოწესრიგებას მოითხოვენ, მაშინ, როდესაც ხელმძღვანელები ადმინისტრაციულ-განმკარგულებელი ფუნქციების შესრულებას, მომთხოვნელობასა და კონტროლირებას აყენებენ წინა პლანზე.

რეკომენდებული იქნებოდა, ხელმძღვანელმა გაიცნობიეროს დასაქმებულთა შეხედულებები, რაც იქნება წინაპირობა იმისა, რომ ოფიციალური (დანიშნული) ხელმძღვანელი, არაოფიციალურ ლიდერადაც იქცევა. ყოველივე ეს კი სამუშაო ჯგუფში დადებითი ფსიქოლოგიური კლიმატის და შესაბამისად ეფექტური მუშაობის მოტივაციის შექმნას უზრუნველყოფს.

**ბიბლიოგრაფია:**


კარნეგი, დ. (1992). *როგორ შევიძინოთ მეგობრები, როგორ მოვიმხროთ ადამიანები.* თბილისი.

ლანდაუ, რ., & პენტონი, ფ. (1992). *ეფექტური კომუნიკაცია.* თბილისი.

ლომსაძე, ქ. (2021). *პრაქტიკული ფსიქოლოგია.* გორი: გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მოლი, ჯ. (2001). *მენეჯმენტი და ბიზნესის კულტურა ევროპაში.* თბილისი.

ფილიპი, დ. (2001). *როგორ დავიწყოთ.* თბილისი.

ხომერიკი, თ. (2000). *მენეჯმენტი.* თბილისი.

Mayer, C.-H., Krasovska, N., & Fouche, P. J. (2021). The Meaning of Life and Death in the Eyes of Frankl: Archetypal and Terror Management Perspectives. *Europe's Journal of Psychology, 17*(3), 164-175.

Волков, И. П. (1989). *Руководителю о человеческом факторе: социально-психологический практикум.* Ленинград.

Дафт, Р. Л. (2000). *Менеджмент.* Санкт-петербург: Питер.

Тутушкина, М. К. (Ред.). (1996). *Практическая психология для менеджеров.* Москва.

***Ketevan Lomsadze, Beka Toliashvili***
*Gori State University*

**ABOUT THE PSYCHOLOGICAL PORTRAIT OF THE MANAGER**

**RESUME**

In order to create psychologically positive working environment, the interdependence of employees and their leader is essential component that must be taken into consideration.

We carried out a survey using questionnaire, which was designed according to focus-group methodology. Using content-analysis, results were interpreted. The aim of the survey was to identify the vital personality traits of a leader and to specify what workers and also leaders themselves think about those particular features.

Survey conducted that while using a 5-point assessment scale, leaders and workers did share a mutual opinion about many traits, like: diligence, conscientiousness, impartiality, tactfulness, self-discipline, awareness of present-day issues, capability of loving people, motivating them (especially by personal experience). On the contrary they expressed different opinion while assessing characteristics like: taking care of free time, noticing good in people, empathy, trusting others, benevolence, tolerance and being considerate. Here the viewpoint of worker and leaders was not only dissimilar, but also contradictory. Co-workers requested their managers to be more benevolent and more considerate about organizing interrelationship between everyone at the workplace, whereas leaders and managers prioritized overcoming administrative tasks, meeting usual demands and controlling over the place.

***Keywords:*** Empathy, Content analysis, Motivation, Psychological environment.

*ეთერ მახარაძე*
*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ჰანს რაიხენბახისა და ადოლფ გრიუნბაუმის ნატურფილოსოფიის ზოგიერთი ასპექტის შესახებ

***საკვანძო სიტყვები:*** კონგრუენტობა, კონვენციონალობა, მიზეზობრიობა, ანიზოტროპულობა, ენტროპია.

გერმანელი ფილოსოფოსი ჰანს რაიხენბახი (1891-1953) „მესამე პოზიტივიზმის“ ანუ ნეოპოზიტივიზმის ერთ-ერთი ლიდერია მორის შლიკთან ერთად. იგი ითვლება XX საუკუნის მეცნიერების ფილოსოფიის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად, რომლის ფილოსოფიური ინტერესის ერთ-ერთ მთავარ ობიექტს სივრცისა და დროის პრობლემა წარმოადგენდა. ამ პრობლემას მან 1928 წელს მიუძღვნა სქელტანიანი ფუნდამენტური გამოკვლევა „სივრცე-დროის ფილოსოფიური მოძღვრების ფილოსოფია“, რომელშიც მოცემულია აინშტაინის რელატიურობის თეორიის ფილოსოფიური ანალიზი და შემუშავებულია ორიგინალური ფილოსოფიური კონცეფცია სივრცისა და დროის შესახებ.

ადოლფ გრიუნბაუმი (დაიბადა 1923 წელს) პიტსბურგის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერების ფილოსოფიის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი, სივრცისა და დროის ფილოსოფიური პრობლემის ცნობილი მკვლევარია. 1963 წელს მან გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი „სივრცისა და დროის ფილოსოფიური პრობლემები“ (რუსულად ითარგმნა 1969 წელს), რომელიც დღემდე ყველაზე ღირებულად ითვლება ამ პრობლემის კვლევის ისტორიაში. ა. გრიუნბაუმი თავს რაიხენბახის ფილოსოფიისაგან დავალებულად თვლის, თუმცა ხშირად თავისი მასწავლებლის თვალსაზრისს კრიტიკულად აანალიზებს და საკუთარ კონცეფციას უპირისპირებს.

ქვემოთ შევეხებით სივრცისა და დროის ფილოსოფიის რამდენიმე საკითხს და ვაჩვენებთ რაიხენბახისა და გრიუნბაუმის თვალსაზრისების მსგავსება-განსხვავებას ამ საკითხთან დაკავშირებით.

ორივე მოაზროვნის ერთ-ერთ მთავარ ინტერესს სივრცისა და დროის მონაკვეთების კონგრუენტობის (ტოლობის) პრობლემა წარმოადგენს. ეს პრობლემა კი მოიცავს როგორც სივრცის მონაკვეთების ინტერვალების გაზომვით, ასევე ერთდროულობის ცნობილ პრობლემასაც, რომელიც აინშტაინის რელატიურობის თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ მკვლევართა (განსაკუთრებით მეცნიერების ფილოსოფია) განუწყვეტელი დავის ობიექტს წარმოადგენს.

სივრცის პრობლემასთან დაკავშირებით ორივე მოაზროვნის ყურადღებას იპყრობს სიგრძის მონაკვეთების ტოლობა-უტოლობის საკითხი. როგორ უნდა დავადგინოთ სივრცეში ერთმანეთისაგან დაშორებული სიგრძის ორი მონაკვეთის ტოლობა? სიგრძის ორი მონაკვეთი, რომელიც ერთ სისტემაში ტოლია ერთ-ერთი მათგანის გადაადგილების შედეგად შესაძლებელია უთანაზომო აღმოჩნდეს. ამ ფაქტის ემპირიული დასაბუთება შეუძლებელია, ვინაიდან თუ მათ ერთმანეთთან მივიტანთ და მათ ტოლობას კვლავ დავადგენთ, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მათი განცალკევების შემთხვევაში სხვადასხვა ბუნებრივი (თერმული, გრავიტაციული და ა.შ.) ძალების ზემოქმედების შედეგად უთანაზომო არ გახდეს. ყოველ შემთხვევაში, ლოგიკურად ასეთი შესაძლებლობის გამორიცხვა შეუძლებელია.

აღნიშნულის საფუძველზე, რაიხენბახი თვლის, რომ სივრცეში დაშორებული სიგრძის მონაკვეთების კონგრუენტობის დასაბუთება ან უარყოფა, ე.ი. შემეცნება შეუძლებელია. ერთ-ერთ გამოსავალს იგი იმაში ხედავს, რომ მათი ტოლობა კონვენციურად დეფინიციის საშუალებით მივიღოთ „მითითებული მასშტაბი იმავე სიდიდისაა თუ არა, როდესაც იგი სხვა ადგილზე გადაგვაქვს, - წერს იგი, - არის არა შემეცნებადი, არამედ იგი მხოლოდ დეფინიციის საშუალებით დგინდება“ (Грюнбаум, 1963, стр. 24). ეს იმას ნიშნავს, რომ სივრცეში დაშორებულ სიგრძის მონაკვეთებს ჩვენ ვუწოდებთ ტოლებს, თუმცა ამავე უფლებით შესაძლებელია, რომ მათ უთანაზომო ვუწოდოთ. არც ერთ შემთხვევაში ლოგიკურ წინააღმდეგობას არ წავაწყდებით, ორივე აღწერა ეკვივალენტური მნიშვნელობის მქონეა. ამგვარ აღწერებს რაიხენბახი ეკვივალენტურ აღწერებს უწოდებს, რომელთაც ჭეშმარიტების შემეცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ა. გრიუნბაუმისათვის პრინციპულად მისაღებია რაიხენბახის კონვენციონალისტური თვალსაზრისი სიგრძის მონაკვეთების ტოლობის შესახებ, თუმცა იგი თავის მხრივ ამ თვალსაზრისს სიგრძის მონაკვეთების ტოლობის შესახებ აზუსტებს. კონგრუენტობის პრობლემა მას ორი აზრით ესმის. ერთ შემთხვევაში ლაპარაკია სივრცეში გადაადგილებული ერთმანეთისაგან დაშორებული სიგრძის მონაკვეთების ტოლობა-უტოლობის შესახებ. დარჩება თუ არა ტოლი სიგრძის მონაკვეთები მაშინ, როცა მათ სივრცეში ერთმანეთისაგან დავაშორებთ? ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ფიზიკური ძალების ზემოქმედების შედეგად მათი ტოლობა დაირღვა? იგივე კითხვა დაისმის დროის ინტერვალების ტოლობის შესახებაც. ორი სინქრონული საათიდან თუ ერთ-ერთს, ვთქვათ, ავსტრალიაში წავიღებთ, შეგვიძლია თუ არა კვლავ ვამტკიცოთ მათი სინქრონულობა? მეორე შემთხვევაში საქმე ეხება მოცემული სიდიდის არა სხვასთან, არამედ თავის თავთან ტოლობის საკითხს. რჩება თუ არა სიგრძის მონაკვეთი ან დროის ინტერვალი თავისი თავის ტოლი, თუ მას სხვა ადგილზე გადავიტანთ? კონგრუენტობის ამ ასპექტს გრიუნბაუმი თვით კონგრუენტობას უწოდებს და არსებითად კვლავ კონვენციალისტურად წყვეტს თვითნებური დეფინიციების დაშვებისა და შემეცნების შესაძლებლობის უარყოფის შედეგად.

სივრცისა და დროის კონგრუენტობის პრობლემა უშუალოდ დაკავშირებულია ერთი მხრივ გეომეტრიის რელატიურობის, ხოლო მეორე მხრივ, ერთდროულობის პრობლემასთან. ორივე შემთხვევაში, გრიუნბაუმი ძირითადად ეთანხმება რაიხენბახს, თუმცა მაინც მოტივირებულად აანალიზებს მის კონცეფციას და ორიგინალურ მოსაზრებებს გამოთქვამს ორივე პრობლემის შესახებ.

ცნობილია, რომ გეომეტრიის რელატიურობის პრობლემა არაევკლიდური გეომეტრიული სისტემების წარმოშობის შემდეგ ჩამოყალიბდა მანამდე ევკლიდური გეომეტრიის ერთადერთობის პირობებში ბუნებაში ასეთი პრობლემა არ შეიძლებოდა დასმულიყო, ვინაიდან ევკლიდური გეომეტრია არა მარტო ერთადერთ შესაძლებელ, არამედ აბსოლუტურ გეომეტრიად ითვლებოდა. არაევკლიდური გეომეტრიული სისტემები, რომლებიც XIX საუკუნის 30-50-იან წლებში ჩამოყალიბდა, ისეთივე ჭეშმარიტების პრეტენზიით გამოდიოდა, როგორც მისი წინამორბედი ევკლიდური გეომეტრია. სწორედ ამიტომ მთელი სიმწვავით დაისვა საკითხი ერთ-ერთი მათგანის ჭეშმარიტების პრივილეგირებულობის შესახებ. ამ პრობლემას პირველად ა. პუანკარემ მიაქცია ყურადღება, რომელმაც მისი გადაწყვეტა კონვენციონალიზმის საფუძველზე სცადა. მაგრამ იგივე პრობლემა ყველაზე სრულყოფილად მაინც რაიხენბახმა განიხილა მის ზემოხსენებულ წიგნში „სივრცე-დროის მოძღვრების ფილოსოფია“. რაიხენბახი თვლის, რომ ევკლიდური და არაევკლიდური გეომეტრიებიდან არცერთს არ შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს; თითოეული მათგანი ჭეშმარიტების თვალსაზრისით ეკვივალენტურია. ეს იმას

ნიშნავს, რომ არცერთი მათგანი არ არის უფრო ჭეშმარიტი ან უფრო მცდარი, ვინაიდან არცერთი მათგანი შემეცნებას არ წარმოადგენს, რის გამოც მათ ჭეშმარიტება-მცდარობის პრედიკატები არ მიეწერება. რაიხენბახი გვეუბნება, რომ ზოგჯერ ევკლიდური გეომეტრიის უპირატესობას მის ინტუიციურობაში ხედავენ. მართლაც, ევკლიდური გეომეტრიის აქსიომები უფრო თვალსაჩინოა, ვიდრე არაევკლიდური. მაგრამ საბოლოოდ, რაიხენბახი ევკლიდური გეომეტრიის ამ უპირატესობასაც უარყოფს. იგი თვლის, რომ ჩვენ ევკლიდურ სივრცეში ვცხოვრობთ და მიჩვეული ვართ ევკლიდურ მიმართებებს. თუ ჩვენ არაევკლიდურ სივრცეში ვიცხოვრებდით, მაშინ არაევკლიდური ტოლობის მიმართებანი ისევე თვალსაჩინო იქნებოდა, როგორც ევკლიდური. ამასთანავე, რაიხენბახს შესაძლებლად მიაჩნია, არაევკლიდური გეომეტრიის გათვალსაჩინოება. ასეთ შემთხვევაში კი ევკლიდური გეომეტრია მთლიანად დაკარგავს პრივილეგირებულ მნიშვნელობას.

მიუხედავად ამისა, რაიხენბახი ევკლიდური გეომეტრიის ერთადერთ უპირატესობას სიმარტივეში ხედავს. ევკლიდური სივრცე უფრო მარტივია და, მაშასადამე ჩვენთვის უფრო ხელმისაწვდომი. აქ აშკარაა რაიხენბახის კონვენციონალისტური თვალსაზრისი. სიმარტივე, სიმარჯვე, მოხერხებულობა კრიტერიუმებად ითვლება, რაც საშუალებას გვაძლევს, რომ ევკლიდური გეომეტრია ავირჩიოთ. მაგრამ რაიხენბახი არც ამაში ხედავს გამოსავალს. არსებითად ყველა გეომეტრიული სისტემა ეკვივალენტურია და ამაში მდგომარეობს გეომეტრიის რელატიურობის პრობლემის კონვენციონალისტური გადაწყვეტა, რომლის პოზიციებზეც რაიხენბახი დგას. დეფინიციის შეცვლა გეომეტრიული სისტემის შეცვლას იწვევს. ხოლო ეს დეფინიციები (ევკლიდური და არაევკლიდური) სრულიად ტოლფასოვანია.

ა. გრიუნბაუმი აკრიტიკებს ამ თვალსაზრისს და ამტკიცებს, რომ „არსებობს უსასრულოდ ბევრი სხვა კონგრუენტობის დეფინიციები, რომლებიც ასევე ზუსტად გვაძლევს ევკლიდურ გეომეტრიას, მაგრამ ისინი ჩვეულებრივ დეფინიციასთან შეუთავსებადია“ (Грюнбаум, 1963, стр. 119-120). ეს ნიშნავს, რომ ტოლობის დეფინიციის შეცვლას, როგორც რაიხენბახი ფიქრობს, ყოველთვის როდი სდევს თან გეომეტრიის შეცვლა. მისი აზრით, არსებობს ისეთი ტოლობის დეფინიციები, რომლებიც ევკლიდური გეომეტრიის და, საერთოდ, გეომეტრიის შეცვლას არ იწვევს. მიუხედავად ამ კრიტიკული შენიშვნებისა, გრიუნბაუმისათვის მაინც მისაღებია გეომეტრიული სისტემების ეკვივალენტურობის პრინციპი მათი შემეცნებადობის უარყოფის საფუძველზე. მეორე პრობლემა, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია სივრცის მონაკვეთებისა და დროის ინტერვალების კონგრუენტობის პრობლემასთან, არის ერთდროულობის პრობლემა. იგი, როგორც ცნობილია, წარმოიშვა აინშტაინის რელატიურობის სპეციალური თეორიის ჩამოყალიბების შემდეგ. აინშტაინამდე ნიუტონის სივრცისა და დროის თეორიაში დაშვებული იყო სივრცეში დაშორებული ხდომილობების აბსოლუტური ერთდროულობა. ეს კონცეფცია კლასიკურ ფიზიკაში გაბატონებულ შორსმოქმედების პრინციპს ემყარებოდა. იგი შესაძლებლად თვლიდა მოქმედების მყისიერ გადაცემას ნებისმიერ მანძილზე. ცხადია, ამ შემთხვევაში მხედველობაში იყო სინათლის სიჩქარე. აინშტაინის რელატიურობის თეორია კი ახლო მოქმედების პრინციპიდან ამოდის, რომლის მიხედვით მოქმედების გადაცემა ხდება სივრცეში არსებული შუამავალი პუნქტების გავლის გზით და, მაშასადამე, სინათლის სიჩქარე თუმცა უსწრაფესია, მაგრამ მაინც სასრულია და გავრცელებისათვის დროს საჭიროებს. ამას კი შედეგად მოსდევს სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის რელატიურობა. სივრცეში დაშორებული ორი ხდომილება ერთი მოძრავი სისტემის მიმართ შესაძლებელია ერთდროული იყოს, მაგრამ არ იყოს ერთდროული სხვა სისტემებიდან გაზომვის შედეგად. ამიტომ შეუძლებელია ლაპარაკი სივრცეში დაშორებული ხდომილობების აბსოლუტური ერთდროულობის შესახებ. იგი სხვადასხვა მიმართებაში სხვადასხვა მნიშვნელობას იღებს და ამაში მგომარეობს ერთდროულობის რელატიურობა. ამასთანავე, მიჩნეულია, რომ არცერთი დეფინიცია არ არის უპირატესი, პრივილეგირებული, ვინაიდან მათი მნიშვნელობა მხოლოდ და მხოლოდ მოცემული სისტემის ფარგლებით განისაზღვრება და ამ სისტებემის გარეშე აზრი არ აქვს.

აინშტაინის ამ ფიზიკური თეორიის საფუძველზე რაიხენბახი აყალიბებს ფილოსოფიურ კონცეფციას სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის შესახებ.

აინშტაინი, ისევე როგორც ფიზო, რომელმაც სინათლის სიჩქარე განსაზღვრა, იმ დებულებიდან ამოდის, რომ სინათლე ცარიელ სივრცეში ყველა მიმართულებით თანაბარი სიჩქარით ვრცელდება. ამაზეა დაფუძნებული აინშტაინის ერთდროულობის თეორია. რაიხენბახი ამტკიცებს, რომ ამგვარი გამოანგარიშება ლოგიკურ წრეს შეიცავს. წინასწარ დაშვებულია, რომ სინათლე თანაბარი სიჩქარით ვრცელდება და შემდეგ იკვლევენ იმას, თუ დროის რა მონაკვეთში გაიარა სხეულმა ესა თუ ის მონაკვეთი. თუ იმთავითვე დავუშვებთ სინათლის სიჩქარის მუდმივობას, მაშინ აზრი აღარ ექნება შემდგომი გაზომვის წარმოებას, ვინაიდან დაშვებული უკვე გულისხმობს გაზომვის შედეგებს. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ აინშტაინი ამოდის სინათლის სიჩქარის პოსტულიზებიდან და მის საფუძველზე აგებს ერთდროულობის თეორიას.

რაიხენბახი კი სინათლის სიჩქარის პოსტულირებით არ კმაყოფილდება და საკითხს ლოგიკურ პლანში განიხილავს; სინათლის სიჩქარის გასაზომად აუცილებელია, რომ ორი სინქრონული საათი სივრცის სხვადასხვა ადგილზე მოვათავსოთ; ეს ნიშნავს, რომ სინათლის სიჩქარის გაზომვა წინასწარ გულისხმობს ერთდროულობის ცოდნას; მაგრამ მეორე მხრივ, საათების სინქრონულობის დადგენის ანუ ერთდროულობის გაზომვისათვის აუცილებელია, რომ წინასწარ ვიცოდეთ სინათლის სიჩქარე.

ამგვარად, შეიქმნა ლოგიკური წრე - „ერთმანეთისაგან დაშორებული მოვლენების ერთდროულობის დასადგენად ჩვენ გვესაჭიროება სინათლის სიჩქარის ცოდნა, ხოლო სიჩქარის გასაზომად გვესაჭიროება ერთმანეთისაგან დაშორებული მოვლენების ერთდროულობის ცოდნა“ (ა. გ. 256).

როგორ უნდა დავძლიოთ ეს წინააღმდეგობა? რაიხენბახი ფიქრობს, რომ ამისათვის საჭიროა უარი ვთქვათ სივრცეში დაშორებული ხდომილობების ერთდროულობის შეთანხმებაზე და თვითნებური დეფინიციების დაშვებით შემოვიფარგლოთ. მისი აზრით, - „შესაძლებელია სივრცეში დაშორებული ხდომილობების არა შემეცნება, არამედ დეფინიცია, რომელიც თვითნებურია“ (Грюнбаум, 1963, стр. 364). დეფინიციის თვითნებობა, ცხადია, აბსოლუტური როდია. იგი განსაზღვრულია გარკვეული პირობებით, რომლის ფარგლებში შესაძლებელია დეფინიციის თავისუფალი არჩევანი.

გრიუნბაუმი კი სივრცეში დაშორებული ხდომილობების საკმაოდ მარტივ განსაზღვრებას გვთავაზობს. „ორი ხდომილობა - წერს იგი, - ტიპოლოგიურად ერთდროულია, თუ ფიზიკურად შეუძლებელია სხვა ხდომილობათა არსებობა, რომელიც დროში მათ შორის იქნებოდა მოთავსებული“ (Reschendach, 1928, p. 257). ამ განსაზღვრებაში შესამჩნევია ტავტალოგიურობა. თუ ორ ხდომილობას შორის მესამე ხდომილობა არ არსებობს, მაშინ ცხადია, ერთდროულია, მაგრამ პრობლემას სწორედ ამ მესამე ხდომილობის არსებობა წარმოადგენს. ერთდროულობა ხომ სხვას არაფერს არ ნიშნავს, გარდა იმისა, რომ ორ ხდომილობას შორის მესამე ხდომილობა არ არსებობს. ამდენად, რაიხენბახის თვალსაზრისი ერთდორულობის შესახებ უფრო საფუძვლიანია და დამაფიქრებელი, ვიდრე გრიუნბაუმისათვის.

ამასთან კავშირშია დროის მიმართულების პრობლემა. რაიხენბახს სპეციალური წიგნი აქვს დაწერილი დროის მიმართულების შესახებ, რომლის დამთავრება მან ვერ მოასწრო. იგი ავტორის გარდაცვალების შემდეგ გამოსცა მისმა მეუღლემ მარია რაიხენბახმა. ჰ. რაიხენბახი თვლის, რომ დროის აბსოლუტური მიმართულება არ არსებობს. დროს აქვს მიმართულება აწმყოდან მომავლისაკენ და არა პირიქით. სწორედ ამიტომ დროის მიმართულება ეტროპიის ზრდის მიმართულებით უნდა განვსაზღვროთ. თუმცა არც მას აქვს აბსოლუტური მნიშვნელობა. დროის ერთ მიმართულებიანობას არსებითად ალბათური ხასიათი აქვს.

გრიუნბაუმი კი დროის მიმართულების პრობლემას იკვლევს ბუნებაში არსებული შებრუნებადი და შეუბრუნებადი პროცესების მიხედვით. დროის არაერთგვაროვნება შეუბრუნებადი პროცესების არსებობას უკავშირდება. მისი აზრით, დროს სხვადასხვა მიმართულებით სხვადასხვა თვისობრიობა აქვს და რომ შეუძლებელია დროის მიმართულების მიხედვით დროის ანიზოტროპულობის (არაერთგვაროვნობის) განსაზღვრა. „მტკიცება, - წერს იგი, - რომ შეუბრუნებადი პროცესები ხდის დროს ანიზოტროპულს, სრულიად არ არის ექვივალენტური იმისა, რომ დრო ერთი მიმართულებით მიედინება“ (Reschendach, 1928, p. 260).

რაიხენბახისა და გრიუნბაუმის თვალსაზრისების განსხვავება კარგად ჩანს დროის წესრიგისა და მიზეზობრიობის ურთიერთობის საკითხში. რაიხენბახი დროის წესრიგს მიზეზობრივი კავშირის მიხედვით განსაზღვრავს, რასაც არსებითი კავშირი აქვს მისი დროის კაუზალურ თეორიასთან - მიზეზი წინ უსწრებს შედეგს, ამიტომ თუ ცნობილია, რომ ერთი ხდომილობა არის მეორე ხდომილობის მიზეზი, მაშინ იოლია იმის თქმა, რომ პირველი უფრო ადრეა მეორეზე. აქვე იგულისხმება, რომ შედეგში არ შეიძლება იყოს იმაზე მეტი რეალობა, რაც მიზეზშია. ამ კონსტანტაციას რაიხენბახი უწოდებს მარკირების მეთოდს. გრიუნბაუმი კი ცდილობს დაასაბუთოს, რომ დროის წესრიგს არსებითი კავშირი არა აქვს მიზეზობრივი კავშირის შეუბრუნებადობასთან. რაიხენბახის მარკირების მეთოდი ლოგიკური წრის შემცველია. სახელდობრ, აქ იგულისხმება, რომ მიზეზობრივი წესრიგი წინასწარ გულისხმობს დროის წესრიგის არსებობას. სწორედ ამაში ხედავს გრიუნბაუმი რაიხენბახის კაუზალური თეორიის ნაკლს. გრიუნბაუმი გვთავაზობს ერთ მეთოდს, რომლის მიხედვით ორ ხდომილობას შორის სიმეტრიული მიზეზობრივი კავშირი არსებობს და არ შეიცავს მათგან ერთ-ერთის მეორეზე მითითებას. მას სურს ისეთი მიზეზობრივი კავშირის არსებობის დასაბუთება, რომელშიც მიზეზშედეგობრივი კავშირები ერთმანეთისაგან იქნება განცალკევებული.

ამ გზით მას შესაძლებლად მიაჩნია დროის წესრიგის ასიმეტრიულობის გამორიცხვა. ერთი სიტყვით, რაიხენბახი მიზეზშედეგობრივ კავშირს დროის მსვლელობასთან აკავშირებს, გრიუნბაუმი კი მათ ერთმანეთისაგან თიშავს.

რაიხენბახსა და გრიუნბაუმს შორის აზრთა სხვადასხვაობა აბსოლუტური სივრცის უარყოფის საკითხშიც მჟღავნდება. რაიხენბახი თვლის, რომ აინშტაინის რელატიურობის თეორიამ უარყო აბსოლუტური დროისა და სივრცის არსებობა. სივრცე და დრო რელატიურია და არა აბსოლუტური. ორივე მათგანი სხვადასხვა ათვლის სისტემაში სხვადასხვა მნიშვნელობას იძენს. მხოლოდ სივრცისა და დროის (სივრცე - დრო) უნივერსალური კავშირია აბსოლუტური. აინშტაინის რელატიურობის ზოგადმა თეორიამ, რომელიც ინერციული სისტემებით არ იფარგლება, კიდევ უფრო სრულყოფილად დაასაბუთა სივრცისა და დროის რელატიურობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გრიუნბაუმი აბსოლუტური სივრცისა და დროის თეორიისადმი ასე თუ ისე, სიმპათიურად არის განწყობილი. იგი სვამს კითხვას, უარყოფს თუ არა აინშტაინის რელატიურობის ზოგადი თეორია აბსოლუტურ სივრცეს? ამ კითხვაზე იგი უარყოფით პასუხს იძლევა. მისი აზრით, აბსოლუტური სივრცის არსებობა ზოგად თეორიაში მითს წარმოადგენს; იგი წერს: „შეუძლებელია ვთქვათ, რომ თითქოს რელატიურობის ზოგადმა თეორიამ გადაწყვიტა დავა სივრცის აბსოლუტურსა და რელატიურ კონცეფციებს შორის ამ უკანასკნელის სასარგებლოდ“ (Reschendach, 1928, p. 519).

სივრცისა და დროის შესახებ რაიხენბახისა და გრიუნბაუმის შეხედულებათა მსგავსება-განსხვავება საინტერესოა ამ პრობლემის მკვლევართათვის და საკითხის შემდგომ დამუშავებას ემსახურება. მეცნიერების ფილოსოფიის პრობლემების ორი თანამედროვე დიდი მკვლევარი აანალიზებს რა სივრცისა და დროის ფუნდამენტურ ასპექტებს, ფილოსოფიური თვალსაზრისით, აღრმავებს იმ იდეებს, რაც აინშტაინმა, როგორც ფიზიკოსმა ჩამოაყალიბა.

**ბიბლიოგრაფია:**


ავალიანი, ს. (2004). *XX საუკუნის ნატურფილოსოფია.* თბილისი.

Reschendach, H. (1928). *Philosophie, der Raum-Seit-Rehre.* Berlin. Leipzig.

Грюнбаум, А. (1963). *Философские проблемы пространства и времени.* Москва.



***Eter Makharadze***

*Akaki Tsereteli State University*


## ABOUT SOME ASPECTS OF THE NATURAL PHILOSOPHY OF HANS REICHENBACH AND ADOLF GRUNBAUM

## RESUME


The aim of the thesis is to compare the views of Reichenbach and Graunbaum on issues related to space and time, such as: congruence of space and time, problem of simultaneity, direction of time, also, the order of time and issues of causality.

Analyzing Reichenbach's and Grünbaum's views on space and time from a philosophical point of view deepens Einstein's ideas on space and time.



***Keywords:*** Congruence, Conventionality, Causality, Anisotropy, Entropy.

*ნიკოლოზ მიდოდაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

# დემოკრატია და XXI საუკუნის გამოწვევები

*საკვანძო სიტყვები:* დემოკრატია; TOPSIS; შეფასების რეიტინგი.

თანამედროვე მსოფლიოში ქვეყნის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების ერთადერთ მყარ საფუძველს ქვეყანაში ძლიერი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, დემოკრატიის პრინციპებზე დაფუძნებული მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, დემოკრატიის განმტკიცებასა და ხარისხის ამაღლებაზე ორიენტირებული, ეფექტიანი რეფორმების განხორციელება და შესაბამისი პროცესების მხარდაჭერა საქართველოს სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ქვეყნის დემოკრატიული განვითარება წარმოადგენს, ასევე, საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციასთან დაკავშირებული მისწრაფებების რეალიზაციის წინაპირობას. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში ამ მიმართულებით მიღწეული წარმატებების გამო საქართველო აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში დემოკრატიული რეფორმების ლიდერ სახელმწიფოდ არის აღიარებული. მიუხედავად გარკვეული წარმატებების, საქართველოს დემოკრატიული განვითარების წინაშე დგას მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებიც დაკავშირებულია საარჩევნო სისტემის სრულყოფასთან, სასამართლო სისტემის განვითარებასთან, ადამიანის უფლებების დაცვასთან, ადგილობრივი მმართველობის ეფექტიანობასთან და სხვა.

ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობის მნიშვნელობიდან გამომდინარე, არაერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაცია პერიოდულ აწარმოებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დემოკრატიის მშენებლობისა და განვითარების საკვანძო საკითხების კვლევას და ყველა დაინტერესებული მხარისათვის, მათ შორის, პოლიტიკოსებისათვის, მკვლევრებისათვის, ჟურნალისტებისათვის, სამოქალაქო-საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის აქვეყნებს ანგარიშებს კვლევის შედეგებისა და გამოვლენილი ტენდენციების თაობაზე. ერთ-ერთ ამგვარ საერთაშორისო ორგანიზაციას წარმოადგენს დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტი (International Institute for Democracy and Electoral Assistance), რომლის მიზანია მდგრადი დემოკრატიის ხელშეწყობა და მხარდაჭერა მთელ მსოფლიოში. აღნიშნული ორგანიზაციის კვლევის ანგარიშებში დეტალურად არის წარმოდგენილი ინფორმაცია მსოფლიოს 166 ქვეყანაში ჩატარებული კვლევების ფარგლებში მოპოვებული მონაცემების, იდენტიფიცირებული პრობლემების, აგრეთვე, დემოკრატიის სხვადასხვა ასპექტების 116 ინდიკატორის გამოყენებით განხორციელებული შეფასებების თაობაზე (Skaaning, 2019). ორგანიზაციის მიერ გამოყენებული კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრის მიზნით ფასდება დემოკრატიის 28 ასპექტი (ანუ ქვეატრიბუტი), რომლებიც წარმოდგენილია ხუთი ძირითადი ჯგუფის - ატრიბუტის სახით: წარმომადგენლობითი მმართველობა, ფუნდამენტალური უფლებები, აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი, მიუკერძოებელი მმართველობა (სამართლიანი და პროგნოზირებადი საჯარო მმართველობა), მმართველობაში სამოქალაქო საზოგადოების ფართო ჩართულობა. თითოეული ქვეატრიბუტის შეფასება ხდება 0-დან 1-მდე ქულით, სადაც 1 შეესაბამება საუკეთესო მიღწევას. კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად, ატრიბუტში გაერთიანებული ქვეატრიბუტების შეფასებების საფუძველზე, მითითებული ხუთი ატრიბუტიდან პირველი ოთხისათვის, ხდება აგრეთვე ატრიბუტის შეფასების ფორმირება, რომელიც ასევე წარმოადგენს 0-დან 1 ქულამდე სიდიდეს. შესაბამისად, ქვეყნის დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მითითებული ოთხი ატრიბუტისათვის მიღებული შეფასებები ან ქვეატრიბუტების შეფასებები. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ამ მეთოდოლოგიის შესაბამისად, არ ხორციელდება ერთი, ინტეგრირებული შეფასების ფორმირება, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხზე მსჯელობა და რომელიც, ამავდროულად, გაითვალისწინებდა მითითებული ატრიბუტების და ქვეატრიბუტების შეფასებებს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით ინტეგრირებული ინდექსის შემოტანა/განსაზღვრა და, მისი გამოყენებით, უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში დემოკრატიის ხარისხის დინამიკის კვლევა დემოკრატიისა და საარჩევნო მხარდაჭერის საერთაშორისო ინსტიტუტის (International IDEA) სათანადო მონაცემების საფუძველზე. კვლევის მეთოდოლოგიის სახით გამოყენებულია ინფორმაციული სისტემების თეორიაში კარგად ცნობილი

მრავალკრიტერიუმიანი გადაწყვეტილების ანალიზის მეთოდი (შემდგომში - TOPSIS (Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution)) (Hwang & Yoon, 1981; Yoon, 1987; Hwang, Lai, & Liu, 1993). აღნიშნული მეთოდი ეფუძნება კონცეფციას, რომელიც გულისხმობს, რომ არსებულ ალტერნატივებს შორის საუკეთესო გადაწყვეტილება მინიმალურადაა დაშორებული დადებითი იდეალური გადაწყვეტილებიდან და მაქსიმალურადაა დაშორებული უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებიდან.

ნაშრომში TOPSIS მეთოდის გამოყენებით განხორციელებულია საქართველოს დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებული ინდექსის განსაზღვრა 2000, 2005, 2010, 2015 და 2020 წლებში International IDEA-ის მიერ ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე. დემოკრატიის ხარისხის რანჟირება ხდება ოთხი კრიტერიუმის საშუალებით, რომელთა სახით განიხილება დემოკრატიის ისეთი გამოწვევები, როგორიცაა წარმომადგენლობითი მმართველობა (C1), ფუნდამენტური უფლებები (C2), აღმასრულებელი ხელისუფლების ეფექტიანი კონტროლი (C3) და მიუკერძოებელი მმართველობა (C4). აღნიშნული კვლევის ანგარიშებში ასახული შესაბამისი მონაცემები წარმოდგენილია ცხრილი 1-ით.

ცხრილი 1.

| დემოკრატიის ხარისხის კვლევები | კრიტერიუმი | | | |
|---|---|---|---|---|
| | C1 | C2 | C3 | C4 |
| 2000 წელი | 0,42 | 0,53 | 0,48 | 0,27 |
| 2005 წელი | 0,61 | 0,57 | 0,53 | 0,61 |
| 2010 წელი | 0,59 | 0,57 | 0,53 | 0,65 |
| 2015 წელი | 0,66 | 0,60 | 0,64 | 0,63 |
| 2020 წელი | 0,69 | 0,64 | 0,62 | 0,61 |

ცხრილის მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ცალსახად ითქვას, რომ 2000 წელს დემოკრატიის ხარისხი იყო ყველაზე დაბალი, ვინაიდან ყველა კრიტერიუმის მიხედვით შეფასებები არის მინიმალური. თუმცა, დანარჩენი კვლევების თაობაზე ამ მონაცემების საფუძველზე ცალსახად მსჯელობა დემოკრატიის ხარისხის ამაღლების თაობაზე არ იქნებოდა კორექტული, ვინაიდან მომდევნო კვლევების ფარგლებში გაუმჯობესებულ შეფასებებთან ერთად გვაქვს მიღწევების გაუარესების შემთხვევებიც. სწორედ ეს გარემოება განაპირობებს იმგვარი მეცნიერულად დასაბუთებული მიდგომის აქტუალობას, რომელიც ერთიანი ინტეგრირებული ინდექსის საშუალებით უზრუნველყოფს დემოკრატიის ხარისხის შეფასების შედეგების რანჟირებას.

ნაშრომში იგულისხმება, რომ დემოკრატიის ხარისხის განსაზღვრისათვის ოთხივე კრიტერიუმი თანაბრად მნიშვნელოვანია და ამიტომ დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებულ ინდექსში მათი გათვალისწინება ტოლი პროპორციით უნდა განხორციელდეს. ცხრილი 1-ში წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე, TOPSIS მეთოდის გამოყენებით, განისაზღვრა ე.წ. ნორმირებული გადაწყვეტილების მატრიცა, დადებითი იდეალური და უარყოფითი იდეალური გადაწყვეტილებები და 2000, 2005, 2010, 2015 და 2020 წელს დემოკრატიის ხარისხის შეფასების მიზნით ჩატარებული თითოეული კვლევისათვის განხორციელდა დადებით იდეალურ გადაწყვეტილებამდე ფარდობითი სიახლოვის გამოთვლა. სწორედ ეს სიდიდე წარმოადგენს დემოკრატიის ხარისხის შეფასების ინტეგრირებულ ინდექსს. შესაბამისი შედეგები წარმოდგენილია ცხრილი 2-ში.

ცხრილი 2.

| დემოკრატიის ხარისხის კვლევები | დემოკრატიის ინტეგრირებული ინდექსი |
|---|---|
| 2000 წელი | 0 |
| 2005 წელი | 0,7 |
| 2010 წელი | 0,73 |
| 2015 წელი | 0,89 |
| 2020 წელი | 0,91 |

დემოკრატიის ინტეგრირებული ინდექსის მნიშვნელობის დინამიკა გვიჩვენებს, რომ საქართველოს დემოკრატიის წინაშე არსებული რიგი გამოწვევების მიუხედავად, დემოკრატიის ხარისხი 2000 წლიდან მუდმივად იზრდება.

**ბიბლიოგრაფია:**
Hwang, C. L., & Yoon, K. (1981). *Multiple Attribute Decision Making: Methods and Applications.* New York: Springer-Verlag.
Hwang, C. L., Lai, Y. J., & Liu, T. Y. (1993). A new approach for multiple objective decision making. *Computers and Operational Research, 20*(8 ), 889-899.
Skaaning, S. E. (2019). *The Global State of Democracy Indices Methodology.* Stockholm: International Institute for Democracy and Electoral Assistance.
Yoon, K. (1987). A reconciliation among discrete compromise situations. *Journal of the Operational Research Society, 38*(3), 277-286.

***Nikoloz Midodashvili***
*Gori State University*

**DEMOCRACY AND THE CHALLENGES OF THE XXI CENTURY**
**RESUME**

In order to assess the degree of democracy in Georgia, an integrated index of the degree of democracy has been determined on the basis of data from a study conducted by International IDEA in 2000-2020. By TOPSIS method (Technique for Order of Preference by Similarity to Ideal Solution), using the existing challenges of democracy as a criterion, the degree of democracy of Georgia is ranked on the basis of an integrated index.

***Keywords**:* Democracy; TOPSIS; Evaluation ranking.

*მაკა სალხინაშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვა დისტანციურად, პრობლემები და გამოწვევები

*საკვანძო სიტყვები:* დისტანციური, ადმინისტრაციული, სამართალდარღვევა, სხდომა.

კორონავირუსის პანდემია ჩვენი დროის გლობალური ჯანმრთელობის კრიზისია. 2019 წლის ბოლოს covid 19-ის გამოჩენის შემდეგ, ვირუსი, ანტარქტიდის გარდა, ყველა კონტინენტზე გავრცელდა. დაავადების შემთხვევები ყოველდღიურად იზრდება აფრიკასა და სამხრეთ ამერიკაში, ხოლო ევროპა ვირუსის ეპიცენტრი გახდა, სადაც ჩინეთთან შედარებით, ყოველდღიურად ახალ-ახალი შემთხვევები რეგისტრირდება. მსოფლიოს ათეულობით უმსხვილესი ქალაქის კერძო და საჯარო სამსახურებში სამუშაო პროცესი დისტანციურად მიმდინარეობს. ჯერ კიდევ უცნობია როდის დაუბრუნდება მსოფლიო ჩვეული ცხოვრების წესს. გამონაკლისი არც საქართველოა, ადმინისტრაციული ორგანოები, სასამართლოები დისტანციურად იხილავენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეებს. საკანონმდებლო დონეზე დისტანციურად საქმეთა განხილვის შესახებ ცვლილებები მხოლოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს (საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, 2020) შეეხო, ხოლო ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ამ მხრივ ცვლილებები არ შესულა. მნიშვნელოვანია, რომ სასამართლოებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პანდემიის პირობებში დროულად უზრუნველყვეს დისტანციურ წარმოებაზე გადასვლა. სხდომების დისტანციური ჩართვების დროს ერთ-

ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც ხშირად სხდომების დაგვიანებით დაწყებასა და გადადებას განაპირობებდა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ საპროცესო და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში ბევრი ცვლილებაა შეტანილი. საკანონმდებლო სიახლეებით „განებივრებულ" კოდექსებში სამწუხაროდ, დისტანციურად პროცესების გამართვის შესახებ ცვლილება არ შესულა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სასამართლოებმა საჯარო სხდომების გამართვა საკუთარი ინიციატივით დისტანციურად დაიწყეს.

ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებში ჩვეულ რეჟიმში სხდომების გაგრძელება ზრდიდა ვირუსის გავრცელების თანმხლებ რისკებს. ადმინისტრაციულ ორგანოებს და სასამართლოებს პანდემიის დროს თავიდან უნდა აეცილებინათ მათ სივრცეში ვირუსის გავრცელების საფრთხე ისე, რომ არ დარღვეულიყო საპროცესო ვადები. გამოსავალიც მოიძებნა, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და სასამართლოებმა საპროცესო ვადების დაცვით დაიწყეს დისტანციურად ტექნიკური საშუალებების გამოყენებით სხდომების ჩატარება. ისინი იყენებდნენ და იყენებენ პროგრამებს (ზუმი, გუგლი, ნექსუსი, ვებექსი და სხვა).

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1]-ე (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984) მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვას, სადაც აღნიშნულია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებას და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის.

ამავე კოდექსის 261-ე მუხლში გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის ადგილი. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159[5]–159 [9] მუხლებით (სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები) გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

ამავე კოდექსის მეორე ნაწილის შესაბამისად, კი 116-ე–125-ე (სატრანსპორტო სამართალდარღვევები) მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე კოდექსის 171-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილებით (საზოგადოებრივ ადგილებში ალკოჰოლური სასმელების სმა ან ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ზნეობის შეურაცხმყოფელი ქმედების განხორციელება) გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები განიხილება მათი ჩადენის ადგილას ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის სხვა ადგილიც. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის შესაბამისმა უფლებამოსილმა პირებმა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე შეიძლება განიხილონ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის გათვალისწინებით, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ მათ სამსახურებრივ ან სხვა ადმინისტრაციული ორგანოს შენობაში, სამართალდამრღვევისათვის დადგენილი წესით საქმის განხილვის ადგილისა და დროის წინასწარ შეტყობინების საფუძველზე (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, 1984).

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234[1]-ე და 261-ე მუხლები განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განხილვის ადგილს, არსად არ არის მითითებული დისტანციურად საქმეთა განხილვის შესახებ. ***ვფიქრობთ, კარგი იქნებოდა კანონმდებელს ეზრუნა აღნიშნული პრობლემის მოგვარების შესახებ ცვლილებების შეტანის გზით.***

საინტერესოა როგორი პრაქტიკაა დანერგილი ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში დისტანციურად ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვისას.

ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებს იხილავენ დისტანციურად, მიუხედავად იმისა, რომ ცვლილებები არ არის შესული მოქმედ კანონმდებლობაში და გასაჩივრების შემთხვევებში ადმინისტრაციული ორგანოებიც სასამართლოებიც ძალაში ტოვებენ ადმინისტრაციული ორგანოების დადგენილებებს სახდელის დადების შესახებ. უფრო მეტიც, ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები საერთოდ არ მსჯელობენ გადაწყვეტილებებში ამ საკითხზე, მიუხედავად იმისა, რომ მხარე აპელირებს და დადგენილების

გაუქმების ერთ-ერთ საფუძვლად სწორედ ამას უთითებს. ვფიქრობთ, ეს საკითხი ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოების და სასამართლოების განსახილველია და გვერდის ავლა არასწორად მიგვაჩნია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოებში დისტანციურად ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეთა განხილვების გამართულად წარმართვის მიზნით გთავაზობთ რამდენიმე ***რეკომენდაციას და წინადადებას:***

*1. ცვლილებებია შესატანი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დისტანციურად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განხილვის შესახებ;*

*2. ადმინისტრაციული ორგანოები და სასამართლოები უნდა მსჯელობდნენ იმ საფუძვლებზე, რომლებზეც მხარე აპელირებს, მათ შორის დისტანციურად საქმის განხილვის საფუძველზე (კანონმდებლობით როგორც აღინიშნა ეს საკითხი არ რეგულირდება).*

*3. კოვიდს ამ ეტაპზე დასასრული არ უჩანს და შესაბამისად ცვლილებების შეტანა ძალიან აგვიანებს, ცვლილებები რაც შეიძლება დროულად უნდა შევიდეს კანონმდებლობაში, როგორც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ისე სხვადასხვა კანონქვემდებარე აქტებში.*

**ბიბლიოგრაფია:**


სალხინაშვილი, მ. (2021). ადმინისტრაციულ ორგანოებში საჯარო სხდომების განხილვა დისტანციურად, პრობლემები და გამოწვევები. *მართლმსაჯულება და კანონი.* #1(69), 5-12. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/martlmsajuleba-da-kanoni-2021w-n1.pdf

*საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი 1984.* (#161). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/28216?publication=473 (უკანასკნელად გადამოწმდა 20.11.21)

*საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ 2020.* (#38-IIრს-Xმპ). მოძიებულია ვებგვერდიდან: https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5063582?publication=0#DOCUMENT (უკანასკნელად გადამოწმდა 20.11.21)



***Maka Salkhinashvili***

*Gori State University*


**DISCUSSION OF ADMINISTRATIVE OFFENSES REMOTELY, PROBLEMS AND CHALLENGES**

**RESUME**


In the article "Discussion of administrative offenses remotely, problems and challenges" such problems that appeared during the covid-pandemic are discussed. In the work, several recommendations and proposals are offered in order to properly conduct administrative offenses cases remotely in administrative bodies and courts, in particular, changes should be made in the Administrative Offenses Code of Georgia regarding the remote administrative offenses review; Administrative bodies and courts should consider the grounds on which the party appeals, including on the basis of remote hearing (as mentioned, this issue is not regulated by legislation). There is no end in sight for Covid at this stage, and therefore it is too late to make changes, changes should be made as soon as possible in the legislation, both in the Code of Administrative Offenses of Georgia and in various by-laws.



***Keywords:*** Remote, Administrative, Offense, Session.

*მარიკა შერაზადიშვილი*
*გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

## საზოგადოებრივ-პოლიტიკური და შემფასებლური ლექსიკა მედიაში

*საკვანძო სიტყვები:* ლექსიკა, მედია, პოლიტიკა, არჩევნები, ბრძოლა.

ძალაუფლების მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად ოდითგანვე მიმდინარეობდა ბრძოლა როგორც ძალით, ისე სიტყვით. თანამედროვე სამყაროში ძალაუფლებისთვის ბრძოლის ძალისმიერი მეთოდები სიტყვამ და, ზოგადად, კომუნიკაციამ თითქმის სრულად შეცვალა, ენა დღემდე ინარჩუნებს ძალაუფლების მოპოვების ყველაზე მძლავრი საშუალების სტატუსს. დომინირებს აზრი, რომ ენა იქცა სოციალური კონტროლისა და ძალაუფლების გამოვლინების მთავარ საშუალებად. ამასთან, ენის შესაძლებლობები უფრო მრავალფეროვანი გახდა. ენა გაჟღენთილია იდეოლოგიით. შესაბამისად, ენის იდეოლოგიური ბუნება უნდა იქცეს თანამედროვე სოციალური მეცნიერების საკვლევ ერთ-ერთ ძირითად თემად. ენა ნამდვილად იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ენას გვერდს ვერ აუვლის ვერავინ, ვინც დაინტერესებულია თანამედროვე საზოგადოებით და ამ საზოგადოებაში ძალაუფლებრივი ურთიერთობებით.

ტექსტებს, როგორც სოციალური მოვლენების შემადგენელ ელემენტებს, გააჩნია მიზეზობრივი ეფექტები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ისინი იწვევენ ცვლილებებს. პირველ რიგში, ტექსტებს ცვლილებები შეაქვთ ჩვენს ცოდნაში, რწმენაში, დამოკიდებულებებში, ღირებულებებში. ასევე, მათ გააჩნიათ გრძელვადიანი გავლენები - მაგალითად, ხანგრძლივ რეკლამებს და სხვა ტიპის კომერციულ ტექსტებს ხალხის, როგორც „მომხმარებლის" იდენტობის ფორმირება შეუძლია. ტექსტებმა შეიძლება მოახდინოს ომის პროვოცირება, ცვლილებები შეიტანოს განათლებაში, ინდუსტრიულ ურთიერთობებში და ა. შ. (Fairclough, 2003, p. 8).

პოლიტიკური ლექსიკა–ფრაზეოლოგია ყოველთვის ხვდებოდა ქართველი ლექსიკოლოგებისა და ლექსიკოგრაფების, სემანტიკოსებისა და გრამატიკოსების თვალსაწიერში; მაგალითისათვის დავასახელებთ: ბ. ფოჩხუას „ქართული ენის ლექსიკოლოგიას" (ფოჩხუა, 1974), ლ. შალვაშვილის მონოგრაფიას „ქართული სალიტერატურო ენის განვითარება საბჭოთა პერიოდში" (შალვაშვილი, 1986). რა ენობრივი საშუალებებით ხდება ძალაუფლების გამოვლინება და საზოგადოებრივი აზრის მართვა ქართულ რეალობაში. იქიდან გამომდინარე, რომ საარჩევნო გარემო, არჩევნების ჩატარების ხარისხი და საარჩევნო პერიოდში გამოვლენილი პოლიტიკური სურათი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების დონეზე მეტყველებს და, როგორც წესი, ქვეყანა სწორედ წინასაარჩევნო პერიოდში მსოფლიო ყურადღების ცენტრშია, მივიჩნევთ, რომ პოლიტიკური დისკურსის ლინგვისტურ ანალიზს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ფაქტების გამოაშკარავებასა და რეალური პოლიტიკური სურათის წარმოჩენაში.

პოლიტიკურ დისკურსში ქართული ენის თანამედროვე თავისებურებათა ახსნა შეუძლებელია გლობალიზაციის მიერ მოტანილი საერთო ენობრივი ტენდენციების გათვალისწინების გარეშე. და რამდენადაც კომუნიკაციის ე. წ. უსაზღვრებო სივრცეში ვტრიალებთ, და კულტურულ–ენობრივი კონტაქტების განსაკუთრებული აქტივობა აღინიშნება, ენაზე სოციალური რეალობის ქმედებისა და ენის მხრივ ამ რეალობაზე უკუქმედების მასშტაბებიც მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. ყოველდღიურად ვიღებთ უამრავ ინფორმაციას ჩვენი ოჯახის, მეგობრების, საზოგადოების, კულტურის, ჩვენი ქვეყნის და, საერთოდ, სამყაროს შესახებ. ამაში გვეხმარება სხვადასხვა ტიპის მედია: ტელევიზია, ფილმები, გაზეთები, ჟურნალები, სოციალური მედია. ყველაფერს, რასაც ვკითხულობთ ან გვესმის, ვუწოდებთ დისკურსს. დისკურსი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე ტექნოლოგიების წყალობით თავს გვახვევია უამრავი ინფორმაცია, ამიტომაც, ჩვენს საუკუნეს ხშირად „ინფორმაციის საუკუნეს" უწოდებენ (Lynne & Brigid, 2006). საინტერესოა ისიც, რომ ჩვენ არ ვართ პასიური მკითხველები ან მსმენელები, რომლებიც ფაქტებსა და აზრებს ღრუბელივით ვისრუტავთ. ყველა დისკურსს ჩვენ ვძენთ საკუთარ ცოდნას, გამოცდილებას და თვალსაზრისს. ჩვენ ვიღებთ და ვიჯერებთ იმას, რასაც ვკითხულობთ ან გვეუბნებიან, ეჭვის ქვეშ ვაყენებთ ან შეგვიძლია საერთოდ არ დავიჯეროთ. ვცდილობთ სიღრმისეულად გამოვიძიოთ დისკურსი იმის გასარკვევად, თუ რა ითქვა, რატომ და რა შეგრძნებებს აღძრავს ნათქვამი ჩვენში. მაგალითისათვის ავიღოთ მეტაფორა, მას აქვს უნარი გააღვიძოს ემოციები, ის ხშირად გამოიყენება დარწმუნების ენაში. მაგრამ კონკრეტული მეტაფორის ეფექტი დამოკიდებულია ენის გამომყენებლის ლინგვისტურ და პრაგმატულ ცნობიერებაზე. მეტაფორა დამოკიდებულია

ინტერპრეტაციაზე და ამიტომაც წარმოადგენს ენის სუბიექტურ ასპექტს. მეტაფორა ასევე მნიშვნელოვანია ჩვენს ფარულ პოლიტიკურ და სოციალურ შეხედულებებზე გავლენის მოსახდენად.

- არჩევნები კონკურსია;
- არჩევნები ბრძოლაა (ომია);
- არჩევნები მოგზაურობაა;
- არჩევნები ამინდის ცვალებადობაა;
- არჩევნები შოუა (დადგმაა);
- არჩევნები (ზოგადად, პოლიტიკა) ბრძოლაა.

**ბრძოლას** უკავშირდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა გამარჯვება, დამარცხება, გმირი, თავგანწირვა.

არჩევნები, რომელიც შემოდგომაზე უნდა გაიმართოს, ყოფნა-არყოფნის საკითხია ჩვენი ქვეყნისთვის: ჩვენ აუცილებლად **გავიმარჯვებთ**! თუმცა, **გამარჯვებისთვის** მარტო სურვილი არ კმარა, გამარჯვებისთვის არ კმარა თავდადებული შრომაც კი, **გამარჯვებისთვის** არ კმარა არც მხოლოდ თავგანწირვა, **გამარჯვებისთვის** აუცილებელია კარგად გააზრებული, მკაფიო გეგმა, რომელიც სურვილსაც, თავგანწირვასაც და შრომასაც ერთიან კალაპოტში მოაქცევს და ერთი მიზნისკენ მიმართავს. ეს **ბრძოლა** აუცილებლად ბოლომდე მივა და ჩვენი **გამარჯვებით** დასრულდება!. როგორც მაგალითიდან ჩანს, ორატორი რამდენჯერმე ახსენებს სიტყვას **„გამარჯვება“.**

დღეს ჩვენ ვიწყებთ **ბრძოლას** იმისთვის, რომ მკვეთრად შევცვალოთ საქართველოს თითოეული მოქალაქის ცხოვრება უკეთესობისკენ. დღეს ჩვენ ვიწყებთ **ბრძოლას** იმისთვის, რომ სახელმწიფოს მთავარი ღირებულება და საზრუნავი გახდეს ადამიანი და რომ ყველა მოქალაქე თანასწორი იყოს კანონის წინაშე. და დღეს, აქ, საზეიმოდ, მე გპირდებით, რომ ბოლომდე **ვიბრძოლებ** თქვენთან ერთად, რათა ყველამ ერთად ავიხდინოთ ჩვენი ოცნება! ამ **ბრძოლაში** ჩვენ ერთმანეთს ვჭირდებით! მხოლოდ ერთად დგომით მოვიგებთ ამ **ბრძოლას!**

როგორც მაგალითებიდან ჩანს, ოთხი ფრაზა ერთნაირად მეორდება - დღეს ჩვენ ვიწყებთ ბრძოლას. ამით ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ დღეს, ამ მომენტიდან იწყება **საარჩევნო კამპანია ანუ ბრძოლა.** მეორეც, „ჩვენ“ ნაცვალსახელის გამოყენებით, გამომსვლელი აერთიანებს ხალხს და მოუწოდებს, ერთობლივი ძალებით დაამარცხონ „მტერი“.

ქართველი ხალხის ბრძოლა სამართლიანია და ქართველი ხალხი აუცილებლად **გაიმარჯვებს**. ჩემო მეგობრებო, დებო და ძმებო, ასე, ერთსულოვნებით როგორც დღეს, ჩვენ ყველანი აუცილებლად **გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ, გავიმარჯვებთ (სკანდირებს)...** გამომსვლელი სამჯერ იმეორებს სიტყვას **„გავიმარჯვებთ“**. როგორც ცნობილია, რეიტერაცია (სოციუმის შეკვრა) რიტორიკის კიდევ ერთი ეფექტური ხერხია.

და დღეს, კამპანიის ბოლო დღეს, მინდა დიდი მადლობა ვუთხრა თითოეულ თქვენგანს - მადლობა **ბრძოლისთვის**, დაუღალაობისთვის, შემართულობისა და გაუტეხელობისათვის!

**არჩევნები თამაშია/სპორტია/შეჯიბრია.** ამ მეტაფორას უკავშირდება ისეთი ლექსიკური ერთეულები, როგორიცაა გუნდი, დამარცხება, გამარჯვება, კენჭისყრა.

ზოგიერთ შემთხვევაში არჩევნებთან ასოცირდება როგორც თამაში, ისე ომი, ბრძოლა, მოგება, წაგება, სტრატეგია, ტაქტიკა.

ჩვენ ყოველთვის ვართ მზად **ბრძოლის** მოსაგებად და ვიცით, რომ ეს არის ძალიან გრძელვადიანი **ბრძოლა,** ეს არ არის მოკლევადიანი **გარბენა**, ეს არის **მარათონი** პოლიტიკური, რომლისთვისაც მზად უნდა იყო.

**არჩევნები გამოცდაა, ტესტია:**

ჩვენ კიდევ ერთხელ ჩავაბარებთ დემოკრატიის და თავისუფლების **გამოცდას**... ეს არჩევნები არ არის მხოლოდ პოლიტიკური თუ კონსტიტუციური აქტივობა, არც საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის ჩასაბარებელი **გამოცდა**. ეს არის საქართველოს თითოეული მოქალაქის უმნიშვნელოვანესი **ტესტი** საკუთარი ოჯახის, ახლობლების, ქვეყნის წინაშე.

**არჩევნები სასამართლო პროცესია**:

ჩვენი ხალხი **განაჩენს გამოუტანს** იმ სიბინძურეს და გარყვნილებას, რომელიც ჩვენი ჩაგვრისკენ იყო ორიენტირებული და ეს მოხდება თქვენი ხელით.

**ქვეყანა არის შენობა: შენება, ნგრევა და სხვ.**

ეს არჩევნები გვაძლევს შანსს, დავასრულოთ დაპირისპირების ეპოქა ქართულ პოლიტიკაში, გავაკეთოთ მკაფიო არჩევანი ქვეყნის თავისუფლების სასარგებლოდ და განვაახლოთ ევროპული, დემოკრატიული საქართველოს **შენება**.

**სამშობლო - ბატონია, მბრძანებელია:**

ეს პოლიტიკური გუნდი **ემსახურება** საქართველოს, ემსახურება სამშობლოს.

ჩვენ გავიმარჯვებთ და თქვენთან ერთად **ვუპატრონებთ** ჩვენს ქვეყანას...

წინასაარჩევნო დისკურსის ლინგვისტური ასპექტების კვლევისას ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა, თუ როგორ და რა სტრატეგიებით ახორციელებენ პოლიტიკოსები მოწინააღმდეგე მხარის ნეგატიურ წარმოჩინებას და, პირიქით, საკუთარი თავის თუ პარტიის პოზიტიურ პრეზენტაციას. ანალიზისას გამოიკვეთა, თუ როგორ ხდება ენის საშუალებით მკითხველსა თუ მსმენელზე გავლენის მოხდენა. გავაანალიზეთ მასალის შინაარსი, გამოყენებული დისკურსული სტრატეგიები და ამ სტრატეგიებისა და შინაარსის ლინგვისტური რეალიზაცია.

ამრიგად, დადასტურდა, რომ პოლიტიკური რიტორიკული ტექსტის ყველაზე ნიშანდობლივ მახასიათებელს მეტაფორა წარმოადგენს. რადგან მეტაფორას აქვს უნარი, გააღვიძოს ემოციები, ის ხშირად გამოიყენება დარწმუნების ენაში.

**ბიბლიოგრაფია:**


გოგოლაძე, თ. (2018). *სიძულვილის ენა წინასაარჩევნო დისკურსში: საპრეზიდენტო არჩევნები 2018.* მოძიებულია ვებგვერდიდან: http://mdfgeorgia.ge/uploads/library/101/file/sidzulvilis_ena_2018.pdf

კირვალიძე, ნ. (2009). პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები. *ინტელექტი, 3*(35), 121-125.

ფოჩხუა, ბ. (1974). *ქართული ენის ლექსიკოლოგია.* თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შალვაშვილი, ლ. (1986). *ქართული სალიტერატურო ენის განვითარება საბჭოთა პერიოდში.* თბილისი: განათლება.

Fairclough, N. (2003). *Analysing Discourse: Textual Analysis for Social Research.* New York: Routledge.

Lynne, Y., & Brigid, F. (2006). *The Power of Language: How Discourse Influence Society.* London: Equinox.



***Marika Sherazadishvili***

*Gori State University*


## SOCIO-POLITICAL AND EVALUATIVE VOCABULARY IN THE MEDIA

## RESUME


In the modern world, forceful methods of struggle for power have been almost completely replaced by words and, in general, communication. Language has kept the status of the most powerful tool of gaining power till today. The dominant view is that language has become the main mean of manifestation of social control and power. At the same time, the language possibilities have become more diverse. Language is full of ideology. It is impossible to explain the modern peculiarities of the Georgian language in the political discourse without taking into account the general linguistic trends brought by globalization.

During the research of the linguistic aspects of the pre-election discourse, it was revealed how and what strategies politicians use to portray the opposing side in a negative light, and, on the contrary positive presentation of oneself or the party; how language impacts on readers or listeners.



***Keywords:*** Vocabulary, Media, Politics, Elections, Struggle.

*სოფიო ცაციაშვილი*
*საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი*

# სპორტის სოციალური როლი მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში

*საკვანძო სიტყვები:* მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, სპორტი, ფიზიკური აქტივობა, ადამიანის ჯანმრთელობა.

**შესავალი**

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სოციოლოგიურ კვლევას, კერძოდ მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური ასპექტების შესწავლას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც გააჩნია. თანამედროვეობა მოითხოვს სპორტის განვითარების ახალი რეზერვების გამოვლენას, სპორტული საქმიანობის ოპტიმალური გზების პოვნას, სპორტში მეცნიერული კვლევებისა და პრაქტიკული მუშაობის დაახლოებას. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური პროცესების ანალიზს, ამ პროცესებზე ეფექტური ზემოქმედების საშუალებათა დადგენას.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი პერმანენტული სოციალური ფაქტორია და იგი დასაბამს იღებს ჯერ კიდევ პირველყოფილ საზოგადოებაში, მაგრამ ეს პროცესი ისტორიული ეპოქების ყველა ეტაპზე და ყველა ქვეყანაში ერთნაირი კანონზომიერებებით არ მიმდინარეობდა. მართალია, სამყარო საყოველთაო მოძრაობას ექვემდებარება და არაფერია მასში მდგრადი, რადგან მუდმივ ცვალებადობას განიცდის, მაგრამ დროდადრო გამოიყოფოდა ისეთი პერიოდები, როცა მნიშვნელოვანი არაფერი ხდებოდა მეცნიერულ-ტექნიკური წინსვლის თვალსაზრისით, თუმცა საერთო ჯამში იგი მაინც პერმანენტულ განვითარებასა და პროგრესს განიცდიდა. მეცნიერული ცდებისა და კვლევების ჩატარება, რომელსაც კვირები, თვეები და წლებიც კი სჭირდება, დიდ ძალისხმევას მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ მეცნიერების მთელი შრომა წყალში იყრება, უმეტეს შემთხვევაში ისინი წარმატებას აღწევენ, რასაც კაცობრიობისთვის დიდი სიკეთე მოაქვს. მაგალითად, დედამიწის ორბიტის გარშემო მოძრავი სატელიტური თანამგზავრები ქმნიან გლობალური ადგილმდებარეობის განმსაზღვრელ სისტემას, რაც GPS-ის სახელით არის ცნობილი. ეს სისტემა, რომელიც თავდაპირველად სამხედრო მიზნებისთვის შეიქმნა, დღეს დიდ დახმარებას უწევს მძღოლებს. მეცნიერების მიერ შექმნილი GPS მოწყობილობის წყალობით გვიადვილდება დანიშნულების ადგილამდე მისვლა. მართლაც, მეცნიერება და ტექნოლოგიური პროგრესი ჩვენზე მრავალმხრივ მოქმედებს დადებითად, თუმცა ადამიანური სამყაროს პროგრესულ წინსვლას დასასრული არ უჩანს და მისი მოქმედება მისივე არსებობის საპირისპიროდ მიდის. გლობალიზაციის პირობებში ამის მაგალითი ბევრია: გაუცხოება, ატომური იარაღი, კლონირება, მთელი რიგი ეკოლოგიური პრობლემები, უკონტროლო ინფლაცია, ექსტრემალური მეტეოროლოგიური პირობები და ა.შ.

**ძირითადი ნაწილი**

მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარება უშუალო კავშირშია საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროსთან - ეკონომიკასთან, პოლიტიკასთან, იდეოლოგიასთან, სპორტთან... მაინც რა ურთიერთობა აქვს მას ამ უკანასკნელთან? სად არის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და სპორტის შეხების წერტილები? სპორტი და ფიზიკური აღზრდა ასრულებს აუცილებელ სოციალურ შეკვეთას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი კი წარმატებით წყვეტს სპორტის აღჭურვისა და ოპტიმალურად ფუნქციონირების პრობლემებს.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის რა შეკვეთას ასრულებს ფიზიკური აღზრდა და სპორტი?

„ჭკვიანი მანქანების" შექმნამ ძირფესვიანად შეცვალა ადამიანის ყოფა, სხვადასხვა რობოტი და თვითნასწავლი ალგორითმები დღითიდღე უფრო „ჭკვიანები" ხდებიან. ამიტომ ზღვარი ახალი პროგრამების შექმნის უნარსა და შემდეგ მათი კონტროლის შესაძლებლობებს შორის სულ უფრო თვალსაჩინოა. ამას გარდა, რობოტები ცვლიან ხელით სამუშაოს, ადამიანი სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის ფიზიკურად დატვირთული. ეს კი იწვევს ჰიპოდინამიას, აქედან კი სიმსუქნეს (დღეს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 35% ჭარბწონიანია), აღარაფერს ვამბობთ დიაბეტსა და სხვა არაგადამდებ დაავადებებზე. ფიზიკური დატვირთვის მკვეთრად შემცირებამ გამოიწვია ადამიანის სხვადასხვა სასიცოცხლო ორგანოების და სისტემების დაქვეითება. ფიზიკური განვითარება ჩამორჩა გონებრივს. ადამიანის მოძრაობითი უკმარისობის, მის ფიზიკურ დატვირთვაში არსებული სიცარიელის

შევსება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს დაეკისრა. ამრიგად, სპორტმა და საერთოდ ფიზიკურმა აღზრდამ მიიღო საპატიო სოციალური შეკვეთა: აღადგინოს მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის შედეგად ადამიანის საერთო განვითარებაში დარღვეული ჰარმონია.

მეცნიერულ-ტექნოლოგიურ პროგრესის ეპოქაში ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს სამი განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი ასპექტი აქვს:

**პირველი ასპექტი**

ტექნიკის ეპოქაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ფიზიკურ მონაცემებს, მის ფსიქო-სომატურ მდგომარეობას.

ტექნოლოგიური პროგრესის ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა: კოსმოსური სივრცეებისა და ოკეანეების სიღრმეების ათვისება, ზებგერითი სიჩქარის მქონე თვითმფრინავების მართვა და სხვა, წარმოუდგენელია ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი ადამიანების გარეშე. წარმოების ინტენსიფიკაციას სჭირდება გონებრივი, ფსიქიკური და ფიზიკური ძალების მობილიზება. არ შეიძლება უგულებელვყოთ ისეთი ნეგატიური მხარეები, როგორიცაა: გარემოს გაჭუჭყიანება მრეწველობის ნარჩენებით, ჰაერში მავნე მინარევების, განსაკუთრებით ავტომანქანების გამონაბოლქვი გაზების ზრდა, ატმოსფეროში ჟანგბადის მარაგის შემცირება და სხვ. განსაკუთრებით უნდა შევეხოთ ისეთ უარყოფით მოვლენას, როგორიცაა ხმაური. ურბანიზაციით გამოწვეულ სტრესორთა შორის ხმაური ყველაზე აბეზარია. მეცნიერმა კოხმა ხმაურს „უჩინარი მტერი" უწოდა. ხმაური დღითიდღე იზრდება და მისგან სათავეს იღებს მრავალი სახის დაავადება. განსაკუთრებით აზიანებს ადამიანის ფსიქიკას, „უხილავი ნევსებით ჩხვლეტს ნერვულ სისტემას", აქვეითებს ყურადღებას. ხმაურის გავლენით გონებრივი შრომის ნაყოფიერება 60%-ით მცირდება, ხოლო ფიზიკურისა - 30%-ით. 120 დეციბელის სიძლიერის ხმაური მწვავე ტკივილებს იწვევს ადამიანში, 130 კი მომაკვდინებელია.

სოციოლოგები სამართლიანად მიუთითებენ, რომ ხმაური ტექნიკის პროგრესზე კი არ მიუთითებს, არამედ ტექნიკის არასრულყოფაზე. ახლა ხმაურის წინააღმდეგ ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები, გვინდა დავიბრუნოთ მყუდროება, გვინდა განვდევნოთ ხმაური ჩვენი ბინებიდან, ქუჩებიდან, ქალაქებიდან, მაგრამ ცოტაა იმის იმედი, რომ მეცნიერული პროგრესი მთლიანად აღკვეთს ხმაურს. წარმოიდგინეთ მსოფლიო ავტოპარკი რამდენიმე ასეულ მილიონ ავტომანქანას ითვლის და რა დრო და რა საშუალებაა საჭირო, რომ მთლიანად შეიცვალოს ბენზინზე მომუშავე ჰაერის გამჭუჭყიანებელი და ხმაურიანი ავტომობილები უხმაურო და „სტერილური" ელექტრომობილებით?! დღეისათვის ხმაური უპირველესი სტრესორია და მის წინააღმდეგ ბრძოლა კომპლექსურად უნდა წარიმართოს.

ამრიგად, ტექნოლოგიურ პროგრესის ეპოქაში იზრდება ადამიანის ორგანიზმის ამტანობის, ფსიქოლოგიური პროცესებისა და ემოციების მდგრადობის, მოძრაობის მაღალი კულტურისა და კოორდინაციის ჩვევების გამომუშავების, ე. ი. ფიზიკური სრულყოფის მნიშვნელობა.

ადამიანის ამ მეტად საჭირო თვისებების ფორმირებაში უმთავრესი როლი ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს ეკუთვნის. ამასთან, ახლა სადავო არ არის დებულება, რომ ფსიქოლოგიური დაძაბულობის მოსახსნელად კარგია სპორტული ვარჯიშები, განსაკუთრებით კი - სპორტული თამაშები.

**მეორე ასპექტი**

სოციოლოგებმა ემპირიული კვლევებით დაამტკიცეს, რომ თანამედროვე ცივილიზაციამ მნიშვნელოვნად შეცვალა ადამიანისა და გარემოს ეკოლოგიური დამოკიდებულება. თანამედროვე ცხოვრებამ მეტი მოთხოვნები წაუყენა ადამიანის თავს და ნაკლები - სამოძრაო აპარატს. ცნობილია , რომ უპირატესად ვითარდება სხეულის ის ნაწილი, რომელსაც ცხოვრებამ გაზრდილი მოთხოვნილებები წაუყენა. ფიზიკურ განვითარებაში განსაკუთრებით ჩამორჩნენ გონებრივი შრომის ადამიანები, თანამედროვე ტექნოლოგიებმა ისინი „მიაჯაჭვა მაგიდას".

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს თინეიჯერების ძალიან დიდი ნაწილი, კომპიუტერზე დამოკიდებული გახდა და მის გარეშე ვერცერთ წუთს ვერ ძლებს. ბოლო დროს ქართულმა ტელევიზიებმაც მიაქციეს ყურადღება ამ საკითხს. არაერთხელ ვნახეთ სიუჟეტი, სადაც საუბარი იყო საქართველოში ამ პრობლემის შესახებ. ფსიქოლოგები ამბობენ, რომ ეს საკითხი კვლავაც და კვლავაც აქტუალური იქნება, რადგან არ შეიძლება ერთი, ორი ან სამი წლის ბავშვი ამგვარად იყოს დამოკიდებული კომპიუტერზე. მისთვის მთავარ გასართობს სულ სხვა რაღაც უნდა წარმოადგენდეს. სწორედ ამიტომაა, რომ უკვე ძალიან გახშირდა თვალის პრობლემებიც. მოზარდები ხშირად უჩივიან თვალის წვას, სიწითლეს და ცრემლდენას. თუ ექიმების რჩევებს ყურს დავუგდებთ მაშინ გამოდის, რომ ერთი სრული საათის მანძილზე დაახლოებით 15 წუთი უნდა შევასვენოთ თვალი. აბა დაფიქრდით, ამას რომელიმე ჩვენგანი აკეთებს? დრო კომპიუტერთან საოცრად სწრაფად გადის, ერთი შეხედვით ვერც ვგრძნობთ თვალის ტკივილს, თუმცა დროთა სვლისას ეს პრობლემა უფრო მკაფიოდ იჩენს თავს. ასაკი კი უარეს კვალს დაგვამჩნევს.

დამაფიქრებელ მონაცემებს იძლევა სტატისტიკა, თანამედროვე ტექნოლოგიები ცვლიან ხელით სამუშაოს, ადამიანი სულ უფრო და უფრო ნაკლებად არის ფიზიკურად დატვირთული. ეს კი იწვევს ჰიპოდინამიას, აქედან კი სიმსუქნეს (დღეს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 35% ჭარბწონიანია), აღარაფერს ვამბობთ დიაბეტსა და სხვა არაგადამდებ დაავადებებზე. გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების გამომწვევი ძირითადი მიზეზები ხშირ შემთხვევაში არის ჰიპოდინამია, მის წინააღმდეგ ბრძოლის უპირველესი იარაღი კი არის ფიზიკური აღზრდა და სპორტი, ტურიზმი და აქტიური სხვა ფორმები.

ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ჯანმრთელობის დაცვის სისტემა ადამიანის ჯანმრთელობას მხოლოდ 10-15%-ით უზრუნველყოფს, 15-20%-ით ადამიანის ჯანმრთელობა განპირობებულია გენეტიკური ფაქტორით, 25% - ეკოლოგიური პირობებით, ხოლო 50-55% - ადამიანის ცხოვრების პირობებითა და სტილით. აქედან გასაგებია, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად უმნიშვნელოვანესია მისი ცხოვრების სტილი, ღირებულებები, შინაგანი სამყაროს ჰარმონიული განვითარება და გარემოსთან შეგუებულობა.

მეტი მოძრაობა, თავისუფალი დროის გონივრული ხარჯვა ფიზიკური სრულყოფისათვის, ფიზიკური აქტივობა და სპორტი ყველას, განურჩევლად დიდსა და პატარას წლის ყველა დროში! - აი როგორია ჰიპოდინამიისა და ჰიპოკინეზის პროფილაქტიკის მიზნით გაცემული რეკომენდაციები. „ინფარქტს სირბილით გაექცევი“, - ეს შეგონება პარადოქსად არ მოგეჩვენება, თუ გავიხსენებთ ანტიკური დროის უდიდესი პოეტის ჰორაციუსის სიტყვებს: „ვინც არ დარბის, როცა ჯანმრთელია, მოუწევს სირბილი, როცა დაავადდება’’.

ეჭვს არ იწვევს მრავალმხრივი და ყოველდღიური ფიზიკური ვარჯიშის დიდი მნიშვნელობა ჰიპოდინამიასთან ბრძოლაში, ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის შენარჩუნებასა და აღდგენაში.

ფიზიკური აღზრდა და სპორტი მხოლოდ ფიზიკური განვითარების და ადამიანის ჯანმრთელობის, ან მხოლოდ მისი სოციალური აქტივობის გამოვლენის საშუალებას როდი წარმოადგენს, არამედ იგი გავლენას ახდენს პიროვნების სხვადასხვა სპექტრის ინტელექტუალურ-ზნეობრივი მახასიათებლების ჩამოყალიბებაზე.

**მესამე ასპექტი**

მესამე ათასწლეული მთელ მსოფლიოში ხასიათდება მატერიალურ–ტექნიკური პროგრესის მასშტაბური მიღწევებით, რაც კაცობრიობის უდავოდ დიდი წარმატების მაჩვენებელია. პროგრესული ნაბიჯები, ერთი მხრივ, ყოფაცხოვრებას აადვილებს, მეორე მხრივ კი ეკოლოგიური სიტუაციების გაუარესებას და აქედან გამომდინარე, ჯანმრთელობისათვის ახალი პრობლემების მომრავლებას იწვევს. დღეს ადამიანი მუშაობს და ცხოვრობს იქ, სადაც რადიაცია, დაბინძურება ორჯერ, სამჯერ, ათასჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას და მან არც კი იცის არაფერი ამის შესახებ. მან შეიძლება მიიღოს სიცოცხლისათვის საშიში ნიტრატების და მძიმე მეტალების შემცველი საკვები და არ იცოდეს ამის შესახებ. ეს არის ეკოლოგიური რისკი.

მოსახლეობის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და ავადობის შემცირების მიზნით გატარებულ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობისა და დამკვიდრებისათვის აუცილებელი პრინციპებისა და კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა. მრავალი დაავადების პრევენცია შესაძლებელია ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდისა და მოსახლეობაში ფართოდ დანერგვის გზით, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი რთული დემოგრაფიული და სოციალური მდგომარეობის პირობებში. ცხოვრების ჯანსაღი წესი გულისხმობს იმ ქცევას, რომელიც დადებით გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე, ე.ი. ცხოვრების ჯანსაღი წესი საკუთრივ მოიცავს ქცევის ყველა ელემენტს (შრომითი, სოციალური, ინტელექტუალური, ფიზიკური, სამედიცინო აქტივობა), რომელთა მიზანია ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის გაუმჯობესება. ცხოვრების ჯანსაღი წესი ასევე შეიცავს ჯანმრთელობაზე მოქმედი რისკ - ფაქტორების თავიდან აცილების გზებს. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის განმარტებით, ჯანმრთელობა - ეს არის ფიზიკური, სულიერი და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა, და არა მარტო დაავადებისა და ფიზიკური დეფექტების არ არსებობა. ფიზიკური აღზრდა და სპორტი დიდ როლს ასრულებს ჯანსაღი თაობების აღზრდის პროცესში. პირები, რომლებიც სისტემატურად ასრულებენ ზოგად გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, ნაკლებად ავადდებიან. გარდა ამ სამი ასპექტისა, რომლებიც განსაკუთრებით ხელშესახებია თანამედროვე ეპოქაში, სპორტს გააჩნია თავისი მუდმივმოქმედი პოზიტიური თვისებები, რომელთა როლი კი არ ეცემა, არამედ მაღლდება ტექნიკური პროგრესისა და დიდი სოციალური ძვრების ეპოქაში.

**მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი - სპორტის მოკავშირე**

მეცნიერულ - ტექნოლოგიური პროგრესი სპორტის საიმედო მოკავშირეა. იგი საშუალებას იძლევა ნეიტრალიზებულ იქნას სპორტის მთელი რიგი სახეობების განვითარებისათვის არსებული არახელსაყრელი გეოგრაფიული პირობები. მატერიალური ბაზის განვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად შემცირდა სპორტსმენთა წვრთნისა და ასპარეზობაზე უარყოფითად მოქმედი კლიმატურ-სეზონური გავლენა. ახლა ტრამპლინებს აშენებენ ისეთ ადგილებშიც, სადაც თოვლი საერთოდ არ მოდის. მოთხილამურეები ვარჯიშობენ მთელი წლის განმავლობაში. საქმეს შველის ხელოვნური თოვლი, სრიალის მაღალი კოეფიციენტის მქონე ნივთიერება ფტოროპლასტი. მას „მარადიულ თოვლს" ეძახიან, რადგან სპორტსმენებს ზამთარ-ზაფხულ ემსახურება ფტოროპლასტს ზამთარშიც, ბუნებრივი თოვლის სიუხვის პირობებშიც იყენებენ თხილამურების სასრიალო ნაწილის დასაფარად. შედეგი საუცხოოა. ეს სიახლე ეხმარება სპორტსმენებს განავითარონ დიდი სიჩქარე, თხილამურებს თოვლი არ ეკვრის და კარგად სრიალებს. თანამედროვე სამშენებლო ინდუსტრიას შეუძლია მოგვცეს ისეთი ზამთრის სტადიონები და აუდიტორიები, რომლებიც სპორტსმენებსაც და მაყურებლებსაც ასპარეზობა-დასვენების ოპტიმალურ პირობებს შეუქმნის.

ალპინიზმი - ეს მამაცთა და შეუპოვართა სპორტი დღითიდღე ფართოდ ვრცელდება ახალგაზრდობაში, ალბათ, იმიტომაც არის, რომ მთამსვლელთა საქმეში რისკსა და მოსალოდნელი ხიფათის ალბათობას სულ უფრო და უფრო ამცირებს გამძლე, მოხერხებული და მსუბუქი აღჭურვილობის ხელმისაწვდომობა.

ტექნიკურმა პროგრესმა საფუძველი ჩაუყარა და განვითარების საშუალება მისცა სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა: საწყალოსნო მოტორული, საავტომობილო, ველო-მოტო სპორტი.

სპორტული წვრთნის თანამედროვე სისტემაში შედის არა მარტო უშუალოდ წვრთნისა და შეჯიბრების პროცესების მართვა, არამედ სპორტსმენთა დასვენება-რეაბილიტაციის (ენერგიის აღდგენის) ოპტიმალურობის მეცნიერულ-ტექნიკური უზრუნველყოფა. მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევა წარმოუდგენელია სპორტული მეცნიერების პრაქტიკასთან შეერთების გარეშე. ფიზიოლოგიისა და ბიომექანიკის კანონების ცოდნა, წვრთნის მოწინავე მეთოდებისა და სატრენაჟორო აპარატურის გამოყენება ახალი მსოფლიო რეკორდების საფუძველია. ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ნორბერტ ვინერი საქვეყნოდ გამოაცხადებდა მეცნიერებათა ახალი „პარადიგმის" - კიბერნეტიკის დაბადებას, ცნობილმა მეცნიერმა ბერნშტეინმა გამოაქვეყნა კიბერნეტიკული დებულებები ადამიანის მოძრაობის ბიომექანიკის სფეროში, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა სპორტში კიბერნეტიკის პრინციპების გამოყენებას.

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში კაცობრიობამ საპატიო მისია დააკისრა სპორტს - იყოს ხალხთა ურთიერთობის გაუმჯობესებისა და მეგობრობის განმტკიცების საშუალება. შესანიშნავი ოლიმპიური ტრადიციების მქონე სპორტი ამ მისიას წარმატებით ასრულებს. კავშირგაბმულობის თანამგზავრებმა ტელეხიდები გასდეს კონტინენტებს შორის; ოლიმპიური და მსოფლიო მნიშვნელობის სპორტული ასპარეზობის მაყურებელთა აუდიტორიები ზღაპრულად გაფართოვდა. ერთი სიტყვით, მეცნიერება და ტექნიკა სპორტსმენთა საიმედო მოკავშირეა.

**დასკვნა:**

მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესის ეპოქაში ფიზიკური აღზრდა და სპორტი საპატიო სოციალურ შეკვეთას ასრულებს შემდეგი კანონზომიერებით:

- ფიზიკური აღზრდა და სპორტი არის პიროვნების სოციალიზაციისა და ჰარმონიულად განვითარების ერთ-ერთი, ხოლო ფიზიკური აღზრდისა და ფიზიკური სრულყოფის უმთავრესი საშუალება;
- სპორტი და ფიზიკური აღზრდა დადებითად მოქმედებს შრომის ნაყოფიერებაზე და ადამიანთა საზოგადოებრივ აქტივობაზე;
- სპორტი არის საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვისა და განმტკიცების, ასევე მათში პროფესიულ და სხვა დაავადებათა, განსაკუთრებით ჰიპოდინამიით გამოწვეულ დაავადებათა პროფილაქტიკის ეფექტური საშუალება;
- სპორტი არის განსაკუთრებით ახალგაზრდათა თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების, ამდენად, ალკოჰოლიზმის, ნარკომანიისა და სხვა სოციალურ დანაშაულებათა შემცირებისა და პროფილაქტიკის ერთ-ერთი ძლიერი იარაღი;
- მაღალ ფიზიკურ აღზრდასა და სპორტის მთელ რიგ სახეობათა მასობრიობაზე ბევრადაა დამოკიდებული ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის, მისი სამხედრო ძლიერების განმტკიცება;

მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესი, რომელიც მეტად საპატიო სოციალურ შეკვეთას აძლევს ფიზიკურ აღზრდასა და სპორტს, ამ უკანასკნელის განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი ფაქტორებით:

• სამშენებლო ინდუსტრიის მზარდი საშუალებების გამოყენებით სპორტული ბაზების, ნაგებობების ფართო ქსელის შექმნა;

• სპორტული მანქანების, იარაღებისა და ინვენტარის წარმოების გაფართოება, ხარისხის გაუმჯობესება და მათი ხელმისაწვდომობა;

• პროგრამული წვრთნის, ტრენაჟორების, სამედიცინო კონტროლის ხელსაწყოების, დამზღვევი და უსაფრთხოების ტექნიკური საშუალებების შექმნა;

• სპორტსმენთა წვრთნის, ასპარეზობების ჩატარების, ტრავმების შემცირების, სპორტსმენთა კვებისა და რეაბილიტაციის (ენერგიის აღდგენის) სისტემების მეცნიერულ საფუძველზე დამუშავება.

სპორტისა და ფიზიკური აღზრდის სიკეთის მაქსიმალურად გამოყენებისთვის საჭიროა მათი მეცნიერული შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია იმ მექანიზმების დადგენა, რომლებითაც სპორტი მოქმედებს საზოგადოების პროგრესზე. სპორტული ინვენტარის განახლება და სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია ხელს შეუწყობს საქართველოში სპორტის განვითარებას, დიდი სპორტული ტრადიციების აღდგენას, საერთაშორისო სპორტულ ასპარეზზე მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევას. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, თაობების გაჯანსაღებასა და ფიზიკურ აღზრდას.

**ბიბლიოგრაფია:**


აფციაური, ლ. (2019). *მეცნიერულ-ტექნოლოგიური პროგრესის გავლენა მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://geomedi.edu.ge/wp-content/uploads/2019/03/The%20impact%20of%20scientific%20and%20technical%20progress.pdf

ზალდასტანიშვილი, ჯ., & ბიბილეიშვილი, ლ. (2005). *ვალეოლოგია: ჯანსაღი ცხოვრების წესი.* თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. ვებგვერდი: https://www.geostat.ge/ka

სკლიარენკო, ს. (2016). *დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და სიმსუქნეზე საქართველოში. სადისერტაციო ნაშრომი.* თბილისი. მოძიებულია ვებგვერდიდან: https://ug.edu.ge/storage/disertations/November2019/fkAe7YzBQnd71M1m5dwE.pdf

ქოჩლაძე, მ. (2020 წლის 23 ოქტომბერი). *გარემოს დაბინძურება და ადამიანის ჯანმრთელობა.* მოძიებულია ვებგვერდიდან: https://greenalt.org/blogs/garemos-dabindureba-da-adamianis-janmrteloba/

*Shaping the future of sports with science and technology.* (n.d.). Retrieved from https://www.bridgesofsports.org/science-technology-in-sports/

*Влияние научно-технического прогресса.* (б.д.). Получено из https://tst.sportedu.ru/content/vliyanie-nauchno-tekhnicheskogo-progressa

*Девять ярких примеров влияния научного прогресса на большой спорт.* (б.д.). Получено из https://vtbrussia.ru/tech/tekhnologii-izmenivshie-sport/

Еременко, В. Н., Синько, О. В., & Федорова, Н. П. (2019). Особенности развития спорта под влиянием научно-технического прогресса и его принятие человеком. *Azimuth of Scientific Research: Pedagogy and Psychology, 8*(3), 336-338. Получено из https://cyberleninka.ru/article/n/osobennosti-razvitiya-sporta-pod-vliyaniem-nauchno-tehnicheskogo-progressa-i-ego-prinyatie-chelovekom



***Sophio Tsatsiashvili***

*Georgian Technical University*


## THE SOCIAL ROLE OF SPORTS IN THE ERA OF SCIENTIFIC-TECHNOLOGICAL PROGRESS

## RESUME


In the era of scientific and technological progress, sport is gaining more and more attention as an important factor in human upbringing and socialization. Its role in the formation of social, psychological, aesthetic, biological and other components of the personality structure is becoming more and more noticeable.

Sport is not only about setting records, it is about the health of many people, their readiness for work, the development of such necessary qualities in life as endurance, strength and courage.

Today, at the zenith of technical progress, almost no field has remained insurmountable and untapped. Like everything else, this fact has its advantages and disadvantaeges.



***Keywords:*** Scientific-technological progress, Sport, Physical activity, Human health.